

გალერიაზ გაბაშვილი

ვახუშტი ბაბრათიონი

სამეცნიერო-კოკულარული შიგნების სერია

929
3-12

ვალერიან გაბაშვილი

საქართველოს კომუნისტური პარტიის
საბუნებისმეტყველო ცენტრის
ბიბლიოთეკა
№ 53696

ვახუშტი ბაბრათიონი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის

სამეცნიერო-პოპულარული
წიგნების სერია

სერიის რედაქტორი
ზაზა აბაშიძე

მეოთხე წიგნის რედაქტორი
მანანა გაბაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი
ირმა ბერიძე
ლამარა ბოგოლუაური
ლანა ბრძელიშვილი
ელაღიმერ პერანიძე

ISSN 2587-4616

ISBN 978-9941-95-39-2-7 (მეოთხე წიგნის)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017
© მანანა გაბაშვილი, 2017



ვახუშტი ბატონიშვილი

რელაქტორისაგან

ვალერიან გაბაშვილის პოპულარული ხასიათის ბიოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, 1969 წელს გამოიცა და დღეს უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ამიტომაც მისი მეორედ გამოცემა არაერთი, პირველ ყოვლისა, მასში დასმული უმნიშვნელოვანესი პრობლემების თვალსაზრისითაა საინტერესო და ყურადსაღები.

ვახუშტი ბაგრატიონმა (1696-1755 წწ.), ნარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერების განვითარების გზაზე. აქედან გამომდინარე ის XVII-XVIII საუკუნეების დიდ მოღვაწეთა – სულხან-საბა ორბელიანისა და მისი მამის, ვახტანგ VI-ის რიგში დგება. ვალერიან გაბაშვილი ნარმოაჩენს ვახუშტის, როგორც მრავალმხრივი მოღვაწის – ისტორიკოსის, გეოგრაფოსის, კარტოგრაფის, ეთნოგრაფის, მთარგმნელის, ლექსიკოგრაფის ნაშრომების მნიშვნელობას, მათ აქტუალურობას, რამაც ისინი თანამედროვე მკვლევართა სამაგიდო წიგნებად აქცია. მანვე აღადგინა ვახუშტის პოლიტიკური თუ სამეცნიერო ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი დეტალები. ნაჩვენებია ვახუშტის, როგორც პირველი ევროპული ყაიდის ქართველი მეცნიერის ღვაწლი, რომელსაც ზოგიერთ საკითხში ევროპულ ისტორიოგრაფიასაც კი გაუსწრო.

ვალერიან გაბაშვილის ამ ნარკვევში ისტორიკოსისა და მწერლის ოსტატობაა შერწყმული. ვახუშტის სამეცნიერო ინტერესები თუ ყოველდღიურობა, თბილისის ჟანრული სცენები და თბილისელთა ცხოვრება ცოცხლად არის დახატული და გადმოცემული, ისევე როგორც მოსკოვისა, სადაც ვახუშტიმ, როგორც ქართული ემიგრაციის წარმომადგენელმა, ცხოვრების ბოლო წლები გაატარა (1724-1757 წწ.), გააგრძელა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა და მონაწილეობა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში (1755 წ.).

ვახუშტის მასშტაბური მოღვაწეობა XVII-XVIII საუკუნეების პოლიტიკური ვითარების, ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების ფონზეა განხილული, ტრადიციული ქართული კულტურის აღდგენა-განახლებისა და იმ ცვლილებების ჩრილში, რაც ქართული კულტურის ევროპეიზაციას მოჰყვა.

წინამდებარე ნაშრომი პოპულარული, ყველა ასაკის მკითხველისთვის გასაგები ენითაა დაწერილი და ნამდვილად საინტერესო იქნება ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ისტორიითა თუ გეოგრაფიით ასევე ჩვენ ცნობილ წინაპართა ბიოგრაფიებით.

მანანა გაბაშვილი
ისტორიის დოქტორი

შესავალი

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურის სარბიელზე სამი დიდი მეცნიერი მოღვაწეობდა: **სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და ვახუშტი ბაგრატიონი.**

სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგ მეფის მასწავლებელი იყო, ხოლო ეს უკანასკნელი არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდის აღმზრდელი და მოძღვარი. ფაქტობრივად ვახტანგ VI-მ და მისი დასის ინტენსიურმა კულტურულ-მეცნიერულმა მოღვაწეობამ შეუმზადა ნიადაგი ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც მეცნიერის წარმატებას.

ამ თვალსაზრისით ერთ რიგში დგება და ერთნაირი მნიშვნელობისაა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ და „მოგზაურობა ევროპაში“, ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური კომენტარები, მათემატიკურ-ასტრონომიული ტრაქტატების ქართული თარგმანები და საამისო ლექსიკოლოგიური ნამუშევრები, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“ და მისივე ევროპულ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა ქართული თარგმანები.

XVII-XVIII საუკუნეების ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. ამავე დროს, აღნიშნულ პერიოდში მოხდა არა მარტო ტრადიციული ქართული კულტურის აღდგენა-განახლება, არამედ ქართული კულტურის ევროპეიზაციაც.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართველი კულტურული მოღვაწენი ახლებურად ითვისებდნენ კარგად ნაცნობი აღმოსავლური კულტურის მიღწევა-მონაპოვარს, ამავე დროს, ფართოდ უხსნიდნენ გზას ახალ ევროპულ კულტურასაც, ევროპულ მეცნიერებასაც.

ქვეყნის ევროპეიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანი გამოხატულებას პოულობდა კულტურულ-მეცნიერული მოღვაწეობის სარბიელზეც. ეს სრულიად ახალი მოვლენა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის განვითარებაში გულისხმობდა ძველი, შუასაუკუნეობრივი ბერძნულ-ბიზანტიური და აღმოსავლური „სწავლის“ გავლენათა არტახებისაგან განთავისუფლებასაც.

ევროპეიზაციის ტენდენციების მანიშნებელია მეტად საგულისხმო განმარტებანი და მოწმობანი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, მისივე „მოგზაურობა ევროპაში“ და კარტოგრაფიული ნამუშევარი, ვახტანგ VI-ის დავალებით შესრულებული ევროპელ ისტორიკოსთა, გეოგრაფოსთა და მათემატიკოსთა თხზულებების ქართული თარგმანები და, ზოგადად, მთელი მისი დაუცხრომელი კულტურულ-ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობის მრავალი მხარე. კიდევ უფრო მკაფიოდ ეტყობა ევროპული კულტურისა და მეცნიერების გავლენა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიულ და საისტორიო ნაშრომებს.

სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და ვახუშტი ბაგრატიონი ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანები იყვნენ, თვითონ მათი მოღვაწეობაც ენციკლოპედიური ხასიათისა იყო, რაც XVII-XVIII საუკუნეებში ევროპული კულტურის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა.

მაგრამ არც სულხან-საბა ორბელიანს და არც ვახტანგ VI-ს ისე ფართოდ არ გამოუყენებიათ მეცნიერული კვლევა-ძიების ახალი, ევროპული ტექნიკური ხერხები, როგორადაც ეს გამოიყენა ვახუშტი ბაგრატიონმა.

რა თქმა უნდა, ისიც, თავის მხრივ, იყენებდა არა ახალი, ბურჟუაზიული განვითარების გზაზე შემდგარი ევროპული კულტურისა და მეცნიერების იდეებსა და შეხედულებებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების ტექნიკურ ხერხებს. ქართული კულტურის ევროპეიზაცია ფეოდალიზმის ბატონობისა და ფეოდალური გარემოცვის პირობებში ძალიან შორს არ შეიძლებოდა წასულიყო. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თვით დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო.

ვახუშტი ბაგრატიონი მრავალმხრივი მოღვაწე იყო: პოეტი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, გეოგრაფოსი, ისტორიკოსი. მაგრამ მის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი მაინც გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულ და საისტორიო ნაშრომებს უკავია. შთამომავლობის მესხიერებაში ის დარჩა როგორც სწორუპოვარი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი.

ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი მხარე ჯერ ისევ აღსადგენი და შესასწავლია. ამიტომ ჯერჯერობით შეუძლებელია მისი დასრულებული ბიოგრაფიის წარმოდგენა და მეცნიერული ნამოღვაწის ყოველმხრივი დახასიათება.

მხოლოდ უკანასკნელ ხანებში აეხადა ზოგ რამეს ფარდა (დამაჯერებლად დაზუსტდა, მაგალითად, ვახუშტის გარდაცვალების ნამდვილი თარიღი), აღმოჩნდა ახალი საბუთები და მასალები, დაინერა გამოკვლევები. ასე ჩვენ თვალწინ თანდათან მდიდრდება ჯერ ისევ ნაკლები ვახუშტიანა. მაგრამ არსებობს იმის ყველა საფუძველი, რომ მომავალში კიდევ აღმოჩნდება XVIII საუკუნის განთქმული ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უფრო სრულად ამსახველი მასალები.

ავტორი უხვად სარგებლობდა ქართველ ისტორიკოსთა, გეოგრაფოსთა, ეკონომისტთა, ბოტანიკოსთა და ზოოლოგთა იმ გამოკვლევებით, რომელთა შინაარსი ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულიად სხვადასხვა მხარეს ეხება. ამან შესაძლებელი გახადა მისი რამდენადმე გამართული (თუმცა ძირითადად მაინც ნაკლები) ბიოგრაფიის აღდგენა და მეცნიერულ მიღწევა-წარმატებათა შეფასება.

წინამდებარე ბიოგრაფიულ ნარკვევში გარკვეული ადგილი ეთმობა ვახუშტი ბაგრატიონის დროინდელი თბილისისა და მოსკოვის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების სურათებს, სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს, მათს მისწრაფებებსა და ურთიერთდამოკიდებულებას. ყველაფერი ეს აღებულია თანამედროვე პირველწყაროებიდან და ერთგვარი წიაღსვლების მიუხედავად, მისადაგებულია XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან.

პასუხის ცხოვრების ფურცლები

1696 წელი იდგა.

იმ წელს თბილისში მღელვარება მღელვარებას მოსდევდა.

კალას ქვემო უბნის სომხური მოსახლეობა ქალაქიდან კათოლიკე მისიონერების გაძევებას და გაფრანგებული¹ ქალაქის ნაცვლის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვდა.

ბოხოქრობდა მელიქის უბანი, ღრიანცელი არ წყდებოდა რასტ-ბაზარს² და ჩორსუში.³

ფრანგის ქუჩის სახლებს, კათოლიკეთა საყდარს და დუქნებს მეფის ყორჩები და ყულები იცავდნენ.

ცხენზე ამხედრებული ქალაქის მოურავი გაძლიერებული რაზმით მოედნიდან მოედანზე, ქუჩიდან ქუჩაზე გადადიოდა და ამოდ ლამობდა ამბოხებული ბრბოს დანყნარებას.

დიდვაჭრების და სომხური სარწმუნოების მღვდლების მიერ ნაქვზებული ვაჭარ-ხელოსნები ქალაქის მოურავის იასაულებს⁴ არ ეპუებოდნენ, გაფრანგებული ვაჭრების და ხელოსნების სახლებს ქვებს უშენდნენ, მათ დუქან-სახელოსნოებს არბევდნენ და რასაც მოახელებდნენ, ლენდნენ და ანადგურებდნენ.

მელიქის უბანში განუწყვეტლივ რეკდნენ ჯიგრაშენის და მოლნინის სომხური ეკლესიების ზარები.

კათოლიკობის გავრცელებით შეშფოთებული ტერტერები⁵ და კათოლიკე მისიონერების ვაჭრობაში მონაწილეობით შეფიქრიანებული სოვდაგარები⁶ ყველანაირად აქვებდნენ წვრილ ვაჭარ-ხელოსნებს, რომელთა უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ისინი წელზე ფეხს იდგამდნენ და ისე შოულობდნენ ლუკმაპურს ცოლ-შვილის შესანახად.

¹ ფრანგი - საქართველოსა და სომხეთში კათოლიკობაში გადასულ ადამიანებს ფრანგებს უწოდებდნენ, ფრანგი ევროპელსაც ნიშნავდა.

² რასტ-ბაზარი - სწორი, ანუ გრძელი რიგების პრინციპზე აგებული ბაზარი.

³ ჩორსუ - ოთხკუთხა ოთხთაღიანი ბაზარი.

⁴ იასაული - თურქ. ბრძანების აღმსრულებელი. მმართველობითი აპარატის მოხელე გვიან შუასაუკუნეების საქართველოში. გადასახადების ამკრეფი სავაჭრო და სახელოსნო გაერთიანებებში.

⁵ ტერტერა - სომეხი სასულიერო პირი

⁶ სოვდაგარი - მსხვილი ვაჭარი.

მათ ჩაგრადნენ ფეოდალებიც და დიდვაჭრებიც.

ჩაგრულნი და გაჭირვებულნი არაერთხელ გამოსულან მოედნებზე „ასნაფე-ბის“¹ ბაიარალებით, არაერთხელ აღუშალელებიათ ხმა თავიანთი უფლებების დასაცავად, მიიმე გადასახადების გასაუქმებლად. მჩაგრელთა წინააღმდეგ დარაზმული წერილი ვაჭარ-ხელოსნები ზოგჯერ იარალსაც ჰკიდებდნენ ხელს.

ასეთ დროს დიდვაჭრები მათ ან ფეოდალებს უპირისპირებდნენ ანდა კათოლიკე მისიონერებს, რათა თვითონ მშრალზე გამოსულიყვნენ და ქალაქის მდაბიო ხალხის რისხვა აეცდინათ.

საამისოდ ისინი მარჯვედ იყენებდნენ კონფესიურ წინააღმდეგობებს, თან ეროვნული შუღლის გაღვივებას ლამობდნენ.

სადაც კი მოახლებდნენ, ყველგან ფეოდალების თვითნებობაზე და კათოლიკე მისიონერების გაუმაძღარ სიხარბეზე ლაპარაკობდნენ და სულ იმას აღნიშნავდნენ, რომ ყველა სომეხ ვაჭარსა და ხელოსანს ძალით გაფრანგებას უპირებდნენ.

XVII საუკუნის დამლევეს მთელი ათი წლის განმავლობაში ამ ნიადაგზე თბილისი არაერთხელ მოიცვა მღელვარებამ და ამბოხებამ.

ახალი ამბოხების საბაბი 1696 წელს ქალაქის ნაცვლის გაფრანგება გახდა.

ბაზრებში, ქარვასლებში, ქუჩებში, მოედნებზე დიდვაჭრები დატრიალდნენ, ათასნაირი ხმა დაარბიეს, ვაჭრებსა და ხელოსნებს დუქნები დააკეტინეს და ფრანგთა სახლების და დუქან-სახელოსნოების დასარბევად მოუწოდეს.

ქვემო უბანი, სადაც ძირითადად ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ ახლაც სწრაფად დაი-რაზმა და ამბოხდა.

ქვემო უბანს მხარს უბამდა სეიდაბადის² ჭრელი მოსახლეობა და მაჰმადიანური ციტადელი („თათრის ქალაქი“)...

მელიქის ქარვასლაში შეკრებილი დიდვაჭრები კალას ზემო უბანში კაცს კაცზე გზავნიდნენ, რათა მეფეს დაუყოვნებლივ გადაეყენებინა ქალაქის ნაცვალი.

ქალაქის ცენტრში, კალას ზემო უბანში, სიწყნარე სუფევდა.

აქ მხოლოდ ქართველი ფეოდალური არისტოკრატია ცხოვრობდა: მეფე-დედოფალი, ბატონიშვილები, ეპისკოპოსები, თავადნი, კარის მოხელენი. ამიტომ აქ ეკლესიებიც მხოლოდ ქართული იყო: სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი...

¹ ვაჭარ ხელოსანთა გაერთიანება.

² სეიდაბადი - ძველი თბილისის უბანი.

მეფის მოედანზე გამოფენილი ქართველი თავადები ცხარედ კამათობდნენ. ზოგი დიდვაჭრებს უჭერდა მხარს, ზოგიც კათოლიკე მისიონერებს. ბატონიშვილები გაფრანგებულ ქალაქის ნაცვალს მფარველობდნენ. განსაკუთრებით იცავდა მას ვახტანგ ბატონიშვილი.

გულმოდგინედ ირჯებოდა მის სასარგებლოდ სულხან-საბა ორბელიანიც, რომელიც კათოლიკე მისიონერებთან ლიტერატურულ-მეცნიერული თანამშრომლობით იყო დაკავშირებული და, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი, ყველგან ევროპულ სახელმწიფოებთან დაახლოების მნიშვნელობას ქადაგებდა.

ქალაქის ნაცვალი, აბესალამანთ გვარის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი, თავისი ჭკუისა და გამჭრიახობის წყალობით, ყველას ყურადღებას იქცევდა და ყველაზე პატივცემულ მოქალაქედ ითვლებოდა.

საერთოდ, აბესალამანთ გვარიდან არაერთი ქალაქის ქეთხუდი იყო გამოსული, ხოლო ერთმა მათგანმა ქალაქის ნაცვლის თანამდებობასაც კი მიაღწია.

ქალაქის გაფრანგებულ ნაცვალს ბევრი დიდვაჭარი გადაემტერა.

არც ქალაქის მელიქი სწყალობდა მას.

რაც უფრო მეტი მოქალაქე კათოლიკედებოდა, მით უფრო ძლიერდებოდა კათოლიკეთა მისიონი თბილისშიც და გორშიც.

დიდვაჭრებს თბილისში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ იტალიური ხავერდი და ტილო, ფრანგული ძვირფასი ქსოვილები და სამკაულები, ჰოლანდიური ფაიფურის ჭურჭელი და ათასნაირი ფუფუნების საგნები. მათი შუამავლობით წარმოებდა ვაჭრობა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან. ამიტომ თბილისელ სოფდაგრებს კათოლიკე მისიონერების სავაჭრო საქმიანობა ჭკუაში არ უჯდებოდათ და მათი გაძევების თადარიგს იჭერდნენ.

მათ მხარი მისცეს სომხის ტერტერებმაც.

კათოლიკობის გავრცელებით უკმაყოფილო დიდვაჭრებმა დახმარება შაჰის მოხელეებს სთხოვეს, კათოლიკეთა მფარველი ქართლის მეფე დააბეზლეს და, ბოლოს, ამ საქმეში თვითონ შაჰიც ჩარიეს.

მეფემ შაჰის ფირმანი მიიღო და დაუყოვნებლივ შეასრულა მისი ბრძანება: ქალაქის ნაცვალი თანამდებობიდან გადააყენა.

მაგრამ მან მხოლოდ ქალაქის ნაცვალი დათმო, რათა თბილისში კათოლიკეთა მისიონი შეენარჩუნებინა.

თანამდებობიდან გადაყენებული ქალაქის ნაცვალი ცოლშვილიანად თბილისიდან გააძევეს. უმრწემესი მათ შორის იყო იოსები, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა იტალიურადაც და ფრანგულადაც.

იოსებმა განსწავლა დაასრულა საფრანგეთსა და იტალიაში. დიდხანს იყო საფრანგეთის თარჯიმანად ისფაჰანში და კონსტანტინოპოლში. მანვე აღწერა თანამედროვე სპარსეთის ამბები იტალიურად, ფრანგულად, თურქულად; დაესწრო უკანასკნელი სეფიანი შაჰინ-შაჰის, ჰუსეინის ტახტიდან გადაყენების ცერემონიალს, თან ახლდა დომენტი კათოლიკოსს სულთნის კარზე და, საზოგადოდ, აქტიურად მონაწილეობდა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის სარბიელზე.

ვახტანგ ბატონიშვილს დიდხანს ახსოვდა იოსებ აბესალამაშვილი.

შეიძლება იმიტომ, რომ ამ ნიჭიერი ბიჭის წარმატება თბილისის კათოლიკეთა სკოლაში ქართველი ყმანვილკაცების წარმატების საწინდრად მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მის მეხსიერებაში წარუშლელად დარჩა 1696 წლის ამბები, რომლის შედეგად ქალაქის ნაცვალიც და პატარა იოსებიც თბილისიდან გააძევეს.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სწორედ 1696 წელს, თბილისელი ვაჭარ-ხელოსნების ამბოხების წელს, დაიბადა ვახუშტი.

იმ წელს თბილისში ისეთი ამბები ხდებოდა, რომ ყველას შეუმჩნეველი დარჩა ვახტანგ ბატონიშვილის „უკანონო“ ვაჟის დაბადება.

„ხარჭასთან“ ნაშობი შვილი ბატონიშვილ ვახტანგს არასოდეს არ გაუნაპირებია, სხვა შეილებთან ერთად მეფის კარზე ზრდიდა და მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა.

ცნობილი არაა ვახუშტის დედის არც სახელი, არც ვინაობა, არც სოციალური მდგომარეობა.

ვინ იყო „უკანონო შვილის“ დედა? თავადის, აზნაურის, ვაჭრისა თუ გლეხის ქალი? არავინ იცის. ვიცით მხოლოდ, რომ უფლისწულის დედა ზოგჯერ მდაბიო ქალიც ყოფილა. ასე, მაგალითად, როსტომ მეფის დედა შინდისელი გლეხის ქალი იყო.

ფრანგი მოგზაურის პეისონელის ცნობით, ვახუშტი ნაშობი იყო „უბრალო ყმის დედაკაცისაგან“. ეს ცნობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს განეკუთვნება და აშკარად ჩანს, რომ უკვე იმ დროს ვახუშტის დედა მდაბიო დედაკაცად იყო მიჩნეული.

დედას არსად არ ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონი. ქართულად თუ რუსულად დანერილ საბუთებს ყოველთვის ასე აწერდა ხელს: „მეფის შვილი ვახუშტი“.

თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილი არაა მისი ცხოვრების ყველა მხარე, ყველა დეტალი.

ჯერჯერობით ჩვენს განკარგულებაშია ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიის მხოლოდ ცალკეული ფურცლები.

სამაგიეროდ ყოველმხრივია ჩვენთვის ცნობილი XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დრო, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ მისი სახელოვანი გვირგვინოსანი მშობლის – ვახტანგ VI-ის ეპოქა.

მთელ წინა აზიაში იმ დროს მშვიდობიანობა სუფევდა. ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ დანიშნაურებას.

უკიდურესად დასუსტებულ სეფიანთა ირანს და დაუძღვრებულ სულთნის ოსმალეთს დიდი ომების თავი არ ჰქონდათ, მაგრამ თავიანთი „სამფლობელოების“ მიმართ მტაცებლურ კლანჭებს მაინც აჩენდნენ.

XVII საუკუნის დამლევს ირანის პოლიტიკური ბატონობის სუსხი ქართლის სამეფოს ისევ მძლავრად სცემდა.

სათათრო საურის¹ საფუძველზე კვლავინდებურად გროვებოდა ტყვე ქალ-ვაჟები ისფაჰანს გასაგზავნად.

ქართლის მეფე გიორგი XI ირანს იყო განვეული და ყანდაჰარში ბეგლარბეგად დანიშნული აჯანყებულ ავღანებს ებრძოდა.

მის მაგიერ ქართლში მმართველად ჯანიშინი (მოადგილე) იჯდა. ჯანიშინს კი მეთვალყურედ შაჰის მოხელენი ჰყავდა მიჩენილი: ვეზირი, მუსტოუფი² და მუნში.³

ასე გახდნენ ჯანიშინები ჯერ ლევან ბატონიშვილი, ხოლო შემდეგ მისი ძე ვახტანგ ბატონიშვილი.

„ორიანობის“ (გიორგი XI და ერეკლე – ნაზარალი-ხანის, ერთდროული მეფობა ქართლში) დროს აშლილი ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო დამშვიდებული.

¹ სათათრო საური – გადასახადი, ხარკი.

² მუსტოუფი – საფინანსო უწყების მმართველი.

³ მუნში – სახელმწიფო უწყების მდივანი, მწიგნობარი.

თვითნებობდნენ „ციხის თათრები“, რომელთა მინბაში¹ ყიზილბაშ მეომრებს ქრისტიანი ქალ-ვაჟების მოტაცებას ავალებდა და შემდეგ მათ საიდუმლოდ გზავნიდა აღმოსავლეთის მონათა ბაზარზე გასასყიდად.

ლექთა დასტები ისევ არბევდნენ ქართლის და განსაკუთრებით კახეთის სოფლებს.

განზე იწევდნენ და კვლავინდებურად ურჩობდნენ ქართლის მსხვილი თავადები, რომელნიც სპარსეთის შაჰის და მისი ადგილობრივი მოხელეების – მინბაშის, ვეზირის,² მუსტოფის, მუნშის ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ. ქართლის მეფის ხელისუფლების დასუსტების მიზნით, ისინი „ბედნიერი ყაენის ფერხთა მტვერს“ ფიცულობდნენ და მის ერთგულებას იჩემებდნენ.

ქართლის მეფეც (უკეთ მეფის ჯანიშინები: ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები), თავის მხრივ, მათ ალაგმვას ცდილობდა, რათა მეფის ხელისუფლებას მეტი ძალა და სიმტკიცე მისცემოდა.

მკაცრ ღონისძიებებს იყენებდნენ გიორგი XI-ის მოადგილე ქართლის გამგებლები თბილისის ციხის ყიზილბაში მეომრების წინააღმდეგ, რათა ბოლო მოეღოთ მათი ქურდული თავდასხმა-მტაცებლობისათვის.

ვახტანგ VI საერო და სასულიერო ფეოდალების თანდასწრებით შეუდგა სამართლის წიგნის შედგენას და ახალი კანონმდებლობის საფუძველზე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებას.

მეფის აზნაურთაგან შეიქმნა ყორჩისა და ყულის ჯარი, რომელიც უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული.

დიდი ყურადღება მიექცა გზების უშიშროებას, შარა-გზებზე ყარაულობას, ლექთა თარეშის ალაგმვას.

მოწესრიგდა გადასახადები, რათა გლეხკაცი მეურნეობით დაინტერესებულიყო და მეურნეობას გასძლიოდა.

არჩილ მეფის ნათქვამი აზრი: „რა დაეცეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა“, კარგად ჰქონდა შეგნებული იმდროინდელ მოწინავე ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე გაჩაღდა ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა, რადგან ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგია, „ქართველობის“ (ქართული

¹ მინბაში – სამხედრო პირი.

² ვეზირი – სახელმწიფო აპარატის უმაღლესი პირი.

სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) ქვაკუთხედი იყო და მისი დაცვა „ქართველობის“ დაცვას გულისხმობდა.

ანტიმაჰმადიანური პროპაგანდისას, თავისი სიმახვილითა და მიზანდასახულობით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა იაკობ შემოქმედელის ქადაგებანი.

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ სულხან-საბა ორბელიანის ნაწერებს, ეკლესიებში წარმოთქმულ ქადაგებებს, მის პოლიტიკურ-დიპლომატიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

განახლების ხანის ქართველ კულტურულ მოღვაწეთა პოლიტიკური აზრი ორგანულად იყო შერწყმული ქვეყნის მაჰმადიანთა ბატონობისაგან განთავისუფლების, მისი მომავლის უზრუნველყოფის მიზნებთან.

გაიზარდა ინტერესი საქართველოს ისტორიული წარსულისადმი.

ოდინდელი „ერთმეფობის“ აღნიშვნას და მის ისტორიულად დასაბუთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა „ანიდელი“ საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებში.

ვახუშტის დაბადებამდე რამდენიმე წლით ადრე პარიზში დაიბეჭდა სანსონის წიგნი, სადაც ავტორის პირადი დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებების შედეგად ნათქვამია: ქართველები რომ გაერთიანდნენ, ადვილად შეძლებენ დასუსტებული სპარსეთის დამარცხებას, მაგრამ ქართველების გაერთიანება შეუძლებელიაო.

ფეოდალური დაქუცმაცების პირობებში ქართველთა თანხმობის აღდგენა მართლაც შეუძლებელი იყო.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამის გამო სამართლიანად შენიშნავდა: ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართველები ვერც კი წარმოიდგენდნენ ოდინდელი პოლიტიკური ერთობის არსებობასო.

ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ დაწერილ „საქართველოს ისტორიის“ მიზანს სწორედ ამ ერთობის ჩვენება და დასაბუთება შეადგენდა.

ამასვე ისახავდა მიზნად „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია.

ამას გარდა, მეტი ყურადღება მიექცა სწავლა-განათლებას, მწერლობას, უცხოური კულტურის მონაპოვართა შეთვისება-გაზიარებას.

ვახტანგ VI და მისი დასი ქვეყნის მომავალს, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებას, მის წინსვლას, კულტურულ აღორძინებასა და განვითარებას უკავშირებდა.

დიდ-პატარა იმ დროს განათლებას დაენაფა, ყველა ცოდნის ნადილმა და მნიგნობრობამ გაიტაცა. სწავლობდნენ დიდკაცები, მოქალაქენი და მათი შვილები.

სპარსეთში გადაკარგულ გიორგი XI-ს თავის წერილებში არასოდეს არ ავინყდებოდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის „გაჩაღხვის“ ამბის მოკითხვა.

ხელახლა გაიხსენეს „ქილილა და დამანა“, რომლის თარგმანზეც XVI საუკუნის დამლევს ჯერ კიდევ ალექსანდრე კახთა მეფის ვაჟი, დავით ბატონიშვილი მუშაობდა.

ხელიდან ხელში გადადიოდა თეიმურაზის, არჩილის და იოსებ თბილელის ისტორიული პოემები.

გადამწერლები ვერ ასდიოდნენ „ქართლის ცხოვრების“ გადანერას; ყველა განათლებულ ქართველს სურდა ხელთ ჰქონოდა საკუთარი „ქართლის ცხოვრება“.

გახშირდა ქალთა მზითვებში „ვეფხისტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ ხელნაწერების გატანება.

გაიზარდა ინტერესი არა მარტო ძველქართული, ბერძნულ-ბიზანტიური და სპარსულ-ალმოსავლური ტრადიციული კულტურის მიმართ, არამედ „ფრანგული სწავლის“ მიმართაც.

ყველა, ვისაც კი „ახალი ცოდნის“ მნიშვნელობა ესმოდა, ცდილობდა ევროპული განათლებაც მიეღო.

საამისო მაგალითს თვითონ ვახტანგ VI იძლეოდა.

მათემატიკასა და ასტრონომიაში მას კათოლიკე მისიონერები ამეცადინებდნენ.

„ძველთან“ ერთად „ახალი“ ცოდნა შეიძინეს მისმა ვაჟებმაც: ვახუშტიმ და ბაქარმა.

პირველდანწყებითი სკოლები იმ დროს არსებობდა სიონის ტაძართან და დავით-გარეჯის მონასტერში.

მოიპოვება ზეპირი ცნობა (გიორგი ავალიშვილისა), რომლის მიხედვით ვახუშტი ბატონიშვილი დასახელებულ სკოლებშიც სწავლობდა, მაგრამ სათანადო წერილობითი წყაროებიდან ირკვევა მხოლოდ ის, რომ მან თავდაპირველი სწავლა-აღზრდა მეფის კარზე მიიღო.

საქმე „გაბრიელის შრომა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტში ..
ბ ი ბ ლ ი ო თ ი ა 17
№: _____

ცნობილია მისი პირველი მასწავლებლის სახელიც და ვინაობაც. ესაა კარის დეკანოზი იესე გარსევანიშვილი, რომელსაც თავისი მონაფისათვის ტრადიციული ქართული და ბერძნულ-ბიზანტიური განათლება უნდა მიეცა.

1708 წლით დათარიღებულ წყალობის ერთ სიგელში ვახტანგ VI, კარის ოქონის ხატის დეკანოზს, იესეს და მის ძმას გიორგის, უწოდებს – „ჩვენის შვილების დამზრდელს და საღმთო საეროს მასწავლებელს“. დასახელებულია იესეს მონაფეებიც: ბატონიშვილები ბაქარ და გიორგი.

საბუთში მოხსენებული არაა ვახუშტი, რომელიც ამ დროისათვის 12 წლის ყრმა იყო, მაგრამ თანამედროვეთა მოწმობით მისი აღმზრდელ-მასწავლებელი იყო იგივე კარის დეკანოზი იესე გარსევანიშვილი.

ამას ადასტურებს თვითონ ვახუშტიც.

არსებობს ვახუშტის ქართლში გამგებლობის დროინდელი საბუთი, რომელსაც მიაგნო და მთლიანად გამოაქვეყნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. საბუთი გაცემულია თვითონ ვახუშტის მიერ ოქონის ხატის დეკანოზის იესე გარსევანიშვილის სახელზე. ამ საბუთში ვახუშტი იესე გარსევანიშვილს და მის ძმას გიორგის „სიჩრთავე ჩვენთა გამზრდელთა“-ს უწოდებს. ამასთან ირკვევა ისიც, რომ მის თავდაპირველ სწავლა-აღზრდაში განსაკუთრებით გიორგი გარსევანიშვილი გარჯილა. მას მაღლიერი მონაფე უწოდებს „საღმთო საერომდე მასწავლებლს გიორგის“. ამრიგად, მისი პირველი მასწავლებლები ძმები გარსევანიშვილები ყოფილან, უფრო მეტად კი გიორგი გარსევანიშვილი.

გიორგი გარსევანიშვილი მოსკოვში სხვებთან ერთად თან გაჰყვა ვახტანგ მეფეს და გარდაიცვალა 1745 წელს ვსესვიატსკოეში. „სესეცკას“ ქართული ეკლესიის ეზოში, აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, დღემდე დაცულია საფლავის ქვა მხედრული წარწერით: „პროთოპოპი გარსევანისძე გიორგი, მეფის ვახტანგის აღზრდილი და მეფის ბაქარის აღმზრდელი“. წარწერა დათარიღებულია 1745 წლით.

ამრიგად, ირკვევა რომ, გიორგი გარსევანიშვილი ვახტანგ VI-ის დასის ადამიანი იყო, მისი აღზრდილი, მისი კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი მოჭირნახულე. თავისი „საღმრთო და საერო“ ცოდნა ვახტანგის შვილებს, ბაქარს და ვახუშტის გაუზიარა. ამას ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს მაღლიერებით აღნიშნავდნენ ბაქარიც და ვახუშტიც.

ვახუშტი ბატონიშვილმა თავის ყოფილ აღმზრდელს 1723 წელს ქვემო ქართლში მდებარე ნასტფლარი ნადარბაზევი უბოძა.

ეს ცნობა იმითაც არის საყურადღებო, რომ უფლისწულების მსგავსად „უკანონო“ ვახუშტისაც ჰქონდა საუფლისწულო მამულები და სოფლები.

ნადარბაზევის გარდა ვახუშტი ბაგრატიონის სოფლების შესახებ ცნობები მოპოვება 1721 წლის აღწერაში, რომელიც მისი უშუალო მონაწილეობით უნდა შედგენილი.

1721 წლის აღწერის თანახმად ვახუშტის „მემამულენი, უყმო აზნაურები და ყმები“ ჰყოლია: ალგეთს, დმანისს, სომხითსა და ქციის ხეობაში. იმავე აღწერის მიხედვით ნაზარს სოფელი, ალგეთში, ჰკუთვნებია ბატონიშვილს ვახუშტის. აღწერაში აღნიშნულია 60 ყმა, რომელნიც თავიანთი ოჯახებით ქვემო-ქართლში ცხოვრობდნენ და იქ მისდევდნენ მეურნეობას.

სოფლების, აზნაურებისა და ყმა-გლეხების მფლობელად ვახუშტი ბაგრატიონი ალბათ ქართლის სხვა ადგილებშიც იყო. მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით სოფლები, ჩანს, მას ქვემო ქართლში ჰქონდა – ახლად შექმნილი, ნაწილობრივი თუ ნასყიდი. ეს შემთხვევით არ იყო. საერთოდ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქვემო ქართლში „მამულებს“ ყიდულობდნენ ვახტანგ VI, მისი ძმები, ძმისწულები და შვილები. საბუთებიდან ირკვევა: ქვემო ქართლში მამულები ეკუთვნოდათ ვახტანგ მეფეს (დედოფლითურთ), მის ძმებს – იესეს და სვიმონს, შვილებს – ბაქარს და ვახუშტის.

ქვემო ქართლის მიმართ ყურადღების გამახვილება და აქ სოფლების შექმნა-გაზრდის ნადილი მხოლოდ მემამულური მისწრაფებებით არ იყო გამოწვეული. ამგვარ ღონისძიებებს არა მარტო უნდა განემტკიცებინა სამეფო ხალხის ეკონომიკური საფუძველი (პოლიტიკური ძლიერებისა და გავლენის მთავარი პირობა) ქართლის ამ ნაწილში, არამედ, ამასთან ერთად, შეესუსტებინა აქაური თავადების სპარსოფილური პოლიტიკა (ამ სანაპირო კუთხის ტერიტორიული მდებარეობის წყალობით უნებლიეთ რომ იყო ნაკარნახევი) და, რაც მთავარია, შეეზღუდა და სამეფო კარის რეგლამენტაციისათვის დაექვემდებარებინა XVIII საუკუნის დამდეგს აქ ჩამოსახლებული ყიზილბაშური ტომები. ამ მიზანს ისახავდა კერძოდ „ელის დებულება“ (მომთაბარე ყიზილბაშურ ტომთა ცხოვრებისა და მეურნეობის რეგლამენტაცია), რომელიც ვახტანგ მეფემ მთლიანად შეიტანა „დასტურლამალში“. ამგვარივე ღონისძიება იყო ქვემო ქართლში სარწყავი არხების აღდგენა-განახლება, ახალი არხების გაყვანა და რუების გაჭრა და, საზოგადოდ, ინტენსიური სამეურნეო მშენებლობა, რასაც დასაყრდენიც უნდა მოეძალა „ელის ხალხის“ მომთა-

ბარულ-მეფეოგური მეურნეობისათვის და ქართული მოსახლეობაც სწრაფად გაემრავლებინა შაჰ-აბასის ომების დროს დაცარიელებულ და ნასოფლარებად გადაქცეულ ადგილებში.

ერთი სიტყვით, ქვემო ქართლს კვლავ უნდა დაეკავებინა ის ადგილი და მნიშვნელობა, როგორც მას ჰქონდა იმ დროს, როცა ქართლის ეს კუთხე მტკიცე კარიბჭის როლს ასრულებდა და გზას უკრავდა სამხრეთიდან შემოსულ მტერს ქვეყნის შიდა რაიონებში შესაჭრელად. ამ მიზნის წარმატებას უნდა გაექარნყლებინა ის, რაც თავის დროზე შაჰ-აბასმა გააკეთა, როცა საქართველოს ეს კარიბჭე მოურღვია აქ ყიზილბაშური ტომების ჩამოთესლვა-ჩამოსახლებით და საკუთრივ ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლებით.

ვახტანგ მეფის საამისო ღონისძიებების განხორციელებაში ვახუშტი, ჩანს, აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო ქვემო ქართლში საკუთარი სოფლების გამრავლებით, არამედ იმიტაც, რომ მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა ქვემო ქართლის დემოგრაფიული, ადმინისტრაციული და სამეურნეო მონესრიგება (მოსახლეობის აღწერა ფისკალური, სამეურნეო და სამხედრო მიზნით, სადროშოს სარდლობა, მისი ადმინისტრაციული გამგებლობა და სხვ.).

შემონახული საბუთების მიხედვით ვახუშტი ასრულებს უფლისწულისა და მეზატონე-ფეოდალის მოვალეობას, ხოლო იესე და გიორგი გარსევანიშვილისათვის მიცემული ნყალობის წიგნიდან ცხადად ჩანს, რომ „ერთგულობით სამსახურის“ სანაცვლოდ მასაც (ისევე როგორც მის „კანონიერ“ ძმებს) შეეძლო საკუთარი და თავისი ვაჟის, ივანეს, სახელით გაეცა მამულები და სოფლები. მის უფლებას არავინ ეჭვქვეშ არ აყენებდა. „ნაბუშრობა“ და გლეხი დედაკაცის შვილობა მას გაუხსენეს გვიან, როცა ცნობილი გახდა „მრავალთა თავადთა აუგად დაწერა“ მის „ისტორიაში“ და უკიდურესად გამწვავდა ბრძოლა ქართლის და კახეთის ბაგრატიონებს შორის ქართლში სამეფო უფლების აღდგენისა და შემომტკიცებისათვის.

მანვე, როგორც ირკვევა, მიიღო უფლისწულის შესაფერისი განათლება.

„სწავლის ტრფიალი“ ვახტანგ VI თავისი ვაჟების აღზრდა-განათლებას დიდი მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდებოდა.

მისი ყველა ვაჟის თავდაპირველი აღმზრდელები იყვნენ გიორგი და იესე გარსევანიშვილები, რომელთა ცოდნასა და განათლებას ვახტანგი, ჩანს, დიდად აფასებდა.

იესე იყო უფლისწულთა „საღმთო საეროს მასწავლებელი“. ეს ხაზგასმითაა აღნიშნული თვითონ ვახტანგის მიერ 1708 წლის საბუთში.

სხვათა შორის, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს საბუთი ოფიციალურ-მა ხელისუფლებამ ნაყალბევად გამოაცხადა. მაგრამ მის ნატყუარობა-უტყუარობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველა წერილობითი ცნობა უფლისწულთა აღმზრდელად ერთხმად იესე გარსევანიშვილს ასახელებს.

„სალმთო საერო“ სწავლა საქართველოში გავრცელებულ ტრადიციულ ცოდნას გულისხმობდა.

მაგრამ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ვრცელდება ახალი, „ფრანგული“ ანუ ევროპული სწავლაც.

ფრანგულ-ლათინური განათლება იმ დროს კათოლიკე მისიონერების საშუალებით ვრცელდებოდა. კათოლიკე პატრებს შორის იყვნენ დახელოვნებული მათემატიკოსებიც, ასტრონომებიც, მკურნალებიც და ინჟინრებიც კი.

მისიონერთა უცხო ქვეყნებში მოღვაწეობა თავისთავად მოითხოვდა გეოგრაფიის კარგ ცოდნას, უცხო ხალხთა ზნე-ჩვეულებებზე დაკვირვებას და მოსახლეობის ყველაზე დამახასიათებელი და ნიშანდობლივი ყოფის ეთნოგრაფიულად აღნუსხვა-აღწერას.

სათანადოდ ითვისისწინებდნენ ისინი ქვეყნის ისტორიულ წარსულსაც. ადგილობრივი ენების შესწავლის მიზნით ადგენდნენ ლექსიკონებს, გრამატიკულ სავარჯიშოებს, აგროვებდნენ ფოლკლორულ მასალებს. ამავე დროს, იყენებდნენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიების ახალ მეთოდებს.

ისტორიის დამხმარე დისციპლინები (ისინი მხოლოდ XVII საუკუნის და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდნენ) მეტწილად კათოლიკური ორდენების სწავლული ბერების მიერ იყო შექმნილი.

„დიპლომატიკის“ ფუძემდებელი იყო ფრანგი სასულიერო პირი ჟან მაბილონი, ხოლო „პალეოგრაფიისა“ – ბენედიქტელი ბერი მონფოკონი.

ისტორიის დასახელებული დამხმარე დისციპლინების სახელწოდებანიც მათ მიერ იყო შემოღებული.

ასე, მაგალითად, სიტყვა „პალეოგრაფია“ ბერძნულ ენაში არ არსებობს და მონკოფონმა შემოიღო. თავდაპირველად „პალეოგრაფია“ გამოყენებული იყო მხოლოდ ბერძნული დამწერლობის მიმართ, ხოლო შემდეგ მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა გაავრცელეს ყოველგვარ ძველ დამწერლობაზე.

„დიპლომატიკა“ კი სიგელთამცოდნეობის აღსანიშნავად ჟან მაბილონმა დაანესა.

თბილისში მოღვაწე მისიონერებს არ შეიძლება არ სცოდნოდათ ეს სახელენი.

ქართველი მეფის კარზე ბევრს ლაპარაკობდნენ კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობაზე, „ფრანგული სწავლის“ მნიშვნელობასა და უპირატესობაზე.

ცნობისმოყვარე და სწავლას მონყურებული ვახუშტიც ყურდაცქვეტილი უსმენდა უფროსების ლაპარაკს, გულში იბეჭდავდა დარბაისელ და ბრძენ კაცთა წრეში ნათქვამსა და გაგონილს. განცვიფრებით ათვალიერებდა უცხოდ ჩაცმულ ევროპელ დიპლომატებსა და ვაჭრებს, თუმცა ამგვარი ჩაცმულობის მამაკაცები და ქალები (მეტწილად მოცეკვავე წყვილები) მას უკვე ენახა სამეფო სუფრის იმ ფაიფურის თეფშებსა და ლანგრებზე, რომელიც დიდვაჭრებს ჰოლანდიიდან შემოჰქონდათ.

თვითონ კათოლიკე მისიონერები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა გაეძლიერებინათ საქართველოს მეფის და მისი კარის დასავლური ორიენტაცია და პოლიტიკურ წარმატებასთან ერთად გაცეხოველებინათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი.

ვახტანგ VI ჯანიშინად გახდომისთანავე ბოლო მოელო 1696 წლის მსგავს გამოსვლებსა და მღელვარებებს კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ.

თბილისში მრავლად იყვნენ საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტები კაპუცინი მისიონერების სახით, გამოჩნდნენ საერო აგენტებიც და თვით მზვერავი ქალებიც კი, რომელნიც თავიანთ სილამაზეს ქართველი ფეოდალების მოსახიბლად იყენებდნენ და საიდუმლოდ საფრანგეთის მთავრობისათვის საჭირო ცნობებს აგროვებდნენ.

ლამაზი ფრანგი ქალი მარი პტი ჯერ სპარსელი ხანების კარზე „მოღვაწეობდა“, შემდეგ კი დიაცთმოყვარე ქართველ ფეოდალებს შეუჩნდა, ბევრ მათგანს თვალის აუბა და თავბრუც დაახვია.

ამან თბილისში დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია.

თუ კათოლიკე მისიონერებმა თბილისელი დიდვაჭრები აიძვდრეს, ფრანგმა მზეთუნახავმა ქართველი ფეოდალების ცოლები აამხედრა.

ახლა „მანდილოსნების მღელვარება“ იმით დამთავრდა, რომ მარი პტი თბილისიდან გააძევეს, ხოლო შეშფოთებულმა საფრანგეთის მთავრობამ თავისი მზვერავი ქალი მეტისმეტად აშკარა მოქმედებისათვის მარსელის ციხეში ჩასვა.

მეფის სასახლეში კათოლიკე მისიონერებზე ლაპარაკის დროს გადაკრულად ლამაზ ფრანგ ქალსაც ახსენებდნენ ხოლმე.

მაგრამ სერიოზული სჯა-ბაასი მაინც „ფრანგული სწავლის“ და საფრანგეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გამო იწყებოდა და

ყოველთვის იმით მთავრდებოდა, რომ დაჩქარებულიყო დიპლომატიური მისიის გაგზავნა პარიზში.

სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით და თანამშრომლობით ვახტანგ VI შეუდგა საქართველოს რუკის შედგენას, რათა ფრანგებს მკაფიო წარმოდგენა შექმნოდათ საქართველოს გზებსა, დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებზე.

ამის მიზანი კი ის იყო, რომ საქართველოს ტერიტორიას შეესრულებინა სატრანზიტო გზის როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. ასეთ ვითარებაში, „ფრანგული წესების“ და „ფრანგული სწავლის“ ცოდნას წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა მიენიჭა.

ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდებს სწავლის გასაგრძელებლად გზავნიდნენ რომში და პარიზში, რაც უმთავრესად ევროპული ენების დაუფლებისა და „ფრანგული სწავლის“ სრულყოფის მიზნებთან იყო დაკავშირებული.

ამ ახალგაზრდათაგან შემდეგ არაერთი გახდა ნიჭიერი მნიგნობარი და ჩინებული მთარგმნელი.

ევროპული ენების ცოდნაც ახალი ხილი აღარ იყო.

ვახუშტი ბაგრატიონიც იმდენად იყო განაფული ლათინურ ენასა და „ლათინთა სწავლაში“, რომ ადვილად შესაძლებელია ამ ნიადაგზე შექმნილიყო ლეგენდა მისი რომში ცხოვრებისა და სწავლის თაობაზე.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ვახუშტიმ „აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“. ქართველ ბატონიშვილს „ფრანგული სწავლა“ ანუ „ევროპული განათლება“, ცხადია, უნდა მიეღო თბილისში.

მართლაც, იმ დროს თბილისში, ფრანგთა ქუჩაზე, არსებობდა სკოლა, სადაც აღმზრდელებად კათოლიკე მისიონერები იყვნენ და სადაც ფეოდალების და მოქალაქეთა შვილები სწავლობდნენ.

ჩვენამდე მოღწეული ერთი დოკუმენტური წყაროს მიხედვით კათოლიკე მისიონერთა სკოლა ხუთასამდე ახალგაზრდას ჰქონდა დამთავრებული.

ისინი ისე ზედმიწევნით ეუფლებოდნენ ლათინურ, იტალიურ და ფრანგულ ენებს, რომ ამ გარემოებას თვითონ კათოლიკე მისიონერები საგანგებოდ აღნიშნავდნენ რომში გაგზავნილ წერილებში.

ევროპული ენების გარდა, კათოლიკე მისიონერთა სკოლაში ასწავლიდნენ გრამატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას.

„ზოგადი გეოგრაფიის“ ქართული თარგმანის ორიგინალური ნაწილებისათვის (აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, სპარსეთის და ოსმალეთის გეოგრაფიული

აღწერა) დართული ლათინური ტერმინოლოგია გვიდასტურებს, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა არა მარტო იცოდა ლათინური ენა, არამედ ლათინურს იყენებდა კიდევ მეცნიერულ მუშაობაში.

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობისა და თბილისში მათი სკოლის არსებობის ფაქტს XVII საუკუნის დამლევის და XVIII საუკუნის დამდეგის თბილისში სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა.

1661 წელს კათოლიკეთა მისიონი საქართველოში კაპუცინების ხელში გადავიდა. კაპუცინები კი, ცნობილია, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტების როლს ასრულებდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სპარსეთში ისინი პირველად გაგზავნა რიშელიემ XVII საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს. კაპუცინები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რათა მიეპყროთ სპარსეთის შაჰის ყურადღება, მოეპოვებინათ მისი მფარველობა და ეფექტიური მეტოქეობა გაენიათ ინგლისელებისა და პოლანდიელებისათვის, რომელნიც ფრანგებზე ადრე გამოჩნდნენ სპარსეთსა და ინდოეთში.

ინგლისელებისა და პოლანდიელების სავაჭრო ფაქტორიები არსებობდა სპარსეთის ყურის ნავსადგურებსა და სამხრეთ სპარსეთის ქალაქებში. ამავე დროს, ჰორმუზთან, 1622 წელს, პორტუგალიელთა დამარცხების შემდეგ (ჰორმუზის ბრძოლაში სპარსელთა და ინგლისელთა გაერთიანებული ფლოტი მონაწილეობდა), ბოლო მოელო პორტუგალიის ასწლოვან ბატონობას ინდოეთის ოკეანეში. ინდოეთის ოკეანით ახლა შეუფერხებლად სარგებლობდნენ ინგლისისა და პოლანდიის ხომალდები.

მაგრამ ერთმანეთის მეტოქე ინგლისელები და პოლანდიელები ახლა, ისევე როგორც თავის დროზე პორტუგალიელები, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა აქ არ დაეშვათ სხვა ევროპულ სახელმწიფოთა სავაჭრო და, მით უმეტეს, სამხედრო გემები. ამიტომ XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ფრანგები დაჟინებით ეძებდნენ სპარსეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელ სახმელეთო გზებს. სწორედ ასეთ ვითარებაში მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოს და მის ტერიტორიას. ფრანგებმა იცოდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით მათ ადვილად შეეძლოთ შეეღწიათ სპარსეთში, ხოლო სპარსეთზე გავლით ინდოეთში. საამისოდ კი შეიძლებოდა როგორც გენუის ძველი გზით სარგებლობა (არზრუმთან რომ იწყებოდა), ისე ყირიმის ნახევარკუნძულის გზების გამოყე-

ნება, რომელსაც პოლონელები უკვე იყენებდნენ ოსმალეთთან და სპარსეთთან დასაკავშირებლად.

საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის საქართველოს ტერიტორიით, მისი გზებით და ქალაქებით დაინტერესების უშუალო შედეგი იყო ის, რომ 1661 წელს საქართველოს კათოლიკური მისიონი ხელთ იგდეს კაპუცინებმა.

ამავე ინტერესებთანაა აგრეთვე დაკავშირებული შარდენის, ტურნეფორის და პეისონელის ყოფნა საქართველოში და მათი შესანიშნავი აღწერილობანი. საქართველოს სავაჭრო შუამავლობის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ საქართველოშიც და საფრანგეთშიც.

ქართლის მეფეები, მაგალითად, XVII საუკუნის მეორე ნახევრის მთელ მანძილზე, ფრანგ ნეგოციანტებს, დიპლომატებს და მოგზაურებს უმტკიცებდნენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახმელეთო გზებს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობის გაცხოველება-განვითარების საქმეში, ხოლო ქალაქ თბილისს, როგორც ყველაზე მოსახერხებელ ადგილს, სატრანზიტო საქონლის დასაბინავებლად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ვაჭრობაში.

საამისო ცნობებს ინტენსიურად კრებდნენ კაპუცინი მისიონერები, რომელთა წერილებისა და რელაციონების მისამართი იყო არა მარტო რომი, არამედ პარიზიც.

ამავე დროს, მათ დაინყეს დუქნების გახსნა თბილისში და გორში, პრაქტიკულად შეუდგნენ სავაჭრო ურთიერთობათა მონესრიგებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის.

სწორედ კაპუცინების ასეთმა საქმიანობამ გამოიწვია თბილისელი დიდავაჭრების უკმაყოფილება, რაც მალე აშკარა მღელვარებასა და ამბოხებაში გადაიზარდა.

მაგრამ საქართველოს პოლიტიკის იმდოინდელი მესვეურნი არ აპირებდნენ არც კათოლიკური მისიონის დახურვას, არც კათოლიკე მისიონერთა სკოლის დაკეტვა-გაუქმებას და არც კაპუცინთა სავაჭრო ოპერაციებისათვის ხელის შეშლას.

პირიქით, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მყარი ხდებოდა როგორც საფრანგეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის, ისე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის გაცხოველება-განვითარების შეგნება.

საფრანგეთთან ურთიერთობის ამგვარად განვითარების პერსპექტივით არის უეჭველად ნაკარნახევი იმ რუკის შედგენა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის სახელთან არის დაკავშირებული.

ამ რუკის შედგენის დიპლომატიური და ეკონომიკური მიზნები სავსებით აშკარაა. მისი ყველა კომპონენტი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად იყვნენ იმდროინდელ საქართველოში დაინტერესებული საფრანგეთთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებით.

გამორიცხული არაა, რომ ამგვარი რუკის შედგენაში მონაწილეობა მიეღო ჯერ ისევ ქაბუკ ვახუშტი ბატონიშვილს. ყოველ შემთხვევაში, 1714 წელს, როცა ეს რუკა სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთში წაიღო ლუი XIV-ის დასაინტერესებლად, ვახუშტი ბაგრატიონი უკვე 18 წლის ახალგაზრდა იყო.

თუ დაეუშვებთ, რომ რუკის შედგენა გეოდეზია-ასტრონომიაში განაფული კათოლიკე მისიონერების კონსულტაციით ხდებოდა, მაშინ უნდა დაეუშვათ ისიც, რომ ამ სამეცნიერო დისციპლინებში მათ მიერ განსწავლული იყო არა მარტო ვახტანგ VI, არამედ მისი ვაჟი ვახუშტი ბატონიშვილიც.

ყველა საფუძველი არსებობს იმის სათქმელად, რომ ვახუშტი ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების დროს შეუდგა მასალების შეგროვებას როგორც ქვეყნის ისტორიული წარსულის, ისე გეოგრაფიული პირობების აღსაწერად.

სანამ შაჰი ვახტანგ VI-ს სპარსეთში გაიწვევდა, ახალგაზრდა ბატონიშვილის თვალწინ მიმდინარეობდა მეტად ინტენსიური საკანონმდებლო, ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობა.

ამ მრავალმხრივი, ენციკლოპედიური ხასიათის მუშაობის საერთო ხელმძღვანელი ვახტანგ VI იყო. მისი გავლენის შედეგად უნდა გაღვიძებოდა მეცნიერებისადმი ინტერესი ახალგაზრდა ბატონიშვილს.

XVIII საუკუნის პირველი ათეულის დასასრულს სპარსეთში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 1709 წელს აჯანყებულმა ავღანელებმა მოკლეს სპარსეთში გურგინ-ხანად წოდებული გიორგი XI. ავღანელებთან ბრძოლას ზედიზედ შეეწირნენ ქაიხოსრო და როსტომ ბატონიშვილები.

კვლავ დადგა ქართლის მეფის ახალი კანდიდატურის საკითხი.

1632 წლიდან მოყოლებული ქართლის მეფედ მხოლოდ მაჰმადიანი შეიძლება ყოფილიყო. ასე დაწესდა როსტომ ხანის დროს (1632-1656) და გაგრძელდა 1744 წლამდე, სანამ თეიმურაზ II ქართლში ქრისტიანობით გამეფდებოდა.

სპარსეთის მთავრობამ გამაჰმადიანების წინადადება მისცა ჯანიშინად მყოფ ვახტანგ ბატონიშვილს და ამ მიზნით იგი ირანს გაიწვია.

ვახტანგმა მაჰმადიანად მოქცევა არ მოისურვა. შაჰმა დაუყოვნებლივ დაატყვევა ურჩი ჯანიშინი; მაგრამ არც ტყვეობაში შეუნყვევტია ვახტანგს პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობა. იგი წერილობით იყო დაკავშირებული (რა თქმა უნდა საიდუმლოდ) საფრანგეთის კონსტანტინოპოლის საელჩოსთან; მუშაობდა „ქილილა და დამანას“ სპარსული ტექსტის ქართულ თარგმანზე; სწავლობდა და თარგმნიდა აღმოსავლურ ასტრონომიულ თხზულებებს; გულდასმით ეცნობოდა მათემატიკას, ქიმიას.

მისი თაოსნობით საფრანგეთის მთავრობის აგენტი აღმოსავლეთში, აბატი რიშარი, დაუკავშირდა სულხან-საბა ორბელიანს. ამ უკანასკნელის ელჩობა 1714 წელს ლუი XIV-ს კარზე ფაქტობრივად შედგა საფრანგეთის კონსტანტინოპოლის საელჩოს თანამშრომლებისა და ვახტანგ VI-ის საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად.

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოში. ამ ელჩობის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა საფრანგეთის დახმარებით ვახტანგ VI-ის სპარსეთის ტყვეობიდან გამოხსნა და მისი საქართველოში ქრისტიანობით დაბრუნება.

ადვილად წარმოსადგენია ვახუშტი ბაგრატიონის იმდროინდელი განწყობილება. იგი სხვებთან ერთად მღელვარებით მოელოდა სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის ერთ-ერთ მთავარ შედეგს: საყვარელი მშობლისა და მეცნიერ-აღმზრდელის საქართველოში დაბრუნებას და მისი თაოსნობით დაწყებული „სწავლულ კაცთა“ ნამოღვაწარ-ნაჭირნახულების თავის მობმას.

მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია წინასწარ განწირული იყო. საფრანგეთი მხოლოდ შესაძლებელ შემთხვევაში აპირებდა სპარსეთის მთავრობასთან ვახტანგ VI-ის საკითხის დასმას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ სურდა მისი გულისათვის სპარსეთთან ურთიერთობის გაფუჭება.

სპარსეთ-საფრანგეთის 1708 წლის ხელშეკრულების რატიფიკაციით დაინტერესებული საფრანგეთი, საერთოდ, მეტად ფრთხილად იქცეოდა, თუმცა არც სულხან-საბა ორბელიანს აკლებდა ყურადღებას, ამიტომ იყო, რომ ვერსალში დიდი ზეიმით შეხვდნენ საქართველოს ელჩს.

მოლაპარაკება ლუი XIV-ის მინისტრებთან არაფრისმთქმელი დაპირებებით დასრულდა.

საფრანგეთმა სერიოზული ყურადღება მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობათა საკითხების მოწესრიგებასა და გაცხოველებას მიაქცია.

სულხან-საბა ორბელიანი ხელცარიელი დაბრუნდა საფრანგეთიდან.

ვახტანგ VI იძულებული გახდა მაჰმადიანობით შეენარჩუნებინა ქართლის მართვა-გამგეობა. მხოლოდ ეს იძლეოდა ადრე დაწყებული დიდი კულტურული და მეცნიერული მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას.

მისი სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნების ყამს, ვახუშტი ბატონიშვილს უკვე პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე ვხედავთ.

1717 წლიდან დაწყებული, ვიდრე 1724 წლამდე, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეს დასტურდება ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალებით.

1717 წელს ვახუშტი სარდლობდა ლაშქარს, რომელიც ქსნის საერისთაოში აჯანყებული ქსნის ერისთავის დასამორჩილებლად გაიგზავნა.

ამრიგად, ახალგაზრდა ბატონიშვილი მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის იმ პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგომი თავადების ალაგმვას.

ვახუშტი მხარს უჭერდა აგრეთვე ქართლის მეფის გავლენის განმტკიცებას იმერეთის სამეფოში. მეთაურობდა იმ ლაშქარს, რომელსაც ევალებოდა ვახტანგ VI-ის დისნულის, ალექსანდრე გიორგის ძის, იმერეთში გამეფებისათვის ხელის შეწყობას. შესაძლებელია, ამ პოლიტიკურ მიზანთან ყოფილიყო დაკავშირებული ვახუშტი ბაგრატიონის დაქორწინება გიორგი აბაშიძის ასულ მარიამზე. გარკვეული პოლიტიკური მიზნით ნათესაური ურთიერთობის დამყარება იმ დროს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა და ფართოდ იყო გავრცელებული.

ვახუშტი ბაგრატიონს არაერთხელ გამოუღია ხელი სამშობლოს დასაცავად. იგი წარმატებით ებრძოდა შემოსეულ სპარსელებს ბორჩალოში, მცხეთაში, მარტყოფში. მონაწილეობა უნდა მიეღო მას ვახტანგ მეფის დიპლომატიურ ღონისძიებებშიც.

იმდროინდელ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა მთავარი მიზანი იყო: ქვეყნის მაჰმადიანური გარემოცვისაგან გამოსხნა, მისი ევროპეიზაცია და მომავლის უზრუნველყოფა.

ქვეყნის ევროპეიზაციის მნიშვნელობის აზრი წითელ ზოლივით გასდევს ვახუშტი ბაგრატიონის როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ნაშრომებს. სულხან-საბა ორბელიანს ელჩობის „თანადამხედურ“ და „თვითმხილველ“ ის-

ტორიკოსს ეს აზრი და მიზანდასახულობა ქართული ფეოდალური საზოგადოების მოწინავე წრეებში უნდა შეეთვისებინა და შეესისხლხორცებინა.

მაგრამ თვითონ მას არასოდეს არ შეუსრულებია დიპლომატის მოვალეობა. ამიტომ ლეგენდად უნდა მივიჩნიოთ მისი როგორც რომში, ისე რამდენიმე წლის განმავლობაში სპარსეთში ყოფნის ამბავი.

1721 წელს ვახტანგ VI-მ კვლავ სთხოვა დახმარება დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებს, მაგრამ ახლაც უშედეგოდ.

ამის შემდეგ სულ უფრო ისხამდა ხორცს რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერების მიზანშეწონილობის აზრი, რადგან რეალური დახმარების აღმოჩენა საქართველოსათვის მხოლოდ ერთმორწმუნე და ქრისტიანულ ქვეყნებს შორის გეოგრაფიულად ყველაზე ახლო მყოფ რუსეთს შეეძლო.

რამდენად გაიდგა ფესვი ამ აზრმა იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, კარგად ჩანს იქიდან, რომ რუსეთს გამგზავრებულ ვახტანგ მეფის მრავალრიცხოვან ამაღლას უყოყმანოდ შეუერთდნენ ცნობილი თავადები, აზნაურები და სასულიერო პირები, მათ შორის იყვნენ ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწენი.

ჩანს, რუსეთის ორიენტაციის გზას განუხრელად ადგა ვახუშტი ბაგრატიონიც.

მას უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე, რათა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენებზე და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის თავისებურებაზე სრულიად გარკვეული შეხედულებანი შეემუშავებინა.

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ძალთა გადანაწილება წინა აზიაში მკვეთრად შეიცვალა.

აჯანყებულმა ავღანელებმა შეძლეს არა მარტო სპარსელების დამარცხება, არამედ ოდესღაც ძლიერი სეფიანთა ირანის სახელმწიფოს დამხობაც. სეფიანთა ირანის სახელმწიფომ 1722 წელს ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. გამარჯვებულმა ავღანელებმა შაჰ-ჰუსეინი დაატყვევეს, ტახტიდან გადააყენეს და მალე სიცოცხლეც მოუსწრაფეს. სამხრეთ და ცენტრალურ ირანში დაიწყო ავღანთა ათწლიანი ბატონობის ხანა.

სპარსეთის მიმართ აქტიური პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა ოსმალეთი, კასპიის ზღვის სამხრეთით გაააქტიურა თავისი პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებანი რუსეთმაც.

სწორედ ამ დროს მყარდება უშუალო ურთიერთობა ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის. ქართული ფეოდალური საზოგადოების მონიხვე ნაწილის წინაშე ქვეყნის მაჰმადიანური გარემოცვისაგან გამოხსნის ახალი პერსპექტივა დაისახა. ვახტანგ მეფე ენერგიულად შეუდგა სამზადისს რუსთა ლაშქართან ერთად ე. წ. „სპარსულ ლაშქრობაში“ მონაწილეობის მისაღებად. ჯარს თავი მოუყარა და განჯას გაემგზავრა პეტრე I-თან შესახვედრად.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის „თანადამხედური“, ხოლო უფრო გვიან აღმწერელიც, იყო ვახუშტი ბაგრატიონი.

მამის დავალებით იგი ამ დროს სხვადასხვა თანამდებობრივ მოვალეობას ასრულებდა. 1717-1724 წლებში უხდებოდა სომხით-საბარათიანოს სარდლის, სადროშოს გამგებლის და თვით ქვეყნის მმართველის მოვალეობის შესრულება. ეტყობა, ვახტანგ მეფე მხედველობაში იღებდა მის ნიჭსა და უნარს, 1721 წელს მეფემ ვახუშტი დანიშნა ქვემო ქართლის სადროშოს (საბარათიანოს და თრიალეთის) სარდლად. ქვემო ქართლის (ანუ მენიხავე) სადროშო იყოფოდა ორ ძირითად ნაწილად: სომხითად (ახლანდელი მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის სამხრეთი ნაწილები, ბამბაკი, ტაშირი და აბოცი) და საბარათიანოდ (თრიალეთი, ზურტაკეტი, ქცია, ალგეთი – ახლანდელი წალკისა და თეთრიწყაროს რაიონები, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის ნაწილები და თბილისის სანახები). ვახუშტი ბატონიშვილს, როგორც სარდალს, დაევალა ამ სადროშოს ტერიტორიის დასახლებული პუნქტების და მოსახლეობის აღწერა. ამგვარი აღწერა 7 წელიწადში ერთხელ ხდებოდა სამხედრო და ფისკალური მიზნით. ქვეყნისა და ხალხის აღწერაში სარდალთან ერთად მეფის მდივანიც მონაწილეობდა. 1721 წელს ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად საბარათიანოსა და თრიალეთის აღწერაში მონაწილეობას იღებდა გივი თუმანიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს შესრულებულმა აღწერამ ჩვენამდე მოაღწია და გამოსცა აკად. ე. თაყაიშვილმა.

დავთრის შემადგენელი აღნიშნავენ: „აღწერეთ, ვითარცა ჯერ იყო მართებით და წესისამებრ“. აღწერილი იყო ყველა, ვისაც იარაღის ასხმა და შრომა-გარჯით რისამე მოცემა შეეძლო: „აღწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგართა გამოლებანი“.

აღწერის დროს ყურადღება ექცეოდა მეურნეობის დარგებს, სამეურნეო ობიექტებს, გადასახადთა სახეობებს და იმას, თუ ვის რისი გადახდა („ხარკთა

და ბეგარათა გამოლებანი“) მართებდა. სწორედ ამიტომ ქვეყნის აღმწერელნი საგანგებოდ ითვალისწინებდნენ გადასახადების გამოძღვებ გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებს. ამ მიზნით იყო აღწერილი ბოგანო, აყრილი, ნაწყალობევი, ნასყიდი და ა.შ.

დასახლებული პუნქტების და მოსახლეობის აღწერის წესები შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ აგროვებდა მასალებს ვახუშტი საქართველოს გეოგრაფიული მიმოხილვისათვის.

მისთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოს სხვა სადროშოების აღწერილობანიც, ხალხის აღწერის სხვა დავთრებიც.

ვახუშტი, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად აგროვებდა მასალებს საქართველოს სამეფოს აღწერისათვის. ბევრს მოგზაურობდა. მოგზაურობის დროს აწარმოებდა ტოპოგრაფიულ აგეგმვასაც. ზედმიწევნით იცნობდა ქართლის გეოგრაფიულ პირობებს, კარგად იცნობდა კახეთსაც. ნამყოფ-ნავალი იყო იმერეთშიც. მაგრამ, ჩანს, ზუსტი წარმოდგენა არა ჰქონდა საქართველოს დანარჩენ კუთხეებზე (სამცხე-საათაბაგო, აფხაზეთი, სვანეთი...), რომელთა გეოგრაფიული მიმოხილვა, მეტისმეტად ზოგადი და მოკლე, წერილობით და ზეპირ („სმენილთა კაცთა“) წყაროებზეა დამყარებული.

როდის შეუდგა ვახუშტი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მეცნიერულ მოგზაურობას, ცნობილი არაა.

ადვილად შესაძლებელია, ეს მომხდარიყო იმ დროს, როცა მუშავებოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელთან დაკავშირებული კავკასიის რუკა და ვახტანგ VI-ის თაოსნობით მიმდინარეობდა საქართველოს და მის მეზობელ მხარეთა ქალაქების ტოპოგრაფიული აგეგმვა.

ვახუშტის ერთი ცნობიდან ირკვევა, რომ რუსეთში მას ხელთ ჰქონდა „ლანქარტები“ ანუ „ლანდკარტები“, რომელთა საფუძველზე 1735 წელს „დაიხზა“ საქართველოსა და მისი ცალკეული სამეფო-სამთავროების რუკები. აშკარად ჩანს, რომ ეს რუკები ვახუშტის ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრებამოღვაწეობის დროს არის შესრულებული.

სამწუხაროდ, არსებული მასალები არ გვანვდიან ხელშესახებ ცნობებს ვახუშტის საქართველოში მეცნიერული მუშაობის აღსადგენად. ვიცით მხოლოდ, რომ აქ მან „აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“.

როგორც ვნახეთ, შედარებით მეტი ცნობები მოიპოვება ვახუშტის პოლიტიკური მოღვაწეობის დასახასიათებლად. კიდევ მეტი: ერთ ხანს იგი მამის

დავალებით ქართლის სამეფოსაც მართავდა. იმ დროს, როდესაც ვახტანგ მეფე და ბაქარ ბატონიშვილი ქართველთა ჯარით განჯაში იყვნენ დაბანაკებული და იმპერატორ პეტრესთან შეხვედრას ელოდნენ, ვახუშტი ქართლის სამეფოს საქმეებს უძღვებოდა, ქართლის სამეფოს გამგებლად ითვლებოდა.

რა თქმა უნდა, ამ დროს მას პირდაპირი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა სამეფო სამდივანმწიგნობროს საქმიანობასთან, მდივან-მწიგნობრების მოღვაწეობასთან. სამეფო სამდივანმწიგნობროსა და დავთარხანაში იგი ახლოს უნდა გაცნობოდა იმ დოკუმენტურ მასალებს, რომელთა შედგენილობა მას მოკლედ, მაგრამ შესანიშნავად აქვს აღწერილი თავის იმ დიპლომატიურ მიმოხილვაში, რომლის სათაურია „მეფეთა წერილთათვის“.

ქართლის გამგებელი, ცხადია, იცნობდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა უბანს, მას ექვემდებარებოდნენ კარის მოხელენიც და საქვეყნოდ გამრიგენიც (პროვინციების მმართველნი), აგრეთვე სამეფო ქალაქების ადმინისტრაცია (ქალაქის მოურავი, ქალაქის ნაცვალი, მელიქ-მამასახლისი...).

ამით აიხსნება, რომ შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონმა ზედმინევით აღწერა „აწინდელი“ (XVII-XVIII საუკუნეების) ქართლის სამეფოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, ყველა თვალსაჩინო „სახელოს“ (თანამდებობის) ძირითადი თავისებურებანი, მოხელეთა უფლება-მოვალეობანი და ძველი და ახალი (სპარსულ-აღმოსავლურ ყაიდაზე შედგენილი) სამოხელეო სახელები.

„ჯანიშინობის“ შემოღების დროიდან ქართლის გამგებლებად იყვნენ სიმონ ბატონიშვილი (ვახტანგის სპარსეთში ტყვეობის დროს), ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილები.

აღნიშნული გარემოებაც ამტკიცებს და ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონის აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამავე დროს, მას მონაწილეობა უნდა მიეღო ინტენსიურად მიმდინარე კულტურულ და მეცნიერულ მუშაობაშიც.

მისი პირველი ატლასის ფურცლებს ასეთი მინაწერი ახლავს: „მოხაზული ყოველივე... რაიცა მეხილა, ანუ მნახველთაგან მესმა“.

ეს მოკლე ცნობა მისი ადრინდელი მეცნიერული ინტერესების აშკარა დადასტურებაა.

გამოთქმა „რაიცა მეხილა“ ცხადპყოფს, რომ საქართველოს გეოგრაფიულ პირობებს იგი ჯერ ისევ საქართველოში მოღვაწეობის დროს უკვირდებოდა და საჭირო მასალებს აგროვებდა.

პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობა ვახუშტიმ საქართველოში შეწყვიტა 1724 წელს, როცა იგი ვახტანგ მეფის ამაღლას შეუერთდა და სამუდამოდ დასტოვა სამშობლოს მიწა-წყალი.

ეს თარიღი თვითონ მას აქვს აღნიშნული ელისაბედისათვის მიერთებულ არხაში.

1724 წელს ვახუშტი ბაგრატიონი 28 წლის ახალგაზრდა მამაკაცი იყო, უკვე დაცოლშვილებული, ბევრის მომხრე და მნახველი.

მისი პირადი ცხოვრების შესახებ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ცოტა რამ ვიცით, ცნობილია მხოლოდ, რომ მან ცოლად შეირთო გიორგი აბაშიძის ასული მარიამი.

1723 წლის ერთ საბუთში დასახელებულია ვახუშტის ვაჟი ივანე. ივანეს გარდა მას სხვა შვილებიც ჰყავდა. რუსეთში შედგენილ ერთ აღწერილობაში დასახელებულია მისი ორი ვაჟი და ორი ასული. კიდევ უფრო დანვრილშვილდა იგი მოსკოვში ცხოვრების დროს.

1725 წლიდან იწყება ახალი, მოსკოვური პერიოდი ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

1724 წელს ქართლში ოსმალები გაბატონდნენ.

ვახტანგ მეექვსის და მისი დასის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა მარცხით დამთავრდა. ოსმალები დაეპატრონენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს. მათი ბატონობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ნაწილზე გავრცელდა. ყველგან მმართველებად ოსმალო ფაშები და ვეზირები დასხდნენ.

იესე ბატონიშვილი და ქართლის რეაქციონერი თავადები ოსმალებს ეახლნენ და სულთანს შეავედრეს თავი. გამაჰმადიანებულმა იესე ბატონიშვილმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია, თავისი ძმის ვახტანგ მეფის ადგილი ვერ დაიკავა. ოსმალებმა მეფობა გააუქმეს და მთელ ქართლში ოსმალური წესები გაავრცელეს. ასე დამყარდა „ოსმალობა“, რომელიც აქ 1735 წლამდე გაგრძელდა.

ვახნატგ VI-მ დასახმარებლად რუსეთს მიმართა. 1724 წელს იგი დიდი ამალით რუსეთს გაემგზავრა. მას, გაბრიელ გელოვანის სიტყვით, თან ახლდნენ: „ურიცხველნი სამღვდელონი და საერონი ქართველნი, იმერელნი და კახნი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, თავადნი, აზნაურნი, მონანი და შიმუნვარნი დედანულითურთ მათით“.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ მეფეს ეახლნენ „ქათველნი ყოვლისა სახლიდამ და კახნიცა მრავალნი, ზოგნი უმეტეს დედანულთურთ“.

თვითონ ვახუშტის, ნათქვამია ერთ რუსულ დოკუმენტში, მეუღლის, ორი ვაჟისა და ორი ასულის გარდა, ახლდა ერთი გამდელი, 13 მოახლე, 25 მსახური, 5 თავადი 7 ყმით და 19 აზნაური 17 ყმით.

ვახტანგ მეფის ამალამ გეზი ცხინვალისკენ აიღო, აქედან კი რაჭაში გადავიდა. დიდი სიძნელებით გადალახეს კავკასიონის უღელტეხილები და იმიერკავკასიის ველზე გავიდნენ. გზადაგზა მათ აბრავები და ყაჩაღთა ბრბოები ესხმოდნენ თავს. დიდის გაჭირვებით მიაღწიეს ასტრახანს, აქედან ხომალდებით ვოლგას აჰყვინენ და მოსკოვს მივიდნენ.

მიუხედავად მძიმე და ხიფათიანი მგზავრობისა, ვახუშტი ბაგრატიონი, ჩანს, უკვირდებოდა კავკასიონს და აგროვებდა მასალებს. ამას გვიდასტურებს ის, რომ XIX საუკუნემდე არავის ისე სრულად არ აქვს აღწერილი კავკასიონის „ყინულოვანი საბურველი“, როგორც XVIII საუკუნის ქართველ მეცნიერს. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მეცნიერულ მუშაობას რუსეთში გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე უნდა შესდგომოდა.

მღავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გადახვეწილმა ვახტანგ VI-მ მოსკოვში გააგრძელა დიდი კულტურული მოღვაწეობა.

მოსკოვში დასრულდა ვახუშტი ბაგრატიონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „საქართველოს ცხოვრება“ ანუ „საქართველოს ისტორია“. მეცნიერული მუშაობის პირობები აქ გაცილებით უკეთესი იყო. შედარებით უფრო ხელმისაწვდომი იყო უცხოური ლიტერატურაც. მაგრამ ვახუშტი ბაგრატიონი მთელი თავისი შემოქმედებით და მეცნიერული მოღვაწეობის შედეგებით უშუალოდ და ორგანულად იყო დაკავშირებული იმ ინტენსიურ კულტურულ საქმიანობასთან, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში მიმდინარეობდა და განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ვახტანგ VI-ის მრავალმხრივი მოღვაწეობის წყალობით.

მისი წინამორბედნი იყვნენ საკუთრივ საქართველოში მოღვაწე, ქართული კულტურის, მწერლობის და იდეოლოგიის დანიშნულება-განვითარების დაუცხრომლად მოჭირნახულე „სწავლულნი კაცნი“.

ვახუშტის წინამორბედნი

თბილისის აღორძინება XVII საუკუნის 40-იან წლებში იწყება და განუხრელად ვითარდება XVII საუკუნის მეორე ნახევრის და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მთელ მანძილზე.

XVII საუკუნის სამოცდაათიან წლებში ფრანგი მოგზაური და ნეგოციანტი შარდენი ქალაქ თბილისს წინა აზიის ერთ-ერთ ულამაზეს და კეთილმოწყობილ ქალაქად თვლიდა.

კიდევ უფრო ადრე რუსი მოგზაური ვასილი გაგარა (XVII საუკუნის ოციანი წლების დასასრული) ქალაქ თბილისის აღწერისას აღნიშნავდა მის შესანიშნაობებს, მაგრამ მის დროს თბილისი, ეტყობა, მოგზაურთა ისეთ ყურადღებას არ იქცევდა, როგორც ორმოცდაათიან, განსაკუთრებით კი სამოცდაათიან წლებში.

XVII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების თბილისი აღწერილი აქვს თურქ მოგზაურს ევლია ჩელების და რუს მოგზაურს არსენი სუხანოვს.

მათ დროს თბილისი, ჩანს, უკვე თვალსაჩინოდ იყო გაზრდილი. ყურადღებას იქცევდა ახალი ნაგებობანი, მათ შორის როსტომ მეფის ახალი სასახლე, რომელიც თავისი გრანდიოზულობით და სილამაზით თვალს სჭრიდა მნახველებს.

ხანგრძლივმა მშვიდობამ მახლობელ აღმოსავლეთში (1639-1724 წწ.) ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებას, ქალაქების აღორძინება-განახლებას, ახალი ქალაქების დაარსებას (მაგ., მეფის ქალაქი თეძმის ხეობაში), ხიდების (გატეხილი ხიდი მდ. ხრამთან) და სავაჭრო გზების მშენებლობას, ქარვასლების და ფუნდუკების¹ კეთილმოწყობას და სხვა. თვალსაჩინოდ გაცხოველდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი მახლობელ და შორეულ ქვეყნებთან.

ურწყავ ადგილებში გაიჭრა რუები, შეკეთდა და განახლდა სარწყავი არხები, მოშენდა უშენი, წარმატება დაეტყო მინათმოქმედებას, მებაღეობა-მეზღობოსტნეობას, მევენახეობას, ინტენსიურ მესაქონლეობას.

თვალსაჩინოდ განვითარდა ვაჭრობა, ხელოსნობა.

¹ ფუნდუკი - ვაჭართა და მოგზაურთა ჩამოსახდომი სახლი.

ასეთ ხელსაყრელ ვითარებასა და პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა თბილისის როლი და მნიშვნელობა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში.

სხვადასხვა ქვეყნებიდან თბილისისაკენ მოემუშურებოდნენ ვაჭართა ქარავნები. თბილისიდან უცხოეთში გაჰქონდათ ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი. თბილისში მრავლად იყვნენ სპარსელი, თურქი, შუააზიელი, ინდოელი, რუსი და ევროპელი ვაჭრები. გაცხოველებული ვაჭრობის შედეგად თბილისი სწრაფად გაიზარდა, ყოველმხრივ გაშალა მხარი. მისი მოსახლეობა კვლავ ხალხმრავალი გახდა. ქალაქის დასახლებული ტერიტორია ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ XVII საუკუნის დამლევს გარეთუბანში გაჩნდა ახალი სახლები და ახალი ქუჩები.

ეს პროცესი მხოლოდ თურქთა შემოსევამ შეაჩერა (1724 წელს) და კვლავ განახლდა XIX საუკუნის ოციანი წლების დასასრულს.

თბილისის იმდროინდელი ცენტრი (ანჩისხატის უბანსა და შუაბაზარს შორის) მოიფინა ქართველი მეფე-ფეოდალების სასახლეებით (ყველა მსხვილი და გავლენიანი თავადი ცდილობდა ბინის დადებას როსტომ მეფის სასახლის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, გახშირდა მიწებით ვაჭრობა ამ მიდამოებში, წარმოიქმნა ორბელიანთა და სხვა თავადთა უბნები), დიდვაჭრების სახლებით, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ნაგებობებით (ქარვასლები, ფუნდუკები, ნალარახანა,¹ ზარაფხანა² და სხვ.). 1709 წელს თბილისში სტამბაც დაარსდა.

ზარაფხანაც, ნალარაფხანაც და სტამბაც მეფის სასახლის საერთო კომპლექსში შედიოდა, ამავე კომპლექსში უნდა ვიგულოთ სამეფო ბიბლიოთეკაც.

საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ განათლებულ ფეოდალებსაც და შექმნებულ მოქალაქეებსაც. ამას გვიდასტურებს XVII-XVIII საუკუნეების „მზითვის წიგნებიც“ და ხელნაწერ წიგნთა „ზანდუკებიც“.

მეფის კარზე, სამდივანმწიგნობროსთან (კანცელარია) და დავთარხანასთან (არქივი) ერთად არსებობდა ბიბლიოთეკაც. ასეთი ბიბლიოთეკისათვის არის, მაგალითად, გადაწერილი (XVII საუკუნის შუა წლებში) ე. წ. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, მეფის კარზე, როგორც ჩანს, ვახტანგ VI-ის ბრძანებით, აუარებელი ხელნაწერი დაგროვდა. აქ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებთან ერთად დიდი რაოდენობით მოუყარეს თავი ძველ სა-

¹ ნალარახანა – აღმოსავლური საკრავების შესანახი ადგილი.

² ზარაფხანა – სახელმწიფოს მიერ მონეტებისა და მედლების მოჭრის ადგილი.

ბუთებს (სიგელებს, გუჯრებს...). საკუთრივ ქართულ ხელნაწერებთან ერთად წარმოდგენილი იყო უცხო ხალხთა თხზულებებიც: სომეხთა, ბერძენთა და სპარსთა „ცხოვრებანი“ („ისტორიები“).

ყველაფერი ეს საჭირო იყო ვახტანგ VI-ის თაოსნობით მონვეულ „სწავლულ კაცთა“ კომისიისათვის, მის საყურადღებოდ და სამუშაოდ.

„სწავლულ“ და „მეცნიერ კაცებს“ უნდა გაემართათ „ქართლის ცხოვრება“, გაეჩინათ მისთვის რედაქცია, შეეცნოთ სხვადასხვა წყაროებში მოპოვებული ცნობებით და მისი XIV საუკუნეზე შეწყვეტილი თხრობა XVIII საუკუნემდე გაეგრძელებინათ (შეედგინათ „ახალი ქართლის ცხოვრება“ ან „შედეგი ქართლის ცხოვრებისა“).

„სწავლულ კაცთა“ კომისიაში დაგროვილ ხელნაწერთა გაცნობა-შესწავლის საფუძველზე გაჩაღდა დიდი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მუშაობა.

ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების აღორძინება-განახლება XVII საუკუნეში აშკარა იყო.

საამისო ნიშნებმა უკე XVI საუკუნეში იჩინეს თავი („ქილილა და დამანას“ თარგმანის შესრულება კახთა მეფის კარზე, ცოტა უფრო გვიან თეიმურაზ I-ის ლიტერატურული მოღვაწეობა...), მაგრამ კულტურული აღორძინების განუხრელი განვითარება მაინც XVII საუკუნის მეორე ნახევართან არის დაკავშირებული.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მოღვაწეობდნენ ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანები, რომელთაც ცოდნის სხვადასხვა დარგებზე მიუწვდებოდათ ერთდროულად ხელი.

ამ ინტენსიური მეცნიერული და კულტურული შრომა-მოღვაწეობის ნაყოფი იყო სტამბის გახსნა თბილისში 1709 წელს და შოთა რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა 1712 წელს.

იმდროინდელ ქართველ „მეცნიერ კაცთა“ მრავალფეროვანი და დაუზარელი შრომის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვახტანგ VI. მან თავის გარშემო შემოიკრიბა განათლებული ქართველები, რომელთაც შეიძლება ქართველი ენციკლოპედისტები ვუნოდოთ. მას მხარში ედგნენ: სულხან-საბა ორბელიანი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი.

მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო სულხან-საბა ორბელიანი.

„იგავ-არაკებისა“ და „ლექსიკონის“ ავტორი გატაცებული იყო ფილოსოფიური საკითხებითაც; მისი ქადაგებანი გამოირჩეოდა აზრის სიღრმითა და ცხადი მიზანდასახულობით. ამ ქადაგებათა მთავარი მიზანი იყო ქართველი ახალგაზრდობის განსწავლა და ამით ქვეყნის მომავლის უზრუნველყოფა. ამავე მიზანს ისახავდნენ მისივე განთქმული „იგავ-არაკები“. საამისოდ იყო მოწოდებული სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაშიც“.

საფრანგეთსა და იტალიაში ნამყოფი ქართველი მეცნიერი და დიპლომატი შემთხვევით არ აღწერდა ევროპულ ქალაქებს, სასახლეებსა და ტაძრებს, საზოგადოებრივ ნაგებობებსა და სახლებს, ხიდეებსა და გზებს, მიმოსვლის საშუალებებს, მეურნეობის დარგებს...

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ქალაქების ღირსშესანიშნაობებზე ყურადღების გამახვილება უშუალოდ უკავშირდებოდა „ფრანგული სწავლის“ პროპაგანდას, დაწინაურებული „ევროპის“ უპირატესობის აღნიშვნა-მტკიცებას, ევროპული ცხოვრების წესებისა და განათლების მნიშვნელობის ჩვენებას.

XVII საუკუნიდან მოყოლებული და XVIII საუკუნის მთელ მანძილზე „ევროპა“ განათლებულ ქართველთა ცნობიერებაში დაწინაურებულის, მონიწივის, განვითარებულის ცნების აღმნიშვნელი და გამომხატველი იყო.

ევროპას ასხვავებდნენ უკვე ჩამორჩენილი აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაგან, რომელთა გავლენა ან ბატონობა „ქართველობას“ (საქრისტიანო ქვეყნის ხალხს) მომავლის გზას უხშობდა, აფერხებდა და აბრკოლებდა მის შემდგომ განვითარებას.

ეს აზრი და მიზანი წითელი ზოლივით გასდევს სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობას.

ამასვე ისახავდა მიზნად სულხან-საბას პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობაც, კერძოდ მისი ელჩობა საფრანგეთში ლუი XIV-ის კარზე.

ამ მიზანსწრაფვამ გამოიყვანა იგი ბოლოს მოსკოვისკენ მიმავალ გზაზე. ქვეყნის „უკეთესობის“ და მომავალი ბედ-იღბლის აზრით იყო გამსჭვალული მისი ლიტერატურული, ლექსიკოგრაფიული და მეცნიერული მუშაობაც.

„საქართველოს მამად“ წოდებულმა სულხან-საბა ორბელიანმა მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვაში გაატარა, მისი ერთადერთი ოცნება ეს იყო: „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნასო“.

სულხან-საბა ორბელიანს ვახტანგ VI-ზე გაცილებით ადრე მოუხდა პო-
ლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე მოღვაწეობა.

ვახტანგ ბატონიშვილი 16 წლისა იყო, როცა სულხან-საბა ქართულ ლე-
ქსიკონზე მუშაობას შეუდგა (1685 წელს).

ამრიგად ვახტანგ VI-მდე იწყება საქართველოში დიდი კულტურული სა-
ქმიანობა.

თავის მხრივ სულხან-საბა ორბელიანსაც ჰყავდა თავისი წინამორბედი თუ
წინამორბედნი.

ნიკოლოზ ირბახის (ჩოლოყაშვილის) ყოფნა იტალიაში, მისი მონაწილეობა
ქართულ-იტალიური ლექსიკონის დაბეჭდვაში, „ქართლის ცხოვრების“ მარია-
მისეული ნუსხის შედგენა როსტომ მეფის კარზე, XVII საუკუნეში დაწერილი
ისტორიული პოემები (თეიმურაზ I-ის, არჩილის, იოსებ თბილელის...), ფარსა-
დან გორგიჯანიძის „ისტორია“, მისივე არაბულ-სპარსულ-ქართული ლექსიკონი,
XVII საუკუნის დამლევს სხვადასხვა პირთა მიერ შედგენილი ლექსიკონები და
სხვ. ის საძირკველი იყო, რომელზედაც შემდეგ აიგო და გაიშალა „მეცნიერ
კაცთა“ მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა.

ვახტანგ VI-მ მხოლოდ თავი მოაბა ადრე დაწყებულ საქმეს. შესაძლებე-
ლია, ამასაც გულისხმობდა იგი, როცა ლექსად ამბობდა:

ვინც მონაფედ არ ყოფილა,

ის მოძღვარიც არ იქნება.

მისი მოძღვარი სულხან-საბა ორბელიანი იყო, ხოლო თვითონ მას არაერ-
თი ნიჭიერი მონაფე ჰყავდა, მათ შორის მისი საკუთარი ვაჟებიც: ბაქარი
და ვახუშტი.

ჩვენ რომ სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ გარდა სხვა
არაფერი შემოგვრჩენოდა, ესეც სავესებით საკმარისი იქნებოდა იმის საჩვე-
ნებლად, თუ როგორ დონეზე იდგა იმდროინდელ საქართველოში ცოდნა და
რამდენად განათლებული იყო მისი ავტორი.

სულხან-საბას „სიტყვის კონა“ ღირსებით ყველა ცნობილ დაბეჭდილ თუ
დაუბეჭდავ ქართულ ლექსიკონზე მალა იდგა. ამავე დროს იგი იმდროინ-
დელი ენციკლოპედიური ცოდნის ნამდვილი ნიმუშიცაა.

ლექსიკონის შედგენისას ავტორი უხვად იყენებდა ქართულ და უცხოურ
წყაროებს, იძლეოდა ქართული და არაქართული წარმოშობის ტერმინების
განმარტებას, აღნიშნავდა მათს სინონიმურ მნიშვნელობებს, ასახელებდა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებს, მიუთითებდა მათ გეოგრაფიულ კოორდინატებს, მოჰქონდა ნიაღისეული სიმდიდრეების აღმნიშვნელი ცნებები, რელიეფის ფორმის გამომხატველი სახელები, აგრეთვე კლიმატური, ჰიდროგრაფიული, ნიადაგური, მინერალოგიური და გეობოტანიკური ხასიათის ტერმინები.

მთელი 40 წლის განმავლობაში მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონზე, თანდათან ავსებდა და ამდიდრებდა მას.

დიდი ამაგი დასდო სულხან-საბამ ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებასაც.

მან პირველმა გააფართოვა ინდოინდელი ქართველების გეოგრაფიული ჰორიზონტი.

მის ლექსიკონში დასახელებულია მსოფლიოს ოთხივე ნაწილი: ევროპა, აზია, აფრიკა და ამერიკა (რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო სცოდნოდა ავსტრალიის არსებობა).

ევროპას, აზიას და აფრიკას ძველი ქართული წყაროებიც იცნობდნენ, მაგრამ ამერიკა პირველად სულხან-საბას აქვს დასახელებული, ხოლო შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონსაც.

არც XVI საუკუნის და არც XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ წყაროებში ამერიკა არსად არ იხსენიება, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ამდროინდელი ქართული წერილობითი ძეგლები (საისტორიო თუ გეოგრაფიული) არ არსებობს (ინერებოდა მხოლოდ მარტივი ქრონიკები და რეგიონალური ხასიათის საისტორიო ნაწარმოებები). მაგრამ ამერიკის აღმოჩენა-არსებობის ამბავი ჩვენში ზეპირი გზით უნდა გავრცელებულიყო ქართველი ვაჭრების პორტუგალიელ, ესპანელ და ინგლისელ ვაჭრებთან ურთიერთობის დროს. სულხან-საბა ორბელიანი კი, ამკარად ჩანს, ამერიკას წერილობითი წყაროების საშუალებითაც იცნობს. მაგალითად, ერთ ადგილას იგი ასეთ განმარტებას იძლევა: „ბაი კერკი და ბაი ამერიკას ხილნი არიან ჩოკილატას შესამზადებელი“ ანდა: „ამერიკული ხე, უწოდებენ ხესა ამას გარდანია ფლორიდია“.

წერილობითი წყაროების მიხედვით უნდა იყოს დასახელებული „ლექსიკონში“ სხვადასხვა ქვეყნის ან დასახელებული პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატებიც. მათი რაოდენობა 234-ს აღწევს.¹ „ლექსიკონის“ შესავალში ავტორი მიუთითებს: „სადა ესე ჯდეს (40.50) (5.20) ქუეყნის ზომათა რიცხვია.

¹ უკოორდინატებოდ დასახელებულია შემდეგი ქვეყნები და ქალაქები: ანგოლა აფრიკისა, არდავილია, თბილისი, თრმა წმინდის კუნძული, კაპადუკია, კარნუ-ქალაქი (არზრუმი), კონსტანტინოპოლი, ყაზმინი, შამახია, შირვანი და ცვილონ კუნძული ინდოთა.

პირველი ხარისხი სიმაღლისა და მეორე წამის რიცხვი. ორ ხაზს უკან - სივრცის ხარისხის რიცხვი - და მეორე წამის რიცხვი".

ამგვარი ცნობები რომ სათანადო წერილობით წყაროებზე იყო დაფუძნებული, ამას გვიდასტურებს ულულ-ბეგის ასტრონომიული ტრაქტატის ქართული თარგმანისათვის დართული ვახტანგ VI-ის წინასიტყვაობა.

ვახტანგ მეფის სიტყვით, „შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეულისა“ ქალაქებისა და კუნძულებისა დამყარებული ყოფილა „ბერძენთა და ფრანგთაგან“ თარგმნილ თხზულებებზე: „თარგმნილი ბერძენთა და ფრანგთაგან. შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეულისა ქალაქებსა და ქალაქებსა ვითარცა მოგვცა ჩვენ და ვპოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რომელთა ქუეყანა აღწერეს, უწყოდეთ რამეთუ რომელიცა აქა დაწერილ არს წილი სიგრძისა და განედისა ქალაქებისა არა არს მტკიცეთ დაჭეშმარიტებული, არამედ ახლო არს ჭეშმარიტებასა ზედა, ვინათგან მათ მიერ მოგვცა ჩვენა, ვინათგან მრავალთა ფილასოფოსთა სიგრძე და განი ქვეყნისა აღწერეს“.

სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ VI, ჩანს, ერთი და იმავე წყაროებით სარგებლობდნენ, იყენებდნენ როგორც ძველ (ბერძენთა), ისე ახალ (ფრანგთა) ევროპულ თხზულებებს.

საამისო ცნობები სულხან-საბას ევროპაში გამგზავრებამდე უნდა შეეგროვებინა და არა საფრანგეთ-იტალიაში მგზავრობისას მზამზარეულად მოეპოვებინა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს.

ამას მოწმობს ვახტანგ VI-ის კრიტიკული დამოკიდებულება გამოყენებული წყაროებისადმი. მის მიერ ნასარგებლევ ნაწერებში („რომელიცა აქა დაწერილ არს“) მტკიცედ არ ყოფილა დადგენილი „არა არს მტკიცედ დაჭეშმარიტებული“ „წილი სიგრძისა და განედისა ქალაქებისა“, არამედ მხოლოდ მიახლოებით („არამედ ახლო არს ჭეშმარიტებასა ზედა“). აქ, როგორც ვხედავთ, გამოყენებულია მეცნიერული მუშაობის კრიტიკული მეთოდიც და ამის შესაფერისი ტერმინოლოგიაც.

ზოგი რამ სულხან-საბა ორბელიანს ევროპაში მოგზაურობის დროს უნდა მოეპოვებინა და გამოეყენებინა კიდევ. მაგალითად, ვარსკვლავთა კატალოგის ვახტანგისეულ თარგმანში ჩართულ შენიშვნას: „პარისს ვიპოვეთ ესე“, მკვლევარნი სულხან-საბა ორბელიანს მიაწერენ, მაგრამ ძირითადი მასალა მას მაინც საქართველოში მოღვაწეობის დროს უნდა შეეგროვებინა.

ამასთან ირკვევა სულხან-საბას და ვახტანგის თანამშრომლობა გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მუშაობის სარბიელზე, სხვანაირად შეუძლებელია საბას შენიშვნა ვახტანგის ვარსკვლავთა კატალოგის ხელნაწერში მოხვედრილიყო.

სულხან-საბა ორბელიანის მასალებით სარგებლობდა ვახუშტი ბაგრატიონიც.

მას შედგენილი აქვს ტაბულა „საქართველოს ქალაქებისა და ადგილების სიგრძე-განისა, მენაკისა და ნამის საცნობელი, კასპიის ზღვისა და შავი ზღვის შუა“. ამ ტაბულის ერთ-ერთ წყაროდ დასახელებულია „ლექსიკონი ევროპული და ბერძნული, რომელიც ჩვენს ლექსიკონში არის“... ჩანს, ნაგულისხმევია სულხან-საბას ლექსიკონი, რომლის სათანადო განმარტებანი დაფუძნებულია უცხოურ წყაროებზეც – ბერძნულ და ევროპულ ლექსიკონებზე.

ახლა უკვე გამორკვეულია, რომ 1723 წელს ფრანგი გეოგრაფოსის გიომ დე-ლილის მიერ შედგენილი ამიერკავკასიისა და კასპიისპირეთის რუკა ემყარება იმ „ხელნაწერ მასალებს“, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა ვერსალში ლუი XIV-ს წარუდგინა. ამ „ხელნაწერ მასალებში“ უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს რუკაც.

გიომ დე-ლილს გამოყენებული აქვს სხვადასხვა მასალა.

რუსი კარტოგრაფების კ. ვერდენისა და ვ. სოიმონოვის მიერ რუსულ ენაზე 1720 წ. დაბეჭდილი რუკა (კასპიის ზღვა, კასპიისპირეთი და ჩრდილოეთ კავკასია), ხოლო საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებისათვის (სპარსეთის და ოსმალეთის ჩრდილოეთი პროვინციები) სპარსეთის ელჩების: კრუზიუსის, ზურაბეკისა და ფაბრიციუსის მასალები.

ყველაზე დეტალურად მის რუკაზე საქართველო არის წარმოდგენილი. „რუკაზე შტრიხებით დატანილია მთები, მთავარი სამიმოსვლო გზები და გასაჩერებელი ადგილები, მსხვილი დასახლებული პუნქტები. გათვალისწინებულია საქართველოს „სპარსეთისა“ (აღმ. საქართველო) და „ოსმალეთის“ (დას. საქართველო) გავლენის სფეროებად განაწილების ფაქტი. აღნიშნულია თითქმის ყველა სამეფოსა და სამთავროს ტერიტორია, მითითებულია ქალაქები, სოფლები, დასახლებული პუნქტები, ქედები, მდინარეები, ტბები, გზები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები. ყველაზე სრულად მაინც ქართლი და მისი დასახლებული პუნქტებია ნაჩვენები. რუკაზე, სხვათა შორის, აღნიშნულია ორბელიანთა (საორბელოს) საგვარეულო რეზიდენცია – ტანძია, აგრეთვე ორბელიანთა საგვარეულო სამარხი ფიტარეთი.

სავსებით აშკარაა, რომ გიიომ დე-ლილს მთლიანად გადმოღებული აქვს საფრანგეთში სულხან-საბა ორბელიანის მიერ ჩატანილი რუკა.

ამ რუკას დასავლეთ ევროპაში უკვე XVIII საუკუნის 20-იან წლებში მიაქციეს ყურადღება, ის აღწერილი და შეფასებული აქვს ჰამბურგის გეოგრაფიული მუზეუმის რექტორს იოჰან ჰიუბნერს.

ეს აღწერილობა, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და პოლანდიის საუკეთესო რუკების აღწერილობასთან ერთად, 1726 წელს გამოსცა თეოდორ კრისტოფ ფერლინგერმა.

იოჰან ჰიუბნერი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით შედგენილი რუკის გამო წერს:

„რუკაზე უმთავრესად გამოხატულია პროვინციები, რომლებიც კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის მდებარეობენ და რომელთა შესახებ აქამდე ნაკლებად სანდო ცნობები მოგვეპოვებოდა.

განსაკუთრებით გულმოდგინედაა დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგია (საქართველო), რისთვისაც გამოყენებულია გარკვეული წერილობითი მემუარები, რომელიც სოსკამ (sic - ვ. გ.) საბამ, გეორგიის პრინცმა მოამზადა.

ამ რუკაზე არის ბევრი დასახლებული პუნქტი, ისინი იმდენად სრულად არის მოცემული, რომ შეიძლება სხვა მასალა აღარ დაგვჭირდეს“.

ასეთი მაღალი შეფასება მიიღო სულხან-საბა ორბელიანის სახელთან დაკავშირებულმა საქართველოს რუკამ დასავლეთ ევროპაში.

მამასადამე, ქართული კარტოგრაფიის დონე აკმაყოფილებდა იმდროინდელი გეოგრაფიული მეცნიერების მოთხოვნილებებს.

ამასთან, ქართველ კარტოგრაფთა მასალების საფუძველზე შედგენილი საქართველოს რუკა დასავლეთ ევროპაში ცნობილი გახდა 1723 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ ისევ საქართველოში იმყოფებოდა. თვითონ მასალებიც და, ცხადია, საქართველოს რუკაც ჯერ კიდევ 1714-1715 წლებში უნდა განეხილათ და შეესწავლათ ვერსალში ლუი XIV-ს და მის მინისტრებს.

მაგრამ საამისო მოსამზადებელი მუშაობა საქართველოში ამაზე გაცილებით უფრო ადრე იყო დაწყებული.

არსებობს ცნობა, რომ ვახტანგ VI-ის თაოსნობით მოხდა საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ტოპოგრაფიული აგეგმვა.

ირ. მათურელმა უიზეფ დე ლილის არქივში იპოვნა საბუთი, რომლის შინაარსი ეხება ვახტანგ VI-ის კარტოგრაფიულ მოღვაწეობას.

საბუთიდანვე ირკვევა, რომ ვახტანგი თავისი ზოგადი რუკის შედგენისას სარგებლობდა გარბეკის გილანის რუკით, ხოლო სომხეთისათვის ფლომონის რუკით. საბუთში აღნიშნულია აგრეთვე მეფის დაინტერესება ასტრონომიით და მის მიერ შესრულებული სამუშაოები განედის განსაზღვრის მიზნით. მას, ცხადია, თავის თანამშრომლებთან ერთად, განედის დასადგენად მოუხდენია დაკვირვება თბილისში, ერევანში, განჯაში, ქუთაისში, ალსტაფაში პატარა ასტროლაბით, რომელიც ისფაჰანში ყოფილა დამზადებული. ასტროლაბის დიამეტრი ერთ ფუტზე ნაკლები იყო და საინტერესოა იმ მხრივ, რომ მას იყენებს აღმოსავლური ასტრონომიული ტრაქტატების „ზიჯის“ და „აიათის“ მთარგმნელი და გამომცემელი („აიათი“ თბილისის სტამბაში დაიბეჭდა 1721 წელს). ჩატარებული გეოგრაფიული აგეგმვა დაკავშირებული იყო არა იმდენად ახალ ევროპულ წესებთან, რამდენადაც გეოგრაფიული კოორდინატების მათემატიკური გამოთვლის ძველ აღმოსავლურ ხერხებთან.

„სიგრძე-განის მენაკისა და ნამის საცნობელი“ ადრე თვითონ ვახუშტის მიერ „ზოგი გაზომვით და ზოგი აღაჯობით“¹ იყო ნაპოვნი და დადგენილი.

თავდაპირველად დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების გამოსარკვევად ასეთსავე ხერხს მიმართავდნენ ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი.

ჯერ ისევ ვახტანგ VI-ისა და მისი თანამშრომლებისათვის ცნობილი იყო „ლანქარტები“ (ვახუშტის გამოთქმაა) ანუ „ლანდკარტები“, ე.ი. იმდროინდელი ევროპული გეოგრაფიული რუკები, მაგრამ, ამავე დროს, ფართოდ იყო გამოყენებული აღმოსავლური ასტრონომიული და გეოგრაფიული ნაწარმოებებიც.

ვახტანგ VI-მ ქართულად თარგმნა კოსმოგრაფიულ-ასტრონომიული ხასიათის ნაშრომი „ქმუნლების ცოდნის წიგნი“ ანუ „აიათი“, „სტროლაბი“ და სხვ. მანვე სპარსეთში ყოფნის დროს, მირზა აბუ რიზა თავრიზელის დახმარებით, ქართულად გადმოიღო გამოჩენილი შუა აზიელი მეცნიერ-ასტრონომის ულულ-ბეგის (1393-1449) ასტრონომიული ტრაქტატი. ამ ტრაქტატის ლათინური თარგმანის მიხედვით დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში XVII საუკუნემდე ასწავლიდნენ ასტრონომიას.

ქართველები დაგვიანებით გაეცნენ ულულ-ბეგის ასტრონომიული დაკვირვებებისა და გამოანგარიშებათა მეთოდებს, ვარსკვლავთა კატალოგს და გეო-

¹ აღაჯი - სიგრძის ერთეული.

გრაფიული კოორდინატების ტაბულებს. ამ უკანასკნელს ქართველი კარტოგრაფები (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონი...) იყენებდნენ რუკების შედგენის დროს.

ჟოზეფ დე-ლილი აღნიშნავს, რომ ვახუშტი ბაგრატიონს ადრინდელ („ყაზანურ“) რუკებში გამოყენებული აქვს „სპარსელი მათემატიკოსის“ ცნობები. ეს „სპარსელი მათემატიკოსი“ ნამდვილად არის შუა აზიელი ულულ-ბეგი, რომლის ქართულად გადმოთარგმნილ გეოგრაფიული კოორდინატების ცხრილებს ვახუშტი ბაგრატიონი თავისი მშობლის ბიბლიოთეკაში უნდა გასცნობოდა.

მაგრამ უფრო გვიან იგი იყენებდა თანამედროვე ევროპული გეოგრაფიული მეცნიერების მიღწევებს. ახალი, ანუ „ფრანგული“ წესები არც ვახტანგ VI-სთვის იყო უცხო. მის „ვარსკვლავთმრიცხველობის“ თარგმანში მითითებულია „ბერძენთა და ფრანგთა“ წერილობითი წყაროები. „ბერძნული“, რა თქმა უნდა, ძველის მნიშვნელობით არის ნახმარი, ხოლო „ფრანგული“ (ევროპული) ახალის მნიშვნელობით. ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ვახტანგ VI ასტრონომიას თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა.

ასტრონომიის გაკვეთილებს იგი იღებდა კათოლიკეთა პატრისაგან.

1709 წლის 15 აგვისტოს პატრი რეჯინალდი თბილისიდან რომში გაგზავნილ წერილში წერდა: „ეს პატონი მთავარი საკმაოდ მაღალნიჭიერი და სწავლისმოყვარეა... ამ უკანასკნელ დროში იგი ძლიერ დაგვიახლოვდა და დაგვიმეგობრდა იმის გამო, რომ უფროსი პატრი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს, ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“.

თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან ასეთივე ურთიერთობით იყო დაკავშირებული სულხან-საბა ორბელიანიც.

იმ დროს „მისიონერთა შორის არაერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა „საერო“ ცოდნით აღჭურვილი“, – აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

სულხან-საბა ორბელიანიც და ვახტანგ მეფეც წარმატებით ითვისებდნენ და იყენებდნენ აღმოსავლური თუ დასავლური მეცნიერების მიღწევებს.

მათ შესარულეს ისეთი ხასიათის კარტოგრაფიული სამუშაოები, რომელიც შემდეგ ასე წარმატებით განაგრძო ვახუშტი ბაგრატიონმა.

საერთოდ სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის მეცნიერული მოღვაწეობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ვახუშტი ბაგრატიონის ნაყოფიერი მუშაობა გეოგრაფიული და საისტორიო მწერლობის სარბიელზე.

სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ვახტანგ VI დიდ დროს უთმობდა მნიგნობრობას და მეცნიერებას, მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციასა და მის ხელმძღვანელობას.

ვახტანგ VI იყო შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი, რედაქტორი და კომენტატორი, კრიტიკოსი და მეცნიერი.

გვირგვინოსანი მეფე დაუცხრომლად იღვწოდა იმისათვის, რათა საქართველოში „ისწავლონ და ნადიერ იყვნენ ფილასოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილასოფოსობა“.

გერმანე ხუცეს-მონაზონი მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო წერდა:

ვახტანგ ალაგსო და განანათლა

ქვეყანა ჩვენი წიგნებითა.

თვითონ ვახტანგიც აღნიშნავდა: „არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები, მეკითხა წიგნი საღმთო და საერო“.

მის განათლებას და ცოდნის დაუშრეტელ წყურვილს აღნიშნავდა ყველა მისი თანამედროვე, ხოლო მისი საკუთარი ვაჟის, ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, ვახტანგ VI იყო „ცოდნის მოყვარე, ბრძენი... მუშაკი“. მისი პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის მოღვაწეობის გამო კი ამბობდა: „ვახტანგ ალაშენა და განავრცო ქართლი“.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართველი მოღვაწენი უფრო მეტად საერო ცოდნას ენაფებოდნენ და მეტ ყურადღებას „გარეშე წიგნების“ კითხვას უთმობდნენ.

ეს ტენდენციაც ვახტანგ VI-მდე კარგა ხნით ადრე იყო დამახასიათებელი განათლებულ ქართველთათვის.

თეიმურაზ I წერდა:

არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა.

ამავე აზრს გამოხატავს არჩილიც:

საღვთო წიგნი ბევრი ნახდა, უყდოთა და უბედობით,

საშაიროს ინახავდნენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით.

ვახტანგ VI ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მას საღმთო ცოდნასთან ერთად საერო ცოდნაც ჰქონდა მიღებული: „საღმთოც ვიცოდი, საეროც“.

ვახტანგიც და მისი დასიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებს. ვახტანგი, როგორც აღვნიშნეთ, გატაცებული იყო ასტრონომიით, მათემატიკით.

მანვე ქართულ ენაზე შეადგინა ქიმიის სახელმძღვანელო: „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“. სახელმძღვანელოზე მუშაობას იგი შეუდგა სპარსეთში ყოფნის დროს, დამთავრებით კი რუსეთში დაამთავრა.

დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლული გვირგვინოსანი მედიცინასაც.

მისი მუშაობის კვალი ეტყობა „უსნორო კარაბადინს“ და ზაზა ფანასკერტელის სამედიცინო თხზულების ხელნაწერებს, რომელთა ცალეებს მისი უშუალო თაოსნობით მოუყარეს თავი სამეფო ბიბლიოთეკაში.

მისივე დავალებით და მონაწილეობით ითარგმნა XIII საუკუნის გამოჩენილი მათემატიკოსის და ასტრონომის ნასირ ედ-დინ ტუსის „თალი მასალი“ ანუ „სტროლაბის სასწავლებელი ნიგნი“. მანვე შეასრულა ამ თარგმანის რედაქცია.

„ზიჯის“ ანუ „ვარსკვლავთა კატალოგის“ ვახტანგისეულ თარგმანს დართული აქვს მის მიერვე შედგენილი სპარსულ-ქართული ასტრონომიულ-ასტროლოგიური ლექსიკონები, ვრცელი და მოკლე რედაქციებით. ამგვარი ლექსიკონებით ვახტანგი ცდილობდა მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნას ქართულ ენაზე.

ეს მიზანი მას აღნიშნული აქვს 1721 წლის თბილისში დაბეჭდილი ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული თხზულების წინასიტყვაობაში: „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოხრებულიყო და არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფოსთა, და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ, და აწ მე, მეფეთა-მეფემან ვახტანგ, ესე სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის ნიგნი, ზიჯი, თალი მასალა და სხვა ოქმები ნიგნები ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის ნიგნის კითხვითა და თანაშენწევითა და სტროლაბიც¹ ქართულად გადმოვიღე“.

მასვე ეკუთვნის კალენდარული ხასიათის ორიგინალური შრომები – „ხელთა“ და „კვინკლოსი“ ანუ „საძირკველი“, რომელიც მას დიდის „სასჯელით“ შეუსრულებია ისფაჰანში.

მანვე „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტამბურ გამოცემას დაურთო ვრცელი „თარგმანი“ ანუ მეცნიერული კომენტარები. ეს „თარგმანი“ ანუ განმარტება სავესებით მართებულად მიჩნეულია პირველ რუსთველოლოგიურ გამოკვლევად.

¹ სტროლაბი – ასტრონომიული ხელსაწყო.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ VI-ს ქართული იურიდიული აზრის განვითარების საქმეშიც. მან შეადგინა „დასტურლამალი“ – ქართული სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის ძეგლი, შექმნა ახალი კანონმდებლობა (ვახტანგის სამართლის წიგნი) და რედაქცია გაუკეთა სამართლის ძველ წიგნებს (ქართული, ბერძნული და სომხური სამართალი).

მეცნიერულ მუშაობას ვახტანგ VI განაგრძობდა უცხოეთშიც.

კერძოდ მათემატიკისადმი შეუწელებელ ინტერესს იგი ამჟღავნებდა სპარსეთშიც და რუსეთშიც.

ყველგან ცდილობდა მოეპოვებინა ახალი მათემატიკური წიგნი და ეთარგმნა ან ეთარგმნიებინა ის ქართულად. ამავე დროს სულ უფრო უძლიერდებოდა ახალი, ევროპული მათემატიკური ცოდნის დაუფლების წადილი. 1725 წელს მისი ბრძანებით უთარგმნიათ „პლანომეტრია“, რომელსაც „ანგარიშის ცოდნის წიგნიც“ ეწოდება.

ფრანგულიდან რუსულად გადათარგმნილი „პლანომეტრია“ ქართულად გადმოულია ვინმე მიხილ ელვიჩს ვახტანგ მეფის მოსკოვს მისვლისთანავე. მთარგმნელის სიტყვით, ვახტანგმა თარგმანი „ქართულის ენით გაასწორა და ვრცლად დასწერა“. ამით, დასტურდება გვირგვინოსანი მეცნიერის აქტიური მონაწილეობა „პლანომეტრიის“ გადმოღება-გადმოქართულებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ VI დიდ ყურადღებას უთმობდა მათემატიკურ-ასტრონომიული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე შექმნა-დაუფუძნებას, ადგენდა საამისო ლექსიკონებს, იძლეოდა აღმოსავლური წარმოშობის ასტრონომიული ტერმინების განმარტებებს, ქმნიდა ამ ტერმინების ლექსიკონთა ვრცელ და მოკლე რედაქციებს.

ზემოთ დასახელებულ თარგმანში „პლანომეტრიის“ ქართულ შესატყვისად აღნიშნულია „სივაკი“. ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე ამის გამო ნათქვამია: „ესე სივაკის ზომისათვის გაუკეთებიათ, ფრანგულად პლანომეტრია ჰქვიათ: ქართულად სივაკის ზომა“.

ასე უკვლევდნენ გზას ქართულ სინამდვილეში ევროპულ მათემატიკურ-ასტრონომიულ ტერმინოლოგიას ვახტანგ VI და მისი თანამოსაგრენი, აგრეთვე მათი უახლოესი მეცნიერული მემკვიდრენი (ვოლფის „ფიზიკის“ ქართული თარგმანი და სხვ.). მანამდე კი ძირითადად ქართველებისათვის ადრიდანვე კარგად ცნობილი სპარსულ-აღმოსავლური მათემატიკური ტერმინები იყო ვრცელებულ-გამოყენებულნი.

ახალი ევროპული სამეცნიერო ტერმინოლოგია მეცნიერების ახალ მიღწევებთან იყო დაკავშირებული.

ასევე ქართულში უკვე ამ დროს შემოხიზნულ-დამკვიდრებული ევროპული საისტორიო და საგეოგრაფიო ტერმინები ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების ახალი ტექნიკური ხერხების და მეთოდების ცოდნა-შეთვისებას ნიშნავდა და მოასწავებდა.

ამგვარ ტერმინებს ვახუშტი ბაგრატიონი არა მარტო ასახელებდა, არამედ განმარტავდა კიდეც.

ვახტანგ VI-მ დიდი ამაგი დასდო ქართულ საისტორიო მწერლობასაც.

მისი თაოსნობით და აქტიური მონაწილეობით შეუდგა „სწავლულ კაცთა“ კომისია ქართული საისტორიო წყაროების და საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას.

არსებობს საფუძველი ვთქვათ, რომ ვახტანგ VI იცნობდა და იყენებდა XVII საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს.

საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა შორის იყვნენ ისტორიკოსებიც და ეთნოგრაფებიც, რომელთაც საქართველოს შესახებ დაწერილი აქვთ შესანიშნავი რელაციონები და თხზულებები.

ბევრი მათგანი, როგორც ჩანს, დაინტერესებული იყო ქართული მწერლობით, საქართველოს ისტორიული წარსულით, ხალხის ყოველდღიური ცხოვრებით.

ჩვენამდე მოაღწია კათოლიკე მისიონერის ბერნარდ ნეაპოლელის ქართული ფოლკლორული ნიმუშების კრებულმა. ცხადია, მისი ავტორი ეთნოგრაფიითაც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. ამგვარი ინტერესი მკაფიოდ გამოსჭვივის, მაგალითად, კასტელის ცნობილი ნახატებიდან და არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერიდან“.

საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის საკითხებზე მომუშავე ქართველ მეცნიერს კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობის დროს (ზოგიერთ მათგანს კი მათს სკოლაში) შეეძლო გაეგო და შეეთვისებინა ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევა-წარმატებანი, მაგრამ მათ იქიდან გადმოჰქონდათ არა ევროპული საზოგადოების შესაფერისი იდეები და შეხედულებანი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ახალი ევროპული ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი მეცნიერული მეთოდები და კვლევა-ძიების ტექნიკური ხერხები.

ამკარად ახალ მეთოდებზე იყო დამყარებული „ქუეენის აღწერაც“ და კარტოგრაფიული აგეგმვაც.

XVII საუკუნეში ყველგან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საისტორიო წყაროებს.

ყველგან ისტორიის მეცნიერებას მყარი საფუძველი შეუქმნა საისტორიო წყაროების **შეგროვებამ, კლასიფიკაციამ და კრიტიკულმა დამუშავებამ.**

ამგვარადვე დაიწყო ისტორიის მეცნიერების განვითარება XVIII საუკუნის დამდეგის რუსეთში (პეტრე I-ის თაოსნობით და აქტიური მონაწილეობით).

ასე მოხდა საქართველოშიც XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ამგვარი ამოცანა წარმატებით შეასრულა ჩვენში „სწავლულ კაცთა“ კომისიამ.

მისი მუშაობის მიზანი და მოტივები ცხადად ჩანს შემდეგი მიმართვიდან: „პატიოსანო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება **განრყუნილი** იყო, რომელიმე **მწერალთა მიერ** და რომელიმე **ჟამთავითარებისაგან აღარა წერებულისყო**, ხოლო მეექვსემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან, **შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაში პოვნა, და კულად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა დიდებულთანი და შეამონმეს**, და რომელ გარყუნილი იყო, განმართეს და სხუანიცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე **სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუნეს და ასრედ აღწერეს**“.

ვახტანგ VI-ის თაოსნობით შექმნილ „სწავლულ კაცთა“ კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა და საქართველოს ისტორიის წყაროების შეგროვება-შესწავლის რთული ამოცანა, იმ დროის კვალობაზე, წარმატებით შეასრულა კიდევც.

„მეცნიერ კაცთა“ მიზანს შეადგენდა არა მარტო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების შევსება-შესწორება, არამედ მისი **გაგრძელებაც.**

საქმე ისაა, რომ XV-XVI საუკუნეებში და XVII საუკუნის პირველ ნახევარში ორიგინალური ქართული საისტორიო ნაწარმოებები არ იწერებოდა: არარსებული ხარვეზების შევსება არ შეეძლოთ ლოკალური ხასიათის ქრონიკებსა და მატრიანებს. სწორედ ეს გარემოებანი ჰქონდათ მხედველობაში „სწავლულ კაცებს“, როცა ქართველების საყურადღებოდ აღნიშნავენ: ქართლის ცხოვრება (წაიკითხე: საქართველოს ისტორია) „**ჟამთავითარებისაგან აღარა წერებულისყო**“.

თემურ-ლენგის, თურქმანების, ყიზილბაშების და ოსმალების შემოსევების დროს ამის გაკეთება მართლაც შეუძლებელი იყო. ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მაგიერ იწერებოდა მარტივი ჟამგულნები, ქორონიკონები, ქრონიკები და მატიანეები. ქართული ისტორიოგრაფიის ეს არაჩვეულებრივი დაკნინება-დაქვეითება ვახტანგ VI-ს და მის „სწავლულ კაცებს“ სამართლიანად ახსნილი აქვთ „ჟამთა სიავით“.

ამრიგად, „სწავლულ კაცთა“ კომისიას მთავარი ყურადღება უნდა მიეპყრო XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღდგენისათვის, ამ საუკუნეების დაუნერელი ისტორიის გადმოცემისათვის.

საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, მათ დოკუმენტური მასალები მოიმარჯვეს, თუმცა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ ისიც „მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაში პოვნა“. მაგრამ მთავარი მაინც საბუთები იყო. „სწავლულ კაცთა“ მიმართვაში დასახელებულია: „გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი“. აქ ლაპარაკია როგორც ეკლესია-მონასტრების გუჯრებზე, ისე საერო ფეოდალების („დიდებულთა“) საბუთების შეგროვება-გამოყენებაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ „მეცნიერ კაცებს“ ეს საბუთები წინასწარ შეუსწავლიათ და შეუმონმებიათ, ხოლო შერყვნილი ადგილები შეუსწორებიათ.

მათვე საბუთებზე მუშაობის დროს მიუმართავთ იმ ხერხებისათვის, რომელიც დიპლომატიკის მიერ იყო დადგენილი და რომელსაც ისტორიის ამ დამხმარე დისციპლინის წყალობით (XVII საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან) უკვე წარმატებით იყენებდნენ დასავლეთ ევროპის ისტორიკოსები.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ამის გამო შენიშნავდა: „მაშინ ეს სრულეობით უცნობი და ახალი საშუალება და მეთოდი იყო და „სწავლულ კაცთა“ ღვაწლად ამ მეთოდის შემოღება უნდა ჩაითვალოს“.

დოკუმენტური მასალების გარდა ქართველ მეცნიერებს შეუგროვებიათ XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის უცხოური საისტორიო წყაროებიც. ესაა სომეხთა და სპარსთა ცხოვრებანი (სომეხური და სპარსული საისტორიო თხზულებები), საიდანაც ქართველ ისტორიკოსებს განსაკუთრებით საყურადღებო ცნობები გამოუტანიათ და ამის მიხედვით აღუწერიათ XV-XVII სს. საქართველოს ისტორიის ყველაზე დამახასიათებელი მოვლენები („რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხუცნეს და ესრეთ აღწერეს“).

ამას გარდა, მათ უნდა გამოეყენებინათ ბერძენთა და, აგრეთვე, შესაძლებელია, „ოსმალთა ცხოვრებაც“, ე. ი. ბერძნულ-ბიზანტიური და ოსმალური საისტორიო თხზულებები.

გამოყენებულია „სხუანიცა წერილნი“, ე. ი. „სწავლულ კაცებს“ უსარგებლიათ სხვა რიგის წერილობითი წყაროებითაც („და სხუანიცა წერილნი მოიხუნეს“). შესაძლებელი, ეს „სხუანიცა წერილნი“ იყოს XVII საუკუნეში შედგენილი ისტორიული პოემები (თეიმურაზ I-ის, არჩილის, იოსებ თბილელის...). ყოველ შემთხვევაში, სავსებით დასტურდება ამ პოემების გამოყენების არაერთი კვალი როგორც „სწავლულ კაცთა“ ნამუშევარ-ნამოღვანარში, ისე ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრებაში“.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, რომელიც მისმა ავტორმა XVII საუკუნის დამლევს დაასრულა (1699 წელს ქალაქ ისფაჰანში).

ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიას“ არავითარი კავშირი არა აქვს არც „ქართლის ცხოვრებასთან“ და არც „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. გაგრძელებებთან. მაგრამ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით მისი საისტორიო თხზულება მრავალმხრივ არის საყურადღებო.

ფარსადან გორგიჯანიძემ „სწავლულ კაცთა“ კომისიის მსგავსად სცადა XV-XVI და XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის აღდგენა.

ამასთან, როგორც ეს ბოლო ხანებში გაირკვა, იგი სარგებლობდა „ქართლის ცხოვრების“ საუკეთესო ნუსხებით, რომელთა მსგავსი, ჩანს, თვითონ „სწავლულ კაცთა“ კომისიის განკარგულებაში არ იყო. ამავე დროს, მან პირველად გამოიყენა სპარსული საისტორიო ნაწარმოებები XV-XVI საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღდგენის მიზნით, ხოლო XVII საუკუნის ისტორიის გადმოსაცემად შეადგინა „ისტორიის“ ორიგინალური ნაწილი, რომლის მდიდარ შინაარსს და ისტორიოგრაფიულ ღირსებას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ამ თვალსაზრისით ფარსადან გორგიჯანიძე შეიძლება მივიჩნიოთ „სწავლულ კაცთა“ ერთგვარ წინამორბედად.

მან „სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცარიელი ფურცლები მეტად ვრცელი და შინაარსიანი ცნობებით აავსო“, – აღნიშნავდა აკად. ივანე ჯავახიშვილი. მანვე აკადემიკოს ბროსემდე და დორნამდე 160 წლით ადრე თავი მოუყარა სპარსული წყაროების ყველა იმ ცნობას, რომელთა შინაარსი XV-XVI

საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან იყო დაკავშირებული. ეს აკად. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა ფარსადან გორგიჯანიძის, როგორც ისტორიკოსის, ერთ-ერთ უეჭველ ღირსებად.

არც „სწავლულ კაცთა“ კომისია და არც ვახუშტი ბაგრატიონი არ იცნობდნენ ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიას“ და, ამდენადვე, არ შეეძლოთ გამოეყენებინათ მისი საისტორიო თხზულება.

სამაგიეროდ, ისინი სარგებლობდნენ XVII საუკუნის ისტორიული პოემებით, რომელნიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდნენ ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიას“.

ამდენად, ინტერესი საქართველოს ისტორიის მიმართ „სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობამდე გაცილებით ადრე იწყება, რაც, ცხადია, არ შეიძლება არ მივიჩნიოთ XVII საუკუნის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მოვლენად.

ისტორიოგრაფიული მუშაობაც, ისევე როგორც ინტენსიური მოღვაწეობა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგებში, ვახტანგ მეფემდე იწყება, მაგრამ მხოლოდ ამ უკანასკნელის დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად გამოიღო ყველაზე თვალსაჩინო ნაყოფი ისტორიული ხასიათის კვლევა-ძიებამ.

არც ისტორიული პოემების დამწერთ, არც ფარსადან გორგიჯანიძეს და არც „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ავტორებს არ შეეძლოთ იმის გაკეთება, რაც ისტორიული თუ გეოგრაფიული კვლევა-ძიების სარბიელზე გააკეთა და შეასრულა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ.

ვახტანგისეულმა „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ თავი მოუყარა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ყველანაირ მასალას.

ამ კომისიის ნაშრომ-ნაჭირნახულების ღირსებებისა და ნაკლულევანების აღნიშვნისას აკად. ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „სწავლულმა კაცებმა“ თავიანთი ნაშრომით „მომავალ მკვლევართ უვალი გზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეუგროვეს. ამ მხრივ მერმინდელმა მეცნიერებმა თვალსაჩინო და ახალი წყარო კვლევის საგანს ბევრი არაფერი შეჰმატეს“.

აღნიშნულს განსვენებული მეცნიერი დასძენდა: „სწავლულ კაცთა“ მუშაობა „ქართლის ცხოვრების გაგრძელების“ შედგენის ისტორიას გვისურათებს. მისი წყაროების გამორკვევას და იმდროინდელი საისტორიო მეთოდების შესწავლას გვიადვილებს“.

„სწავლული კაცები“ სარგებლობდნენ როგორც წერილობითი (დოკუმენტური და ნარატიული), ისე ზეპირი წყაროებითაც. „როსტომს აქათი“ (1632 წლი-

დან დაწყებული) საქართველოს ისტორია მათ მოთხრობილი აქვთ ამ დროს მომხდარი ამბებისა და მოვლენების „თვითმხილველთა“ და „თანადამხედურთა“ ცნობების მიხედვით.

ვახუშტი ბაგრატიონმა წერილობით და ზეპირ წყაროებს დაუმატა ნივთიერი წყაროებიც (ეკლესია-მონასტრების წარწერანი და „ხატნი“, ნაქალაქარებთან, ნასოფლარებთან, ნაციხარებთან დაკავშირებული მასალები...). ამრიგად, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფია იყენებდა ისტორიული წყაროების სამსავე სახეობას (წერილობითს, ზეპირს, ნივთიერს...).

მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა.

მთავარია ის, რომ „სწავლულ კაცთა“ მუშაობის დროიდან დაწყებული ქართული ისტორიოგრაფია იყენებს და სარგებლობს **სრულიად ახალი საისტორიო მეთოდებით**.

ასე მაგალითად, XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღდგენისას ძირითადად გამოყენებული იყო დოკუმენტური მასალები, რაც, ცხადია, შესაძლებელი იყო მხოლოდ საბუთების ყოველმხრივი შესწავლის, განხილვის და შემონახვის საფუძველზე.

საბუთებით ჯერ კიდევ XI საუკუნეში სარგებლობდა გიორგი ათონელი, ხოლო XIV საუკუნეში ჟამთააღმწერელი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ დროს **დიპლომატიკა** არ არსებობდა. დიპლომატიკა ანუ სიგელთამცოდნეობა თანდათან იქმნებოდა XVI-XVII სს. მანძილზე და მან საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო ჟან მაბილონის 1681 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. მანვე ისტორიის ამ დამხმარე დისციპლინის აღსანიშნავად შემოიღო ტერმინი: დიპლომატიკა.

საბუთებს დიპლომატიკური თვალსაზრისით სწავლობდა და იყენებდა ვახუშტი ბაგრატიონიც, მაგრამ მისი უშუალო წინამორბედნი ამ მხრივ „სწავლულნი კაცნი“ იყვნენ.

თუმცა ორსავე შემთხვევაში ეს ახალი საისტორიო მეთოდი ჯერ ისევ მარტივი და გაუმართავი იყო.

ასევე იყო საკუთრივ დასავლეთ ევროპაში, სადაც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ფაქტობრივად ყალიბდება მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ქართველი ისტორიკოსები იყენებდნენ სხვა საისტორიო მეთოდებსაც, ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინებსაც.

XV-XVII საუკუნეებში საქართველოს ისტორიის აღდგენის მთავარ მიზანს გარდა „სწავლულ კაცებს“ სხვა კერძო მიზნებიც ჰქონდათ.

მათ უნდა გამოერკვიათ: 1. საქართველოს რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაყოფის დრო და მიზეზები; 2. ამ სამეფოებისა და სამთავროების ბატონ-პატრონთა შთამომავლობითი შტო; 3. თითოეული სამეფოსა და სამთავროს საზღვრები.

ყველა ეს საკითხი სრულიად შეუსწავლელი იყო, მოითხოვდა განსაკუთრებულ მუშაობას, უწინარეს ყოვლისა კი, პირველწყაროებიდან სათანადო ცნობების გამოტანას, მათს ურთიერთშეჯერებას და კრიტიკულ შესწავლას.

„სწავლულ კაცთა“ წინაშე დაყენებული მიზნები თავისთავად აყენებდა დღის წესრიგში **ქრონოლოგიური, გენეალოგიური და გეოგრაფიული** ხასიათის კვლევა-ძიების საჭიროებას.

ამგვარი კვლევა-ძიება ვახტანგისეულმა კომისიამ შეასრულა კიდეც, რაც გვიადვილებს შევისწავლოთ იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის საისტორიო მეთოდები.

ამას გარდა, „სწავლულნი კაცნი“ კრიტიკულად ეკიდებოდნენ გამოყენებულ წყაროების ცნობებს.

ეს მათ საგანგებოდ აქვთ აღნიშნული: „რაოდენი საეჭველი იყო, უჭმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგუინერიო.“

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა წყაროთა ცნობებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შეგნების აუცილებლობა, „საეჭველის“ იგნორირება და მხოლოდ „მართალის“ დამტკიცებულ-დასაბუთებულის მიხედვით ისტორიული სინამდვილის აღდგენა და აღწერა.

ამის შეგნება დადასტურებული ფაქტია.

რა თქმა უნდა, სულ სხვა საკითხია, თუ როგორი ან რა წარმატებით იყენებდნენ „კრიტიკულ მეთოდს“ სწავლულნი კაცნი.

ვახტანგისეულმა კომისიამ თავისი ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობის დროს არაერთი შეცდომა დაუშვა, რაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა მკაცრად გააკრიტიკა.

მაგრამ, ამავე დროს, პირველად „სწავლულმა კაცებმა“ მიმართეს ისეთ საისტორიო მეთოდებს, რომელთა გამოყენებამ XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ისტორიის ცოდნა თანდათან ისტორიის მეცნიერებად გადააქცია.

ამ თვალსაზრისით „სწავლულ კაცთა“ მუშაობა-მოღვაწეობა სრულიად ახალი ეტაპი იყო ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ქართული ისტორიოგრაფია აღმავლობა-განვითარების გზაზე იყო შემდგარი.

არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხებიც და ისეთი გაგრძელებებიც („ახალი ქართლის ცხოვრება“), რომელთაც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისია არ იცნობდა. ეს ცხადპყოფს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გადანერა და, საზოგადოდ, ისტორიული ხასიათის კვლევა-ძიებანი ვახტანგი-სეული კომისიისაგან დამოუკიდებლადაც მიმდინარეობდა.

საერთოდ, საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი მეტად დიდი იყო. ყველა ცდილობდა აღენერა ერთიანი და მთლიანი და არა პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს ისტორია. ამგვარადვეა შედგენილი ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაც“.

ეს იდეა შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონისთვისაც იყო დამახასიათებელი.

ვახტანგ მეფის თანამშრომლები ხელცარიელნი არ წასულან რუსეთში. მოსკოვის ქართული კოლონიის კულტურულ მოღვაწეობასაც და ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებასაც ფესვი ქართულ სინამდვილეში ჰქონდა გადგმული. საქართველოში შეწყვეტილი კულტურული, ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობა მათ რუსეთში განაგრძეს.

ვახუშტი ბაგრატიონის წარმატებას ისტორიული, გეოგრაფიული, ლექსიკო-გრაფიული, ლიტერატურული და მთარგმნელობითი მოღვაწეობის სარბიელზე ნიადაგი შეუმზადა აღორძინების ხანის მრავალმხრივი ქართული კულტურის მთელმა განვითარებამ.

მოღვაწეობა რუსეთში

ვახტანგ VI-მ და მისმა ამაღამ 1724 წელს დატოვა საქართველო. მოსკოვს მათ მხოლოდ 1725 წელს მიაღწიეს.

ამავე 1725 წელს გარდაიცვალა პეტრე I.

ვახტანგ მეფისათვის ძნელი არ იყო იმის მიხედვრა, რომ პეტრე პირველის გარდაცვალება ეჭვს ქვეშ აყენებდა მისი პოლიტიკური გეგმების განხორციელების საკითხს.

გარეგნული თავაზიანობა და ხელმწიფური პატივისცემა სრულიადაც არ აქარწყლებდა მის ეჭვსა და შიშს.

ვახტანგ VI-ს და მის ამაღას მოსკოვშიც და პეტერბურგშიც დიდის ამბით დახვდნენ. ქართველებს და მათ მეფეს პეტერბურგში ზარბაზნების სროლით მიეგებნენ. ამას საგანგებოდ აღნიშნავდა იმდროინდელი დასავლეთ ევროპის პრესა. ამასვე აღნიშნავდნენ ევროპელი ელჩები თავიანთ დღიურებსა და რე-ლაციებში.

მეჯლისი მეჯლისს მისდევდა.

მაგრამ პეტრე I-ის „მემკვიდრენი“ პოლიტიკური მოლაპარაკების გამო კრინტს არა სძრავდნენ. მხოლოდ ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით კმაყოფილდებოდნენ, დიპლომატიურად გვერდს უვლიდნენ მთავარი და არსე-ბითი საკითხის დაყენებას: საქართველოსათვის მფარველობის და დახმარების პოლიტიკური და სამხედრო პირობების განხილვას.

სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთი დახმარებასა და მფარველობას ვერ აღმოუჩენდა ქრისტიანულ საქართველოს მაჰმადიანური სპარსეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ.

ეს იმ დროს რუსეთის შესაძლებლობას აღემატებოდა.

ამასთან რუსეთი მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთთან სპარსეთის სამფლობელოების (კასპიის ზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ ირანში) გავლენის სფეროებად განაწილების გამო.

ამიტომ სავსებით გამორიცხული იყო რუსეთის მტრული მოქმედება ოსმა-ლეთის წინააღმდეგ. საქართველოში კი იმ დროს სწორედ ოსმალები ბატონო-

დნენ. მმართველებად აქ ოსმალთა ფაშები და ვეზირები ისხდნენ. „ოსმალთა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა) „ქართველობის“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) არსებობას ემუქრებოდა, მას საფაშოდ გადაქცევას და გამაჰმადიანებას უპირებდა, ოსმალური ხარკითა და გადასახადებით ქვეყანას ეკონომიკურად ჰფიცავდა და ანადგურებდა. „ოსმალთა“ სუსხი ყველა საზოგადოებრივ ფენას (ფეოდალებს, ვაჭრებს, გლეხებს...) სწვდებოდა, ყველა ერთნაირად იყო უკმაყოფილო. ქართველ ემისრებს რუსეთში ჩაჰქონდათ ქვეყნის მდგომარეობის ამბავი. ვახტანგ მეფეც დანაპირებ-ალთქმულის შესრულებას მოითხოვდა, მაგრამ რუსეთი არ ჩქარობდა.

იმედგაცრუებული ვახტანგ VI ერთ ხანს მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ კი საცხოვრებლად ასტრახანს გადასახლდა.

აქ მოდიოდნენ საქართველოდან გადმოხვენილი ქართველები, რათა ვოლგის გავლით მოსკოვს მისულიყვნენ. თავის დროზე ასტრახანში ხომალდებით მივიდნენ ვახტანგ VI და მისი მხლებლები. აქ უფრო ადრე შეიძლებოდა საქართველოს ამბების გაგება, ვიდრე მოსკოვში ან პეტერბურგში. ამიტომ სურდა ემიგრანტ მეფეს ამ ქალაქში დაბინავება და ცხოვრება. მისი ასტრახანში ყოფნა და ცხოვრება რუსეთის მთავრობისთვისაც იყო სასურველი.

მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა.

XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში გაძლიერებული სპარსეთი თავის ძველ მეტოქეს ოსმალეთს ისევ დაუპირისპირდა. ამ ორ მეტოქე მაჰმადიანურ სახელმწიფოს შორის ომი გარდუვალი იყო.

რუსეთში კვლავ დაინტერესდნენ ამიერკავკასიის და ახლო აღმოსავლეთის საკითხებით.

მეტი ფასი დაედო ქართლის ლტოლვილ მეფეს.

მას, სპარსული საქმეების საუკეთესო მცოდნეს, რუსი დიპლომატებისა და სარდლებისათვის კარგი სამსახურის განევა შეეძლო როგორც მრჩეველს ან სპარსეთთან მოლაპარაკების მონაწილეს. ამიტომ მისი ყოფნა ასტრახანში უფრო მიზანშეწონილი იყო, ვიდრე მოსკოვში.

თვითონ ვახტანგ VI მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებდა ქვეყნის ოსმალთაგან გამოხსნის ამოცანას.

„ოსმალთა“ ბატონობის პირობებში მას სპარსული ორიენტაცია არ უნდა გამოერიცხა და, შესაძლებელ შემთხვევაში, ირანთან ურთიერთობის ის პოლიტიკური ფორმა აღედგინა, რომელიც ხელუხლებლად სტოვებდა „ქართვე-

ლობას“ – ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, მის ფეოდალურ ინსტიტუტებს, კულტურასა და იდეოლოგიას.

მაგრამ საქართველოში „ოსმალთა“ შეცვალა არანაკლებ მიძიმე „ყიზილბაშობამ“.

ნადირ-შაჰის სპარსეთი არ აპირებდა საქართველოსთან ურთიერთობის ძველი, კომპრომისული ფორმის აღდგენას.

აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ფაშებისა და ვეზირების მაგიერ ყიზილბაში ბეგლარბეგები და ხანები დასხდნენ, დანესდა „ყიზილბაშური“ გადასახადები, დაიწყო მრავალწლოვანი „მალიათობა“,¹ რომელმაც ქართველი ხალხი აჯანყებამდე და „ქართველობის“ აღდგენამდე მიიყვანა.

ამ დროს ვახტანგ VI ვერ მოესწრო.

ღვანლმოსილი მეფე გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წელს და დაკრძალეს იქვე საკათედრო ტაძარში.

ასე დაასრულა თავისი ცხოვრება ქართული კულტურის დიდმა მოამბემ. მისი მუხლჩაუქცელი მოღვაწეობა ქართული კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე ნაყოფიერიც იყო და შედეგიანიც.

უშედეგო აღმოჩნდა მისი პოლიტიკური მიზანსწრაფვა: დასავლეთ ევროპის მეფე-ხელმწიფეებისა და ერთმონწმუნე რუსეთის დახმარებით ქვეყანა მაჰმადიანური გარემოცვისაგან გამოეხსნა.

მარცხი განიცადა ვახტანგისეული ემიგრაციის ყველა პოლიტიკურმა მიზანმა. კიდევ მეტი: ამ ემიგრაციას (მის დიდ უმრავლესობას) საქართველოში უკან დასაბრუნებელი გზა მოეჭრა და მოვლენების უღმობელმა განვითარებამ ქართველი ემიგრანტები რუსეთის ქვეშევრდომებად აქცია.

ქართლის სამეფოს ტახტს კახეთის ბაგრატიონები დაეუფლნენ (თეიმურაზ II, ერეკლე II...), რადგან ისინი თაოსნობდნენ ქართველი ხალხის ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებას და „ქართველობის“ აღდგენას.

ვახტანგისეული ემიგრაციის მოღვაწეობა ისევ კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე აღმოჩნდა მნიშვნელოვანიც და შედეგიანიც.

წარმოიქმნა ქართველთა მოსკოვის კოლონია, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა როგორც რუსი და ქართველი ხალხის დაახლოების, ისე კულტურულ და მეცნიერულ ურთიერთობათა საქმეში.

ქართველები მოსკოვში ადრევე ცხოვრობდნენ.

¹ მალი – გადასახადი, ხარკი

სათანადო წყაროებიდან ირკვევა, რომ აქ ქართველ ვაჭრებს თავიანთი სადგომები ჰქონდათ ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამლევს.

1653 წლიდან 70-იან წლებამდე მოსკოვში ცხოვრობდნენ ერეკლე ბატონიშვილი და მისი დედა ელენე დედოფალი.

XVII საუკუნის დამლევს მოსკოვში თავისი ცოლ-შვილით დასახლდა არჩილ მეფე.

არჩილ მეფე შეიძლება მივიჩნიოთ ვახტანგ მეფის ემიგრაციის ერთგვარ წინამორბედად როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით.

ფაქტიურად არჩილის დროს XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ეყრება საფუძველი მოსკოვის ქართულ კოლონიას.

მოსკოვის ქართული კოლონია ხალხმრავალი გახდა ვახტანგისეული ემიგრაციის წლებში. მრავალრიცხოვანი ქართველი ლტოლვილები მშვიდობიანობის დროს თავიანთ ენერგიას კულტურულ საქმიანობას სწირავდნენ, ხოლო ომისათვის სამზადისისა და ომის დროს – სამხედრო საქმეს. „უკეთესობის“ მოლოდინში დაკარგული სამშობლოს კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ და „ქართული ფილოსოფოსობის“, ქართული კულტურისა და მეცნიერების წარსამატებლად ძალ-ღონეს არა ზოგავდნენ.

მოსკოვში განახლდა ქართული სტამბა, ამ სტამბაში ბაქარ ბატონიშვილი ბეჭდავდა „ბიბლიას“, სასულიერო და საერო ხასიათის წიგნებს. მას გვერდში ედგა ვახუშტი ბატონიშვილი და სხვა მწიგნობარი ქართველები.

ადრე მოსკოვის ქართული კოლონიის საქმიანობას თვითონ ვახტანგ VI მეთაურობდა, უფრო გვიან მისი ვაჟიშვილები: ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილები.

ქართული კულტურის მოღვაწენი გაეცნენ და დაუახლოვდნენ რუს მწერლებს და მეცნიერებს, შეითვისეს და გაიზიარეს რუსული კულტურის მიღწევა-წარმატებანი.

კიევის აკადემიაში დანყებული რუსული კულტურის „ვეროპეიზაცია“ წარმატებით გრძელდებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში.

ქართველი მოღვაწენი რუსული თარგმანების საშუალებით ეცნობოდნენ ევროპულ კულტურასა და მეცნიერებას, კერძოდ უახლეს ისტორიოგრაფიულ და გეოგრაფიულ გამოკვლევებს.

თვალყურს ადევნებდნენ ევროპულ ყაიდაზე გამართულ სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას, დაკავშირებული იყვნენ ამ დაწესებულებებთან და ზოგჯერ მონაწილეობდნენ კიდევ მათ დაარსებაში.

კულტურის „ევროპეიზაცია“, ევროპული კულტურისა და მეცნიერების მიღწევა-ნარმატებებით გატაცება ერთდროულად იწყება რუსეთშიც და საქართველოშიც - XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, დიდად იყო განსხვავებული ერთმანეთისაგან ევროპეიზაციის მასშტაბები. რუსეთში, ცხადია, საამისოდ შეუდარებლად უკეთესი პირობები არსებობდა, ვიდრე ირანზე პოლიტიკურად დამოკიდებულ აღმოსავლეთ საქართველოში. ამას გარდა, დიდი იყო სწავლულთა რიცხვიც, თუმცა მათ უმრავლესობას დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებიდან მონვეული მეცნიერები შეადგენდნენ.

1725 წელს პეტერბურგში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია.

1739 წელს ჩამოყალიბდა მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტი.

1755 წლიდან არსებობას იწყებს მოსკოვის უნივერსიტეტი.

რუსეთის კულტურული ცხოვრების ამ უაღრესად დიდი მოვლენების „თვითმხილველნი“ და „თანადაზღვედურნი“ იყვნენ ვახტანგ VI-ის ემიგრაციის მონაწილენი; აგრეთვე თავის დროზე მისი თაოსნობით შეკრებილნი „სწავლულნი კაცნი“, რომელთაგან ბევრი მეფეს თან გაჰყვა რუსეთში.

ქართველი ემიგრანტების შვილები განათლებას იღებდნენ რუსულ სკოლებში, სწავლობდნენ მოსკოვის სლოვენურ-ლათინურ სასწავლებლებში, პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიაში და აკადემიაში.

რუსულ სკოლებში მიაბარა თავისი შვილები სასწავლებლად ვახუშტი ბაგრატიონმაც.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ და პირველმა უნივერსიტეტმა სრულიად ახალ ნიადაგზე დააყენა რუსეთის კულტურა, მისი მეცნიერება.

განვითარდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო დისციპლინები.

მყარი მეცნიერული საფუძვლები შეექმნა მეცნიერების სხვადასხვა დარგების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის ქართული კოლონიის იმ მოღვაწეთათვის, რომელნიც თანამედროვე „ევროპული“ კულტურით და მეცნიერებით იყვნენ დაინტერესებულ-გატაცებულნი და ჯერ კიდევ სამშობლოში ეწაფებოდნენ „ფრანგულ სწავლას“.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი მეცნიერების დიფერენციაცია, მეცნიერ-სწავლულებს თანაბრად მიუზღვებოდათ ხელი მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგებზე. ისინი ერთდროულად იყვნენ პოეტებიც, მწერლებიც, მათემატიკოსებიც, ისტორიკოსებიც და გეოგრაფოსებიც.

ლაიბნიცი, მაგალითად, ისტორიის მეცნიერებითაც იყო დაინტერესებული და ლინგვისტიკა-ფილოლოგიითაც. საისტორიო და გეოგრაფიული თხზულებების ავტორია ლომონოსოვიც.

ყველაფერი ეს იმდროინდელ მეცნიერს ხდიდა ენციკლოპედიურად განათლებულ ადამიანად.

ასეთი ენციკლოპედიური ცოდნა დამახასიათებელი იყო საქართველოში მოღვაწე იმ სწავლულთათვისაც, რომელნიც კულტურულ და მეცნიერულ მოღვაწეობას XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეუდგნენ. ამის საუკეთესო დადასტურებაა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“, რომელშიც ამა თუ იმ ტერმინის განმარტება ხშირად ცოდნის სხვადასხვა დარგთან არის დაკავშირებული.

რუსეთში მოღვაწეობამ, რუსულ კულტურასთან და მეცნიერებასთან უშუალო ურთიერთობამ კიდევ უფრო გააფართოვა ქართული კულტურის მოღვაწეთა მეცნიერული პორიზონტი. განსაკუთრებული ყურადღება მათ მაინც ისტორიოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის თხზულებებსა და გამოკვლევებს მიაქცევს.

ვახტანგ VI-ის ბრძანებით რუსულიდან ქართულად გადაითარგმნა არაერთი საისტორიო და გეოგრაფიული ნაწარმოები. ითარგმნებოდა უპირატესად „მსოფლიო ისტორიები“ და ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული თხზულებები.

მსოფლიო ისტორიით დაინტერესებას თავისი ახსნა მოეპოვება.

ჩვენში ძველდაც კარგად იცოდნენ და XVIII საუკუნეშიც შეგნებული ჰქონდათ, რომ ისტორიის ცოდნა პატრიოტულ გრძნობას აღვივებდა, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს მეტ გამოცდილებას ჰმატებდა, ანმყოსა და მომავლის ვითარებაში გარკვევის შესაძლებლობას აძლევდა.

დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ მოსკოვის ქართული კოლონიის მოღვაწენი დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიის ღირსშესანიშნავ მოვლენებს. ესეც სავსებით გასაგებია. სამშობლო ქვეყნის მომავალს ისინი ხომ „ევროპე-

ზაციას“, ევროპული წესების, ევროპული კულტურის და ყოფაცხოვრების შემოღება-გავრცელებას უკავშირებდნენ!

განვითარებაც და მომავალიც იმ დროს ევროპასთან იყო დაკავშირებული და არა ჩამორჩენილ აღმოსავლეთთან, რომელიც საღათის ძილიდან გამოსვლას ჯერ არ აპირებდა.

დამახასიათებელია, რომ XVIII საუკუნის მანძილზე და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვში (XIX საუკუნის დამდეგიდან პეტერბურგშიც) ქართველები სისტემატურად თარგმნიდნენ „მსოფლიო ისტორიებს“, გაფაციცებით ეცნობოდნენ ევროპაში განვითარებულ მოვლენებს (ვოლტერიანობას, საფრანგეთის რევოლუციის ამბებს, ნაპოლეონის აღზევება-წარმატებას...), უკვირდებოდნენ ევროპულ ინსტიტუტებს („ფრანგულს წესსა და რიგს“), სწავლობდნენ და თარგმნიდნენ ევროპულ საპოლიციო სამართალს და ამგვარი გატაცება ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ ორიგინალურ იურიდიულ ტრაქტატებში ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს მიაწერდნენ სამართლის ისეთ ნორმებს, რაც მხოლოდ XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი.

ყურადღებით ეცნობოდნენ მოსკოველი ქართველები მსოფლიო გეოგრაფიას, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებს, უცხო ქვეყნებს, ქალაქებს, ხალხებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას, მეურნეობას...

ეს ინტერესი სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობის“ წიგნით დაიწყო და შემდეგ არასოდეს შენელებულა.

კვლავ გაცხოველდა ამგვარი ინტერესი მსოფლიო ისტორიისა და გეოგრაფიის მიმართ მოსკოვის ქართულ კოლონიაში.

„მსოფლიო ისტორიებით“ დაინტერესება-გატაცება ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგნაირად აქვს ახსნილი: „ესრეთნი მატიანენნი ნაკლულევანნი არიან“ და „სმენითაცა ძნიადნი“.

ვახუშტის ამით იმის თქმა სურდა, რომ ქართულ ენაზე „მსოფლიო ისტორიების“ თარგმანები ადრეც არსებობდა, მაგრამ მცირე რაოდენობით („ესრეთნი მატიანენნი ნაკლულევანნი არიან“). ამიტომ ისინი იშვიათად იყვნენ ხელმისაწვდომნი („სმენითაცა ძნიადნი“).

მართლაც, ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქართველებმა თარგმნეს იოსებ ფლაბიოსის საისტორიო თხზულება. საფიქრებელია, „მსოფლიო ისტორიის“ ტიპის ნაწარმოები ეთარგმნათ „სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობის პერიოდ-

შიც (ლათინურიდან ან იტალიურიდან, კათოლიკე პატრების დახმარებით ან მონანილეობით). ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილია, რომ „სწავლული კაცები“ იყენებდნენ ბერძნული, სომხური, სპარსული (და, შესაძლებელია, აგრეთვე ოსმალური) საისტორიო თხზულებების ცნობებს XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღდგენის მიზნით.

აღმოსავლურ საისტორიო წყაროთა შორის კი არაერთი იყო „მსოფლიო ისტორიის“ ტიპის ნაწარმოები. ეს უნარი აღმოსავლეთში გამოკვეთილ სახეს იღებს IX-X საუკუნეებში და შემდეგ, საერთოდ, დამახასიათებელი ხდება აღმოსავლური ისტორიოგრაფიისათვის. როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური წარმოშობის „მსოფლიო ისტორიის“ თხრობა ქვეყნის შექმნიდან იწყებოდა და ავტორის დრომდე გრძელდებოდა.

ფეოდალური ხანის ქართველი ისტორიკოსები, საერთოდ, კარგად იცნობდნენ ბერძნულ, სომხურ და აღმოსავლურ საისტორიო მწერლობას. იცნობდნენ აგრეთვე ანტიკური ხანის (ბერძნულ, რომაულ) ისტორიოგრაფიას. XVII-XVIII საუკუნემდე კი მათთვის თითქმის სრულიად უცხო და უცნობი იყო ევროპული საისტორიო ნაწარმოებები.

ამ ხარვეზის შევსების ცდა დაკავშირებულია ვახტანგ VI-ის თაოსნობასთან. საზოგადოდ, მან და მისმა თანამშრომლებმა ყურადღება გაამახვილეს დასავლური (ბერძნული, ლათინური, ევროპული...) საისტორიო მწერლობის მიმართ.

1733 წელს, მოსკოვში ვახტანგ მეფის ბრძანებით, პაპუა თუმანიშვილმა დაასრულა კვინტოს კორციოსის „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების“ თარგმანის გადანერა.

ამ თარგმანის მიძღვნაში ვკითხულობთ: „ქალაქსა დიდსა სახელმწიფოისა, დიდსა მოსკოვსა ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა ვახტანგისათა ხელითა თუმანიშვილის პაპუასითა აღინერა და დასრულდა წიგნი: კვინტოს კორციოსისა „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება“.

1740 წელს ვახუშტი ბაგრატიონმა რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ვილჰელმ სტრატემანის „საპოლიტიკო თეატრი“.

ოსნაბრუკის ეპისკოპოსის ვილჰელმ სტრატემანის ეს საისტორიო ნაწარმოები რუსულად გამოქვეყნდა 1724 წელს რუსი მთარგმნელის გაბრიელ ბუჟინსკის წინასიტყვაობით.

„მსოფლიო ისტორიებს“ ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ჩანს, ეცნობოდა რუსული თარგმანების საშუალებით. კარგად იცნობდა იგი და იყენებდა კიდევ ცეზარ ბარონიუსის „საეკლესიო ანალებს“. კარდინალ ცეზარ ბარონიუსის „საეკლესიო ანალები“ დაწერილი იყო 12 ტომად. პოლონელმა სკარგამ (ვახუშტი მას სკარლას უწოდებს) ეს უზარმაზარი საისტორიო თხზულება ორ ტომად გადააკეთა. სწორედ ამ ორი ტომის რუსული თარგმანით სარგებლობდა ქართველი ისტორიკოსი. მას გამოყენებული აქვს აგრეთვე რუსული მათიანეები, ინოკენტ გიზელის „სინოპსისი“, პოლონური მათიანე („პოლშის მათიანე“), ინგლისელი ისტორიკოსის რიკოტის „ოსმალეთის ისტორია“ და სხვ. ამით მან ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიტანა ისეთი მასალები და გამოკვლევები, რომელიც მანამდე თითქმის სრულიად უცხო და უცნობი იყო.

თვითონ ვახუშტი ბაგრატიონი ამის გამო შენიშნავს: „არა დაუტევეთ ხრონოლრაფნი ბერძნისა, არა თუ ერთისა ვირწმუნენით, არამედ სხვადათასხვათა შემონმებთა. აგრეთვე განყრილობის შემდგომად რომაულთა კეისართაგან, მეფეთა ევროპელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიხთათა. გამოვიპოვეთ და შემონმებულად ვქმენით, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მათიანეთა და ქორონიკონებთა“.

ვახუშტის მხედველობაში აქვს რომაული, ბერძნულ-ბიზანტიური, ევროპული, ოსმალური და სპარსული საისტორიო წყაროების თუ თხზულებების ის ცნობები, რომელნიც ემონებოდნენ ქართულ მათიანებსა და ქორონიკონებს.

ასე უდარებდა ქართველი ისტორიკოსი მსოფლიო (დასავლეთის და აღმოსავლეთის) ქვეყნების ისტორიის ფაქტებს საკუთრივ საქართველოს ისტორიის ფაქტებსა და მოვლენებს.

უცხოური „ისტორიების“ რუსულიდან ქართულად თარგმნა შემდეგაც გრძელდებოდა. რუსულიდანაა ქართულად გადმოთარგნილი „დარღვევა იერუსალიმისა ტიტესაგან“ და „ალება კონსტანტინეპოლისა თურქთაგან“. ამ თხზულებათა მთარგმნელად ზოგი მოსკოვში ბატონიშვილებთან გაზრდილ სარიდან ჩოლოყაშვილს თვლის (ფენელონის „თელემაკის“ მთარგმნელს), ზოგი ანტონ კათალიკოსის მხლებელს რუსეთში ბერს პორფირე ბაგრატიონს.

„მსოფლიო ისტორიების“ ქართულად თარგმნის ტრადიცია გაგრძელდა XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. იგივე უნდა ვთქვათ გეოგრაფიული ხასიათის მასალებზე და თხზულებებზე.

ვახტანგ VI-მ და მისმა თანამშრომლებმა „მსოფლიო ისტორიებთან“ ერთად თარგმნეს ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული ნაწარმოებებიც.

1737 წელს გაბრიელ გელოვანმა დაასრულა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი. ესაა „География или краткое земного круга описание“. ქართული თარგმანის სრული სახელწოდებაა: „ლეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგურგელისათვის აღწერა“. პირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო ან მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანის მიერ წელსა ჩღღზ (1737 წელს), სამეფოსა ქალაქს მოსკოვს“.

გაბრიელ გელოვანმა თარგმანს დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელშიც მოტანილია ავტობიოგრაფიული ცნობები; აღწერილია ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლების ამბები და სხვ. ნაშრომს თან ერთვის აგრეთვე გეოგრაფიული განედებისა და გრძედების ნუსხები.

გეოგრაფიისადმი ინტერესი არც შემდეგ შენელებულა.

XVIII საუკუნის ბოლოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო შეადგინა ზაალ ანდრონიკაშვილმა. დელაპორტის მოგზაურობის თარგმანი შეასრულა იოანე ქართველიშვილმა. ზოგადი სახის გეოგრაფიული სახელმძღვანელო თარგმნილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონსაც.

1752 წელს მან რუსულიდან თარგმნა: „მოკლეთ ქცეულების ლეოღრაფია გამოცხადებული და გამოცემული რუსულ ენასა ზედა (ან ქართულს ენასა ზედა) არა დიდის ატლასისა მიერთურთ, განწყობილი გასახმარებისათვის ღიმნაზიის იმპერატრულის აკადემიისათვის, სანქთ-პეტერბურგსა შინა 1745 წელსა, ხოლო ქართულსა ენასა ზედა 1752, აგვისტოს 25“.

ტექსტთან ერთად გადათარგმნილია 27 რუკა.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტიმ მსოფლიო გეოგრაფიის ამ სახელმძღვანელოს თარგმანი შეავსო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, ოსმალეთის და სპარსეთის აღწერილობებით, რაც მისი ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია და არ შეიძლება არ მიიქციოს მკვლევართა ყურადღება.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე თბილისში დაწყებული ისტორიული და გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებანი წარმატებით გაგრძელდა მოსკოვშიც XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში.

აქ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ვახტანგ VI, მისი ვაჟიშვილები ბაქარ და ვახუშტი ბაგრატიონები, სულხან-საბა ორბელიანის ძმები ნიკოლოზი, დიმი-

ტრი და ზოსიმე, თომა ბარათაშვილი, მამუკა გურამიშვილი, ფავლენიშვილი (ისტორიული პოემა „ვახტანგის“ ავტორი), გაბრიელ გელოვანი, პაპუა თუმანიშვილი, შიოშა ჯავახიშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი და სხვ. მაგრამ არავის ისე ინტენსიურად და ნაყოფიერად არ უმუშავია, როგორც ვახუშტი ბაგრატიონს.

არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ვახუშტიმ თავისი ცხოვრება ძირითადად მოსკოვში გაატარა და იქვე გარდაიცვალა. მისი მუშაობის სხვადასხვა პერიოდი დაკავშირებული იყო აგრეთვე ყაზანთან (ყაზანშია დახაზული მისი ადრინდელი რუკები) და პეტერბურგთან.

სანქტ-პეტერბურგში ვახუშტის ცხოვრებასა და მუშაობას ადასტურებს სტრატემანის თხზულების თარგმანისათვის დართული მინაწერის შინაარსი. იქ თარგმანზე მუშაობისა და გადანერის გამო ნათქვამია: „რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა გარდმოინერა სანქტპეტერბურლსავე წელსა ქრისტესა 1740“.

პეტერბურგში უფრო ხშირად მისი ძმა ბაქარი იმყოფებოდა. სხვათა შორის, მან პეტერბურგში ვახუშტის რუკები წაიღო და გამოჩენილ ფრანგ გეოდეზისტსა და გეოგრაფს ჟოზეფ დე-ლილს უჩვენა.

ჟოზეფ დე-ლილი ალტაცებაში მოიყვანა „ქართველი პრინცის“ კარტოგრაფიულმა სამუშაოებმა. პირველი ცნობებიც ამ რუკების შესახებ სწორედ მან გამოაქვეყნა. ასე გაიკაფა გზა ვახუშტი ბაგრატიონმა დასავლეთ ევროპის მეცნიერული საზოგადოებრიობისაკენ და მისი ყურადღება მიიპყრო.

ვახუშტი დაულაღავედ მუშაობდა მოსკოვში, პრესნაზე.

მის თვალსაწიერში იყო ახალი წიგნები, ახალი გამოკვლევები, ახლად მოპოვებული ხელნაწერები. ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოებს, წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს და ეწეოდა ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას.

ვახუშტი ბაგრატიონი იყო: მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, გეოგრაფ-კარტოგრაფი, ტექსტოლოგი, კომენტატორი, რედაქტორ-კორექტორი, ისტორიკოსი.

განცვიფრებას იწვევს, მაგალითად, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა, რომელიც უშუალოდ და ორგანულად იყო დაკავშირებული მის მეცნიერულ ინტერესებთან.

მის მიერ სხვადასხვა დროს გადათარგმნილია სრულიად სხვადასხვა იდეებისა და შეხედულებების ავტორთა თხზულებები, მაგრამ იგი ყველგან მხოლოდ ერთ რამეს ეძებდა: საქართველოს ისტორიასთან, მის კულტურასთან,

ისტორიულ ყოფა-ცხოვრებასთან და რელიგიასთან დაკავშირებულ ცნობებს. სხვადასხვა თხზულებებიდან გამოჰქონდა და ამონიშნა ამ ცნობებს, რათა ეჩვენებინა მათი ურთიერთობა და თანხმობა ქართულ მატრიანეებთან და ქორონიკონებთან („რომელნი მონმოხენ ჩვენთა მატრიანეთა და ქორონიკონებთან“).

ამგვარივე ცნობები გამოყენებული იყო საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღების აღსადგენად. არავის, არც ძველად და არც შემდეგ, იმდენი ყურადღება არ მიუქცევია საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისათვის, რამდენიც მიაქცია მას ვახუშტი ბაგრატიონმა.

მან პირველმა გამოიძია, დაადგინა და დაამკვიდრა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის არაერთი თარიღი. სამისოდ წინასწარ შეამოწმა აღმოსავლურ და დასავლურ წყაროებში მოპოვებული მასალები. უაღრესად საყურადღებოა, რომ დათარიღებისას იგი ხშირად ერთი ან ორი წლით უშვებდა შეცდომას.

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტისეული საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია არც სრულია და არც უნაკლო, იმ დროის კვალობაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამასთან თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამგვარი ხასიათის კვლევა-ძიება ახლაც არაა თავმოხმული, კიდევ უფრო გასაგები გახდება ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგიურ ძიებათა მნიშვნელობა.

მანვე პირველმა ყურადღება მიაქცია საქართველოს ისტორიის ისეთ საკითხებს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მკრთალად იყო წარმოდგენილი, ან სავსებით იგნორირებული გახლდათ.

ვახუშტი ფიქრობდა და დარწმუნებული იყო, რომ ძველი „საქართველოს ცხოვრება“ სამოქალაქო ისტორიას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე საეკლესიო ისტორიას. ამ ხარვეზის შევსებას იგი თავის ერთ-ერთ მოვალეობად თვლიდა. ამით აიხსნება მისი დაინტერესება საეკლესიო ისტორიის საკითხებით. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება უშუალოდ უკავშირდებოდა ქართველთა მოქცევის, საქართველოში ქრისტიანობის შემოღებისა და გავრცელების საკითხებს. სწორედ ამ მიზნით იგი გულმოდგინედ სწავლობდა უცხოურ საეკლესიო მწერლობას, თარგმნიდა ამ მწერლობის ნიმუშებს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ვახუშტი უპირატესად ისეთ თხზულებებს თარგმნიდა, რომელთა ავტორები რელიგიურ პაექრობასა და პოლემიკას იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების დასასაბუთებლად.

ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნებოდა სტეფანე იავორსკის „სასწაული ანტიქრისტეს მოსულისა“ და „კლდე სარწმუნოებისა“. სტეფანე იავორსკის თხზულების თარგმნა ვახუშტიმ დაასრულა 1749 წელს. ეს ერთადერთი რუსული ორიგინალური ნაწარმოებია, რომელიც ვახუშტიმ ქართულად თარგმნა. ყველა დანარჩენი თარგმანი დასავლეთ ევროპული წარმოშობისა იყო: ვილჰელმ სტრატიმანის „საპოლიტიკო თეატრი (ხელნაწერთ სხვადასხვა სათაური აქვს: „თეატრი ანუ ასპარეზი მათიანული“, „თეატროსი“, „თეატრონი“...); ვარენიუს ბერნჰარდის „საზოგადო გეოგრაფია“, „სამეწიფიანი ლექსიკონი“ და სხვ.

დღემდე დადგენილი და გამორკვეული არაა, რატომ დაინტერესდა ქართველი მთარგმნელი პეტრე I-ის პოლიტიკისა და რეფორმების მონინალმდევრე სტეფანე იავორსკის თხზულებით და ისიც 1749 წელს, როცა ამ რეაქციონერი მოღვაწის ცხარე პოლემიკას „ანტიქრისტესთან“ გაიგივებულ პეტრე I-ის წინააღმდეგ უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

შესაძლებელია ქართველ მეცნიერს ხიბლავდა ავტორის უეჭველი ერუდიცია (განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიის საკითხებში), განათლება, მიზანსწრაფვა, პოლემიკური შემართება. პოლემიკური და კრიტიკული მსჯელობა-დასაბუთება ვახუშტი ბაგრატიონის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეთაგანი იყო. ყოველ შემთხვევაში, სავსებით ამკარაა, რომ „საეკლესიო ისტორიებით“ სარგებლობისას იგი მნიშვნელობას არ ანიჭებდა მათი ავტორების კონფესიულ და პოლიტიკურ შეხედულებებს. სტეფანე იავორსკი ძველი ყაიდის მართლმადიდებელი იყო (ბერძნულ-სლავური კულტურის დამცველი), ცეზარ ბარონიუსი კათოლიკე, ხოლო ვილჰელმ სტრატიმანი პროტესტანტი.

ამგვარივე დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ უცხოური საეკლესიო მწერლობის წარმომადგენლების მიმართ სხვა ქართველი მთარგმნელებიც.

აღსანიშნავია, რომ ქართულად გადაითარგმნა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი სტეფანე იავორსკის და თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულებები.

პეტრე I-ის წრის მოღვაწის და სტეფანე იავორსკის მონინალმდევრის თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულება ქართულად გადაითარგმნა 1775 წელს.

ქართველი მოღვაწენი კონფესიურ მოსაზრებებზე მალლა ცოდნის ინტერესებს აყენებდნენ.

ამგვარ შეხედულებას დაუფარავად გამოთქვამდა ვახუშტი ბაგრატიონი.

მას კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო პროტესტანტი მწერლის თხზულების ქართულად თარგმნის კონფესიური თვალსაზრისით დასაბუთება.

საამისო მოსაზრებანი და მტკიცებანი მოტანილია თარგმანისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში, რომელიც, სხვათა შორის, ერთდროულად შეიცავს მეტად საინტერესო ბიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული ხასიათის ცნობებს.

სტრატეგმანის თხზულების ქართულ თარგმანთან დაკავშირებით ვახუშტი აღნიშნავდა: „ვიმეცადუნე გარდმოლებასა რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა, რათა არა საკდემელ ვიქმნეთ, რომელ არა სხვისა სარწმუნოებისა (რომელ წინააღმდეგ და საძულველ არს თემისა ჩვენისა) და შრომა ჩვენი საგმობელათ იქმნეს, გარნა ზემორ თქმულნივე იგი მოიხსენენ, და მით საჯე გონიერად და ნუ თვალალებით“.

ასე მიმართავდა თავის მკითხველს მთარგმნელი და წინასწარ გამორიცხავდა პროტესტანტი მწერლის თხზულების ქართული თარგმანის „თვალალებით“ შეფასებას.

უცხოურ ნაწარმოებთა და მათ შესაძლებელ გავლენათა „თვალალებით“ შემფასებელი ქართველთა შორის არაერთი იყო.

რეაქციონურად განწყობილი ქართველი ფეოდალები და კლერიკალური წრეები „თვალალებით“ აფასებდნენ ყოველ ისეთ მოვლენას, რომელიც, მათი აზრით, მართლმადიდებლობას ასუსტებდა. მათ არ მოსწონდათ ახალგაზრდა ქართველების უცხოური წიგნებით გატაცება. „თვალალებით“ აფასებდნენ ისინი კერძოდ ქართულ ინტელიგენტურ წრეებში ფეხმოდგმულ ვოლტერიანობას, რომელსაც ერთ ხანს თვით ეკატერინე II თანაუგრძნობდა. მათთვის მიუღებელი იყო ვოლტერიანობის რუსული რედაქცია (ალექსანდრე ამილახვარი) და, განსაკუთრებით, ფრანგული ვოლტერიანობის უშუალო გავლენა (დავით ბატონიშვილი).

ქართულ ვოლტერიანობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თავისუფალმა დამოკიდებულებამ სხვადასხვა სარწმუნოების ავტორთა თხზულებებისადმი და ამ თხზულებათა ქართულად თარგმნამ.

უკვე ვახუშტის დროს საკმაოდ ძლიერი იყო ქართველ რეაქციონერ ფეოდალთა ის ტენდენცია, რომელიც ყოველგვარ უცხოურ ნაწარმოებს კონფესიური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით აფასებდა.

ვახუშტიც ანგარიშს უწევდა იმას, რომ „სხვისა სარწმუნოებისა მწერლისა“ ნაწარმოები „წინააღმდეგი და საძულველი“ იყო ქართველთათვის („თემისა ჩვენისა“), მაგრამ, ამავე დროს, მისაღებიც – „მატიანულის ცოდნისათვის“.

„მატიანული ცოდნა“ მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტების ცოდნას ნიშნავდა და გულისხმობდა.

„მატიანულის ცოდნა“ ქართველი ისტორიკოსის და მთარგმნელის მთავარი არგუმენტი იყო კონფესიურ მოსაზრებათა გასაბათილებლად, რადგან იგი თარგმნიდა ისეთ „მატიანეს“, რომელიც შემცველი იყო „სამღვდელო-სა წერილისა და სამოქალაქუროსი“, იწყებოდა „სოფლის დასაბამისაგან“ და გრძელდებოდა 1680 წლამდე. მით უმეტეს, რომ, როგორც თვითონ ავტორი შენიშნავდა, „ესრეთნი მათიანენნი ჩვენსა ქართულსა ენასა ნაკლულევან იყვნენ“ და „არა თუ ნაკლულევანნი, არამედ სმენითაცა ძნიადნი“. მართლაც, სტრატეგმანის „თეატრო ანუ ასპარეზი მათიანული“ წარმოადგენდა მსოფლიო ისტორიას, რომელშიც მოთხრობილი იყო „ყოველთა მეფეთა, იმპერატორთა, პაპთა რომაელთა და კაცთა დიდებულთა“ თავგადასავალი.

როგორც ჩანს, „მატიანელის ცოდნით“ იყო ნაკარნახევი სტიფანე იავორსკის თხზულების ვახუშტისეული თარგმანიც.

ამგვარი თარგმანებით ამდიდრებდა ვახუშტი ბაგრატიონი ქართველი მკითხველის ისტორიულ თვალსაწიერს და აფართოებდა მის გეოგრაფიულ პორიზონტს.

მთავარი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის იყო, რომ „მსოფლიო ისტორიებით“ სარგებლობისას საქართველოს ისტორიის ფაქტებს და მოვლენებს ვახუშტი ორგანულად უკავშირებდა მსოფლიო ისტორიის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტებსა და მოვლენებს.

ვახუშტის წინასიტყვაობათა პოლემიკური ტონი სხვა თვალსაზრისითაც არის საინტერესო და საყურადღებო.

მათი შინაარსის ცალკეული დეტალები გვირკვევს მის დამოკიდებულებას ქართული საზოგადოების იმ წრისადმი, რომელიც მისდამი მტრულად იყო განწყობილი და, ალბათ, არ აყოვნებდა გაეხსენებინა მისთვის მისი მდაბალი სოციალური წარმოშობა დედის მხრივ.

სტრატეგმანის თხზულების თარგმანის ქართულ წინასიტყვაობაში ვახუშტი წერდა: „ვინათგან დავშვერ და ვიყავ წერასა შინა ამისსა მრავალტანჯულ თვისთაგან, აღვირჩიე ესევე, რამეთუ უქმობა წინააღმდეგომ არს წმინდისა პავლესა. ვითარცა განმადგეს და მომიძულეს ცუდად, მშრომელი მეფის შვილი ვახუშტი“.

ეს სიტყვები შეეძლო დაენერა მხოლოდ თანამემამულეთა ინტრიგებით თავმოებზრებულ და გულნატკენ მწერალს. ამავე დროს იმასაც ვგებულობთ, რომ სულიერ სიმშვიდეს და თავდავინყებას ვახუშტი მეცნიერულ მუშაობაში ეძებდა და პოულობდა, რათა ბოროტ ენებს არ აჰყოლოდა და უქმად არ გაეტარებინა ემიგრანტისათვის ისედაც მოსაწყენი დღენი („დავშვერ და ვიყავ წერასა შინა ამისსა... აღვირჩიე ესევე... რამეთუ უქმობა წინააღმდეგომ არს წმიდისა პავლესა“).

ვახუშტისეული ხელრთვის შინაარსი „მეფის შვილი ვახუშტი“, რომელიც სისტემატურად მეორდება მის ნაწერებშიც და თხოვნა-„ჩალაპიტნებშიც“ შემთხვევით არ უნდა იყოს ხაზგასმული. თავისი მტრების ქირდვას და აღმაცერად ყურებას, ჩანს, ისტორიკოსი იმით პასუხობდა, რომ ხაზგასმით აღნიშნავდა თავის მეფურ წარმოშობასაც და იმასაც, რომ იგი საქართველოშიც და ემიგრაციაშიც უფლისწულის ყველა უფლებით სარგებლობდა.

მთარგმნელობით მუშაობასთან ერთად ვახუშტი ბაგრატიონი რედაქტორის მოვალეობასაც ასრულებდა. მისი ბოლოსიტყვაობა დართული აქვს არჩილისეულ „ბიბლიას“, რომელიც მოსკოვში ბაქარ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა.

ვახუშტის უშუალო მონაწილეობით და თანამშრომლობით შედგა რუსულ-ქართული ლექსიკონი. ამას გარდა, მის თარგმანებს, როგორც წესი, დართული აქვს ლექსიკოლოგიური შტუდიები: უცხო სიტყვების და მეცნიერული ტერმინოლოგიის განმარტებანი.

ვახუშტი ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა.

მას მიაწერენ „ვისრამიანის“ გალექსვას.

დაინტერესებული იყო იგი ფილოსოფიითაც.

1738 წელს მან ზურაბ შანშოვანთან ერთად თარგმნა „პერიარმენიის წიგნის“, არისტოტელთან დაკავშირებული ფილოსოფიური ნაწარმოების, მესამე და მეოთხე ნაწილი.

თარგმანისათვის დართული ზურაბ შანშოვანის ანდერძი გვაუწყებს, რომ მას სომხურიდან უთარგმნია „ათნი ქვეთქმულობა არისტოტელისა დიდისა ფილასოფისასა“ ვახუშტის მონაწილეობით. („შრომითა მწერლისა ამის ვახუშტისათა“).

საერთოდ, ამგვარი კოლექტიური მუშაობა და თანამშრომლობა XVIII საუკუნის ქართველ კულტურულ მოღვაწეთა ერთი დამახასიათებელი მხარეთაგანი იყო.

კოლექტიური მუშაობა-თანამშრომლობის თავისმომბმელი ვახტანგ VI იყო. საკმარისია გავიხსენოთ „სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობა ანდა ვახტანგ მეფისა და სულხან-საბა ორბელიანის ნაყოფიერი ლიტერატურული და მეცნიერული თანამშრომლობა.

ქართული ლექსიკონის „გაჩაღხვის“ საქმესაც მარტო ავტორი არ უვლიდა. მისი შევსება-დასრულებით დაინტერესებული იყო იმდროინდელი თითქმის ყველა თვალსჩინო მოღვაწე. სულხან-საბას გარდაცვალების შემდეგ მის ლექსიკონს თავგადადებული „პატრონობა“ გაუწიეს მისმავე ძმებმა ნიკოლოზმა და ზოსიმემ.

კოლექტიური მუშაობა-თანამშრომლობა დამახასიათებელი იყო ვახუშტი ბაგრატიონისთვისაც. მან გიორგი ლამბარაშვილთან ერთად შეადგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1838 წელს შეიძინა და 1846 წელს ფართო მეცნიერულ საზოგადოებრიობას გააცნო.

„პერიარმენიის წიგნისათვის“ დართულ ზურაბ შანშოვანის ანდერძიდან ვგებულობთ, თუ როგორ მუშაობდა ის თარგმანზე ვახუშტისთან ერთად, როდის დაიწყო და დაასრულეს მათ ეს თარგმანი. ანდერძში ნათქვამია: „შევასრულეთ ორთავე (ზურაბ შანშოვანმა და ვახუშტი ბაგრატიონმა, - ვ. გ.), ქრისტეს შობის მარხვასა შინა წელსა ქრისტეს აქათ 1738: ნოემბერს თხუთმეტს მოვეყვით დეკემბერს ოცდა ორს აღსრულდა ძალითა ღვთისათა და შეწვენითა მისითავე“. ამრიგად, თარგმნა მათ 1738 წლის 15 ნოემბერს დაუწყიათ და იმავე წლის 22 დეკემბერს დაუსრულებიათ.

არანაკლებ საინტერესო ცნობებს გვანვდის თვითონ ვახუშტის ანდერძი, რომელსაც ეწოდება „მოსაგონარი მწერლისა“. ირკვევა: ზურაბ შანშოვანი სომხურ ტექსტს ზეპირად თარგმნიდა, ხოლო ვახუშტი წერდა და აქართულებდა. აღნიშნული გარემოება აბათილებს მტკიცებას ვახუშტის მიერ სომხურ ენის ზედმიწევნით ცოდნის შესახებ.

თანამთარგმნელების ანდერძთა შინაარსი სხვა მხრივაც იქცევს ჩვენს ყურადღებას. მათი მრავალი დეტალი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ლიტერატურული ეთიკის, ტექსტზე მუშაობის, შესრულებული სამუშაოს მდგომარეობით გამოწვეული კმაყოფილება-უკმაყოფილების, თარგმანის მიზან-დანიშნულებისა და მწერლის ლიტერატურულ-მეცნიერული ინტერესების შესახებ.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მთლიანად მოვიტანოთ ვახუშტის ანდერძი:

„მოსაგონარი მწერლისა:

პირველად მეფის ვახტანგის ნებითა და ბრძანებითა. ამის მოსახსენებელს შინა მოხსენებულს ზურაბს ეთარგმნა სომხურისაგან პორფირი ამტრახანს: შემდგომად მოსკოვს ქენებითა განვასწორებინე იგივე პორფირი: ხოლო ვიხილე რა ათნი იგი არისტოტელისა შესმენილებანი ვით არა იყო ქართულად. მომსურდა და ვითხოვე მისგან რათა ნადილი ჩემი სრულ ყოფილიყო: ვათარგმნინე ხოლო ვით იგი მეტყოდა მე ვსწერდ. ვემწოდი მცირედრე ქართულისა ენითა ვითარცა იტყვის თვითვე: შემდგომად ბერი არმენია დიდითა ქენებითა: გარნა მსურდაცა სულთა წიგნი მისივე არისტოტელისა. არამედ არა ინება ვითარცა ჩვეულება არს ნათესავთა ჩვენ ქართველთა უკუნთქმულობად: ვიეთთა ენითა მიერ: და კვალად მცირე ესე ღრამატიკა რომელი თავსა ამავე წიგნისასა წერილ არს. ბრძანებითა მისივე მეფისათა ჰყოფდა. შემდგომად უარჰყო ქმნა მისი ვით ნაკლულეულ არს სვინტაქსი. მე ვიეთისგანმე ვიჭელთე უცნობელობითა მისითა. რამეთუ არა ენება მას ამისი უსრულ მოცემა: არამედ უკუთუ უსრულ არს გარნა გზა რამე იხილვების მისგან. მე მისვე ნათქვამობით მისსავე თარგმნულთა თანა დავსწერე: ეგრეთვე ღმერთსა ზედა თქმული ათნი ქუჭ თქმულებანი მისგანვე თქმული აქ ბოლოდ აღვსწერე: სხვათა რომელი მოვიხსენე ვერღარა მივსწვდი მიზეზითა მით: ვინც შეემთხუტ კითხუად ბოდიში ზემორე მოვიხსენეთ ნუ გვეკიცხავთ. არამედ შენდობით მოგვიხსენეთ მშრომელთა ამის ორთა: რამეთუ დავჰუწრ ვითარცა ტრფიად ვარ ესრეთთა და სხვათაცა: ფრიად მომსურნე მომსწრაფეთ მის მეფისავე შვილი ვახუშტი: გევედრებით უკეთუ შეცთომილი ჰპოოთ წერითა რომელ თვით აღვსწერე ნუ მწყევთა“.

ვახუშტის ამ ანდერძში იმდროინდელი მწერალთა მუშაობის არაერთი მხარეა აღნიშნული. მთავარი კი ისაა, რომ ვეცნობით XVIII საუკუნის გამომჩენილი ქართველი მეცნიერის სხვადასხვა საკითხებისადმი დამოკიდებულებას, მის ინტერესებს, ხელნაწერზე მუშაობის წესებს, მისსავე რედაქტორული და სტილისტური ხასიათის შესწორებებსა და შენიშვნებს.

როგორც ჩანს, მეცნიერულ თანამშრომლობას აფერხებდა დადებული პირობის უარყოფა, დათქმული სიტყვის გადათქმა, რაც ვახუშტის, საერთოდ, ქართველთა დამახასიათებელ თვისებად მიაჩნდა, თუმცა ეს აზრი აშკარად მისი უკმაყოფილებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ სუბიექტურ აზრთან ერთად თანავტორის უარის საპატიო მიზეზიც არის დასახელებული.

დაუსრულებელ-დაუმთავრებელი ნაშრომის სხვისთვის ჩვენება-მიცემას ავტორი იმ დროსაც თურმე ერიდებოდა და უხერხულადაც თვლიდა. ამას ნიშნავს ზურაბ შანშოვანის გამო იმავე ანდერძში ნათქვამი: „რამეთუ არა ინება ამის უსრულ მოცემა“.

მაგრამ თანამშრომლობის პირობა ირღვეოდა ენების მიტან-მოტანითაც („ვიეთთა ენითა მიერ“). ამიტომ ზოგი რამ ვახუშტის თავისი კოლეგისგან სრულიად დამოუკიდებლად შეუსრულებია („მე ვიეთისგანმე ვიჯელთე უცნობილობითა მისითა“). მასვე შეძლებისდაგვარად შეუესია გრამატიკის ნაკლები ნაწილი და, საზოგადოდ, „უსრულის“ გასამართავად და აღსაწერად გარკვეული საშუალება მოუძებნია („გარნა გზა რამე იხილვების“). ზოგი რამ მაინც გასამართავი დარჩენილა („ვერლარა მივნედი მიზეზითა მით“), რის გამოც ვახუშტი მკითხველს ბოდიშს მოახსენებს. ბოლოში მაინც ორთავ თანამოღვანეთა შრომა ხაზგასმით არის აღნიშნული („არამედ შენდობით მოგვისხენეთ მშრომელთა ამით ორთა“). იქვე მისი შრომა-გარჯის მიზეზი ახსნილია „ესრეთთა და სხვათაცა“ საკითხთა „ტრფიალით“.

არ შეიძლება ყურადღებ არ მიიქციოს ვახუშტის ინტერესმა გრამატიკის მიმართ, რომლის გამოც მას ზოგი რამ თავისი კოლეგის „ნათქვამობით“ და მისსავე „თარგმნულთა“ მიხედვით დაუწერია.

ყველგან აშკარად ჩანს მისი დაუცხრომელი ძიება, ტექსტების გამართვა-გაუმჯობესების სურვილი და ნადილი, ქართულ ლიტერატურაში არსებული ხარვეზების შევსების სწრაფვა, მეცნიერების სხვადასხვა დარგებით დაინტერესება და გატაცება („ვითარცა ტრფიალ ვარ ესრეთთა და სხვათაცა“ და „ფრიად მომსურნე მომსწრაფეთ“).

„პერიარმენიის წიგნის“ მეორე თარგმანი შესრულებულია სომხურიდან ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოზ ნეკრესელის მიერ 1762 წელს.

საერთოდ, XVIII საუკუნეში ზოგიერთი ნაწარმოები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ რამდენჯერმე იყო ნათარგმნი.

ახალი თარგმანი უფრო სრული იყო და გამართულიც.

მაგრამ, როგორც ირკვევა, „პერიარმენიის წიგნით“ (მისი გრამატიკული და ფილოსოფიური ნაწილებით) პირველად ვახუშტი დაინტერესებულა. ჩანს, ლექსიკოლოგიურ შტუდიებთან ერთად მას გრამატიკის საკითხებიც იტაცებდა. ამასთან იგი ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც გრამატიკის შედგენას ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად თვლიდა.

ვახუშტი ბაგრატიონი მრავალმხრივი მოღვაწე და მეცნიერი იყო. მაგრამ მისი ყურადღების მთავარ საგნად მაინც ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიება რჩებოდა.

დიდ დროს უთმობდა იგი ისტორიული ტაბულების (გენეალოგიის, ქრონოლოგიის) გამართვა-შევსებას, ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს რუკების შედგენაზეც.

კარტოგრაფიულ სამუშაოებს ქართველი მეცნიერი-გეოგრაფოსი ასრულებდა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში და სულ უფრო და უფრო აუმჯობესებდა თავის რუკებსა და ტაბულებს.

ასეთ სამუშაოსაც იგი უშუალოდ და ორგანულად უკავშირებდა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას, საქართველოს ისტორიის ყოველმხრივ და, რაც მთავარია, ახლებურად გამართვას.

ვახუშტი ამის გამო შენიშნავს: „დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოს ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზიდნენ მცირედ და არა ჯეროვნად, და ჩვენ სრულიად წინ დავიდევით. გარნა ამისდა ჯერ იყო სამჭირნოდ, რათა აქუნდეს ლეოლრაფიისა აღწერისა დადება (რომელ არს ქვეყნის მხაზველობა), რომელიც აგიცა ვქმენით“.

ვახუშტი ამ თავის შენიშვნაში მეტად საგულისხმო ცნობებს გვანვდის. მისი მოწმობით საქართველოს „ქარტა ანუ რუკანი“ წინათაც კეთდებოდა, მაგრამ „ხაზიდნენ მცირედ და არა ჯეროვნად“.

მართლაც, საქართველოს რუკებს ადგენდნენ არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI... ამასთან, ისინი ძველთან ერთად იყენებდნენ ახალ კარტოგრაფიულ ხერხებს, მაგრამ ვახუშტი ბაგრატიონმა კარტოგრაფიაც და გეოგრაფიაც ქართულ სინამდვილეში სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

საკუთრივ საქართველოში მის მიერ შესრულებულ კარტოგრაფიულ ნამუშევრებს ჩვენამდე არ მოუღწევია. საერთოდ, ჩვენთვის უცნობია საქართველოს გეოგრაფიული აღწერისათვის შეგროვებული მასალები, მაგრამ ასეთი მასალების არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ძნელი წარმოსადგენია, ეს უზარმაზარი მასალა მესხიერების ნაყოფი ყოფილიყო, ამას გამორიცხავს თვითონ მასალის სიუხვეც და მისი კანონზომიერი განაწილებაც „საქართველოს ცხოვრების“ ტექსტში.

1735 წელს თავისი პირველი ატლასის წარწერაში ვახუშტი შენიშნავს: „მოხაზული ყოვლითავე მითია, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მეხილა; ანუ მნახველთაგან მესმა“.

ამრიგად, ვახუშტი აღწერდა იმას, რაც თვითონ მას პირადად ჰქონდა ნახაბი ანდა სხვა მნახველთაგან მოსმენილი.

ამით აიხსნება, რომ „საქართველოს სამეფოს აღწერაში“ ქართლი უფრო დეტალურად არის აღწერილი, ვიდრე საქართველოს ის ნაწილები, სადაც თვითონ არ იყო ნამყოფი ანდა ხანგრძლივი დაკვირვება-შესწავლის საშუალება არ ჰქონდა.

ჩვენამდე მოაღწია ვახუშტის მიერ შედგენილმა ორმა ატლასმა.

პირველი 1735 წელსაა შედგენილი, მეორე, უთარილო, დაახლოებით 1742-1744 წლებში.

არსებობს რუსულ ენაზე გამზადებული მესამე ატლასიც, რომელიც შესრულებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის დავალებით.

ვახუშტისეული ეს ატლასი უშუალოდ არის დაკავშირებული 1745 წლის რუსეთის გენერალური ატლასის გამოცემასთან.

თუ ვახუშტის ადრინდელი („ყაზანური“) რუკები დამყარებული იყო სპარსული მათემატიკისა და ასტრონომიის მონაცემებზე, გვიანდელი რუკები შედგენილია ევროპული კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის მეცნიერული მიღწევების მიხედვით.

საამისოდ გამოყენებულია, მაგალითად, ფრანგი გეოდეზისტის ლუი ფელიეს ნაშრომი.

ბევრი რამ მისცა ვახუშტი ბაგრატიონს როგორც კარტოგრაფსა და გეოგრაფს, ჟოზეფ დე-ლილთან ურთიერთობამაც.

ვახუშტის მიერ შესრულებული მთარგმნელობითი, ლექსიკოგრაფიული, რედაქტორული, კარტოგრაფიულ-გეოგრაფიული და ისტორიული ნაშრომების მიხედვით შეიძლება ვუჩვენოთ მისი ინტენსიური მუშაობა 1735-1755 წლების მანძილზე. ამასთან თითოეული ნაშრომისათვის მიწერილი თარიღების წყალობით დავადგინოთ, თუ რომელი წლის რომელ თვეში რომელი ნაშრომი დაასრულა.

ამ ნაშრომთაგან, რა თქმა უნდა, ერთი მთავართაგანია „საქართველოს ცხოვრება“ („საქართველოს ისტორია“), რომელსაც ავტორმა წერტილი 1745 წლის 20 ოქტომბერს დაუსვა.

„საქართველოს ცხოვრებაზე“ მუშაობა 1742-1745 წლებში მიმდინარეობდა, მაგრამ მის დაწერა-დასრულებას წინ უძღოდა 30 წლის ინტენსიური, სისტემატური და დაუღალავი მუშაობა.

შესრულებული ნაშრომების ტექსტებზე გამუდმებული მუშაობა ვახუშტი ბაგრატიონს პირდაპირ მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული.

იგი ხშირად უბრუნდებოდა როგორც თავის კარტოგრაფიულ სამუშაოებს, ისე „საქართველოს ცხოვრებას“, ავსებდა მათ ახალი ცნობებით და მასალებით, ხვეწდა და აშალავინებდა ტექსტებს, ამდიდრებდა ქრონოლოგიური და გენეალოგიური ხასიათის ცნობებით.

„საქართველოს ცხოვრების“ ტექსტზე ამგვარი მუშაობის კვალს შეიძლება თვალი გავადევნოთ 1752 წლამდე და ნიშნულად დავასახელოთ მისი გენეალოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულები, რომელშიც უკანასკნელი ცნობა (სპარსეთის ახალ მბრძანებლებთან დაკავშირებით) 1752 წელს არის შეტანილი.

ვახუშტი ბაგრატიონი არ იყო კარჩაკეტილი მეცნიერი.

მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუს მეცნიერებთან.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის მოღვაწეობის დროს დაიწერა „რუსეთის ისტორია“, რომელსაც უკვე წარხოცილი ჰქონდა მათიანისებური თხრობის კვალი და შეიცავდა როგორც ისტორიას, ისე გეოგრაფიულ აღწერას.

ამ თხზულების ავტორი იყო ტატიშჩევი, რომელსაც თანამედროვენი „რუსეთის ისტორიის მამას“ უწოდებდნენ.

ტატიშჩევის „რუსეთის ისტორია“ თავისი კომპოზიციური აღნაგობით და ისტორიის თხრობის თავისებურებებით სრულიად ახალი მოვლენა იყო XVIII საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში.

იცნობდა თუ არა ვახუშტი ბაგრატიონი ტატიშჩევის „რუსეთის ისტორიას“?

თუ ასეთ შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ უნდა დავუშვათ ისიც, რომ ქართველ ისტორიკოსს ხელთ უნდა ჰქონოდა რუსი ისტორიკოსის ხელნაწერი თხზულება, რადგან ის დაიბეჭდა მხოლოდ 1771 წელს მილერის რედაქტორობით.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ქართველი ისტორიკოსი იცნობდა თანამედროვე რუსი ისტორიკოსის შეხედულებებს, მის აზრს ისტორიის მეცნიერებაზე, ისტორიის მიზანსა და დანიშნულებაზე, ისტორიის თხრობისა და გეოგრაფიული აღწერის ურთიერთკავშირზე და სხვ.

ეს შეიძლება მომხდარიყო მეცნიერულ მოსაზრებათა და შეხედულებათა ურთიერთგაზიარების დროს, რადგან ტატიშჩევის ურთიერთობა ქართველ ბატონიშვილებთან დადგენილი ფაქტია.

ტატიშჩევი კარგად იცნობდა ბაქარ ბატონიშვილს, ვახუშტის ძმას. მათ ხშირად ჰქონდათ საუბარი ლიტერატურულ საკითხებზე. საუბრობდნენ მაქსიმე პატარელის თხზულების გამო და სხვ.

ცხადია, ასეთივე საუბრები უნდა გამართულიყო ქართველ და რუს ისტორიკოსს შორისაც.

არსებობს ამის დამამტკიცებელი ფაქტებიც.

ტატიშჩევის „რუსეთის ისტორიაში“ საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი „ქართლის ცხოვრება“, აღნიშნულია მისი ისტორიული ხასიათის ცნობების მნიშვნელობა, დასახელებულია ქართველ ტომთა ეთნარქები.

საამისო ცნობები ტატიშჩევის, ცხადია, მოსკოველი ქართველების წრეში უნდა მიეღო. მოსკოვის ქართული კოლონიის მოღვაწეთა შორის კი ყველაზე ინტენსიურად საქართველოს ისტორიის საკითხებზე სწორედ ვახუშტი ბაგრატიონი მუშაობდა.

ვახუშტის კარგად იცნობდნენ რუსეთის სამეცნიერო წრეებშიც და სამეცნიერო დაწესებულებებშიც.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიულ დეპარტამენტში რუსულად თარგმნეს ვახუშტის რუკები.

მისი კარტოგრაფიული ნაშრომები ცნობილი გახდა დასავლეთ ევროპაშიც.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს ევროპელი მეცნიერები მალალ შეფასებას აძლევდნენ ვახუშტის რუკებს, აღნიშნავდნენ მის უცილობელ მეცნიერულ ღირსებას.

1735 წლის 5 დეკემბერს ლაიფციგის გაზეთმა დაბეჭდა ცნობა „კავკასიის მთების შესანიშნავი რუკების შესახებ“, რომელიც შედგენილი იყო „თბილისელი პრინცის“ მიერ.

1737 წელს ჟოზეფ დე-ლილმა გადაიღო ვახუშტის რუკების ასლი და გრაფ დე-მორპესადმი გაგზავნილ წერლში აღნიშნა მათი განსაკუთრებული ღირსება.

ყოზეფ დე-ლილი, საერთოდ, მაღალი წარმოდგენისა იყო ქართველ კარტოგრაფთა ნამუშევრების შესახებ.

ფრანგი გეოდეზისტი და გეოგრაფოსი მიუთითებდა მთელი საქართველოს, სამეგრელოს და სომხეთის დიდი ნაწილის დეტალურ რუკებზე, რომლებიც შესრულებული იყო საქართველოს უკანასკნელი უფლისწულის ბრძანებით და დამყარებული იყო ქვეყნის ჩინებულად მცოდნე მრავალ ქართველთა ცნობებზე.

ვახუშტის რუკები დაედო საფუძვლად პრესკოტისა და კენიგსფელსის მიერ 1738 წელს დახაზულ ქართლის და კახეთის რუკებს.

ვახუშტისავე რუკების საფუძველზეა შედგენილი 1766 წელს ყოზეფ დე-ლილის მიერ პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული კავკასიის რუკა.

რა თქმა უნდა, უფრო ახლოს და კარგად ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერულ მუშაობას იცნობდნენ რუსი სწავლულები. კერძოდ, გამორიცხული არაა მისი ურთიერთობა გამოჩენილ რუს მეცნიერთან მიხეილ ლომონოსოვთან, რომელიც „რუსეთის ისტორიის“ ავტორიც იყო. მათი სახელები დაკავშირებულია მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებასთან.

ვახუშტი ბაგრატიონი გრაფ შუვალოვთან, ელისაბედ დედოფალთან და ლომონოსოვთან ერთად იხსენიება უნივერსიტეტის წევრ-დამფუძნებლებთან ერთად.

მოსკოვის უნივერსიტეტი დაარსდა 1755 წელს.

ეს იყო პირველი უნივერსიტეტი რუსეთში და მან მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა რუსული მეცნიერების განვითარების საქმეში.

მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი კურატორი იყო სიმონ ეგნატაშვილი.

უნივერსიტეტის საპატიო წევრად ითვლებოდა ლევან ზაქარიას ძე.

მოსკოვის უნივერსიტეტთან დაკავშირებული იყო გიორგი ბატონიშვილიც. მან უნივერსიტეტს შესწირა 10.000 მანეთი. ამ შეწირულების მნიშვნელობას (აღსაზრდელთა გულებში მადლობის გრძნობისა და განათლების ჩასანერგად) აღნიშნავდნენ თანამედროვენიც და მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის მკვლევარნიც.

ქართველთაგან საუნივერსიტეტო წრეებში, ცხადია, ყველაზე მეტად ვახუშტი ბაგრატიონი უნდა ყოფილიყო ცნობილი.

რუს მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორც აღვნიშნეთ, იგი ადრევე იყო დაკავშირებული.

ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს კი კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინა მისი მეცნიერული კონტაქტები.

მოსკოვის უნივერსიტეტში მარმარილოს დაფაზე ოქროს ვარაყით ამოძერწილი იყო ვახუშტის სახელი.

პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ თავი მოუყარა, მართალია, ნაგვიანვე, მაგრამ მეტად საინტერესო ცნობებს უნივერსიტეტის დაარსებაში ვახუშტი ბაგრატიონის მონაწილეობის თაობაზე.

1912 წელს „სახალხო გაზეთის“ მოსკოველი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ბიუსტი, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა, „უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დგას შესავალშივე, კედლის პირად“.

გაზეთ „თემის“ კორესპონდენტი იმავე 1912 წელს წერდა: „დღესაც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რამდენიმე მარმარილოს დაფებში, რომლებზედაც დაწერილია უნივერსიტეტის საკეთილდღეოთ მომუშავეთა სახელები, ვახუშტის დაფას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს“.

სხვა ცნობების მიხედვით „ერთი ასეთივე დაფა ყოფილა მიკრული 1917 წლამდე „ძველი უნივერსიტეტის“ ანატომიურ მუზეუმში (ნიკიტსკის კუთხე)“.

ვახუშტის სახელი ასეთ მარმარილოს დაფებზე ნანახი აქვთ მოსკოვის უნივერსიტეტის ძველ ქართველ სტუდენტებს: ჩიტო კაპანაძეს და ლადო ჯაფარიძეს, რომელნიც აქ სწავლობდნენ 1909-1914 წლებში.

ამასვე ადასტურებს აკად. ალ. ჯავახიშვილი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტად 1895 წელს ჩაირიცხა და დაამთავრა 1900 წელს.

ოქროსვარაყიან მარმარილოს დაფაზე ამოძერწილი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ოთხი „წევრ-დამფუძნებლის“ სახელი: იმპერატრიცა ელისაბედის, გრაფი შუვალოვის, მ. ლომონოსოვის და ვახუშტი ბაგრატიონის.

ამით რუსეთის საზოგადოებრიობა აღიარებდა ვახუშტის ღვაწლს მეცნიერების სარბიელზე, მისი მეცნიერული მუშაობის მნიშვნელობას და ავტორიტეტს.

იმდროინდელ რუსეთში ვახუშტი ბაგრატიონის მსგავსი მეცნიერი თითზე ჩამოითვლებოდა. მაგრამ უკვე წარმატებით მოღვაწეობდა ისეთი ბუმბერაზი, როგორიც ლომონოსოვი იყო.

ვახუშტი მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ დროს, როცა ცოდნის მაგიერ მეცნიერება მკვიდრდებოდა. ცოდნას მეცნიერება სცვლიდა საბუნების-მეტყველო და ჰუმანიტარულ დარგებშიც.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ-იდეოლოგიური იდეებით ვახუშტი ბაგრატიონი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ საზოგადოებასთან, მაგრამ მისთვის ცნობილი იყო ყველა ახალი მეცნიერული მიღწევა, ახალი იდეები, ნარმოდგენები და შეხედულებები.

მას ნათარგმნი ჰქონდა ანდა კარგად იცნობდა ყველა იმ თხზულებას, რომელთაც რუსეთში საფუძველი დაუდეს მეცნიერული ისტორიოგრაფიის და გეოგრაფიის განვითარებას.

ვახუშტი ბაგრატიონი ევროპული ყადის პირველი ქართველი მკვლევარი იყო.

მან ქართულ სამეცნიერო მეტყველებასა და ლიტერატურაში შემოიტანა ახალი ტერმინები და ცნებები, გაამდიდრა ევროპული მეცნიერული ტერმინოლოგიით.

მან პირველმა შემოიღო ისეთი ტერმინები, როგორცაა: ქრონოლოგია (ხრონოლოგია), გენეალოგია, ისტორიოგრაფია (ისტორიოღრაფია), ეტიმოლოგია, აკადემია (აკადიმია), პოლიტიკა (პოლეტიკა), ბიბლიოთეკა, კატალოგი, ტომი („თომი – ნაწილი ნიგნისა“), ტრაქტატი, ფიზიკა, ქიმია (ხიმია), მეტაფიზიკა, მათემატიკა, არითმეტიკა და სხვ.

ამ მეცნიერული ტერმინოლოგიით ვახუშტი ბაგრატიონი სრულიად ახალ ნიადაგზე აფუძნებდა ქართულ კულტურასა და მეცნიერებას.

ამიტომ იგი, სავსებით სამართლიანად ითვლება ქართული ისტორიული და გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად.

მისმა ინტენსიურმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ საქართველოსა და რუსეთში მყარი მეცნიერული ნიადაგი შეუშადა „საქართველოს ცხოვრების“ ანუ „საქართველოს ისტორიის“ შექმნას.

საქართველოს ცხოვრება

1745 წლის 20 ოქტომბერს მოსკოვში, პრესნაზე, ვახუშტი ბაგრატიონმა დაასრულა თავისი „საქართველოს ცხოვრება“.

მკითხველთა საყურადღებოდ ავტორი აღნიშნავდა: „სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტესაქეთსა ქორონიკონსა წლისასა 1745, ქართულსა 433 ოქტომბერსა 20, მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეუფოსა ქალაქსა, მოსკოვს პრესნას“.

„საქართველოს ცხოვრება“ ანუ „საქართველოს ისტორია“ წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის ყველაზე ორიგინალურს და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს.

ესაა „საქართველოს ისტორია“ უძველესი დროიდან ავტორის დრომდე.

ავტორს თავისი თხზულების წერა 1742 წელს დაუწყია და 1745 წელს დაუმთავრებია. ეს კარგად ჩანს შესავალში დამოწმებული ცნობის შინაარსიდან: „გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინლა წელნი სამნი მარადის წერითა, გამოძიებითა, მატიანებთა და ცხოვრებათა ძიებითა“.

მაგრამ წინასწარი სამუშაო მას დიდი ხნით ადრე უნდა შეესრულებინა. მისი ცნობა, როგორც ჩანს, გულისხმობს მხოლოდ თხზულების ლიტერატურულ გაფორმებას და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ქართული თუ უცხოური წყაროების ცნობების კრიტიკულად „გამოძიება-შემოწმებას“.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამის გამო შენიშნავდა: ვახუშტის „შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამი წლის განმავლობაში მოესწრო მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უეჭველია, მას თავისი თხზულებისათვის მასალები და საბუთები დიდის ხნიდგან მოყოლებული უნდა ეგროვებინა, იქნებ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო. თვით წყაროების ღირსება-ნაკლულევანება წინდანინვე გათვალისწინებული იქმნებოდა და ის სამი წელიწადი, რომელიც ჩვენს ისტორიკოსს აქვს დასახელებული, მის სამცენიერო კვლევა-ძიების უკანასკნელ ხანას ეკუთვნის, როდესაც იგი უკვე თავის ნამუშაკევის აღწერას შეუდგა“.

მართლაც, საქართველოს ისტორიის საკითხებით ვახუშტი ადრევე იყო დაინტერესებული.

მას მუდამ და ყოველთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუკების შედგენა საქართველოს ისტორიისათვის სჭირდებოდა.

მის მიერ შესრულებული რუკები წარმოადგენენ „საქართველოს ცხოვრების“ ანუ „საქართველოს ისტორიის“ შემადგენელ ნაწილს.

ჩვენამდე მოღწეულ რუკათა შორის ყველაზე ადრინდელი დათარიღებულია 1735 წლით.

მაშასადამე, ავტორი „საქართველოს ცხოვრებაზე“ მუშაობას 1735 წლამდე კარგა ხნით ადრე უნდა შესდგომოდა.

საამისოდ რომ იგი უკვე საქართველოში აგროვებდა საჭირო მასალებს და საბუთებს, ამას გვიდასტურებს ის, რომ წერილობით წყაროებთან ერთად იგი იმონებებს ნივთიერი კულტურის მასალებსაც, „ქუათა, ხატთა და ჯუართა“ ზედწერილებს, რომელთა ცნობების გათვალისწინება მას, რა თქმა უნდა, რუსეთში არ შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტიმ თავის ნაშრომს უწოდა არა „ისტორია“, არამედ „ცხოვრება“.

ამავე დროს, „ისტორიის“ მნიშვნელობით ხმარობს იგი „მატიანეს“.

ამით ვახუშტი ბაგრატიონი, უნდა ვიფიქროთ, ერთგვარ ხარკს უხდიდა ქართულ ისტორიოგრაფიულ ტერმინოლოგიას, ქართულ სინამდვილეში ტრადიციულად დამკვიდრებულ ტერმინებს: „მატიანეს“ და „ცხოვრებას“ და მათ ფართოდ გავრცელების ფაქტს თვით XVII-XVIII საუკუნეებში.

საისტორიო ნაწარმოების სათაურად „ისტორია“ უკვე XII საუკუნის საქართველოში იყო გამოყენებული („ისტორიანი და აზმანი“), მაგრამ მას არ გაუდევნია არც „ცხოვრება“, არც „ქრონიკა“ და არც „მატიანე“.

ვახტანგ VI-ის დროინდელი „სწავლული კაცები“ XIV-XVII საუკუნეების საქართველოს აღდგენილ ისტორიას განიხილავდნენ როგორც „ახალ ქართლის ცხოვრებას“.

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ტრადიციული „ცხოვრება“ არ შეუცვლია არც ვახუშტი ბაგრატიონს.

მაგრამ ნამდვილად მისი „საქართველოს ისტორია“ არც „ცხოვრება“ და არც, მით უმეტეს, „მატიანე“.

ვახუშტი ბაგრატიონის მონუმენტური „საქართველოს ისტორიის“ კომპოზიციური აღნაგობა არსებითად განსხვავდება როგორც მანამდე, ისე შემდეგ ქართულად დაწერილი საისტორიო თხზულებებისაგან.

აღსანიშნავია, ერთი თავისებურად მეტად საყურადღებო გარემოება:

XIX-XX საუკუნეებში ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება რამდენჯერმე გამოიცა, მაგრამ არასოდეს არ დაბეჭდილა ისე, როგორც ეს თვითონ ავტორს ჰქონდა დაწერილი.

ყოველთვის ცალ-ცალკე იბეჭდებოდა „საქართველოს გეოგრაფიული აღწერაც“ და „საქართველოს ისტორიაც“, მაშინ როდესაც თხზულების ორიგინალში „ისტორია“ უშუალოდ მისდევს „ქვეყნის აღწერას“.

„საქართველოს ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ვახუშტის მიერ შესრულებული ყველა ატლასი და რუკა.

მხოლოდ ამ დიდი ნაშრომის მთლიანად დაბეჭდვა შეგვიქმნიდა სრულს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად მონუმენტურია და გრანდიოზული XVIII საუკუნის შუა წლებში დაწერილი ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“.

აღსანიშნავია, რომ თხზულების ყველა ნაწილში თანაბრადაა დაცული და განხორციელებული იდეა ერთიანი, მთლიანი საქართველოს ისტორიისა. მხოლოდ ამ იდეის მკვეთრად წარმოჩენას მოსდევს საქართველოს ცალკეული სამეფოების და სამთავროების ისტორიაც, გეოგრაფიული აღწერაც და რუკებიც.

როგორც ვნახეთ, ამგვარივე თვალსაზრისით არის აღდგენილი და განხილული „სწავლული კაცების“ მიერ XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორია.

კიდევ უფრო მკაფიოდ არის რეალიზებული ეს თვალსაზრისი და მიზანი ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებაში“.

ამავე მიზნით მან „ხელახლა დახატა ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი“.

ამ შეხედულების დასაბუთების მიზნითაა დასახელებულ-ჩამოთვლილი ქართველი ტომების და საქართველოს „სამეფოს“ და „ქვეყნის“ აღმნიშვნელი ქართული და უცხოური სახელები.

ვახუშტის პირველი ატლასის მინაწერში ვკითხულობთ: „ძველთაგან ტომებით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლისიანი: რომელ არს საქართველო: კვალად მიღებული: იბერია ანუ გეორგიანი“.

საქართველოა ძველი კოლხიდაც: „ამას (ოდიშს) სწერენ ევროპელნი კოლხი-
დად, სადიდამ იაზონ წარილო ოქროს რუნი ანუ სანმისი...“.

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის პირობებში განსაკუთრებული
მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველობის ოდინდელი პოლიტიკური ერთობის
და „ერთმეფობის“ მტკიცება-დასაბუთებას. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერ-
თა შესწავლა-რედაქცია და საქართველოს ისტორიული წარსულის აღდგენა
სწორედ ამის „წარმოსაჩენად“ იყო საჭირო. ამ მიმართულებით ამახვილებდა
ყურადღებას „სწავლულ კაცთა“ კომისიაც და ვახუშტი ბაგრატიონიც.

ვახუშტის მტკიცებით „ერთმეფობას წარმოაჩენს“ სამი მნიშვნელოვანი გა-
რემოება („სამნი ხილულნი ესენი“), სახელდობრ: „პირველი უკვე თუ ჰკითხო
ვისმე ქართველსა, ანუ იმერელსა, მესხსა, ჰერკახსა, „რა რჯული ხარ, წამს
მოგიგებს „ქართველი“. მეორედ, არს მათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი იგივე
ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული, – და ჰკითხოს მათ წინა-თქმულთა
კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის – „ქართული“. რამეთუ არა
იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერკახ-
თასა, არამედ ქართულსა. მესამე, არა სადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა
და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა
იყოს სხუათა მეფეთა სახელნი თვინიერ – „ჩვენ მეფემან საქართველოსამან
ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან – რომელნი ზედწერილ არიან ქუათა,
ხატთა და ჯუართა ზედა“.

ამრიგად, პოლიტიკური ერთიანობისა და ერთმეფობის დამამტკიცებლად
ვახუშტის მიაჩნდა ქართველთა საერთო რჯული (ეროვნება, სარწმუნოება),
ენა და ანბან-მწერლობა. მაგრამ მას, როგორც ეს აკადემიკოსმა ივანე ჯა-
ვახიშვილმა შენიშნა, ერთმეფობის დამამტკიცებელი საბუთები ისე აქვს თა-
ვმოყრილი, რომ უფრო ქართველთა ეროვნული ერთობა მტკიცდება, ვიდრე
პოლიტიკური მთლიანობა.

XVIII საუკუნის ქართველმა ისტორიკოსმა ყურადღება მიაქცია იმასაც,
რომ ზოგიერთ ქართველურ ტომს თუ კუთხის მოსახლეობას საკუთარი ენა
ან კილოკავი ჰქონდა. მაგრამ, მისი აზრით, ეს მათ ქართველობას არ სთი-
შავდა, რადგან უკლებლივ ყველა ქართველური ტომისათვის დამახასიათებელი
იყო საერთო მნიგნობრობა, საერთო კულტურა, საერთო სარწმუნოება ანუ
იდეოლოგია.

ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის დასასრულს ამის გამო ნათქვამია: „რაოდენი ქვეყანანი ანუ ადგილნი დაესწერენით საქართველოსანი, გარნა თუ აქეთ ზოგთა ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს თჳნიერ ქართულისა წიგნისა საკუთრად“.

მართალია, ვახუშტი არ ნახულობს განსხვავებას ეროვნულ ერთობასა და პოლიტიკურ მთლიანობას შორის და, საზოგადოდ, მის მსჯელობას საამისო ცნებების აღრევა ემჩნევა, მაგრამ შესანიშნავად ასაბუთებს ისტორიულად არსებულ ერთმეფობას და იმაზეც მიუთითებს, რომ ქართველები ყოველთვის ცდილობდნენ დარღვეული ერთმეფობის აღდგენას, მის „წესსა და რიგსა თვისსა მოგებას“.

საამისო საბუთად დამონმებულია საქართველოს მეფეთა ტიტულაცია არა მარტო დოკუმენტური წყაროების („მეფეთა წერილთათვის“), არამედ „ქუათა, ხატთა და ჯუართა“ ზედწერილებიც.

ამავე მიზნით დახასიათებულია „უწინდელი“ და „ანინდელი“ საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, ქართული ფეოდალური ინსტიტუტების ნიშანდობლივი და უცხოურისაგან (მონღოლურ-ალმოსავლურისა და ყიზილბაშურ-ოსმალურისაგან) განსხვავებული თავისებურებანი, რაც „ქართველობას“ (ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას) საერთო სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და იდეოლოგიურ საფუძველს უქმნიდა თვით პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და დაქუცმაცებულობის პირობებშიც კი.

ასეთნაირად არის აგებული და ასეთი საკითხებია განხილულ-შესწავლილი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში.

ამიტომ იგი, რასაკვირველია, წარმოადგენს არა „ცხოვრებას“, ან „მატიანეს“, არამედ ყოველმხრივ გამართულ და დასრულებულ საისტორიო და გეოგრაფიულ გამოკვლევას.

ახლებურად არის გამართული თვითონ ნაშრომის კომპოზიციაც.

მას წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა: „მკითხველთათვის სიტყვა — რაისათვის არს შრომა ესე“, რომელშიც მოკლედ და ზოგადად აღნიშნულია ნაშრომის მიზანი და დანიშნულება.

იქვე მოკლედვე მოტანილია ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შენიშვნები ისტორიის მიზანსა და მნიშვნელობაზე.

ამას მოსდევს შესავალი: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, რომელსაც ისეთივე დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს (სათანადო საკითხების

განხილვა-შესწავლის თვალსაზრისით), როგორც „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერას“ და „საქართველოს ისტორიას“.

„შესავლის“ შემდეგ იწყება თხზულების ძირითადი ნაწილები:

1. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

და:

2. „საქართველოს ცხოვრება“.

ნიგნი, როგორც ეს კარგ გამოკვლევას შეეფერება, მთავრდება საძიებლებით, რომელსაც ეწოდება: „ანბანსა ზედა ქმნული ამა წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვეყანათა და მეფეთა“.

როგორც ვხედავთ, ვახუშტის ნაშრომს დართული აქვს გეოგრაფიულ და პირთა სახელების საძიებლები ანბანურ რიგზე.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ისტორიკოსი თავის ნაშრომს გამოსაცემად ამზადებდა, მაგრამ მან ეს ან ვერ მოახერხა, ან და არ დასცალდა.

საგულისხმოა, რომ თვით დაბეჭდილი ნიგნებისათვის საძიებლების დართვა იმ დროს იმდენად იშვიათი იყო, რომ რუსი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ტატიშჩევი, მაგალითად, ამ გარემოებას გულისტკივილით აღნიშნავდა.

ამდენადვე კიდევ უფრო გასაგები უნდა იყოს ქართველი ისტორიკოსის ხელნაწერი ნიგნის ღირსება.

კიდევ მეტი: მის ნაშრომს ბოლოში დართული აქვს ბიბლიოგრაფია („სახელნი წიგნებისა“). აქ დასახელებულია ავტორის მიერ გამოყენებული წყაროები და გამოკვლევები.

მთელი ამ ვრცელი ნაშრომის დამოუკიდებელ, მაგრამ ამავე დროს, მასთან ორგანულად დაკავშირებულ ნაწილს წარმოადგენს რუკები.

ჩვენამდე მოღწეულ ვახუშტისეულ ორსავე ატლასში მოცემულია როგორც საქართველოს საერთო რუკა („სამეფოსა ყოვლისა საქართველოსა ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა“), ისე საქართველოს სამეფო-სამთავროების და მეზობელი ქვეყნების რუკები.

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ სამუშაოებშიც გატარებული და განხორციელებულია ქართველთა პოლიტიკური ერთიანობის ის იდეა, რომელიც მთელ მის ვრცელ ნაშრომს თავიდან ბოლომდე თან გასდევს.

ა. „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“

„ზნენი და ჩვეულებანი“ წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის „შესავალს“.

მის მთელ შინაარსს ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც ჩვენი დროის ყველა მეცნიერული გამოკვლევის წინასიტყვაობასა და შესავალს.

„შესავლის“ შინაარსი უაღრესად საინტერესოა წმინდა ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაც.

მასში პირველად არის დაყენებული და იმ დროის კვალობაზე სანიმუშოდ მიმოხილულ-შესწავლილი საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ნაჩვენებია ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ძირითადი და ნიშანდობლივი თავისებურებანი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ეს „შესავალი“ იმ დროს უნდა ყოფილიყო დაწერილი, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონს თავისი „ისტორია“ უკვე დამთავრებული ჰქონდა. ეს, მისივე დაკვირვებით, ისტორიკოსის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „ვინათგან აღვსწერეთ ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იაფეტის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი, აწ ვინყოთ ძველიდან ახლამდე საქართველოსა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა“.

ამას ივანე ჯავახიშვილი დასძენდა: „მაშასადამე ვახუშტიც ისე მოქცეულა, როგორც ჩვეულებრივ ეხლაც იქცევიან და „წინასიტყვაობას“ მაშინ სწერენ ხოლმე მხოლოდ, როდესაც შრომა უკვე დამთავრებულია, ხშირად დაბეჭდილიც კი, და ამიტომ მას უფრო „ბოლოსიტყვაობა“ შეჰშვენის სახელად“.

„ისტორიის“ წინასიტყვაობაც და შესავალიც, სიმოკლის მიუხედავად, იმდენად შინაარსიანია და საქართველოს ისტორიის უმთავრეს მოვლენათა მკაფიოდ აღმწესხველი, რომ ნაშრომის ეს ნაწილები უეჭველად ხანგრძლივი და ინტენსიური მეცნიერული მუშაობის შედეგად არის დაწერილი.

შესავალში განხილულია: საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, სამართალი და სამართლის ინსტიტუტები, სარწმუნოება (წარმართული, ქრისტიანული...), საეკლესიო ორგანიზაცია, წეს-ჩვეულებები და შინაური ყოფაცხოვრება, მოსახლეობის ზნე და ხასიათი, საჭურველი და ტანსაცმელი...

ვახუშტის ნაშრომის არც ერთ ნაწილს გამოკვლევისა და ფართო განზოგადების ბეჭედი ისე მკაფიოდ არ ატყვია, როგორც „შესავალს“.

აქ განზოგადებულად არის მიმოხილული ქართველი ხალხის მთელი ისტორიული ცხოვრება **დროსა და განვითარებაში**.

ავტორი სათანადოდ ითვალისწინებდა და მეცნიერული თვალთახედვით აფასებდა კიდეც საუკუნეთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაში, ზნე-ჩვეულებებსა და ყოფაცხოვრებაში.

მისი დაკვირვებით, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება თანდათან იცვლებოდა, ზოგჯერ მცირეოდენად, ზოგჯერ კიდეც არსებითადაც.

ამავე დროს, მკვლევარი აღნიშნავდა ადრინდელი, ადგილობრივი და ბუნებრივი წესრიგის („წესნი დასაწყისითგანვე“) გვერდით ახლადნარმოქმნილი ინსტიტუტების გაჩენა-დამკვიდრებას („შეძინებული წესი“), აგრეთვე დროთა განმავლობაში უცხოური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ძლიერ გამოვლინებას („შერეულნი წესნი“).

ისტორიული ცხოვრების ამ ცვლილებათა მიხედვით ვახუშტი ბაგრატიონს საქართველოს ისტორია სამ უმთავრეს ხანად აქვს დაყოფილი: **1. „პირველ განხეთქილებისა“; 2. „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოთა-სა“ და 3. „აწინდელი“.**

პოლიტიკურსა და ქრონოლოგიურს საფუძველზე დამყარებული ეს დაყოფა გულისხმობს საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანას, მის სამეფოებად და სამთავროებად დაშლის პერიოდს და ავტორის თანამედროვე დროს (XVII-XVIII საუკუნეები).

საქართველოს ისტორიის ყველა აღნიშნული პერიოდის ძირითადი თავისებურებანი განხილული და შესწავლილია წერილობითი წყაროების მიხედვით (მატიანეები, სამართლის ძეგლები, სიგელები...).

შესანიშნავად დახასიათებულ-აღწერილი სამოხელეო წყობილება, ჩანს, დაფუძნებულია ქართული სახელმწიფო სამართლის ისეთ ძეგლებზე, როგორცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“.

ყველაზე ვრცლად მაინც „აწინდელი“ (XVII-XVIII საუკუნეების) სამოხელეო წყობილებაა მიმოხილული, რადგან ამ შემთხვევაში სათანადო წერილო-

ბით წყაროებთან ერთად, ვახუშტი საკუთარ დაკვირვებასა და გამოცდილებას ეყრდნობოდა.

მან პირველმა აღწერა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება, ქართული ფეოდალური ინსტიტუტები.

მის „შესავალში“ დასახელებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენები:

ა) პირველურისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი და ვ) მუშაკნი, გლეხნი“.

რასაკვირველია ფეოდალურ საქართველოს საზოგადოებრივი შემადგენლობა ყოველთვის ასეთი არ იყო. ვახუშტისეული ეს სქემა თუ იერარქია უფრო ვახტანგის სამართალს შეეფერება და, როგორც ჩანს, სამართლის დასახელებული წიგნის სათანადო მუხლის მიხედვით არის შედგენილი.

ერისთავობა და მთავრობა საგვარეულო თანამდებობად XIV-XV საუკუნეებში იქცა და ეს სწორედ ავტორის მოღვაწეობის დროისათვის იყო დამახასიათებელი. საქართველოს ადრინდელი ხანისათვის კი ერისთავობა და მთავრობა ნოდებრიობას კი არ ნიშნავდა, არამედ მოხელეობას. ეს კარგად შენიშნა ივანე ჯავახიშვილმა და ამის მიზეზიც დაასახელა, თუ რატომ უნდა სჩვენებოდა ვახუშტის ერისთავნი და მთავარნი განსაკუთრებულ ნოდებრივ ჯგუფებად.

სათანადო წყაროების ცნობების ანალიზმა XVIII საუკუნის ისტორიკოსი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ წინათ „ერისთავნი დაიდგინებოდნენ – მთავარნი და ძენი მათნი – შეცვლილებით“. მათ მეფის ხელისუფლება ნიშნავდა და სცვლიდა. მისივე დაკვირვებით, იმ დროიდან მოყოლებული, რა დროიდანაც ერისთავებმა და მთავრებმა დროებით მიცემული „სახელო“ განიმტკიცეს და მემკვიდრეობით თანამდებობად აქციეს, მეფის ხელისუფლება დაკნინდა და ქვეყანა „განყოფილების“ ანუ დაშლის გზას დაადგა.

საერთოდ, ვახუშტი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს პოლიტიკური დაშლის დროისა და მიზეზების გამორკვევას, მაგრამ ამ მხრივ მას ისეთი წინამორბედნი ჰყავდა, როგორიც „სწავლულნი კაცნი“ იყვნენ.

სამაგიეროდ „შესავალში“ დასმული და ზოგადად მიმოხილული საქართველოს ისტორიის საკითხების დიდი უმრავლესობა ვახუშტიმ პირველად აქცია მეცნიერული შესწავლის საგნად. ამ მხრივ მას არც წინამორბედი ჰყავდა და დიდხანს არც გამგრძელებელი.

ასე, მაგალითად, იმავე „შესავალში“ პირველადაა გამოყენებული კვლევა-ძიების ეთნოგრაფიული მეთოდები ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების და ყოფაცხოვრების დასახასიათებლად.

ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს ქართველებს: „ხოლო კაცნი ამის ქვეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი... ანაგებით არიან კაცნი და ქალნი მშვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალწარბთმოსანნი, თეთრ-ყირმიზიანი, იშვიათ შავგვრემან და მოყვითან, იშვიათ თვალჭრელ და გრემანი, და მნითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვებული და დანული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი; წერწეტი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, კვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთმოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთა მოყვარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიმჭირვიან“ და სხვ.

ქართველი ხალხის გარეგნობა, ხასიათი, მიდრეკილებანი, წეს-ჩვეულებები ვახუშტის, რა თქმა უნდა, პირადი დაკვირვებების მიხედვითაც აქვს აღწერილი.

ამ თვალსაზრისით მას თამამად შეიძლება ეუნოდოთ პირველი ქართველი ეთნოგრაფი.

ქართველი ხალხის ზნეჩვეულებებიც, სარწმუნოებაც და შინაური ყოფაცხოვრებაც მას განვითარებაში აქვს მოცემული და აღწერილი.

ამავე დროს, იგი ძველი ზნეჩვეულებების და ყოფაცხოვრების საზოგადო სურათის აღსადგენად მიმართავს არა მარტო წერილობით წყაროებს, არამედ ზეპირსიტყვაობასაც, ხალხურ ანდაზებსაც, ძველი წესჩვეულებების გადანამუთებსაც.

ძველისძველი ზნეჩვეულებების გამოსარკვევად იგი თანამედროვე ყოფას აკვირდებოდა და ამგვარი დაკვირვების მიხედვით კვლევის საგნის დადგენა-გამორკვევას ცდილობდა.

ვახუშტი ბაგრატიონი არა მარტო წარმატებით იყენებდა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს, არამედ მიმართავდა ახალ სამეცნიერო მეთოდებსაც ხალხის ძველი წეს-ჩვეულებების აღდგენის მიზნით.

მის თვალსაწიერში იყო თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილეც.

პირადი დაკვირვების მიხედვითაა მის მიერ დახასიათებული ცოლ-ქმრობის, ქორწინების, დასაფლავების, მგლოვიარობის და სხვა წესები.

პირადი დაკვირვებების მიხედვით არის აღწერილი აგრეთვე თანამედროვე ქართველების ტანსაცმელი.

ისტორიკოსი ამის გამო წერს: „ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი (ქართლელნი, ვ. გ.) და კახნი ერთრიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელწერილი ბენვეული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატსა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე, ბანბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა, ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი... ცხენსა ზედა მოსიათ სანმართული და მოგვნი, თვინიერ მისს არა; ფერხთა პაიჭი და წულა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი, კვალად ტყავკაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი... ქალთაცა მზგავსად, გარნა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი და თვინიერ პარანგისაგან კიდე არარაი ჰფარავს...“

შესამოსელსა და ჩაცმა-დახურვასთან დაკავშირებით ვახუშტის შემჩნეული აქვს ისიც, რომ ერთმეფობის დროინდელ საქართველოში ქართველებს სხვაგვარად სცმიათ.

მისი დაკვირვებით: „არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელ-ბენოსანი, პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უდილოდ, მას ზედა სარტყელი, ფოჩჩაშვებული, ტყავი დიდი, სახელო ვიწრო და ფერხთა ზედა მოგვი“.

ქართველთა ძველი ტანსაცმლის აღწერის დასაბუთებისას ნათქვამია: „ვი-თარცა იცნობიან ნახატებთა ზედა“. აღწერის წყაროდ, როგორც ვხედავთ, გამოყენებულია ძველი ნახატები, ძველი სურათები.

ივანე ჯავახიშვილს XVIII საუკუნის ისტორიკოსის გონებამახვილური და ღრმა აზროვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიმუშად მიაჩნდა ის, რომ მან ყურადღება მიაქცია ქართველთა სამოსელის, თავსაბურავისა და ფეხსაცმლის ისტორიას.

ძველი ტანსაცმლის აღსაწერად იგი მიმართავდა საისტორიო მხატვრობას, ეკლესიის კედლებზე და ხელნაწერებში შენახულ ძველ სურათებს და ამის მიხედვით არკვევდა ამ დიდმნიშვნელოვან და საგულისხმო საკითხს. ეს

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა „საუცხოვო და ამასთანავე თითქმის ერთადერთ მეთოდოლოგიურ საშუალებად“.

ვახუშტის აღწერილი აქვს მამაკაცთა და ქალთა ზამთრისა და ზაფხულის ტანსაცმელი, შეუნიშნავს ქალწულთა, პატარძალთა და ქმროსანთა სამოსლის, თავსაბურავის, მორთულობა-სამკაულების და თმა-ნაწნავის თავისებურებანი.

ქართლელების და კახელების ტანსაცმლის გარდა დახასიათებულია საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობის (მაგ., მესხების, იმერლების...) ჩაცმულობაც: „ხოლო იმერთა მცირეთა რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელ არა ბურვით გარნა მდებარე არს თხემსა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლობა ოსმალური, ხოლო მესხთა დიდებულთა – ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა, რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა“.

საინტერესოა, რომ ვახუშტი ერთმანეთისაგან ასხვავებს დიდებულთა და მდაბიოთა თავსაბურავს, სამოსელსა და ფეხსაცმელს. საზოგადოდ მხედველობაში აქვს როგორც ფეოდალების, ისე გლეხების ტანსაცმელი. ეს კარგად ჩანს შემდეგი გამონათქვამებიდან: „უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი“ ან აცვიათ „ვითარცა გლეხთა“. რა თქმა უნდა, გლეხთა საოჯახო ნივთებიც ღარიბული იყო. „გეოგრაფიული აღწერის“ ტექსტში ახტალის გამო ვკითხულობთ: „აღმოდის კუპრი, ვითარცა მდულარე და აღმოაქვს ჟამად კოვზი, ჯამი და სახმარნი გლეხთა“.

უაღრესად საყურადღებოა ვახუშტის დაკვირვებები „ერთმეფობის“ დროინდელი, პოლიტიკური დაშლილობის პერიოდის და „ანიინდელი“ ქართული კულტურის, კერძოდ კი ჭამის რიგისა და სხვა ყოფაცხოვრებითი წესების გამო.

მონღოლთა ბატონობამდე ქართველები, ისტორიკოსის სიტყვით, „ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდიან, სკამთა ზედა სხდიან, ბოდიმობდიან ქუდის მოხდით“.

მართლაც, XI-XII სს. ქართულ წყაროებში დამონმებულია: საცვალიც, მაგიდაც, სკამიც, კოვზიც და ჩანგალიც. აღნიშნულია ქართველთა ზრდილი საქციელიც და ერთმანეთის მიმართ პატივისგება.

ყველაფერი ეს, ვახუშტის დაკვირვებით „შემლილა“ მონღოლთა ბატონობის დროს: „წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართასა ყვენებისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დაბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა

მოუხდებლობა ქუდისა... არცალა ბოდიშობდიან ქუდის მოხდითა და სხუანი უჯერონი მრავალნი“.

კიდევ უფრო უარყოფითი აღმოჩნდა ყიზილბაშთა წესისა და რიგის გავლენა: „ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ესენი, რამეთუ სხდიან ნოხთ უსკამოდ, ხელითა სჭამდიან“.

ყიზილბაშთა და ოსმალთა გარემოცვის პირობებში ქართული კულტურის, სწავლა-განათლების და ყოფა-ცხოვრების დაკნინება იმითაც გამოიხატა, რომ თვით ფეოდალთა შორის იშვიათად თუ ვინმე ეტანებოდა წიგნსა და მწიგნობრობას.

ამიტომ იყო, რომ არც XV და არც XVI საუკუნეში მნიშვნელოვანი რამ არ შექმნილა ოდესღაც მდიდარ ქართულ მწერლობაში.

ეს ის დრო იყო, როცა ვახუშტის განმარტებით, „არლარა ისწავლებოდა თვინიერ სიმღერა-გალობისა“.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის „შესავალი“, როგორც ვნახეთ, შეიცავს არა მარტო საქართველოს ისტორიის საყურადღებო საკითხებს, არამედ პრაგმატიკული თხრობის ელემენტებსაც.

მანვე პირველად მიაქცია ყურადღება ქართული კულტურის ისტორიას, ქართული კულტურის ისტორიის შეუსწავლელ საკითხებს.

სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფოსის მიერ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო განზოგადებულად განხილული და ამ მოვლენების ანალიზის საფუძველზე მთელი ისტორიული წარსულის საზოგადო სურათი აღდგენილი.

სხვა საკითხია, თუ რამდენად უნაკლოდ შეძლო ვახუშტი ბაგრატიონმა „შესავალში“ დასმული საკითხების მეცნიერული განზოგადება.

მთავარი ისაა, რომ მან პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, სცადა საქართველოს ისტორიული განვითარების საზოგადო სურათის წარმოდგენა.

ამასთან მთელი მისი საამისო მსჯელობა წყაროებიდან გულდასმით გამოკრებილი ცნობების „გამოძიებით“ და „შემომეებით“ შესწავლაზე იყო დამყარებული.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ვახუშტის მიმოხილვა „ეს არის ქართულთა მრავალსაუკუნოვანი წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი ქართულს მწერლობაში არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში. ეხლაც კი, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, მაგგვარი

საზოგადო მიმოხილვა ვახუშტის ზემოაღნიშნულ შრომას გარდა სხვა ჩვენ არ მოგვეპოვება, მართო ეს გარემოება უკვე, სხვაც არა იყოს რა, ქართველ სახელოვან მეცნიერ ბატონიშვილის სიდიადეს და სწორუპოვრობას ამტკიცებს“.

ვახუშტი ბაგრატიონის „შესავალს“ და „აღწერას სამეფოსა საქართველოსა“ არაფერი ჰქონდა საერთო „ქართლის ცხოვრების“ სქემასთან.

„საქართველოს ისტორიის“ ეს ნაწილები თამამად შეიძლება დაეაყენოთ XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული და გეოგრაფიული გამოკვლევების გვერდით.

ბ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

ვახუშტის თვალსაზრისით, „მატიანე“ ანუ „ისტორია“ საზოგადოდ ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიისაგან.

მაგრამ ამავე დროს, კონკრეტულად, ისტორია ოთხ ნაწილად განიყოფებოდა: **ადგილის აღწერად და ნათესავთა მეტყველებად, წლისმრიცხველებად და მოქმედების აღწერად.**

ამრიგად, ვახუშტის აზრით, საისტორიო თხზულება უნდა შეიცავდეს: გეოგრაფიულ მიმოხილვას („ადგილის აღწერა“), გენეალოგიას („ნათესავთმეტყველება“), ქრონოლოგიას („წლისმრიცხველობა“) და საკუთრივ ისტორიას, ამბის მოთხრობას („მოქმედების აღწერა“).

ნათესავთმეტყველებას და წლისმრიცხველობას წინათაც ექცეოდა ასე თუ ისე ყურადღება, მცირე რაოდენობით გენეალოგიური და ქრონოლოგიური ხასიათის ცნობები ძველ ქართველ ისტორიკოსებსაც მოეპოვებოდათ, ხოლო „მოქმედების აღწერა“ ვრცლად იყო გადმოცემული „ქართლის ცხოვრებაში“.

არ არსებობდა მხოლოდ „ადგილის აღწერა“ – ქვეყნის გეოგრაფიული მიმოხილვა.

ეს თვითონ ვახუშტი ბაგრატიონს საგანგებოდ აქვს აღნიშნული.

მისი სიტყვით: „ჩვენ ქართველთა მატიანე შეიპყრობს სამსა ამას ნაწილსა მატიანისასა, არამედ წლისმრიცხველობასა და ნათესავთმეტყველება მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერასა და განაგრცელებს“. ამრიგად, ვახუშტის მოწმობით, მან „საქართველოს ისტორიაში“ შეიტანა ის, რაც მას აკლდა: **ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა.**

სავსებით ცხადია, რომ „ადგილის აღწერა“ ანუ „ლეოლრაფიული აღწერა“ მიჩნეულია „ისტორიის“ (ვახუშტის ტერმინოლოგიით: „მატიანეს“) შემადგენელ ნაწილად.

ამიტომ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ უწინარეს ყოვლისა, ისტორიული გეოგრაფიაა.

მაგრამ მასში უხვად არის მოტანილი ეკონომიკური ხასიათის ცნობებიც, აგრეთვე ოროგრაფიული, ჰიდროგრაფიული და მეტეოროლოგიური მასალები.

ამდენადვე „აღწერა საქართველოსა სამეფოსა“ ერთდროულად წარმოადგენს როგორც ისტორიულ გეოგრაფიას, ისე ეკონომიკურ და ფიზიკურ გეოგრაფიას.

საქართველოს გეოგრაფიული აღწერისას ცალკე ნაკვეთები ეთმობა: მებაგრეშუმობას, მეხილეობას, მებაღეობა-მევენახეობას, მებოსტნეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მდინარეებსა და ტბებში თევზის მოშენებას და სხვ.

სათანადოდ არის გათვალისწინებული აგრეთვე საქართველოს თითოეული კუთხის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, მუშაკობა-ხელოსნობის დამახასიათებელი დარგები და სხვ.

მაგალითად ქანეთის მოსახლეობა შემდეგნაირად არის დახასიათებული: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებათა ნავთათა, დიდთა და მცირეთა.

მართლაც, ლაზები თავიანთი შესანიშნავი „ხის მუშაკობით“ (ხის ჩუქურთმა – ორნამენტის კეთებით) იყვნენ განთქმულნი და დღესაც ამით არიან ცნობილნი.

„აღწერაში“ დასახელებულია ყველა ისტორიული ნაგებობა: ციხე-ქალაქები, ეკლესიები, მონასტრები, სასახლეები, ხიდები, რუები და არხები; აღნიშნულია ისიც, თუ „ვისი აგებულია, ან როდის. ვინ გააკეთა ან დაანგრია, საითგან იწყებდა და სად მიდის რუ-არხები, ან ვისი გამოღებულია და როდის“.

საქართველოს კუთხოვრივი მიმოხილვა „აღწერაში“ ხეობების მიხედვით არის დალაგებული.

„ხეობა“, როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა (აქედან არის ნაწარმოები „ხევისთავის“ სა-მოხელეო სახელი). მთელი საქართველო „ხეობებით“ ანუ „ხევებით“ იყო მოფე-

ნილი. ამიტომ ვახუშტი მთავარ ყურადღებას თითოეული ხეობის ყოველმხრივ აღწერილობას უთმობს.

სათანადო ადგილი ეთმობა აგრეთვე სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებს: სადროშოებს, სასპასპეტოებს, საერისთაოებს.

საკმაოდ დანვრილებით არის აღწერილ-დახასიათებული ციხე-სიმაგრეებიც. აღნიშნულია თითოეული მათგანის ნიშან-თვისება სამხედრო-თავდაცვითი თვალსაზრისით. მაგალითად: ციხე მტკიცე, ციხე არა მტკიცე, დიდებული, კეთილნაშენი, კლდით მოზღუდული, დიდროვანის ლოდით ნაშენი, უქვიტკირო, ქვითკირის, მცირე, მაგარი, შეუალი, უბრძოლველი მტრისაგან, ძლიერი და სხვ.

ამრიგად, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერილობის ელემენტებსაც შეიცავს.

„აღწერაში“ არაერთგან არის საუბარი ადგილთა სახელწოდებების გამო, მაგრამ მათი შინაარსობლივი მნიშვნელობის განმარტებანი ე. წ. ხალხურ ეტიმოლოგიებზეა დამყარებული (მაგ., „არაგვი“ – „არა ჰგვის“ და სხვ.).

გეოგრაფიული აღწერის ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს: „ქმნულებანი“ და „შინა შენებულებანი“.

ასეთად ნაგულისხმევია: დასახლებული ადგილები, დაბები, ქალაქები, სოფლები, ციხეები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები, მონასტრები, ნაქალაქარები, ნასოფლარები, ნაციხარები, სადგურები, ფუნდუკები, ქარვასლები, ქალაქის ზღუდეები, ხიდები, ქვაბურები, არხები, რუები, წყაროები და, საერთოდ, ყველა მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ნაგებობა.

ყურადღება ექცევა აგრეთვე საქართველოს მთისა და ბარის თავისებურებას, მეურნეობის განსაკუთრებულ სახეობებს მთისა და ბარის ზოლში.

მაგალითად, მთიულეთის გეოგრაფიული და სამეურნეო პირობები შემდგენიარად არის დახასიათებული: „არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუალი არს, უვენახო, უხილო, მცირემოსავლიანი... არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივინროვის გამო. ჰავით არს ფრიად კეთილი და მშვენიერი, წყარო წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ვგრეთვე ქართილიცა“.

ამგვარადვეა აღწერილ-დახასიათებული ბარის გეოგრაფიული პირობები და მეურნეობის დარგების სპეციფიკური თავისებურებანი. მაგრამ ამ შემთხვევაში

აღნიშნულია ბარის სხვადასხვა რაიონის ყველა ნიშანდობლივი თავისებურება, ყურადღება ექცევა ბარისა და ვაკე-დაბლობების ყველა ტიპებს, გამორჩეულია ბალახოვანი ველები და მლაშნარები.

თუ ბარის ზოგი რაიონისათვის დამახასიათებელი იყო „წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახი მრავალნი“, სხვაგან იმავე ბარში „ვენახითა და ხილითა ნაყოფიერი“ ადგილების მაგიერ „ბრინჯ-ბამბა“ და შეაბრეშუმეობა იყო წარმოდგენილი ანდა მხოლოდ მესაქონლეობა განვითარებული.

მაგალითად, „ალგეთის შესართავი ჩრდილოთ, იაღლუჯამდე, მტკვრის პირას, სახლობენ ელნი მაჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მარცვლისა, აკეთებენ აბრეშუმსა“.

მაგრამ ბრინჯი და ბამბა ბარშიც ყველგან არ მოჰყავდათ. ამას ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავდა ხოლმე: „თვინიერ ბრინჯ-ბამბისა“ ან „ბრინჯისა და ბამბის გარდა“.

მასვე შემჩნეული აქვს ართვინის სანახებისა და ჭოროხის ხეობის („ზღვისპირეთის) გეობოტანიკური თავისებურებანი: „ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის მიერ და ამიერ იწოდების ლიგანის ხეობად და არს ეს ლიგანის ხეობა, თვინიერ სივინროვისა (გარდა მცირე ზოლისა, ვ. გ.) ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთისხილით, ბრონეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი“.

აქ, როგორც ვხედავთ, გათვალისწინებულია სუბტროპიკული მხარის მცენარეული ზონის ნიშან-თვისებანი.

კიდევ მეტი: საქართველოს ბუნებრივ პირობათა ერთ-ერთ თავისებურებად მიჩნეულია მთისა და ბარის „ახლორება“.

მაგალითად, სამხრეთ საქართველოს მცენარეული ზონის აღწერა-დახასიათებისას ნათქვამია: „და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი... და კლდოვან ღრატორილოვანებისა მიერ, და მალალთა მათათა თანა რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი, და ბართა ნარინჯი, ზეთისხილი და ყოველი ნაყოფი“.

საქართველოს გეოგრაფიულ მიმოხილვაში საკმაოდ დაწვრილებით (ოღონდ ზოგან ვრცლად, ზოგან მოკლედ იმისდა მიხედვით, თუ სად იყო და სად არ იყო ნამყოფი თვითონ ავტორი) აღწერილია მთები, მდინარეები, ტბები; ფლორა და ფაუნა; „ნაშენი“ და „უშენი“, დასახლებული და დაუსახლებელი ადგილების ნაგებობანი, საბადოები, სამკურნალო წყაროები.

გეოგრაფოს გ. ზარდალიშვილის გამოანგარიშებით ვახუშტის აღწერილი ან დასახელებული აქვს: 800-მდე ქედი, მწვერვალი, ხეობა, ვაკე; 300-მდე მინერალი, 440 მდინარე, 22 ტბა, 73 კულტურული და 57 ველური სახის მცენარე, გარეულ ცხოველთა 116 სახე, 33 ქალაქი, მრავალი ასეული სოფელი, 550 ნასოფლარ-ნაქალაქარი, სასახლე, ეკლესია-მონასტერი. მას მხედველობიდან არ გამოორჩენია აგრეთვე მინისქვეშა წყლები, ყინვარები, ჭაობები.

ამას გარდა, დასახელებულია 36 საბადო, მათ შორის რკინის მადნის - 5, სპილენძისა - 3, კალისა - 3, ვერცხლისა - 5, ოქროსი - 1, ნავთობისა - 1, გოგირდისა - 2, გვარჯილის - 5, ლაჟვარდისა - 2, ბროლისა - 3, კაჟის - 3 და სხვ.

ვახუშტი ლითონის, რკინის, ვერცხლის, ოქროს, კაჟის, ბროლის, მარმარილოს, ლაჟვარდის საბადოებია: სარკინეთს, მისხანას, დაბა აბულმოგთან (დმანისთან), კრკონს, ძალინს (მეტეხთან), სანირეს (ტყიბულთან), წესს (ამბროლაურთან), წედისს (ონთან), ბროლს (ხაშურთან), ხრეთს ქვეით (ჭიათურასთან), რუხს (ზუგდიდთან), ყარალაჯთან (კასპთან).

საინტერესოა, რომ ყველა ეს საბადო, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში, მოქმედებაში ყოფილა. ამას ნიშნავს „აღწერის“ სათანადო კონტექსტში დამონმებული სიტყვა: „ითხრების“.

მაგ. „სანირეს **ითხრების** რკინა, და არს ლითონი მრავლად“; „წედის არს ლითონი რკინისა, და **იღებენ მრავლად**“. აი, კიდევ ერთი საამისო მაგალითი: „ძალინს არს ლითონი ვერცხლისა, **არამედ უსარგებლობისათვის დაუტოვეს**“.

ვახუშტი ხშირად თვითონ პირადად გვევლინება როგორც დამკვირვებელი და განცდილ-ნახულის აღმწესხველი. მაგრამ იგი ფართოდ იყენებდა ზეპირ წყაროებსაც.

ზეპირი წყაროების კვალი „აღწერის“ ტექსტში მრავალგან შეინიშნება.

მაგალითად, კრკონთან „არს ლითონი ბრპენისა მრავალი, **იტყვიან ვერცხლისაცა**“, ანხეგვს „**იტყვიან** ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა“, ანდა: „წესს **იტყვიან ვერცხლის** ლითონს“.

საერთოდ, ავტორის ცნობები ან პირად დაკვირვებებზეა დამყარებული ანდა ზეპირ წყაროებზე.

პირადი დაკვირვებების საფუძველზე აქვს მას, მაგალითად, შესწავლილი ფიზიკურ-გეოგრაფიულ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირი.

ვახუშტი ამბობს: „ორნი ესე მთანი (მთა სარკინეთისა და კუხეთისა) პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული იმისათვის, რამეთუ, თუმცა

მას მთავა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არ იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი", ე. ი. როცა ერთმანეთის პირისპირ მდებარე სარკინეთის და კუხეთის მთებზე მცირე ღრუბელი გამოჩნდებოდა, აუცილებლივ დიდი ქარი უნდა ამოვარდნილიყო.

ვახუშტის ამ დაკვირვების გამო პროფ. გ. გეხტმანი შენიშნავდა: „როგორც ორასი წლის წინათ, ისე ახლაც თბილისისა და 15-20 კმ რადიუსით მისი მიდამოების თითოეულ მოქალაქეს შეუძლია შეამჩნიოს ვახუშტის მიერ მითითებული მოვლენა“.

პირად დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს ემყარება აგრეთვე ქალაქ თბილისის აღწერა.

არსებობს მოსაზრება, რომ თბილისის აღწერისას ვახუშტი სარგებლობდა შარდენით (მისი თხზულების დაუსახელებლად), მაგრამ არც შარდენს და არც სხვა უცხოელ მოგზაურს თუ მწერალს (ისკანდერ მუნში, ვასილი გაგარა, ევლია ჩელები, ტურნეფორი...) თბილისი ისე დაწვრილებით არა აქვთ აღწერილი (და არც შეეძლოთ აღწერათ), როგორც თბილისში დაბადებულ და აღზრდილ ქართველ უფლისწულს ვახუშტი ბაგრატიონს.

მას აღნიშნული აქვს „აწინდელი თბილისის“ და მისი ისტორიული წარსულის ყველა ნიშანდობლივი თავისებურებანი.

ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნის. კალა უდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თბილისს ჩრდილოეთ და ისნს – დასავლეთით და სამხრით, ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი გამოსდის ნავეკისისა და კოჭრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლეთით უდის კალას და დასავლეთით ტფილისს... ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო ექვსნი, და დიდშენნი, ავაზიანნი, მარადის მომდინარე ცხელი წყალი... ხოლო ან უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა ან ტფილისს და განყოფით: კალას – ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბადს და ისნს – ავლაბარს და გარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთა რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან... გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხილითა და ყვავილთა სავსე. გარნა ქალაქი

ვინრო, ფოლორცნი უშვერნი, ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი, გაზაფხულ-შემოდგომა მშვენიერი და სატროფ“.

ჩვენ გამოვტოვეთ მხოლოდ თბილისის (აგრეთვე კალას, ისნის, სეიდაბადის) მოკლედ მოთხრობილი ისტორია და თბილისის მოსახლეობის აღწერა, ამ მოსახლეობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით.

ასევეა აღწერილი ქალაქი გორი და საქართველოს სხვა ქალაქები.

ვახუშტის ნახული აქვს და პირადი შთაბეჭდილების შედეგად აღწერილი ქუთაისიც: „ქალაქი ქუთაისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და ნყლით მშვენი, თვალთა ქვეშე მშვენიერი ადგილი“. ე. ი. მისი მშვენიერი ადგილნი თვალს იტაცებს („თვალთა ქვეშე“) და ხიბლავსო.

„თვალთა ქვეშე მჩენარებით“ აღწერილია იმერეთის სხვა დასახლებული პუნქტებიც.

გეოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე ვრცლად როგორც აღწინშნეთ, აღწერილია ქართლისა და კახეთის სამეფოები. მაგრამ ვახუშტის უყურადღებოდ არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე და იქ, სადაც თვითონ არ იყო ნამყოფი, „აღწერის“ მიზნით გამოყენებული ჰქონდა „სმენილთა კაცთა“ ნაამბობი.

მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა ერთიანი, მთლიანი საქართველოს გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები.

ამიტომაც აღწერილი ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი საქართველოს ტერიტორიაც, მისი ფლორა და ფაუნა, დასახლებული პუნქტები, მოსახლეობის ხასიათი. ტანსაცმელი, ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა.

ვახუშტის აღწინშული აქვს, რომ სამცხეში „მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი“, ხოლო „გლეხნი ქრისტიანენი“. მაგრამ სამცხის მთავარ-წარჩინებულებსაც და გლეხებსაც „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული“.

მას შენიშნული აქვს ისიც, რომ გამაჰმადიანებულ ლაზთა შორის გარდა ლაზურისა „იციან კვალად ქართული ენა ვიეთთამე“.

საკუთრივ სამცხე-საათაბაგოს ისტორიის გადმოცემისას კი იგი ასახელებს აქ მაჰმადიანობის თანდათანობით გავრცელების მიზეზებს.

საზოგადოდ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის თუ ადგილის აღწერისას, ისტორიული ხასიათის ექსკურსებთან ერთად ვრცლად არის აღწერილი

არა მარტო მათი გეოგრაფიული პირობები და მეურნეობის სივრცობრივი განლაგება, არამედ მოცემულია ფართო ხასიათის განზოგადებანიც.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ამ მხრივ და ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ერთადერთ ნაშრომს როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

გ. „ისტორია“ ანუ „მოქმედების აღწერა“

„მოქმედების აღწერაში“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახუშტი გულისხმობს საკუთრივ ისტორიის თხრობას, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის ღირსშესანიშნავი მოვლენებისა და ამბების გადმოცემას.

„საქართველოს ცხოვრებაში“ მოთხრობილია ქართველი ხალხის ისტორიული თავგადასავალი უძველესი დროიდან ავტორის დრომდე.

ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ვახუშტის შრომა ორი ნაწილისაგან შედგება: „პირველი ნაწილი ქართლის ცხოვრების დამუშავება და შევსება, მეორე ნაწილი კი საქართველოს ისტორიის იმავე ხანას ეხება, რომლის ისტორია მეფე ვახტანგ VI-ის შეყრილმა სწაველულმა კაცებმა შეადგინეს“.

მაგრამ ასეთნაირად დანაწილებულია არა ვახუშტის საისტორიო შრომა, არამედ ამ შრომის ის ნაწილი, რომელსაც „მოქმედების აღწერა“ ეწოდება.

„მოქმედების აღწერის“ პირველი ნაწილი ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრების“ თავისებური რედაქციაა. ავტორის მიზანი იყო „ქართლის ცხოვრების“ დამუშავება და შევსება.

ამის მიზეზი თვითონ ავტორს აქვს დასახელებული.

მისი აზრით, „ქართლის ცხოვრება“ ამოკლებს „ეკლესიის მატიანეს“ ანუ „საეკლესიო ისტორიას“ და „სამოქალაქოს მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად“. ამიტომ მას „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების „განვრცელებული“ თხრობა შეუმოკლებია და შეუდგენია „მცირე მატიანე“, რათა საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობა „მკითხველთა არა სანყინოდ და ადრე საცნობელ“ ყოფილიყო.

ვახუშტის სურვილი იყო, „ქართლის ცხოვრების“ თხრობაში „გამოუჩინე-ლის“ შესაფერისად „გამოცხადება“, მაგრამ ფაქტობრივად მან მიიღო „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებული რედაქცია.

თუმცა მრავალრიცხოვანი შენიშვნების, შესწორებებისა და ინტერპოლაციების წყალობით „ისტორიის“ ამ ნაწილს ორიგინალური გამოკვლევის ელფერიც დაჰკრავს და დამოუკიდებელ ნაშრომს წარმოადგენს.

ამავე დროს, „მოქმედების აღწერის“ სწორედ ამ ნაწილში ფართოდ არის გამოყენებული ისტორიული კვლევა-ძიების ახალი მეთოდები უპირატესად მოვლენების ქრონოლოგიური ჩარჩოს გამოსარკვევად და დასადგენად.

ვახუშტი არაერთგან მიმართავს ქრონოლოგიური და გენეალოგიური ხასიათის ძიებას და თავის ამ მიზანს აღნიშნავს კიდევ: „შრომა ჩვენი ამისათვის არს, ვინაიდგან ორნი ნაწილნი იგი (წლის მრიცხველობა და ნათესავთმეტყველება, ვ. გ.) გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ“.

„ქართლის ცხოვრების“ გულდასმით შესწავლამ ვახუშტი დაარწმუნა, რომ იქ „ქორონიკონნი არიან იშვიათ“.

მართლაც, საქართველოს ძველი ისტორიის ბევრი მოვლენა დაუთარილებელი იყო. ამ ხარვეზის შევსებას სწავლული კაცების შემდეგ ყველაზე სერიოზულად ვახუშტი ბაგრატიონმა მოჰკიდა ხელი. მას უნდა დაედგინა და დაეზუსტებინა არაერთი თარიღი. ამისათვის უფრო ხშირად გამოანგარიშება იყო საჭირო და ვახუშტიც სწორედ ასე მოქცეულა.

ასეთი გამოანგარიშების დროს მისი ამოსავალი იყო ან ქართველ მეფეთა დროინდელი უცხოელ ხელმწიფეთა ზეობის წლები, ანდა უცხოეთის ისტორიის ღირსშესანიშნავი ამბების, მოვლენების და ომების თარიღები.

ასეთი გამოანგარიშებანი არაერთგანაა გამოყენებული როგორც „მოქმედების აღწერის“ პირველ ნაწილში, ისე მეორე ნაწილში.

მაგალითად, ვახუშტის მსჯელობისა და მტკიცების მიხედვით, „ნინოს მიცვალების თარიღი არა არს ურთიერთის მონმობილი... ..რამეთუ უკეთუმცა ქრისტეს – აქეთი ქორონიკონი ჯვარცმიდამ იყო 338, ჯერ – იყო დასაბამიდგანი 5844 და უკეთუ დასაბამიდგანი იყო 5838, ჯერ იყო ქრისტეს – აქეთი ჯვარცმიდამ 330, – არამედ არცა ამა ჟამსა კონსტანტინე ცოცხლობდა, არამედ შეცდომილ არს მწერალთაგან“.

ასეთ „არა ურთიერთის მონმობილობას და შეუთანხმებლობას“ ვახუშტი გადამწერთა შეცდომას მიანერდა და საკუთარი გამოანგარიშებით დამახინჯებული თარიღის აღდგენას ცდილობდა.

იგი სარგებლობდა სხვადასხვა წყაროებით, ყურადღებას აქცევდა ამ წყაროების თარიღებს, რათა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია „სწორ-რიცხული“ და „რიგიანი“ ყოფილიყო.

მაგალითად, თამარ მეფის გამეფების შემცდარი თარიღის (1156 წ.) გასასწორებლად და უფრო ჭეშმარიტი თარიღის დასადგენად ვახუშტი მხედველობაში იღებს ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების თარიღს: „ჩვენ ალექსი ანგარიისა და ფრანგთაგან კონსტანტინეპოლის აღების ქრონიკონი ვპოვეთ, ამის მისზეითი და მის ქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვეულებით ვყვენით“.

ვახუშტი ცდილობდა გამოერკვია ისეთი თარიღების წელიწადები, როცა ქართულ საისტორიო თხზულებებში აღნიშნული იყო მხოლოდ თვე, რიცხვი დღისა და თვით დღის სახელი, წელიწადი კი დასახელებული არ იყო.

საამისოდ გამოყენებული იყო ქრონოლოგიური მეთოდი, რომელსაც, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, შეიძლება საკალენდრო მეთოდი ეწოდოს.

ეს მეთოდი სხვებზე უფრო რთული იყო და განსაკუთრებული სამათემატიკო ცოდნა-გამოანგარიშება სჭირდებოდა, რომ მკვლევარს გამოეყენებინა. „ამ მეთოდით ეხლაც ხელმძღვანელობენ ხოლმე, ხოლო ქართულს საისტორიო მწერლობაში ეს მეთოდიც პირველად ვახუშტიმ შემოიღო“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ამ მეთოდის საშუალებითაა ვახუშტის მიერ დადგენილი ქართლის მოქცევის, დავით აღმაშენებლის მეფობის წლების, დიმიტრი თავდადებულის სიკვდილის და სხვა თარიღები.

ვახუშტი კრიტიკულად ეკიდებოდა და აფასებდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნაკლებ სარწმუნო ცნობებს (ამას მოწმობს მისი ქრონოლოგიური და გენეალოგიური ხასიათის ძიებანი), მაგრამ, ამავე დროს, მექანიკურად იმეორებდა, სიტყვა-სიტყვით (სადაც ტექსტს არ ამოკლებდა) გადმოსცემდა მის შინაარსს, თხზულებათა ავტორების შეხედულებებსა და კონცეფციებს, ისე, როგორც ამას აკეთებდნენ შუა საუკუნეების ისტორიკოსები დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამიტომ მისი „მოქმედების აღწერის“ სწორედ ეს ნაწილი გაცილებით ახლოს დგას ტრადიციულ ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიასთან, ისტორიის მათიანისებური თხრობის წესთან, ვიდრე მისივე „ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, „ადგილის აღწერა“ და ნაწილობრივ აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ის ნაწილი, რომელიც XIV-XVII საუკუნეებს მოიცავს.

„ისტორიის“ ანუ „მოქმედების აღწერის“ მეორე ნაწილი ორიგინალური, ავტორის დამოუკიდებელი გამოკვლევის ნაყოფია და, ამასთან, „საქართველოს ცხოვრების“ საუკეთესო ნაწილიც.

ვახუშტი, ამ შემთხვევაში, წინასწარ დადგენილ ტექსტს კი არ მისდევს, არამედ მრავალმხრივი საისტორიო წყაროებისა და მასალების საფუძველზე ქმნის საკუთარ კონტექსტებს XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის ყველა ცალკე მოვლენასთან თუ ეპიზოდთან დაკავშირებით.

მართალია, მეორე ნაწილშიც იგი ხშირად მიმართავს ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ინტერპოლაციისა და გაგრძელების პრინციპს, ზოგჯერ კი სხვისი ნაწარმოები მთლიანად შეაქვს საკუთარ თხზულებაში (მაგ., იქ მთლიანად არის შეტანილი XVI საუკუნის დამლევეს დაწერილი „მესხური ქრონიკა“), მაგრამ გამოკვლევის ელემენტები და ისტორიის განმარტებელი თხრობა აქ უფრო თვალში საცემია, ვიდრე პირველ ნაწილში.

ვახუშტის მთავარ მიზანს ამ შემთხვევაში შეადგენდა XIV-XVII სს. საქართველოს ისტორიის აღდგენა.

ერთი სიტყვით, მას უნდა შეესრულებინა ისეთივე სამუშაო, რომელიც უკვე შესრულებული ჰქონდა ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიას. მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა თავის წინამორბედთა ნამუშაკვევი. მან „სწავლულ კაცთა“ მთელი ნამუშევარი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და ამით XIV-XVII საუკუნეების ისტორიის ხელახლა აღდგენის, უკეთ, ახალი ნაშრომის დაწერის საჭიროება დაასაბუთა. ეს მას საგანგებოდაც აქვს აღნიშნული, როცა ამბობს: „ჩვენი შრომა ესე ამისთვის იყო“.

„სწავლულ კაცთა“ შრომის გულდასმით და კრიტიკულად შესწავლის შედეგად მან არაერთი „წინააღმდეგობანი და უსწორებულებანი“ აღმოაჩინა („ვიხილეთ ესე-ოდენი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი“), თუმცა მათი თხზულება დაწერილი იყო „სახელითა ლევანის ძისა მეფისა ვახტანგისათა“.

ამ გარემოებისათვის, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ვახტანგის ძეს ვახუშტის. სხვა თუ არაფერი, ამას მოითხოვდა მამისადმი პატივისცემა. ალბათ ამ მოსაზრებითაა ნათქვამი: „თუმცა ბრძანებითა მისითა არის“ დაწერილი, მაგრამ თვითონ მას (მეფე ვახტანგს) „აღარა განუხილავს ვითარება მისი“-ო.

ადვილად შესაძლებელია, ვახტანგ VI-მ ველარ მოახერხა „სწავლულ კაცთა“ ნამუშაკვე-ნაჭრნახულების განხილვა, მისი კრიტიკული თვალთ შემონმება, მთელი თხზულების აკკარგიანობის აღნიშვნა-გამორკვევა, საბოლოო შეფასება და დასტურის მიცემა.

იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში საერთო ხელმძღვანელების თუ რედაქტორის ასეთი მოუცლელობა ადვილი გასაგებია.

ყოველ შემთხვევაში, XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ ახალი შრომის დაწერა მარტო ვახუშტი ბაგრატიონს არ უნდა მოსვლოდა აზრად. ახალი შრომის დაწერის საჭიროებას ალბათ იზიარებდა მოსკოვის ქართული კოლონიის ყველა კულტურული მოღვაწე, მათ შორის ვახტანგ მეფეც. მაგრამ დასაბუთებით ეს მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონს აქვს დასაბუთებული. მან ყურადღება მიაქცია „სწავლულ კაცთა“ მუშაობის სხვადასხვანაკლს, მათს ქრონოლოგიური და გენეალოგიური ხასიათის შეცდომებს, წყაროების დასახელებისა და წყაროებით სარგებლობის წესებს და სხვ.

იგი უარყოფდა „სწავლულ კაცთა“ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ „ბრწყინვალე მეფის გიორგის ცხოვრება და ქვეითთა მეფეთა არლარა მოიპოვების“ – ე. ი. ისინი უჩიოდნენ გიორგი ბრწყინვალის და მომდევნო მეფეთა „ცხოვრების“ ანუ „ისტორიის“ უქონლობას.

ვახუშტი ასე კატეგორიულად არ ეკიდება ამ საკითხს.

მისი აზრით, „საგონებელ არს, რამეთუ ყოფილ არს ცხოვრება მისიცა და სხვათა მეფეთაცა... გარნა იყო და წარწყმდა“.

ვახუშტი დასაშვებად სთვლიდა ასეთი „ცხოვრებაების“ არსებობას და აღნიშნავდა მათი დაკარგვა-განადგურების შესაძლებლობას („გარნა იყო და წარწყმდა“).

მის ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს ქართული ისტორიოგრაფიის დაკნინება-დაქვეითების ფაქტი XV-XVII საუკუნეებში. თუმცა შემონახული ლიტერატურული ცნობების მიხედვით „ცხოვრებათა“ წერა XIV საუკუნის მეორე ნახევარში და XV საუკუნეში ჯერ ისევ გრძელდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, „სწავლული კაცების“ მსგავსად, ვახუშტიც საჭიროდ მიიჩნევდა განსაკუთრებულ კვლევა-ძიებას XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღსადგენად და თავის ამგვარი შეხედულების საბუთად დასძენდა: „ამისთვის საჭირო იქმნა მასქვეითთა მეფეთა აღწერათა წარმოჩინებანი“.

საამისოდ მან გამოიყენა კვლევა-ძიების მრავალფეროვანი ხერხები.

„მოქმედების აღწერის“ მეორე ნაწილშიც უპირატესად ქრონოლოგიური და გენეალოგიური ძიების მეთოდებია გამოყენებული.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიური კვლევა-ძიების საფუძველზეა დარღვეული წინამორბედ ისტორიკოსთა თარიღები, მეფეთა შთამომავლობითი შტო და მათზე მოთხრობილი ამბები.

ვახუშტი შემდეგი საბუთებით აბათილებს უკვე მიღებულ თარიღებს თუ მეფეთა ზეობის წლებს: „ბრწყინვალეს მეფის გიორგისაგან ვიდრე სვიმონ მეფისამდე არიან წელნი სკ (228) და მეფენი იგ (13), რომელსა არა სარწმუნებელ არს შობად ძეთა გონიერისაგან, ვინაიდგან თვითთა ამათ მეფეთა მიხუდების წელნი 15 (იე), რომელნი ერთი მეორის ძენი არიან; კვალად უკეთუ ჭეშმარიტობს, რად არა იტყვის ქმნულებასა მათთა, არამედ იტყვის: „ჰმეფა და მოკუდა“ და სხუას არღარა რასა; კვალად არცა მონმობს ქორონიკონთა და რომელსა მონმობს უსწორონი და წინააღმდეგომნი არიან ერთიმეორისა, ვითარცა ვიხილეთ და ამისათვის არა ჭეშმარიტ და რომელნი აღვწერეთ ჩვენ, უკეთუ არა ესრეთ იყოს, არცა ჭეშმარიტ იქნებიან გუჯარნი, სიგელნი და ქორონიკონნი და ამისათვის უმჯობეს არს რწმენად ესევე ვიდრე-ღა წარმოთქმისა, ვითარცა მუნ არცა ერთისა მონმობისა მომხსენე არს“.

ეს გრძელი ციტატი, რომლის შინაარსი ივანე ჯავახიშვილმა თავის დროზე რთული მეთოდოლოგიური მსჯელობის ნიმუშად გამოაცხადა, გვიმტკიცებს და გვიდასტურებს ვახუშტი ბაგრატიონის როგორც საისტორიო თხზულებისადმი, ისე წყაროებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას.

თავისი ეჭვის ნათელსაყოფად და სიმართლის დასამტკიცებლად იგი ყურადღებას აქცევს ისეთ არაბუნებრივ გარემოებას, როგორიცაა თითოეული მეფის 15 წელიწადში ერთხელ გამეფება და მით უმეტეს ის, რომ 15 წლის ასაკში მათ შვილები ჰყოლოდათ: „არა სარწმუნებელ არს შობათ ძეთა გონიერისაგან“.

იქვე მითითებულია მცდარი თარიღები, რომელნიც „უსწორონი და წინააღმდეგომნი არიან ერთი-მეორისა“ და ეს სათანადოდ არის კიდევ დასაბუთებული („ვითარცა ვიხილეთ“). დასაბუთებულია, „გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა“ მიხედვით, რომელთა ცნობები, დასძენს ვახუშტი, უფრო მეტი ნდობის ღირსია („უმჯობეს არს რწმენად ესევე“), ვიდრე დაუმონმებელ-შეუმონმებელ ფაქტის ან მოვლენის აღნიშვნა („ვიდრეღა წარმოთქმისა უმონმოსა“).

ვახუშტი „სწავლულ კაცებს“ იმასაც უსაყვედურებდა, რომ ისინი არ ასახელებდნენ გამოყენებულ წყაროებსა და მასალებს („ვითარცა მუნ არცა ერთისა მონმობისა მომხსენე არს“). მათ მართლაც მხოლოდ წყაროების დარგები აქვთ აღნიშნული (სპარსთა, სომეხთა „ცხოვრებანი“) და არა თვითონ ამ წყაროების სათაურები.

მას არ მოსწონდა არც ის, რომ „სწავლული კაცები“ არ იძლეოდნენ XV-XVI საუკუნეების მეფეთა მოღვაწეობის ვრცელ დახასიათებას და ყველას მიმართ მხოლოდ ერთსა და იმავეს ამბობდნენ: „ჰმეფა და მოკუდა“.

მათ რომ საამისოდ საჭირო ცნობები ან მასალები ხელთ ჰქონოდათ, მეფეთა ცხოვრებას უფრო განავრცობდნენ და არაფრის მთქმელი ზოგადი ფრაზით არ დაკმაყოფილდებოდნენო (კვალად უკეთუ ჭეშმარიტობს, რად არ იტყვის ქმნულებასა მათთა“). მაშასადამე, „სწავლულ კაცთა“ საისტორიო თხზულების ერთი მთავარი ნაკლთაგანი ისიც იყო, რომ ისინი არ განიხილავდნენ ქართველ მეფეთა „ქმნულებას“, მათ მოღვაწეობას.

ვახუშტი ბაგრატიონმა საკითხის ამ მხარესაც მიაქცია ყურადღება.

თუ მისი წინამორბედი ისტორიკოსები XVI-XVII საუკუნეების საქართველოს მეფეთა მხოლოდ მოკლე და ზოგადი დახასიათებით კმაყოფილდებოდნენ, ვახუშტი, ყველასი თუ არა, ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელ დახასიათებას იძლევა. ზოგჯერ კი აღდგენილი აქვს ისტორიულ პირთა სისხლსავსე ცოცხალი პორტრეტები. განსაკუთრებით ითქმის ეს XVII საუკუნის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებზე. ყოველმხრივ არის აღწერილი ვახუშტის მიერ, მაგალითად, გიორგი სააკაძის პიროვნება და მოღვაწეობა. ასევე ცოცხლად და დახასიათებული როსტომ-მეფე, მისი პოლიტიკა, მისივე სამოხელეო რეფორმა და აღმოსავლეთ საქართველოში „ყიზილბაშური რიგის“ ინსტიტუტების გავრცელება მის დროს.

გიორგი სააკაძისა და როსტომ მეფის მოღვაწეობის გამო ქართულ ფეოდალურ (და არა მარტო ფეოდალურ) ისტორიოგრაფიაში ერთმანეთის სრულიად სანინაალმდეგო მოსაზრებანი და შეხედულებანი გამოთქმული.

XVII საუკუნის ამ ორი მოღვაწის შეფასებისას ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ თარაფად ანუ ფრთად იყო გაყოფილი. ერთსაც და მეორესაც ჰყავდათ მომხრენიც და მონინაალმდეგენიც, და ისტორიკოსებიც იმისდა მიხედვით ახდენდნენ მათი მოღვაწეობის შეფასებას, თუ რომელ „თარაფს“ ეკუთვნოდნენ, ვისი „მოკიდებულნი“ იყვნენ.

ასევე ტენდენციურია მათ მიმართ ვახუშტი ბაგრატიონი, მაგრამ ამავე დროს, იგი ასახელებს ისეთ ფაქტებსაც, რომელთა გათვალისწინება გვეხმარება აღვადგინოთ გიორგი სააკაძის და როსტომ მეფის მოღვაწეობის საკმაოდ სრული სურათი.

რა თქმა უნდა, XVII საუკუნის ქართველი მოღვაწეების „ქმნულებათა“ დასახასიათებლად ვახუშტის უფრო მეტი მასალები ჰქონდა, ვიდრე XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა დასახასიათებლად (მოვლენების „თვით-მხილველთა“ და „თანადამხვდურთა“ ცნობები, ზეპირი გადმოცემები, ისტორიული პოემები, საბუთები...).

მაგრამ შესაძლებელ შემთხვევაში იგი ახერხებდა უფრო ადრინდელი ხანის ქართველი მოღვაწეების საინტერესო პორტრეტების აღდგენასაც.

ცოცხლად არის აღწერილ-დახასიათებული, მაგალითად, ათაბაგის ქვრივი დედისიმედი (აშოთან მუხრან-ბატონის ასული და ქეთევან დედოფლის და), რომელიც თავისი მკაცრი ხასიათით და გაუტყეხელი ნებისყოფით კარგად იყო ცნობილი როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი ავტორებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ცალ-ცალკე აღწერს XIV-XVII საუკუნეების საქართველოს სამეფოების და სამთავროების ისტორიას, მას მაინც მთელი, სრულიად საქართველოს ისტორია ჰქონდა მხედველობაში. დაქსაქსულობის მიუხედავად ამავე თვალსაზრისზე იდგნენ იმდროინდელი მოწინავე ქართველები.

დამახასიათებელია, რომ მათს მეტყველებაში „საქართველოები“ იყო ქართლის სამეფოც, კახეთის და იმერეთის სამეფოებიც, აგრეთვე მრავალრიცხოვანი სამთავროები.

მრავლობითში დასმული „საქართველოები“ მონიშნობს, რომ ერთიანობის იდეა ყოველთვის ცოცხლობდა ქართველ ხალხში.

ამ იდეის რეალიზაციას წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება“.

მისი „მოქმედების აღწერის“ მეორე ნაწილში გადმოცემულია „ანინდელი“ (XVII-XVIII საუკუნეების) საქართველოს ისტორიაც.

ესაა მოვლენების „თვითმხილველის“ და „თანადამხედურის“ მიერ შედგენილი „ისტორია“, რადგან იგი XVIII საუკუნის ამბებსაც მოიცავს, ხოლო თანამედროვე ისტორიის თხრობა XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე გრძელდება.

სწორედ „ისტორიის“ ამ ნაწილში ვახუშტი გამოხატავს ვახტანგ VI-ისა და მისი დასის სულისკვეთებას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მიზანსწრაფვას.

ამის გამოა ვახტანგ მეფე მის მიერ „მუშაკად“ და „ქართლის მშენებლად“ გამოცხადებული.

იქვე, და არაერთგან, ხაზგასმულია და საკმაოდ დაწვრილებით აღწერილი ქართველი ხალხის ბრძოლა სპარსეთისა და ოსმალეთის მოძალების წინააღმდეგ.

დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ვახტანგ VI-ისა და მისი დასის პოლიტიკური ორიენტაციების საკითხს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე, კრძლდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, მის მნიშვნელობასა და მიზანშეწონილობას.

სათანადოდ არის გათვალისწინებული ქვეყნის შინაური ვითარება, აგრეთვე მეფის ხელისუფლების პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებანი.

მეფის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცების მომხრე ისტორიკოსი დანვრილებით აღწერს რეაქციონერ თავადთა შეთქმულებებს, მათ აჯანყებებს, რომელთა ლიკვიდაციაში თვითონაც მონაწილეობდა.

აღნიშნულია მეფის ხელისუფლების დასუსტებით დაინტერესებული თავადების კავშირი სპარსეთთან, ოსმალეთთან, ტყვით ვაჭრობასთან და სხვ.

იმავე თავადების მოქმედება-საქციელს უკავშირებს იგი „ციხის თათრების“ თვითნებობას, „ლეკიანობის“ გაძლიერებას, მაჰმადიანური გარემოცვის სხვა უარყოფით მოვლენებს.

მოვლენების „თვითმხილველი“ და „თანადამხედური“ ისტორიკოსი ამხელს და ახასიათებს სპარსეთის მთავრობის იმ პოლიტიკას, რომელიც მეფის ხელისუფლების დასუსტების ხარჯზე ცდილობდა თავისი პოლიტიკური გავლენის განმტკიცებას აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში, კახეთში...).

ამის გამოა უარყოფითად განხილულ-შეფასებული „ციხილბაშობის“ ყოველგვარი გამოვლინება (როსტომ მეფის დროიდან მოყოლებული), როგორც პოლიტიკურ სფეროში, ისე ზნე-ჩვეულებებსა და ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში.

ბევრი თავისი თანამედროვის მსგავსად აღნიშნავდა ვახუშტი ქრისტიანობისათვის ბრძოლისა და თავდადების მნიშვნელობას, რადგან ქრისტიანობა ეთნიკურ-ეროვნული მთლიანობისა და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიურ საძირკველს წარმოადგენდა.

ქრისტიანობის დასუსტება-გადაშენება გზას უხსნიდა მაჰმადიანობას, მაჰმადიანობა აღმოსავლურ მიწისმფლობელობას, ხოლო აღმოსავლური მიწისმფლობელობის შემოღება ნიადაგს უმზადებდა მაჰმადიანური სახანოს წარმოქმნას.

მაჰმადიანობის გამარჯვება „ქართველს“ (ქრისტიანს) „თათრად“ (მაჰმადიანად) გადააქცევდა, ხოლო ქვეყანას სამაჰმადიანოდ.

ამგვარი პერსპექტივა, რა თქმა უნდა, არც მეფის მონინაღმდეგე მსხვილი ფეოდალებისათვის იყო მისაღები. ამიტომ ქართული ფეოდალური საზოგადოების მტრული ძალები ადვილად ერთიანდებოდნენ, როცა „ქართველობას“ საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ იგივე ფეოდალები მზად იყვნენ სპარსეთის შაჰების ყურადღების მოპოვებით დაებრკოლებინათ მეფის ხელისუფლების განმტკიცება.

ვახტანგ VI-ის პოლიტიკურ ღონისძიებებში მთავარი ადგილი თავადების ალაგმვას და მათი უფლებების შეზღუდვას ეთმობოდა (მეფეზე დამოკიდებუ-

ლი ყულისა და ყორჩის ჯარის ინსტიტუტის დაწესება, მის რიგებში სამეფო აზნაურების შეყვანა, სამართლის წიგნებით „ბატონყმური რიგის“ მონესრიგება, სამეფო ქალაქების ეკონომიკური მოღონიერება, საქალაქო „გარიგებათა“ რეგლამენტაცია...).

ამის მიხედვითაა დაწერილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია.

მას ფეოდალური შინაომის არაერთი ეპიზოდი აქვს აღწერილი და, ამასთან ერთად, მოცემულია მოვლენების განვითარების თანამედროვე ისტორიკოსის თვალსაზრისით შეფასებაც.

ამ თვალსაზრისის რეალიზაციამ „საქართველოს ცხოვრების“ უკანასკნელ ნაწილში და, საზოგადოდ, მისმა პოლიტიკურმა განწყობილებამ და მოღვაწეობამ მას არაერთი ძლიერი ფეოდალი აუმხედრა და მტრად გადაჰკიდა. ეს „თვისთაგან მრავალტანჯულ“ და „ცუდად მოძულებულ“ ვახუშტის აღნიშნული აქვს კიდევ თავისი ნაშრომების წინასიტყვაობაში.

მიუხედავად სავსებით გასაგები და ბუნებრივი ტენდენციურობისა (თვითონ ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიის მოქმედი პირი და პერსონაჟი იყო, მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური მისწრაფებებით, პირადი თუ დინასტიური ინტერესებით და შეხედულებებით) საქართველოს ისტორიის ეს ნაწილი საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს და მას, ამ თვალსაზრისით, ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების მეოთხე ნაწილს – XVII საუკუნის საქართველოს ისტორიას.

ოღონდ ამ ორ ქართველ ისტორიკოსს შორის არსებითი განსხვავება იყო.

ფარსადან გორგიჯანიძე მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ქართულ ფეოდალურ საისტორიო მწერლობასთან, ისე განსაკუთრებით სპარსულ-აღმოსავლურ ისტორიოგრაფიასთან.

ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკურ ნიმუშებზე აღზრდილი და განაფული ვახუშტი ბაგრატიონი კი თავისი ახალი სამეცნიერო მეთოდებით და ტექნიკური ხერხებით გვევლინება ევროპული ისტორიოგრაფიის პირველ მაცნედ საქართველოში.

დ. „ნიგნის სახელნი“ და ქრონოლოგია-გენეალოგიის ტაბულები

მეთოდოლოგიური ხასიათის მრავალ სიახლესთან ერთად, რომელიც ვახუშტიმ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიღო, უნდა დავასახელოთ სამეცნიერო აპარატი.

მართალია, მისი ნაშრომისათვის დამახასიათებელი არაა სქოლიოები, მაგრამ ხელნაწერის ფურცლებზე იგი იმონებდა გამოყენებულ წყაროებს, იქვე მოჰქონდა კომენტარებიც.

ამას გარდა, ნაშრომს ბოლოში დართული აქვს „ნიგნის სახელნი“, რომელიც გამოყენებული საისტორიო წყაროების ერთგვარ ბიბლიოგრაფიას წარმოადგენს.

წყაროების საზოგადო ნუსხაში ვკითხულობთ: „ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი ნიგნებთა შინა და სახელები ნიგნებთა არიან ესენი: იმერული ძველი გარიგების ნიგნი, დავითნი მესხური ხუთ ნიგნად განყოფილი, იმერული სძილისპირი ეტრატისა, ტლაშაძის აღმონერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათათა, ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთა და სხვათა ჟამნ-კანონთაგან, სახარებათა და საეკლესიო ნიგნებთაგან და სპარსულთა ქორონიკონებთაგან აღმონერილი არიან ესენი, თათრული შიგუნერიათ“.

წყაროების დასახელება ახლა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ შუა საუკუნეების ამა თუ იმ ქვეყნის საისტორიო მწერლობის განვითარების დონეს იმის მიხედვით აფასებენ, თუ როგორ სარგებლობს ესა თუ ის ისტორიკოსი მასალებით და ასახელებს თუ არა იგი გამოყენებულ წყაროს ან საისტორიო თხზულებას.

ვახუშტი, როგორც ვნახეთ, ასახელებს როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებს.

მაგრამ ამ მხრივ იგი პირველი არ იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

გამოყენებულ საისტორიო მასალებს და თხზულებებს ასახელებდნენ XI-XIV სს. ქართველი ისტორიკოსები (გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, ჟამთააღმწერელი...), უფრო გვიან ფარსადან გორგიჯანიძე და „სწავლულნი კაცნი“.

მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუდგენია წყაროების სრული ნუსხა.

ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივანე ჯავახიშვილს, როცა ამბობდა: „წყაროების სრული ნუსხა ცალკე და საგანგებოდ მხოლოდ ვახუშტის აქვს

მოყვანილი. ამასთანავე განახლების ხანის ისტორიკოსთა შორის ამ მხრივ იგი სხვებზე მაღლა დგას იმიტომ, რომ ფ. გორგიჯანიძეს და ვახტანგის „სწავლულ კაცებს“ მართო დარგები აქვთ აღნიშნული, ვახუშტის კი თავის წუსხაში თვით წყაროების სათაურებიც მოუხსენებია“.

მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ვახუშტი მთელ ქართულ საისტორიო მწერლობაში „მხოლოდ გიორგი მთაწმინდელსა და ეფრემ მცირეს ჩამოუვარდება იმ მხრივ, რომ მათ წყაროები უფრო ნიშანდობლივ აქვთ დასახელებული იქვე, სადაც ამა თუ იმ წყაროთგან ამოღებული ცნობაა მოყვანილი, ვახუშტის კი ამგვარად თავისი თხზულება მხოლოდ აქა-იქ და უფრო იშვიათად აქვს დასაბუთებული და ამის მაგიერ მას თხზულების ბოლოში წყაროების საზოგადო წუსხა დაურთავს“.

მართლაც, თუ ზოგჯერ სავსებით ამკარაა ვახუშტის წყაროს სადაურობა, მისი რაობა—სათაური, სამაგიეროდ ძნელდება ყველა მის მიერ გამოყენებული წიგნის დადგენა და ავტორის ვინაობის გამორკვევა.

ასე მაგალითად, ავტორების დაუსახელებლად მითითებულია: „სპარსული ქორონიკონი“, „თეატრის მატეიანე“, „ცხოვრება ოსმალთა“, „აღმოსავლეთის მატეიანე“, „პოლმის მატეიანე“, „ძველი ღეოლრაფია“.

აქ ყველგან ნაგულისხმევია აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის საისტორიო და გეოგრაფიული ნაწარმოებები, რაც ცხადად მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ფართო იყო ვახუშტი ბაგრატიონის უცხოური წყაროების წრე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელია აღვადგინოთ ყველა მათგანის სათაური, ავტორის ვინაობა ანდა თვითონ თხზულების დაწერის დრო.

მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ხერხდება თხზულების სათაურის მიხედვით ავტორის ვინაობის აღნიშვნა.

მაგალითად, „თეატრის მატეიანის“ ავტორი არის ოსნაბრუკის ეპისკოპოსი, პროტესტანტი მწერალი ვილჰელმ სტრატემანი.

„ოსმალთა ცხოვრების“ ქვეშ ნაგულისხმევი უნდა იყოს ინგლისელი ისტორიკოსის რიკოტის „ოტომანთა იმპერიის ისტორია“, რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა 1741 წელს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე დიმიტრი კანტემირის ამავე სახელწოდების ლათინურად დაწერილი თხზულება, რადგან ვახუშტი ფლობდა ლათინურ ენას და სარგებლობდა ლათინური ტერმინოლოგიით.

ძნელი არაა „პოლშური მატეიანეს“ მიგნებაც.

შედარებით რთულია და ძნელი სპარსული და სომხური საისტორიო თხზულებების გამორკვევა, რადგან ასეთი არაერთი არსებობდა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის გამოსაყენებლად.

დღემდე დადგენილი არაა, თუ რომელ ნაწარმოებს გულისხმობს „აღმოსავლეთის მატიანე“ ანდა „სპარსული ქორონიკონები“, საიდანაც „აღმონერი-ლი არიან“ თარიღები, რა თქმა უნდა, ჰიჯრის მიხედვით („თათრული შიგუნერიათ“).

გამოსარკვევ-დასადგენია ვახუშტის მიერ მრავლობითში დასმული „ბერძნული ხრონოგრაფებიც“.

ასევე საინტერესოა იმის გამორკვევა, თუ ვის ან რა დროს ეკუთვნის „ძველი ლეოლრაფია“.

ზოგჯერ „საქართველოს ცხოვრების“ ტექსტში დასახელებულია მხოლოდ ავტორთა სახელები.

უცხოელი ავტორებიდან ვახუშტი ასახელებს: პლინიუს სტოიკს, ციცერონს, იოანე დამასკელს, მაქსიმე აღმსარებელს, ცეზარ ბარონიუსს, ლუი ფელიეს.

XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის უცხოური ნყაროების წრე გაცილებით უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს მისი თხზულების ცალკეული ფურცლებიდან და საზოგადო ნუსხიდან ჩანს.

ასე, მაგალითად, რუსეთის ისტორიის ფაქტები გამოტანილი უნდა იყოს ან რუსული მატიანეებიდან ანდა, რაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი, XVII-XVIII საუკუნეების რუსული საისტორიო თხზულებებიდან.

ქართველმა ისტორიკოსმა იცის, რომ „რუსეთი არის პირველი ნოვგოროდის და მერმე მოსკოვის სამეფო“.

საიდან მოაქვს მას მსგავსი ცნობები?

XVII-XVIII საუკუნეებში რუსულად დაწერილი საისტორიო თხზულებები ბევრი არ იყო. ვახუშტის დროს ჯერ ისევ ყველაზე ცნობილ და გავრცელებულ ნაწარმოებად ითვლებოდა ინოკენტი გიზელის „სინოპსისი“, რომელიც თავისი ხასიათით განეკუთვნებოდა პეტრემდელ რუსულ ისტორიოგრაფიას.

1715 წელს დაინერა ალექსი მანკიევის „Ядро российской истории“, ხოლო ორი ათეული წლის შემდეგ ვ. ტატიშჩევის „История российская“, მაგრამ მანკიევის თხზულება დაიბეჭდა 1768 წელს, ხოლო ტატიშჩევის თხზულება 1771 წელს.

სარგებლობდა თუ არა ვახუშტი ამ თხზულებათა ხელნაწერებით?

რუსეთში, სადაც საქართველოსთან შედარებით გაცილებით ადრე დაარსდა სტამბა, ხელნაწერი წიგნი თვით XVIII საუკუნეში ჯერ ისევ ფართოდ იყო გავრცელებული.

ამიტომ ქართველ ისტორიკოსს უპირატესად ხელნაწერი წიგნებით უნდა ესარგებლა.

ამას გარდა, მას იმავე გზით შეეძლო რუსეთის ისტორიის შესახებ ცნობების მიღება, რა გზითაც ტატიშჩევი კრებდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს – რუს და ქართველ მეცნიერთა კონტაქტების საშუალებით.

„წიგნის სახელთან“ ერთად „საქართველოს ცხოვრებას“ დართული აქვს ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულებიც.

ესეც ახალი მოვლენა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში და, საზოგადოდ, ქართული წიგნის ისტორიაში.

ტაბულებში ზეობის წლების აღნიშვნით ჩამოთვლილი არიან რომისა და ბიზანტიის კეისრები, რომის პაპები, გერმანიის იმპერატორები, ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, რუსეთის, ავსტრიის, უნგრეთის, პრუსიის, შვეციის მეფე-ხელმწიფენი, არაბთა ხალიფები, ოსმალეთის სულთნები, ილხანთა ირანის მბრძანებლები, თემურიანთა, შავ და თეთრ ბატკნიან თურქმანთა ფადიშაჰები და სეფიანთა ირანის შაჰინშაჰები.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულების გრძელი სიის შინაარსიდან ვგებულობთ, თუ როგორ იცნობდა XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი მსოფლიო ისტორიის ფაქტებს.

ტაბულების თვით ზერელე გადათვალიერება გვიჩვენებს, რომ მის თვალსაწიერში იყო როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენა.

ამასთან მას აინტერესებდა არა მარტო აზიის თუ ევროპის ხალხთა ისტორიული წარსული, არამედ თანამედროვე მდგომარეობაც.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ ტაბულებში ახალ-ახალი ცნობები შეტანილია „საქართველოს ცხოვრების“ დამთავრების (1745 წელს) შემდეგაც.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულების შევსებას ავტორი განაგრძობდა 1752 წლამდე. ტაბულებში უკანასკნელად შეტანილია „ნადირ-ავშარ“ და „ადილ“.

საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სარგებლობდა არა მზამზარეული ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულებით, არამედ ად-

გენდა და ავსებდა მათ საისტორიო წყაროებსა და თხზულებებში დამონმებულ ცნობებზე დაყრდნობით.

მსოფლიო ისტორიის ფაქტების გათვალისწინება ვახუშტის, როგორც აღვნიშნეთ, სჭირდებოდა საკუთრივ საქართველოს ისტორიის დაუთარილებელი მოვლენების დასათარილებლად.

ამ მიზნით რეალიზაციის გამო მას არ დაუტოვებია „ხრონოგრაფნი ბერძენთა“. მოუპოვებია და შეუმონმებია სხვა წყაროების ცნობებიც: „ეგრეთვე გაყრილობის შემდგომად რომაელთა კეისართაგან, მეფეთა ევროპიელთა, ანინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიჰთათა გამოვიპოვეთ და შემონმებულათ ვქენით“, – აღნიშნავს ავტორი.

ამგვარს ინტენსიურსა და გულმოდგინე გამოკვლევებზეა დაფუძნებული ვახუშტის ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულები, რომელიც მისი ნაშრომის ერთ-ერთ თვალსაჩინო კომპონენტს წარმოადგენს.

ე. რუკები

ვახუშტი ბაგრატიონის პირველი სერიის ატლასის რუკები „დაიხაზა“ 1735 წლის იანვრის თვეში.

„საქართველოს ცხოვრების“ წერას კი იგი შეუდგა 1742 წელს.

მაგრამ მის კარტოგრაფიულ სამუშაოებს ისეთივე ადგილი უჭირავთ „საქართველოს ცხოვრებაში“, როგორც „აღწერას სამეფოსას საქართველოსას“.

მისი ფრაზა „ან ახალი დახაზული“, ცხადია, გულისხმობს წინათ „დახაზული“ რუკების არსებობას.

ამას გარდა, მოხსენებულია ძველი „შემოკლებული რუკები“, რომელნიც ალბათ „ქვეყნის აღწერასთან“ დაკავშირებით შესრულებულ ტოპოგრაფიულ ნახაზებს წარმოადგენდენ.

აღნიშნული გარემოებანი გვაფიქრებინებს, რომ რუკებზე მუშაობას ვახუშტი ბაგრატიონი ჯერ კიდევ საქართველოში მოღვაწეობის დროს უნდა შესდგომოდა.

ატლასის პირველ სერიაში ხუთი რუკაა მოთავსებული (სულ ჩამოთვლილია რვა რუკა, მაგრამ სამს ჩვენამდე არ მოუღწევია), მეორე სერიაში ცხრამეტი რუკა.

ამასთან მეორე ატლასი გაცილებით უკეთესად არის შედგენილი. კარტოგრაფიული ბადე (კონუსური პროექცია) აგებულია უფრო ზუსტად, მოცემულია ხაზოვანი მასშტაბები ვერსებისა და ალაჯების საფუძველზე და სხვ.

რუკებზე ფიქსირებულია: ქალაქები, მცირე ქალაქები, დიდი დაბები, ოსის დაბები, თათრის დაბები, საეპისკოპოსოები, მონასტრები, ეკლესიები, სასახლეები – მეფის, მთავრების, თავადების, აზნაურების; ციხეები, დიდი მდინარეები, ხევის მდინარეები, ტბები, წყაროები, მთები, თოვლიანი მთები, ბალები, ტყეები, ხიდეები, გზები, საზღვრები, სადროშოები...

ერთი შეხედვით, პირველი თუ მეორე ატლასის რუკები გეოგრაფიული მიმოხილვის კარტოგრაფიული ილუსტრაციის შთაბეჭდილებას სტოვებენ. მაგრამ ნამდვილად ისინი წარმოადგენენ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით შედგენილ რუკებს.

დამახასიათებელია, რომ ისევე როგორც „ადგილის აღწერას“ და „მოქმედების აღწერას“, რუკებსაც საფუძვლად უდევს ერთიანი საქართველოს იდეა.

შედგენილია როგორც საქართველოს საერთო რუკა, ისე რეგიონალური, საქართველოს სამივე სამეფოს და სამთავროების „ქარტანი ანუ რუკანი“.

საქართველოს საერთო რუკაზე (მოიცავს ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ამიერ და იმიერ კავკასიას, აგრეთვე თურქეთის მოსაზღვრე ნაწილებს) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაყოფები ფერებშია მოცემული. ფერებითვეა შემკობილი რუკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე დახატული საქართველოს დროშები (ყველა სამეფოსი და სამთავროსი).

საინტერესოა, რომ მეორე ატლასის საქართველოს ანუ იბერიის რუკაზე ძველი ტერიტორია გაყოფილია 10 საერისთაოდ, რაც მას მვეთრად გამოხატული ისტორიული რუკის ელფერს ანიჭებს.

ამას გარდა, ამავე ატლასის ორი ფურცელი უკავია ქართველ მეფეთა გენეალოგიურ ნუსხას.

ისტორიული რეალიები აღბეჭდილია როგორც საქართველოს საერთო რუკაზე („სამეფოსა ყოვლისა საქართველოსა ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა“), ისე რეგიონალურ რუკებზე.

ისტორიული ხასიათისაა პირველი ატლასის წარწერის შინაარსიც: „ენითა ლათინთა საკუთარ სახელი ამისი ტაბულა და ქარტა ანუ ატლასი, ხოლო ქართულად რუკა.“

ძველთაგან ტომობით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლო-სიანი: რომელ არს საქართველო: კვალად მიღებული: იბერია ანუ გიორგიანნი, მოხაზული ყოველთავე მითია, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მეხილა: ანუ მნახველთაგან მესმა“.

ყველაზე დაწვრილებით შედგენილია ქართლის, კახეთის და იმერეთის რუკები.

ქართლ-კახეთს 19 რუკიდან დათმობილი აქვს თერთმეტი რუკა, დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს და სამთავროებს) ოთხი რუკა.

ქართლის სამეფოს რუკაზე ცალკეა მოხაზული თბილისის გეგმა, წარწერით: „სახე თბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა, რომელ არს სატახტო ქალაქი ქართლისა...“

თბილისის გეგმაზე აღნიშნულია:

მეფის, დედოფლის, ბატონიშვილების, ფეოდალების სასახლეები, მოქალაქეთა სახლები, ქარვასლები (თბილისის ქარვასლა, მელიქის ქარვასლა, ბეჟანის ქარვასლა), ფუნდუკები (მეფის ფუნდუკი), უბნები (ანჩისხატი, კალოუბანი, ავლაბარი - ისანი, ჩულურეთი, კვირა(ცხოველი, ახალი სოფელი, კლდის უბანი, გარეთუბანი), ციხე-სიმაგრეები (მაღალი ციხე, სტამბოლის გოდოლი, შაჰის ტახტი, მეტეხი ციხით, ციხე დაბალი), მოედნები (მეფის მეიდანის, ციხის მეიდანის, მეიდანის კარი ხიდით, მეიდანის ანუ ასპარეზი), თბილისის სხვადასხვა კარი (კოჟრის კარი, დიღმის კარი, ხალთაკარი, ქვემო კარი ხიდით, ავლაბრის კარი), ბალები (მეფის დიდი ბაღი, დედოფლის ბაღი, ტფილისის ბაღი სეიდაბადისა, ბებუთას ბაღი, ახალი ბაღი მეიდანისა, ბეჟანას ბაღი), ეკლესიები (ქართველების, ბერძნების, სომხების, ფრანგების), სასაფლაოები (სასაფლაო სომეხთა, სასაფლაო თათრისა...), გზები: კუმუსის გზა, კოჟრის გზა, ბალების გზა ყარაისა, კახეთის გზა, შუატბის გზა, ლისის გზა, მახათა, ავჭალის გზა, ზედა გზა.

ქართლის და, საზოგადოდ, საქართველოს სხვა ქალაქების გეგმას ვახუშტი არ იძლევა.

თბილისის გეგმა მას, როგორც ჩანს, ორჯერ აქვს „დახაზული“ - ადრე (საქართველოში?) და გვიან (რუსეთში).

დაწვრილებითაა აღწერილი თბილისის „გეოგრაფიული აღწერის“ ტექსტბშიც.

თბილისისადმი ვახუშტის ყურადღება შემთხვევით არ აიხსნება.

ქართლის ეს სატახტო ქალაქი ფაქტობრივად წარმოადგენდა მთელი საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს.

მას მნიშვნელოვანი ადგილი ექირა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში.

თბილისის საშუალებით ხორციელდებოდა (ყოველ შემთხვევაში, ასეთ როლს უთვალისწინებდნენ მას ქართველი მოღვაწენი) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

თბილისის ასეთი როლი და მნიშვნელობა დღის წესრიგში დააყენა სავაჭრო კავშირების გაცხოველებამ XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

ამიტომ იმდროინდელი ქართველი კარტოგრაფები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გზების, ხიდების, ქარვასლების, ფუნდუკების, დასახლებული პუნქტების, ქალაქების (გზების გასწვრივ რომ მდებარეობდნენ) „დახაზვას“.

ეს მიზანი მკაფიოდ ეტყობა ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ სამუშაოებსაც.

აღსანიშნავია, რომ სამეურნეო ხასიათის ცნობები უხვად არის გაბნეული არა მარტო მის გეოგრაფიულ „აღწერაში“, არამედ სათანადოდ არის აღბეჭდილი სხვადასხვა დროს შესრულებულ რუკებზეც.

შესაფერისად არის გათვალისწინებული აგრეთვე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებიც.

დიდი ადგილი ეთმობა ვახუშტის რუკებში ისტორიული გეოგრაფიის რეალიებსაც, წმინდა ისტორიული ხასიათის მონაცემებსაც: ძველი საერისთაოების განლაგება, სადროშოები, სამეფოებისა და სამთავროების საზღვრები და სხვ.

ამ მხრივ და ამ თვალსაზრისით ეს რუკები ორგანულად იყვნენ დაკავშირებული „გეოგრაფიულ აღწერასთან“. ხოლო ერთიცა და მეორეც ავტორის მიერ მიჩნეული იყო „საქართველოს ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილებად.

ვახუშტი როზორც მაცნიერი

ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც მეცნიერის, დახასიათების შესაძლებლობას გვაძლევს მისი ისტორიული შეხედულებანი და მის ნაშრომში გამოყენებული ახალი სამეცნიერო მეთოდები.

ვახუშტის ისტორიულ აზროვნებას მთავარ საფუძველს საქართველოს ისტორიული სინამდვილე უქმნიდა, მაგრამ მისი მსჯელობა და დასკვნები დასაბუთებული იყო ევროპულ ისტორიოგრაფიაში ახლად შემოღებული მეთოდოლოგიით და ტექნიკური ხერხებით.

ამავე დროს, XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს გამოთქმული აქვს ისეთი მოსაზრებები და მიღებული აქვს ისეთი დასკვნები, რომელსაც ევროპულმა მეცნიერებამ მხოლოდ XIX საუკუნეში მიაგნო და ყურადღება მიაქცია.

ეს განპირობებული იყო მისი განათლებით, დაკვირვების ნიჭით და მეცნიერული მუშაობის ფართო დიაპაზონით.

ა. ვახუშტის ისტორიული აზროვნება

ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული აზროვნების შესახებ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის მისი საისტორიო ნაშრომის წინასიტყვაობა, რომელსაც „მკითხველთათვის სიტყვა“ ეწოდება.

წინასიტყვაობაში საკმაოდ ვრცლად საუბარია ისტორიის მიზნის, დანიშნულების, მნიშვნელობისა და ისტორიული კვლევა-ძიების მეთოდების შესახებ.

XVII-XVIII საუკუნეების უცხოელი ისტორიკოსების მსგავსად ვახუშტიც დიდაქტიკურ-უტილიტარისტული თვალსაზრისით უდგებოდა ისტორიის საგანს.

ისტორიის მიზანი და დანიშნულება მას ასე აქვს განმარტებული: „მატიანე მოგვახსენებს დასაბამითგანსა ჟამსა და წელსა და საუკუნოსა, მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებსა და გმობს უკეთურთ ქმნულებსა. მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არასცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა, მატიანე განამკნობს კაცსა და ერთგულ

ჰყოფს ქვეყნისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის, და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყუასისა მიმართ“.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „მატიანე“ ანუ „ისტორია“, უწინარეს ყოვლისა, პატრიოტული მოთხრობაა: „მატიანე განამჷნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად“. და იქვე ეს შემდეგნაირად არის დასაბუთებული: მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავს სარწმუნოებისათვის“.

ამრიგად, ისტორიკოსის აზრით, „ისტორიის“ ცოდნა აღვივებს და აძლიერებს ეროვნულ თვითშეგნებას („ნათესავთ-ჩამომავლობის“ მნიშვნელობის ცოდნა-შეგნების წყალობით), ქვეყნისა და სარწმუნოებისთვის თავდადებას.

ვახუშტი ბაგრატიონი, რა თქმა უნდა, ამ მხრივ სრულიადაც არ იყო ორიგინალური.

პატრიოტულ-პოლიტიკური მოტივები მკაფიოდ ვლინდება არჩილის, პაპუნა ორბელიანის, „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებელ-გადაამკეთებლების და სხვ. ავტორთა ნაწარმოებებშიც.

იგივე უნდა ვთქვათ სარწმუნოებრივი თავდადების მიმართაც.

ვახუშტი იმეორებს გავრცელებულ აზრს, რომ „მატიანე“ ანუ „ისტორია“ უნდა შეიცავდეს სარწმუნოებისათვის თავდადების მაგალითებს („მატიანე... დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის“). მისივე მტკიცებით, ქართველები, როგორადაც არ უნდა ემძლავრა მტერს, არასოდეს არ ივინყებდნენ ღმერთს, მეფეს და მათთვის დამახასიათებელ ზნე-ჩვეულებებს: „არა დაუტევიან ღმერთნი, და მეფე, და ჩვეულებანი“.

ქრისტიანობა იმდროინდელი ქართველების წარმოდგენაში, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ რელიგიას არ ნიშნავდა, რელიგიურ აღტყინებას და ღვთისმოსაობას არ გულისხმობდა.

ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგია, უშუალოდ იყო დაკავშირებული „ქართველობასთან“ – ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან, ამიტომ აერთიანებს ვახუშტი ერთ ფრაზაში ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის თავდადებას.

„ქართველობის“ მაგიერ „ყიზილბაშობის“ ან „ოსმალობის“ დამკვიდრება მხოლოდ ქრისტიანობის დათრგუნვის და მაჰმადიანობის შემოღება-გავრცელების შედეგად იყო შესაძლებელი.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ იმ დროს გამაჰმადიანებულ ქართველს „თათარი“ ეწოდებოდა, ხოლო გაქრისტიანებული უცხო რჯულის ადამიანი „ქართველი“ ხდებოდა.

ქრისტიანობისათვის ბრძოლის მნიშვნელობა იმ დროს ყველას კრგად ეს-
მოდა და კარგად ჰქონდა შეგნებული.

ამიტომ იყო, რომ XVII საუკუნეში კვლავ აღორძინდა აგიოგრაფიული ჟან-
რი. დაინერა ქეთევან დედოფლის წამება, ლუარსაბ II მონამებორივი სიკვდი-
ლის ამბავი და სხვ. ქეთევანის და ლუარსაბის მაგალითიც ანტიმაჰმადიანური
პროპაგანდისათვის იყო გამოყენებული.

ამავე დროს ქართველები ამჟღავნებდნენ ინდეფერენტულ დამოკიდებულე-
ბას რელიგიის მიმართ, ენაფებოდნენ საერო სიბრძნეს და საერო ლიტერა-
ტურით იყვნენ გატაცებულნი.

„ქეთევან დედოფლის წამების“ ავტორი თეიმურაზ I წერდა: „არვის უნდა
სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“.

ამგვარსავე აზრს გამოთქვამს არჩილიც.

მაგრამ თეიმურაზიც და არჩილიც ქრისტიანობის სახელით ებრძოდნენ
მოძალადე სპარსელებს, რათა გზა შეეკრათ მაჰმადიანობის გავრცელებისა-
თვის, ქვეყანა „ყიზილბაშობისაგან“ ეხსნათ და „ქართველობა“ გადაერჩინათ.

ასევე ვახუშტი ბაგრატიონი ქრისტიანობის დასაცავად წარმოებულ ბრძო-
ლას აიგივებს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძო-
ლასთან

ამითვე აიხსნება მისი დაინტერესება საეკლესიო ისტორიის საკითხებით.

ისევე, როგორც ფეოდალური ისტორიოგრაფიის ყველა წარმომადგენელი,
ვახუშტიც „ისტორიის“ თხრობას იწყებს დასაბამიდან, ქვეყნის შექმნიდან.

ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო როგორც აღმოსავლური (არაბულ-სპარ-
სული), ისე დასავლური ისტორიოგრაფიისათვის შუა საუკუნეებში.

მაგრამ თვით XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში არაერთი ის-
ტორიკოსი იწყებდა „ისტორიის“ დასაბამიდან თხრობას.

ასე იქცეოდა XVII საუკუნეში არა მარტო საისტორიო-საეკლესიო
ისტორიოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანგი ბოსუე,
არამედ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იტალიელი ისტორიკოსი ვიკოც,
რომელმაც ისტორიული წარსულისადმი ახლებურ დამოკიდებულებასა და
შესწავლას „ახალი მეცნიერება“ უწოდა.

„ისტორიის“ თხრობის დასაბამიდან დაწყებით ვახუშტი ბაგრატიონი ხარკს
უხდიდა ტრადიციულ შეხედულებებს, განსაკუთრებით კი საეკლესიო ისტო-
რიის მოთხოვნილებებს.

იმავე საეკლესიო ისტორიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ნიშნავდა აგრეთვე ბიბლიურ პერსონაჟებზე საუბარი და მათს წრეში ქართველ ტომთა ეთნარქების ძიება.

ქართველ ტომთა ეთნარქების საკითხი ვახუშტი ბაგრატიონსაც ისევე ორგანულად აქვს დაკავშირებული სრულიად გარკვეულ ისტორიულ კონცეფციებთან და წარმოდგენებთან, როგორც ყველა ძველ ქართველ ისტორიკოსს.

მასაც, ლეონტი მროველის მსგავსად, „ნათესავთ-ჩამომავლობის“ საკითხების გარკვევა ქართველთა ეროვნული ერთობის დასამტკიცებლად სჭირდებოდა.

ამავე მიზანს ემსახურება მის მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული ფაქტები და საისტორიო მასალები.

ქართველთა ყოფაცხოვრების, კულტურის და დანეხებულებების ერთობა იგი ნახულობდა როგორც წარმართობის, ისე ქრისტიანული პერიოდის საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ქრისტიანულ სარწმუნოებაში წარმართობის არაერთ გადანაშთს აღნიშნავდა და ისტორიული ცვალებადობა-განვითარების ნიშნის მიხედვით ახასიათებდა.

ასე, მაგალითად, მისი აზრით, საქართველოში ღამის თევა და „როკვა ფერჯისისა“, ანუ ფერხული, ქრისტიანობის დროსაც ძველი კერპთაყვანისმცემლობის ნაშთი იყო. ამავე თვალსაზრისითაა მის მიერ განხილული ახალწლისა და აღდგომის დღესასწაულები.

ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ვახუშტის თავის ზოგად ისტორიულ-ფილოსოფიურ მიმოხილვაში „ბევრი საგულისხმიერო ცნობები აქვს შეგროვილი, სრულებით სწორე და ღრმა დაკვირვება აქვს ჩართული, არაერთი მოვლენაა ზედმიწევნით და გასაოცარის გონებამახვილობით განმარტებული“.

ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული აზროვნების ერთი დამახასიათებელი მხარეთაგანია საქართველოს ისტორიის საკითხების მსოფლიო ისტორიის საკითხებთან დაკავშირება.

იგი ყველაზე ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი თარიღების დადგენისას ცდილობს მსოფლიო ისტორიის ფაქტებსა და მოვლენებს მიუსადაგოს საქართველოს ისტორიის ფაქტები და მოვლენები.

მას კარგად ესმის, რომ ქართველი ხალხისათვის წარსულში (და აწმყო-მომავალშიც) დამახასიათებელი იყო ისტორიული თანაცხოვრება კავკასიის, წინა აზიის და ევროპის ქვეყნებთან და ხალხებთან.

ამიტომ სწავლობდა იგი გულდასმით მსოფლიო ისტორიის ძველ ფაქტებს და თვალყურს ადევნებდა მოვლენების განვითარებას თანამედროვე მსოფლიოში.

ამავე მიზნით ეცნობა იგი ქრისტიანობის წარსულს სხადასხვა ქვეყანაში, რათა გაარკვიოს „ქართველთა მოქცევის“ ისეთი საკითხები, რომელნიც მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას (ქრისტიანობის გამარჯვება-გავრცელებას) უკავშირდებოდნენ.

ამიტომვე ექცევა განსაკუთრებული ყურადღება თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებას.

ვახუშტი თავს უყრის საამისო ცნობებს და ცდილობს მათი შინაარსის ანალიზის საფუძველზე სათანადოდ გაითვალისწინოს ბიზანტიისა და ტრაპიზონის საკეისროების დამხობა-გადაშენების შედეგები ქრისტიანული სამყაროსათვის საზოგადოდ და, კერძოდ, საქართველოსათვის.

ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული აზროვნება იმდენად მნიშვნობრულ განათლებაზე არ იყო დამოკიდებული, რამდენადაც მისი დროის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, ქართული ფეოდალური საზოგადოების მიზანსა და მისწრაფებებზე.

მისი „ისტორია“ სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნითაც არის დაწერილი, ხოლო მისი შინაარსი ვახტანგ VI-ის დასის სამოქმედო პროგრამასთან შეფარებული.

ვახუშტი ბაგრატიონი ეკუთვნოდა ქართული საზოგადოების იმ დასს, რომლის სამოქმედო პროგრამას შეადგენდა: „თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა“.

ამ დასის მთავარ საზრუნავს შეადგენდა მეფის ხელისუფლების განმტკიცება, თავაშეებული თავადების ალაგმვა, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისათვის ნიადაგის მომზადება და ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურება-განვითარება.

ეს მიზანსწრაფვა დამახასიათებელი იყო აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის მთელი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობისათვის.

მისთვისაც, ისევე როგორც „ვახტანგის სკოლის“ მწერლებისა და „პოლიტიკური დასის“ მოღვაწეებისათვის, ერთმეფობა ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული ერთობის გამომხატველი იყო.

ამის ჩვენებას და დამტკიცებას ცდილობდა ყველა, ვინც კი ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენისათვის იღვწოდა.

ამის ჩვენებას და დასაბუთებას ცდილობს ვახუშტი ბაგრატიონი თავის „ისტორიაში“.

მისი შეხედულებით „ერთმეფობა“ ქართველი ხალხის ძველისძველი ჩვეულებაა, „წესი დასაწყისითგანვე“, ბუნებრივი და თავდაპირველი, რომლიდანაც გადახვევა და „განყოფილება“ მუდამ „შინაური შფოთით“ და „გარეშე მტერთა“ ჩარევით იყო გამოწვეული.

მისივე თვალსაზრისით სამეფო-სამთავროებად დაყოფილი საქართველო ახალი, „შეძინებული“ და, ამდენადვე, არაბუნებრივი მოვლენა იყო ქვეყნის საერთო ისტორიულ განვითარებაში.

ამიტომ ძველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების „კვალსავე თვისსა მოგება“ ანუ აღდგენა, ქვეყნისათვის ადრევე დამახასიათებელი, ნორმალურ და ბუნებრივ ვითარებასთან უკან დაბრუნებას ნიშნავდა.

ამდენადვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის გამორკვევას, თუ როდის და რატომ მოხდა „განყოფილება“ ანუ ერთიანი ქვეყნის პოლიტიკური დაშლა.

ამ საკითხის გამორკვევით დაინტერესებული იყვნენ „სწავლული კაცებიც“ და ვახუშტი ბაგრატიონიც.

ეს იყო XVII-XVIII საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის კარდინალური საკითხი.

ვახუშტი „განყოფილებას“ და დაქსაქსულობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „შინაურ შფოთს“ და „გარეშე მტრის“ ღონისძიებებს მიაწერდა.

პირველწყაროებზე დაფუძნებულ კვლევა-ძიებას იგი ასეთ დასკვნას უკეთებდა: „მამ კვალად ერთ-მეფობა ყოფილა და შემდგომად განყოფა“.

ამის გამოსარკვევად მას შეუსწავლია „ყოველნი წერილნი“ თამარ მეფიდან დაწყებული „სვიმონის ძის გიორგისამდე“.

ამრიგად, სავსებით მართებულად ქვეყნის პოლიტიკური დაშლის სათავეს იგი XIII საუკუნეში ნახულობდა, ხოლო მის გაღრმავებას XIV-XVI საუკუნეებში.

მართლაც, სწორედ ამ დროს ძლიერდება „შინაური შფოთიც“ და გარეშე მტრების მოძალებაც, რომელთა ურთიერთკავშირმა და ზემოქმედებამ XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ქვეყანა პოლიტიკურ დაშლილობამდე მიიყვანა.

ეს დადასტურებულია 1490 წლის დარბაზის განწყვეტილებით. მაგრამ დაქსაქსულობის გადალახვას ვახუშტი ბაგრატიონი ქართველი ხალხის ხასიათის და მიდრეკილებების მოთხოვნილებად თვლიდა.

ამ აზრის პოლიტიკური მიზანი სავსებით ცხადია და ნათელი.

ისტორიკოსი ცდილობდა სარწმუნოდ გაეხადა პოლიტიკური დაშლილობის არაბუნებრიობა, როცა ამბობდა: „არა იყო ჩვეულება მეფეთა და უფროს-და ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა“.

მისი მსჯელობის მიხედვით ქართველებს „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა“.

ამის მტკიცება ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ „პირმტკიცობა“ და „მტერთა ზედა ერთობა“ ხშირად ირღვეოდა, რითაც გარეშე მტერი მარჯვედ სარგებლობდა, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებშიც „თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლის“ არაერთ მაგალითს იძლეოდა ხალხი.

ვახუშტის მტკიცებით, საზოგადოდ ქართველები „განუხეთქელობისათვის სამეფოსა მცდელობდნენ“, ე.ი. სახელმწიფოებრივ ერთიანობას უფროსილდე-ბოდნენ და მის დაცვას ყველანაირად ცდილობდნენ.

მისივე სიტყვით, „უკეთუ მოუღიან საზღუარნი თჳსნი, ყოველნი მწუხარებდნენ და იჭირვოდნენ კვალადგებასვე, და მეფეთა თჳსთა მიუდრეკლად ერთგულობდნენ“.

ისტორიკოსი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აშკარად ტენდენციურია, მაგრამ აზრი „მეფეთა მიუდრეკლად ერთგულების“ თაობაზე ორგანულადაა დაკავშირებული მის ზოგად ისტორიულ კონცეფციასთან.

მართებულად აქვს მას შეფასებული ქართველთა უცხოური და მიუღებელი ინსტიტუტების წინააღმდეგ გაერთიანების სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები.

ვახუშტის განმარტებით, თუ ქართველებს რომელიმე გარეშე ძალა ძლევდა, მორჩილებას არ კისრულობდნენ და სულ იმის ცდაში იყვნენ, რათა „თჳსნივე წესნი“ აღედგინათ და ქვეყანა უცხო დამპყრობელთა ბატონობისაგან გამოეხსნათ: „განა თუ სძლია ვინმე მძლავრთაგანმა, არა დაემორჩილვიან, არამედ კვალად იპყრიან თჳსსივე წესნი, და არა დაუტყვიან ღმერთნი, და მეფე, და ჩვეულებანი“.

საამისო არაერთი მაგალითი შეეძლო ეპოვა ისტორიკოსს საქართველოს ისტორიულ წარსულში.

მართლაც, თვით ერთმანეთის მეტოქე და მონინალმდგეე ძალები ადვილად ერთიანდებოდნენ, როცა დამპყრობელი „ქართულ წესრიგს“ ეხებოდა და მის გაუქმებას ლამობდა.

„არაბობა“, „სპარსობა“, „თურქობა“, „ულუსობა“, „ყიზილბაშობა“ და „ოსმალობა“ ფეოდალურ საქართველოს ყველა საზოგადოებრივი ფენის ინტერესებს ეხებოდა (სოციალურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს...), რადგან ყოველგვარი „ულუსობა“ ადგილობრივი წესების არსებობას ემუქრებოდა და ამიტომ „ქართველობის“ აღდგენით ყველა თანაბრად იყო დაინტერესებული.

ისტორიკოსი, რომელსაც თავისი საისტორიო ნაწარმოების შინაარსი ისე ჰქონდა გამართული, რათა ერგენებინა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა უძველეს დროში და ემტკიცებნა მისი აღდგენის აუცილებლობა „ანინდელ“ ისტორიულ სიტუაციაში, არ შეიძლებოდა მკვეთრად არ დაპირისპირებოდა თავადებს, არ მოეთხოვა მათი პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა და მათდამი დაქვემდებარებული პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულების მეფის ხელისუფლების კონტროლისათვის დაქვემდებარება.

თავისთავად სათავადოთა სისტემის არსებობა გამორიცხავდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, ამიტომ ვახტანგ VI ენერგიულად ახორციელებდა ღონისძიებებს მათი უფლებების შეზღუდვის მიზნით.

თავის მხრივ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმული თავადები ეყრდნობოდნენ არა მარტო რეაქციონურად განწყობილ ძალებს ქვეყნის შიგნით, არამედ გარეშე ძალების მფარველობასაც ეძებდნენ და შაჰინშაჰების თუ სულთნების ფირმანებით თავიანთ ხელშეუხებელ „უფლებებს“ განამტკიცებდნენ.

ამიტომ თავადების უფლებების შეზღუდვა სპარსოფილური და ოსმალოფილური განწყობილებების შესუსტებასაც ნიშნავდა.

მეფის ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული სათავადო არც სპარსეთს და არც ოსმალეთს დასაყრდენად აღარ გამოადგებოდა. ამავე დროს, თუ ქართველები გაერთიანებას მოახერხებდნენ, მათ სამშობლოს ბევრს ვერაფერს დააკლებდნენ ვერც უკიდურესად დაკნინებულ-დასუსტებული სპარსეთი და ვერც დაუძღურების გზაზე შემდგარი ოსმალეთი.

ეს კარგად ესმოდათ ქართული ფეოდალური საზოგადოების მონინავე, პროგრესულ ძალებს, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახუშტი ბაგრატიონი იყო.

ისტორიის საშუალებით მან შეძლო ეჩვენებინა იმ მიზნების მნიშვნელობა, რასაც ვახტანგის „სკოლის“ და „პოლიტიკური დასის“ მოღვაწენი ესწრაფოდნენ მტრულად განწყობილი და ჩამორჩენილი მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარმოცვის პირობებში – ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას, სამეურნეო აღმავლობა-დანინაურებას და კულტურულ წარმატებას.

ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ ვახუშტის ამგვარი შეხედულებანი მდებარე წინააღმდეგობას იწვევდა ქართველი რეაქციონერი ფეოდალების წრეებში.

ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი როგორც ვახტანგ VI-ის, ისე ვახუშტი ბაგრატიონის მიმართ.

არ ერიდებოდნენ არც ჭორს, არც ცილისწამებას.

სტრატემანის თხზულების პატარა წინასიტყვაობაში ვახუშტი შემთხვევით არ ამბობდა: „დავმეგრ და ვიყავ წერასა შინა ამისა მრავალტანჯულ თვისთაგან... ვითარცა განმაგდეს და მომიძულეს ცუდად, მშრომელი მეფის შვილი ვახუშტი“.

რეაქციონერი თავადების მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას ისტორიკოსი ამჟღავნებს მათი პიროვნებისა და მოღვაწეობის აღწერა-დახასიათების დროსაც.

საერთოდ, მისი „ანინდელი“ (XVII-XVIII საუკუნეების) ისტორია პოლემიკური ტონით არის დაწერილი და ისტორიის თხრობა აშკარად პოლიტიკის წიგნად გადაქცეული.

თავადების უფლებების დათრგუნვის წადილი გავლენას ახდენდა ისტორიკოსის მსჯელობასა და საბუთიანობაზე.

პოლემიკური ტონით აღწერდა ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფაქტებსა და მოვლენებს. იგი მკვეთრად უპირისპირდებოდა არა მარტო ქართლის თავგასულ თავადებს, არამედ ქართლში გაბატონებულ კახელ ბაგრატიონებსაც. პოლემიკური პაექრობის ხერხების მომარჯვებით (ზოგჯერ კი აშკარად ტენდენციურად) ცდილობდა იგი კახ-ბატონების უფლებების გაბათილებას ქართლის სამეფო ტახტზე.

ეს ინვევდა როგორც რეაქციონერი თავადების, ისე კახ-ბაგრატიონთა მომხრეების უკმაყოფილებას, აღვივებდა მათს მტრობას პროგრესულად და ლეგიტიმისტურად განწყობილი ისტორიკოსის მიმართ.

ვახუშტი ბაგრატიონი არაერთხელ გამხდარა იგნორირების, „თვისთაგან მოძულებისა“ და „მტრობის“, დაცინვისა და დამცირება-დამდაბლების საგანი.

მის „ნაბუშრობას“ სრულიად გარკვეული პოლიტიკურ-ისტორიული მოსაზრებებით აღნიშნავდნენ კახ-ბატონების მომხრენიც,

ქედმაღლური დამოკიდებულების თუ დინასტიური თვალსაზრისის უშუალო გამოხატულებას წარმოადგენდა ის, რომ ვახუშტის მტრები ეჭვქვეშ აყენებდნენ მის უფლისწულობას და დაცინვით „ნაბუშარს“ უწოდებდნენ.

ამ მხრივ იგი ერთადერთ გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

კახეთის ბაგრატიონების დინასტიური მისწრაფებების გამომხატველი ფეოდალები ნაბუშარს უწოდებდნენ დიმიტრი ბაგრატიონსაც, თუმცა, როგორც ჩანს, ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

„ქართველთა მწერალთათვის მცირე უწყებაში“ დასახელებული ბატონიშვილის გამო ნათქვამია: „დიმიტრი ბაგრატიონი, შვილიშვილი იესე მეფისა მხეველისაგან. ესე ორგულობისათვის გაძევებული მოვიდა მოსკოვს, ისწავლა რუსული, არს კარგი მთარგმნელი, რომელმაცა ჰსთარგმნა რამდენიმე წიგნი, და არს კარგი მესტიხე, რომელმაც აღწერა შაირად წმინდის დედოფლის ქეთევანის ცხოვრება“.

„კალმასობაში“ დიმიტრი ბაგრატიონის გამო წერია: **„ქართველებს ბუში რომ მეფის ძედ არ გვწამს, თათრის ბუშს ვინ იწამებს“.**

აქ გადაკრულად ვახუშტი ბაგრატიონიც არის ნახსენები.

„კალმასობის“ ავტორს, რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰყავს გამაჰმადიანებული იესე მეფეც და მისი შვილებიც: ჰუსეინ-ბეგი, ისაყ-ბეგი, აბდულა-ბეგი...

დიმიტრი გიორგისძე ბაგრატიონი გამაჰმადიანებული იესე მეფის შვილიშვილი და გამაჰმადიანებული გიორგი ბატონიშვილის შვილი იყო. მაგრამ „კალმასობაში“ არც ქრისტიანი ვახუშტი ბატონიშვილია დანდობილი.

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი აქ შემდეგნაირად არის დახასიათებული: „ვახუშტი ბუშისათვის ბაგრატიონისა. ვახუშტი ბუში ბაგრატიონთა, აღზარდა ვახტანგ მეფემან მოსკოვსა შინა, და იყო კარგი მეცნიერი. ამან განაწვრცელა ქართლის ისტორია და აღწერა კარგად, აგრეთვე მეფეთა შთამომავლობანიცა; გარნა ვინადგან გამოძებულ იქნა კახთა მეფეთაგან, ამის-

თვის ისტორიასა შინა თვისსა მიერ ქმნილსა, შურიტა მოუთხრობს საქმეთა მათთა შეწვევითა ცხვირმოჭრილისა, ორგულობასა ზედა მეფისასა, ამილახვარიშვილისა და ამისთვის ზრახვენ ქართველნი და არა ქვემარიტ ისტორიად რიცხავენ, ვინაიდგან შურიტა მეფეთა და მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა¹.

ახლა ჩვენთვის სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ ვის გულისხმობდა „კალმასობის“ ავტორი, როცა ამბობდა: „ქართველებს ბუმი მეფის ძედ არ გვნამს, თათრის ბუმს ვინ იწამებს“.

არაერთგზის გაუხსენებიან სხვებსაც ვახუშტისათვის გლეხი დედაკაცის შვილობა, მისი გლეხური წარმოშობა დედის მხრივ (ქართული სამართლის მიხედვით თავადის ქალთან უკანონოდ ნაშობი ნაბუშრად არ ითვლებოდა, თუმცა ეს წეს-კანონი მაინც არ იყო გათვალისწინებული დიმიტრი ბაგრატიონის მიმართ, რომლის დედა თავადის ასული იყო). ესეც პოლემიკური პაექრობის ერთ-ერთი ხერხი და საშუალება იყო. დამახასიათებელია, რომ ვახუშტი ბაგრატიონს ხშირად ტენდენციურობას აბრალებდნენ და ამის გამო მისი მთავარი ნაშრომიც „არა ქვემარიტ ისტორიად“ იყო მიჩნეული, თუმცა ყველა, მტერიც და მოყვარეც, ერთხმად აღნიშნავდა მის „კარგ მეცნიერებას“ და მის მიერ „ქართლის ისტორიის განვრცელების“ მნიშვნელობას. მაგრამ ეს უეჭველი ღირსება კიდევ უფრო ახელდება მის დაუძინებელ მტრებს. რეაქციონერ ფეოდალებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ ის, რომ ვახუშტიმ „მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა“.

წინააღმდეგობანი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ დინასტიური ხასიათის ბრძოლასთან არ იყო დაკავშირებული. „შური და მტრობა“ თავს იჩინდა ქართველ ფეოდალთა ურთიერთობაშიც. იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში არსებობდა სხვადასხვა ფრთა, სხვადასხვა „თარაფი“, პროგრესულიც და აშკარად რეაქციონურიც. ყველა, ვინც კი ქვეყნის მომავლისათვის ზრუნავდა, ამის აუცილებელ პირობად სთვლიდა აღზევებულ-გაძლიერებულ

¹ ვახუშტის კავშირი პაატა ბატონიშვილის შეთქმულებასთან და მისი ურთიერთობა ცხვირმოჭრილ ალექსანდრე ამილახვართან არაფრით დასტურდება. ვახუშტი ახალი საბუთების მიხედვით გარდაიცვალა 1757 წელს, შეთქმულება კი 1765 წელს აღმოაჩინეს. როგორც ჩანს, თვით ქართულ ინტელექტუალურ წრეებში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე კარგად არ იცნობდნენ ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვან ფაქტს და ცნობები მის შესახებ უპირატესად ზეპირი გზით ვრცელდებოდა, ასე, მაგალითად, ზეპირწაროებზე დაყრდნობით უნდა აღნიშნავდეს გიორგი ავალიშვილი მის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში ყოფნას და კათოლიკეთან ამგვარი ურთიერთობის ვახტანგ VI-ის მიერ აკრძალვას, რაც (ამ ცნობის მეორე ნაწილი) არ ეგუება ვახტანგ მეფის კათოლიკობისადმი დამოკიდებულებას.

თავადების უფლებების შეზღუდვას, სათავადოებზე ცენტრალური ხელისუფლების გავლენის გავრცელება-განმტკიცებას (ამას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეტნაკლები წარმატებით ახორციელებდა ერეკლე II, რომელიც ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ხაზის გამგრძელებლად გვევლინება). ამგვარ პროგრესულ მისწრაფებას ყველანაირად უჭერდა მხარს ვახუშტი ბაგრატიონი. ამ მისწრაფების დასასაბუთებლად იგი მიმართავდა არა მარტო მისი დროის ყველაზე დამახასიათებელი მოვლენის წარმოჩენა-შეფასების ხერხს, არამედ ისტორიულ წარსულსაც.

ისტორიკოსი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ რა ზიანი მოჰქონდა ქვეყნისათვის შინაურ „შოთსა და მტრობას“, როგორ სარგებლობდა ამით გარეშე მტერი, რათა ადგილობრივი „ნესნი“ და „რჯული“ (იდეოლოგია) საფუძვლიანად შეერყია და „ქართველობის“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) დასაყრდენი მოეშალა.

თვით შორეული ისტორიული წარსულის მოვლენების აღწერა-დახასიათებისას ისტორიკოსი ქართველების შინაურ არეულობას მიანერს ყოველგვარი „უსჯულოების“ დამყარება-დამკვიდრებას.

მისი სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლის წინარე პერიოდში ქართველებმა „დაივიწყეს ღმერთი და მზადებელი თვისი... და წესნი და ჩვეულებანი თვისნი და იქმნენ ყოველთა წარმართთა უწინარმართესნი და უუსჯულოესნი“.

მართალია, ვახუშტი აქ იმეორებს ლეონტი მროველის ცნობებს, მაგრამ თვითონ საამისო მოთხრობა მას, „ძველი წესნი“ და „ძველი ჩვეულებანის“ მოშლის უარყოფითი შედეგების საჩვენებლად და დასამტკიცებლად სჭირდება.

ყველაფერ ეს და მსგავსი მსჯელობანი თანამედროვეობის საყურადღებოდ და გასაფრთხილებლად იყო ნათქვამი.

ასე დაუკავშირა ისტორია ვახუშტი ბაგრატიონმა სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს.

ამის მიხედვით არის აგებული და ჩამოყალიბებული მისი ისტორიული კონცეფციები, შეხედულებანი და აზროვნება.

ამავე დროს, მისი მსჯელობა, რომელიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წყაროებით იყო შემაგრებული და არგუმენტირებული, თავისთავად მოითხოვდა საქართველოს ისტორიული განვითარების პერიოდიზაციის დადგენასაც.

ეს მან შეასრულა კიდევ თავისი „ისტორიის“ შესავლის ზოგად ისტორიულ-ფილოსოფიურ მიმოხილვაში.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია მან დააფუძნა „წესნი დასაწყისითგანვეს“, „შეძინებული“ და „შერეული წესების“ ცვლილება-განვითარების სათანადოდ გათვალისწინებაზე.

მან ცალკე პერიოდებად გამოჰყო და დაახასიათა კიდევ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანა, პოლიტიკური დაშლილობის და „ანინდელი“ ისტორიის პერიოდები და უჩვენა თვითეული მათგანის ნიშანდობლივი თავისებურებანი.

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ეს საინტერესოა და საყურადღებო იმ მხრივ, რომ ამგვარი პერიოდიზაცია, საერთოდ, წარმოადგენდა პირველ და, იმ დროის კვალობაზე წარმატებით შესრულებულ ცდას ქართულ საისტორიო მწერლობაში.

ბ. ვახუშტი და XVIII საუკუნის მეცნიერება

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ შექმნას ნიადაგი მოუმზადა ქართული საისტორიო მწერლობის საერთო განვითარებამ.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვითარების რთული და გრძელი გზა განვლო.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობამ XI-XII საუკუნეებში განაპირობა ისტორიოგრაფიის წარმატებაც.

ამ დროს ზედიზედ იქმნება ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ამდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიას აშკარად ეტყობა ის ნიშნები, რაც გვიან დამახასიათებელი იყო ევროპული რენესანსის ისტორიოგრაფიისათვის.

მიუხედავად მონღოლთა ბატონობის მძიმე შედეგებისა, XIV საუკუნეში დაიწერა ისეთი ბრწყინვალე საისტორიო ნაწარმოები, როგორც იყო ჟამთააღმწერლის ვრცელი და შიანაარსიანი თხზულება.

მაგრამ XV-XVI საუკუნეებში ქართული საისტორიო მწერლობა დაკნინდა და დაქვეითდა.

დაკავშირებული ისტორიული კრიტიკის შემდგომი განვითარება, რის შემუშავებასაც ხელი შეუწყო ცხარე კონფესიურმა კამათმა კათოლიკე და პროტესტანტ ისტორიკოსებს შორის.

წმინდა კონფესიური მოსაზრებებით და მიზნით კათოლიკე და პროტესტანტი ისტორიკოსები ცდილობდნენ გაერკვიათ გამოყენებულ წყაროთა ღირსება-თვისებანი. ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისტორიული ცნობების ნატყუარობა-სინამდვილის შემოწმებას და ნასარგებლელი წყაროების ციტირების წესს. ამას აუცილებელივ მოითხოვდა კონფესიური პაექრობაც და ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის დამტკიცება-დასაბუთების საჭიროებაც.

ვახუშტი ბაგრატიონი იცნობდა საისტორიო-საეკლესიო მწერლობის როგორც კათოლიკე (ცეზარ ბარონიუსი), ისე პროტესტანტ (ვილჰელმ სტრატემანი) წარმომადგენლებს. მისთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი კონფესიური კამათის მთელი საბუთიანობაც.

ასე, მაგალითად, კარდინალ ცეზარ ბარონიუსის, „საეკლესიო ანალები“ დაიწერა პროტესტანტი ისტორიკოსის მათე ვლასიჩის „მაგდებურგის ცენტურიონის“ საწინააღმდეგოდ. მაგრამ ქართველ ისტორიკოსს ცეზარ ბარონიუსის და ვილჰელმ სტრატემანის თხზულებიდან არ გადმოუღია არც იდეები და არც შეხედულებები.

კიდევ მეტი: მისთვის უცხო იყო სქოლასტიკურ-ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი „პროვიდენციალიზმი“, ისტორიის თეოლოგიური მსოფლგაგება, თუმცა „ღვთის განგებულების“ თეორია ფართოდ იყო გამოყენებული ფეოდალურ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც.

ქართველი ისტორიკოსი ამ ისტორიოგრაფიიდან იღებდა იმას, რაც საისტორიო თხზულების მეცნიერულად შედგენასთან იყო დაკავშირებული და მსჯელობისა თუ თხრობის საბუთიანობისათვის საჭირო.

იგი მოითხოვდა ნათქვამისა და აღნიშნულის დასაბუთებას, დამტკიცებას, რისთვისაც აუცილებელი იყო „მონმობის მოხსენება“ ე. ი. გამოყენებულ წყაროს დამოწმება-ციტირება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა გამოჰყო ავტორის ტექსტი („ავტორის სიტყვა“) და სქოლიო („სხოლიო“), რაც ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ხდება მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიისათვის.

სტრატეგიის თხზულების ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „იუნჯე ესეცა, რომელ წიგნი ესე სამთა წერილისა ხელითა დაწერილი არს: მსხვილითა, საშუალოთ და წვრილითა. მსხვილი საღმთო წერილი, ანუ საჩინო, საშუალო მატთანე და წვრილი ანუ **მონშობა** ანუ **ვისამე თქმული** ანუ **ავტორი სიტყვა**, ხოლო **სხოლიოსა** ზედა **წმინდათ წერილნი მონშობანი**“.

ქართველთა ისტორიკოსს ყველგან, ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებში, ხაზგასმული აქვს თვალსაჩინო („საჩინო“) თხრობა, აღნიშნავს ავტორისეულ რემარკებს („ავტორი სიტყვა“) ან ვისმეს ნათქვამს („ვისიმე თქმული“), ხოლო კომენტარები და სათანადო დამონშებანი გადატანილია სქოლიოებში („სხოლიოსა ზედა“).

ამას გარდა, სქოლიოში გამოყენებულია სათანადო ნიშნები მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად, ხოლო თვითონ შენიშვნის ტექსტი დაწერილია შესაფერისი ხელით, რაც საგანგებოდ არის აღნიშნული კიდეც („წმინდათ წერილნი მონშობანი“).

ასე ყალიბდებოდა XVII-XVIII საუკუნეებში **სამეცნიერო აპარატი** (ჯერ ისევ მარტივი და გაუმართავი), რომლის მთავარი ღირსება მდგომარეობდა იმაში, რომ ავტორის ტექსტი მკვეთრად იყო გამოყოფილი ნასარგებლევით თხზულების ტექსტისაგან და უკვე თვალსაჩინოდ გამიჯნული ნაშრომის ხვა კომპონენტებისაგან.

ყველაზე ახლოს ვახუშტი იდგა ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსებთან.

ამ სკოლას განეკუთვნებოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები: **სკალიგერი**, **დენი პეტო**, **მაბილონი**, **მონფოკონი**, **ბუკე**, **დიუკანჟი**, **ბალიუზი**, **მურატორი**, **ლაიბნიცი**.

ერუდიტულ-ისტორიული სკოლის დამახასიათებელი იყო: საისტორიო მასალების ინტენსიური შეგროვება, მათი კლასიფიკაცია და კრიტიკა.

ამ სკოლის ისტორიკოსთა მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ისტორიის ისეთი დამხმარე დისციპლინების ჩამოყალიბება, როგორცაა ქრონოლოგია, გენეალოგია და დიპლომატიკა.

მეცნიერული ქრონოლოგიის ფუძემდებლად, პროტესტანტ სკალიგერთან ერთად, ითვლება ფრანგი იეზუიტი დენი პეტო, რომლის თხზულება ქრონოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდებზე „De doctrina temporum“ გამოქვეყნდა 1628 წელს.

1681 წელს დაიბეჭდა ჟან მაბილონის წიგნი დიპლომატიკის შესახებ „De re diplomatica“.

ამ წიგნის გამოცემის წელი მიჩნეულია მეცნიერული დიპლომატიკის წარმოქმნის თარიღად, თუმცა ჟან მაბილონს ჰყავდა ისეთი წინამორბედნი, როგორც იყვნენ პაპებროხი და ცვილეზიუსი.

ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ მან პირველმა უარყო ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის მიერ აღდგენილ-დამკვიდრებული რიტორიკული თხრობა და საფუძველი დაუდო **მეცნიერულ ანალისტიკას**.

ვახუშტის, როგორც ისტორიკოსს და მეცნიერს, ბევრი რამ მისცა ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიოგრაფიის გაცნობამ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი მიმართავდა ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ძიების რთულ მეთოდებს და ხერხებს, იყენებდა საბუთებზე მუშაობის დიპლომატიკურ წესებს.

საკალენდრო-სინქრონიული და მათემატიკური მეთოდებით მას შემოწმებული ან დადგენილ-გამორკვეული აქვს საქართველოს ისტორიის არაერთი თარიღი.

მისთვის ცნობილი იყო მეცნიერული დიპლომატიკის მთავარი კანონებიც; დოკუმენტების სახეობათა და შემადგენელი ნაწილების ცოდნა-გათვალისწინების მნიშვნელობა.

ამას გვიდასტურებს მისი ნაშრომის „შესავლის“ ის ნაკვეთი, რომელსაც ეწოდება **„მეფეთა წერილისათვის“**.

მისი მოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი დაკვირვებანი ფაქტობრივად წარმოადგენს ქართული სიგელთამცოდნეობის ანუ დიპლომატიკის პირველ ზოგად მიმოხილვას.

ვახუშტი ასახელებს ბრძანებას, გუჯარს, სიგელს...

ამავე დროს ბრძანებას ასხვავებს სიგლისა და გუჯრისაგან, ცალ-ცალკე გამოჰყოფს ერთიანი და პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს სამდივანმნიგნობროთა დოკუმენტებს, იძლევა მათს კლასიფიკაციას და გვესაუბრება შემადგენელი ნაწილების შესახებ.

საყურადღებოა, რომ „სიგლის თავის“ შინაარსი განხილულია **დროსა და განვითარებაში**.

ეს იყო მეცნიერული დიპლომატიკის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საბუთების შესწავლა-გამოყენების დროს.

ვახუშტიმ კარგად იცის მეფეთა ტიტულატურისა და ფორმულების შინაარსი. მეფეთა ტიტულაციის **ცვალებადობის** საჩვენებლად დამოწმებულია სათანადო მაგალითები. ყურადღება ექცევა იმასაც, რომ კახეთისა და იმერეთის მეფეებისაგან განსხვავებით ქართლის მეფეები „მეფეთ მეფობით“ იხსენიებიან „წინათავე ჩვეულებითა“.

საბუთებს სხვა ქართველი ისტორიკოსებიც იყენებდნენ, მაგრამ მხოლოდ მან მიანიჭა მათ ისტორიის ერთ-ერთი მთავარი წყაროს მნიშვნელობა.

დოკუმენტების გამოყენება-დამოწმების დროს ვახუშტი ჩვეულებრივ აღნიშნავდა ხოლმე: „რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი“ ან „ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“.

მისი ქრონოლოგიურ-გენეალოგიური და დიპლომატიკური ძიებანი აშკარად XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიიდან მომდინარეობს, რადგან ისტორიის ეს დამხმარე დისციპლინები მეცნიერულად გაიმართა მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში.

ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიოგრაფიიდან უნდა მომდინარეობდეს აგრეთვე ვახუშტისათვის დამახასიათებელი წყაროს ერუდიტული ანუ გარეგანი კრიტიკა.

გარეგანი კრიტიკა, უწინარეს ყოვლისა, წყაროს ცნობის სინამდვილისა თუ ნატყუარობის დადგენას გულისხმობს. გარეგანი კრიტიკის საგანია აგრეთვე წყაროს „უსწორო და წინააღმდეგომი“ ადგილების აღდგენა. ერუდიტული კრიტიკის საშუალებით დგინდება წყაროს წარმოშობა – სადაურობა, ავტორის ვიანაობა და თარიღები.

წყაროს „შინაგანი კრიტიკის“ ნიმუშები ვახუშტის არ მოუცია, ისევე როგორც არ მოუცია ეს XVII-XVIII სს. ევროპულ ისტორიოგრაფიას. სამაგიეროდ ზედმინევნით ფლობდა იგი წყაროს ერუდიტული ანუ გარეგანი კრიტიკის წესებს. ეს ნათლად ჩანს როგორც მისი ორიგინალური კვლევა-ძიებიდან, ისე „სწავლულ კაცთა“ ნამუშევრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებიდან.

ვახუშტის „ისტორიაში“ ვხვდებით საგნობრივი კრიტიკის ელემენტებსაც.

საგნობრივი კრიტიკა, რომელიც მოვლენის დადგენის შესაძლებლობას გულისხმობს, წარმატებით მოიმარჯვა მხოლოდ „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ამ მხრივ ვახუშტის სრულიად გარკვეული უპირატესობა ჰქონდა ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსებთან შედარებით.

აი, საამისო მაგალითიც.

შაჰ-ისმაილის საქართველოში შემოსევის გზების გამო ვახუშტი შენიშნავს: „ჰსნერს (მატიანე) წარმოავლო შაჰ-ისმაილ მთა კუმისაისაო“, ხოლო ზეპირ სიტყვა არს: „წარმოავლო იაღლუჯა და დაიმალა ღელესა შინა“, ჩვენ ეს უმეტეს გვეჭეშმარიტა, ვინაიდგან, იაღლუჯა უფრო მარჯვე გზა არს აღჯაყალისა, ვიდრე კუმისის მთა და ეს დავსწერეთ“.

მეორე მაგალითი: „აქა ჩანს ისევ ერთი მეფობა იყო, რამეთუ ყაბალის გზა კახეთი არის, ვით აჩენს გაყრის წიგნი ბარათიანთა“.

1407 წლის ერთი ბრძოლის ლოკალიზაცია შემდეგნაირადაა დადგენილი: „საგონებელ არს ბრძოლა ესე ნაჭიდურს, სადაც არს საფლავნი მრავალთა გვამთა შეყრილნი, რომლისას იტყვიანცა მუნ მოწყვედილთა მრავალთა ქართველთა და არღარა წარიღეს თვს თვსთა სასაფლაოთა და დაფლეს მუნვე. ვინაიდგან მეფე მოკლეს, არღარა ივლტოდნენ და მოსწყდენ სრულიად, რომელთა საჩინოდ არს **დიდ-დიდთა ფიქლის ქვით მოზღუდვილი**“.

შეინიშნება ვახუშტი ბაგრატიონის სხვა უპირატესობანიც.

ერუდიტულ-ისტორიული სკოლის მეცნიერული ანალისტიკა თითქმის საცხებით უგულუბელყოფდა „შინაგან ისტორიას“.

XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი კი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა როგორც „შინაგანი“, ისე „გარეგანი ისტორიის“ (ომები, საგარეო ურთიერთობანი და სხვ.) აღწერა-გადმოცემას.

მის „საქართველოს ცხოვრებას“ ბევრი ისეთი თვისება და ღირსება გააჩნია, რაც მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიისათვის იყო დამახასიათებელი.

ცნობილია, მაგალითად, რომ კულტურის ისტორიის საკითხებს და ეთნოგრაფიას განსაკუთრებული ყურადღება „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიამ მიაქცია.

ქართულ სინამდვილეში კულტურის ისტორიის საკითხებით და ეთნოგრაფიით პირველად ვახუშტი ბაგრატიონი დაინტერესდა. მან მოგვცა საქართველოს კულტურული წარსულის განზოგადებული აღწერა ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და ცოცხლად დაგვიხატა ძველისძველი და „ანინდელი“ ეთნოგრაფიული ყოფა.

„განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიის ყურადღების საგანს უპირატესად „შინაგანი ისტორიის“ საკითხები შეადგენდა. მაგრამ განმანათლებლებს ამ მხრივ უშუალო წინამორბედნიც ჰყავდათ.

ქვეყნის შინაგანი ისტორიის საკითხების დამუშავებას შეუდგნენ: **პიერ ბეილი** (1647-1706), **ლუი დე ბოფორი** (1695-1750), **ჟან ბაპტისტ დიუბო** (1670-1742) და **ბულენვილიე** (1652-1722).

„შინაგანი ისტორიის“ საკითხებით გატაცებული იყო გამოჩენილი იტალიელი ისტორიკოსი ჯანბატისტა ვიკოც (1688-1744).

საერთოდ, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტები ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ინტერესი ამ საკითხებისადმი განაპირობა არისტოკრატ და ბურჟუაზიულ მწერლებს შორის გამართულმა კამათმა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა საისტორიო ნაწარმოებებმა როგორც იყო არისტოკრატ ბულენვილიეს „საფრანგეთის ძველი ხელისუფლების ისტორია“ და ბურჟუაზიის იდეოლოგის დიუბოს „გალიის ფრანგული მონარქიის კრიტიკული ისტორია“.

„შინაგანი ისტორიის“ საკითხებს რუსეთში სერიოზული ყურადღება ტატიშჩევმა მიაქცია, ტატიშჩევისა და ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული ურთიერთობა კი არაერთარ ეჭვს არ იწვევს.

ქართველ მეცნიერს მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა საკითხების ის წრე, რომელიც სწორედ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და მრავლდებოდა ევროპულ ისტორიოგრაფიაში.

ამასთან საქართველოში „ერთმეფობის“ არსებობის ძველისძველი „ნესისა“ და „ჩვეულების“ მტკიცება-დასაბუთება თავისთავად მოითხოვდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განხილვა-შესწავლასაც, მათს განვითარებაში ჩვენებას და დამახასიათებელი თვისებურებების აღნიშვნას.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ ვახუშტი ბაგრატიონი გვევლინება ქართული ფეოდალიზმის და ფეოდალური ინსტიტუტების პირველ მკვლევარად. ეს სპეციალურ გამოკვლევაში დამაჯერებლად უჩვენა აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ.

მაგრამ ვახუშტის ნაშრომის „შესავალში“ ასე წარმატებით მოხაზული საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის (კარის ხელისუფალნი, საქვეყნოდ

გამრიგენი...) დახასიათება, საეკლესიო და სამხედრო-ფეოდალური ორგანიზაციის აღწერა, მისი მსჯელობა და დასკვნები „შინაგანი“ ისტორიის სხვადასხვა მოვლენებზე შეუძლებელი იქნებოდა XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული ახალი საისტორიო მეთოდებისა და ტექნიკური ხერხების გამოყენება-გათვალისწინების გარეშე.

აქედანაა ნასესხები ახალი სამეცნიერო მეთოდები და ტექნიკური ხერხები, თვითონ ნაშრომის შინაარსი კი დამყარებულია ქართულ ორიგინალურ მასალებზე.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ვახუშტი ბაგრატიონი დიდი რაოდენობით იყენებდა საბუთებს, დოკუმენტურ მასალებს.

ასევე ფართოდაა გამოყენებული მის მიერ ქართული ნარატიული თხზულებები.

ინტენსიურად სწავლობდა იგი „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხებს, ხელნაწერებს. მის ნაშრომში არაერთგანაა აღნიშნული: „ამოვიღე ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთა“; სარგებლობდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებით, მისი ახალი რედაქციებით. ამიტომ „ძველ ქართლის ცხოვრებას“ იგი „სხვა ქართლის ცხოვრებასაც“ უწოდებდა.

საქართველოს საეკლესიო ისტორიის განვრცობის მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა ქართული თხზულებანი: „ეკლესიის მემატრიანენი ქართველნი“, „უწყება სუბულის ძისა სარგისისათჳს“, ნშიდა ნინოს ცხოვრება და მეტაფრასი („რომელსა ცხოვრებასა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი“) გიორგი ათონელის ცხოვრება („ამას მონაშობს გიორგი მთანმინდელის ცხოვრება“) და სხვ.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა წყარო დასახელებული არაა, აშკარა ხდება, რომელი ქართული თხზულებით სარგებლობდა ავტორი.

ასე მაგალითად, XVII საუკუნის ისტორიის გადმოცემისას არაერთგან შეინიშნება აღებული ხანის ისტორიული პოემების კვალი.

იმავე XVII საუკუნის ისტორიის თხრობისას გამოყენებულია მოვლენების „თვითმხილველთა“ და „თანადამხვედურთა“ ზეპირი ცნობები.

სარგებლობდა ვახუშტი ქართული ეპიგრაფიკული მასალებითაც: „ხატთა, ქუათა და ჯუართა ზედწერილებით“.

ერთგან იგი თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებს: „მონამე არსა მცირე ეკლესია კასრის ჴევსა შინა, სადაც დახატულ არიან და დანერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით“.

ყველაფერი ეს შევსებულ-შემონმებული იყო მრავალრიცხოვანი უცხოური წყაროებით.

წყაროების ასეთი ფართო წრე მეტისმეტად იშვიათი იყო XVII-XVIII საუკუნეების ზოგად ისტორიოგრაფიაში.

ვახუშტი, როგორც ისტორიკოსი, ფეოდალური ისტორიოგრაფიის ძლიერ გავლენაში იმყოფებოდა. ამიტომ ადვილად ასახსნელია ყველა ის ნაკლი, რომელიც მრავალ ღირსებასთან ერთად მის „საქართველოს ცხოვრებას“ გააჩნია (ისტორიის თხრობის ქვეყნის გაჩენიდან დაწყება, სასწაულებისადმი არარაციონალური დამოკიდებულება, უცხო ავტორის ნაწარმოების საკუთარ თხზულებაში შეტანა, ალაგ-ალაგ რიტორიკული თხრობა და სხვ.).

მაგრამ ყველა ეს ნაკლი მეტნაკლებად დამახასიათებელი იყო XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიისათვისაც.

რუსეთში, მაგალითად, თვით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ ისევ ფართო გასავალი ჰქონდა სხვადასხვა ხელნაწერ ხრონოგრაფებსა და მატრიანებს.

ისტორიის გადმოცემისას რიტორიკულ თხრობას მიმართავდნენ მეზერე, მურატორი და ლომონოსოვი.

მეზერე თვითონ აწვდიდა წინასწარ შედგენილ სიტყვებს ისტორიულ პიროვნებებს, ხოლო „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იუმი ისტორიულ ამბავს მატრიანისებური თხრობის ჩარჩოში ათავსებდა.

ძველ ისტორიოგრაფიულ ქარგას მისდევდა აგრეთვე გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ისტორიკოსი ლაიბნიცი თავის „ბრაუნშვაიგულ ანალებში“.

ღმერთი ისტორიის ბიძგის მიმცემის როლში წარმოდგენილი ჰყავდა „ახალი მეცნიერების ავტორს ვიკოს (შდრ. ვახუშტის „ღმერთმან თვისისა მოწყალებისათა, გამოუთქმელითა და მიუწვდომელთა, დაბადა კაცი...), ვიკო კი ისტორიის პროგრესული განვითარების მქადაგებელი იყო.

ახალ სამეცნიერო მეთოდებზეა დაფუძნებული ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებაც.

მის დროს დასავლეთ ევროპასა და რუსეთში უმთავრესად აღწერილი გეოგრაფია იყო გავრცელებულ-გაბატონებული.

აღწერითი გეოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო შინაარსის ენციკლოპედიური ხასიათი.

ენციკლოპედიური შინაარსის შემცველია, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიული აღწერა“, ისე ვ. ტატიშჩევის გეოგრაფიული ნამუშევრები („რუსეთის ისტორიის“ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ნაწილი, გეოგრაფიული ლექსიკონი...).

ვახუშტის თვალსაწიერშია: რელიეფი, მინერალები, ჰავა, ჰიდროგრაფიული ქსელი, ფლორა და ფაუნა, ისტორიული ნაგებობანი, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, ენა, ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოება, ჩაცმულობა და სხვ.

ქართველი მეცნიერი ხშირად სარგებლობდა პირადი შთაბეჭდილებებით, აზოგადებდა პირადი დაკვირვებების შედეგად მიღებულ დასკვნებს.

ასე, მაგალითად, მისი კლიმატოლოგიური დახასიათებანი დამყარებული არიან კლიმატური პირობების შეგრძნებაზე ადამიანის მიერ.

საქმე ისაა, რომ მეტეოროლოგიური დაკვირვებანი კავკასიაში დაიწყო მხოლოდ XIX საუკუნეში.

ამიტომ, ცხადია, ვახუშტი სარგებლობდა პირადი თუ „მნახველთა კაცთა“ დაკვირვებებით, ეყრდნობოდა არა კლიმატების მეცნიერულ კლასიფიკაციას, არამედ ხალხურ წარმოდგენებს.

საქართველოს ჰავის თავისებურებების განმსაზღვრელად მის მიერ გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: „მშვენი“, „კეთილჰაოვანი“, „გაუძლისი“, „ნოტიო“, „ზამთარ თბილი“, „ზაფხულ გრილი“, „უქარო“, „წვიმიანი“, „ყინვიანი“ და სხვ.

ადვილად მისახვედრია, თუ რის მიხედვით და როგორ უნდა შეემუშაებინა ვახუშტის ამგვარი განსაზღვრანი საქართველოს კლიმატური პირობების შესახებ.

მაგრამ ამ თვალსაზრისითაც კავკასიის საზოგადოდ და, კერძოდ, საქართველოს გეოგრაფიულ პირობებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში არავინ არ სწავლობდა.

ამდენადვე თავისთავად ცხადი უნდა იყოს ამგვარ დაკვირვებათა მნიშვნელობა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა არა მარტო ორიგინალური გეოგრაფიული ნაწარმოები, არამედ გეოგრაფიულ აღწერასთან ერთად გამოთქვა ისეთი შეხედულებებიც, რომელთაც მეცნიერებმა

მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიაქციეს ყურადღება.

ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ ლანდშაფტის ცნება XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერულად ჩამოყალიბებული.

მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულს რუსმა მეცნიერმა დოკუჩაევმა და გერმანელმა მეცნიერმა პარარგესმა დააფუძნეს ლანდშაფტის ცნება მეცნიერულ მონაცემებზე.

ამიტომ არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოს იმ გარემოებამ, რომ ვახუშტიმ ბუნებრივი პირობების კომპლექსურად დახასიათებას ორგანულად დაუკავშირა ლანდშაფტური ნარკვევები.

მას ფართოდ აქვს გამოყენებული ბუნებრივ პირობათა ვერტიკალურ ზონალობათა კანონი, სათანადოდ ითვალისწინებს ტემპერატურის შემცირებას და მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდის დამოკიდებულებას რელიეფის სიმაღლის ზრდასთან.

ვახუშტი ბაგრატიონის დამსახურება მცენარეთა ზონალობის მოძღვრების დარგში ივანე ჯავახიშვილს შემდეგნაირად აქვს შეფასებული: სახელოვან მეცნიერს შეუმჩნევია, რომ მოსავლიანობა-ნაყოფიერების თვისება ადგილის მიხედვითაც, გეოგრაფიულადაც იცვლება. ეს ფაქტი მას თავის თხზულებაში მრავალჯერ აქვს ხაზგასმით აღნიშნული... ვახუშტის ხეობის მოსავლიანობა-ნაყოფიერების დახასიათების დროს ყოველთვის აღნიშნული აქვს ხაზი, სადამდისაც აღწევდა ის ზოლი და არე, სადაც ვაზი ხარობდა და რომლის ზევითაც ვაზი და ვაზთან ერთად ხეხილიც ქრებოდა... სახელოვან მეცნიერს მთა-ბარი ბოტანიკურადაც და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისითაც სრულებით გარკვეულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ არეებად ჰქონდა ნაგულისხმევი... ვახუშტის თხზულებიდან ჩანს, რომ უძველესი დროიდან საქართველოში მიღებული იყო ქვეყნის ორად განაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა... ვახუშტის მცენარეულობის ზონალობა მარტო კულტურულ მცენარეთა სამეფოში კი არა აქვს შემჩნეული, არამედ დენდროლოგიაშიც. ბოტანიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ მცენარეთა ზონალობის დებულება მეცნიერებაში ფრანგმა მეცნიერმა დე-კანდოლმა წამოაყენა წარსული საუკუნის შუა წლებში. ზემომოყვანილი ფაქტების შემდგომ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კულტურულ მცენარეთა არეებისა და

ზონალობის შესახებ ასი წლით დე-კანდოლზე უწინარეს სახელოვან ქართველ მეცნიერს ვახუშტის ჰქონდა მოძღვრება და დებულება ნამოყენებული. რა თქმა უნდა, ვახუშტის ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოს ასპარეზით ჰქონდა შემოზღუდული. ამ დაკვირვებისა და მოძღვრების უფრო ფართო ასპარეზზე გავრცელება და განზოგადების აზრი ფიქრადაც არ მოსვლია. ამ მხრივაც, სხვასაც ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფრანგსა და ქართველ მეცნიერს შორის, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა და ბოტანიკური ზონალობის ზოგადი მოძღვრების ავტორად უეჭველია, უცილობლად დე-კანდოლი დარჩება. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ მცენარეთამცოდნეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტი ვახუშტის ასი წლით უწინარეს შემჩნეული და საქართველოს ბოტანიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა-დახასიათების საფუძვლად აქვს დადებული. ეს გარემოება ვახუშტის მეცნიერული დაკვირვების გასაოცარ ნიჭს ამტკიცებს და მას პირადად მცენარეთა ზონალობის პირველმოციქულად ჰხდის“.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველიც, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ვახუშტის ცნობები საქართველოს მცენარეული საფარის შესახებ, ასეთსავე დასკვნას აკეთებს: „ამრიგად, ასეთი გარკვეული სიტემა: მცენარეთა განლაგების, განსაკუთრებით ზონების მიხედვით გვხვდება მხოლოდ ვილდენოვის, ჰუმბოლდტის, დე-კანდოლისა და სხვათა ნაწერებში, რომელთაც თავისი შრომები გამოაქვეყნეს ვახუშტის შრომის 50-100 წლის შემდეგ“.

ნიკო კეცხოველი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვახუშტის „გეოგრაფიული აღწერა“ მეცნიერებისათვის მხოლოდ 1842 წელს გახდა ხელმისაწვდომი, მაშინ როდესაც ვილდენოვის (1792 წელს), ჰუმბოლდტის (1805 წელს) და დე-კანდოლის (1820 წელს) გამოკვლევები უკვე გამოქვეყნებული იყო, ხოლო მოძღვრება მცენარეთა ზონალობის შესახებ საყოველთაოდ გავრცელებული.

მიუხედავად ამისა, მას შესაძლებლად მიაჩნია იმის თქმა, რომ **მცენარეთა განაწილებაში, გეოგრაფია-გეობოტანიკაში ჩამოყალიბებული სისტემის პირველ ავტორად ვახუშტი ბაგრატიონი უნდა იყოს მიჩნეული.**

შესანიშნავი დაკვირვებანი მოეპოვება ვახუშტის ფაუნისტურ სფეროშიც.

ცნობილი ზოოლოგი პროფ. არჩილ ჯანაშვილი შენიშნავს: „დღევანდლამდე ჩვენი დროის მეცნიერ-მკვლევარნი საქართველოს ფაუნის შესწავლილობის ისტორიას ჩვეულებრივ XVIII საუკუნის დამლევებიდან და XIX საუკუნის დასაწყისს ღებულობენ, როდესაც საქართველოში (და საერთოდ ამიერკავკასიაში)

მოღვაწეობდნენ გულდენშტედტი, გმელინი, მენტრიე და სხვ. სინამდვილეში საქართველოს ფაუნისტური შესწავლილობის ისტორია უნდა იწყებოდეს XVIII საუკუნის პირველ ნახევრიდან, სწორედ ვახუშტის ხსენებული ნაშრომის დამთავრებიდან“.

ამას გარდა, ვახუშტიმ 100-150 წლით ადრე მოგვცა კავკასიონის ყინულსაბურველის სივრცობრივი განაწილების სრული სურათი.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიექცა კავკასიონის ყინულსაბურველს ჯეროვანი ყურადღება. მანამდე არც ერთი გეოგრაფიული ნაშრომის ავტორს არ აღუწერია ის ისე, როგორც აღწერა და დაახასიათა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა.

გეოგრაფოსი პროფ. ლევან მარუაშვილი ამის გამო წერს: „ვახუშტის შეხედულებებს შეეძლოთ შეესრულებინათ კავკასიონის ყინულსაბურველის შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი, თავის დროზე რომ გამხდარიყვნენ მეცნიერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომნი, რამდენადაც ვახუშტის თხზულების დაწერის შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში სამეცნიერო ლიტერატურას არ გააჩნდა რეალური მასალა კავკასიონის მყინვარების შესახებ. მხოლოდ XIX საუკუნის 60-70 წლებში გეოლოგმა პ. აბიხმა და მთასვლელმა დ. ფრეშფილდმა აღმოაჩინეს კავკასიონის ვრცელი ყინულოვანი სამეფო ევროპული მეცნიერებისათვის, ხოლო პირველი სრული და ზუსტი სურათი კავკასიის მყინვართა გეოგრაფიული განაწილებისა მოგვცა ი. სტებნიცკიმ რუსული ტოპოგრაფიული აგეგმვის საფუძველზე“.

ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიული აღწერა“ უაღრესად საყურადღებოა ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისითაც.

საქართველოს სამეურნეო დარგების სივრცობრივი განლაგება პირველად ვახუშტის ნაშრომშია მოცემული.

ამ შემთხვევაში იგი გვევლინება როგორც საკმაოდ განაფული მეცნიერ-ეკონომისტი.

ტერმინი „ეკონომიკური გეოგრაფია“ უკვე მ. ლომონოსოვს აქვს გამოყენებული, მაგრამ მასში იმ დროს სულ სხვა შინაარსს ათავსებდნენ, ვიდრე დღეს გულისხმობენ.

XVIII საუკუნის რუსულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში კარგად იყო ცნობილი მეურნეობის სივრცობრივი განლაგების აღწერის წესები ცალკეული

რაიონების მიხედვით. საერთოდ, ეს შეადგენდა აღწერითი გეოგრაფიის ერთ-ერთ ნიშანთვისებას და თავისთავად გამომდინარეობდა გეოგრაფიული აღწერის ენციკლოპედიური ხასიათიდან.

ასე, მაგალითად, ვ. ტატიშჩევის აზრით, გეოგრაფოსმა უნდა აღწეროს „ხალხთა ზნეჩვეულებანი, ჰაერისა და წყლის ბუნებრივი მდგომარეობა, მოსავლიანობის საკმარისობა, სიჭარბე თუ ნაკლებობა სხვადასხვა საგნებისა და სხვ.“.

1737 წელს მეცნიერებათა აკადემიაში მან წარადგინა „წინადადება რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიის შედგენის თაობაზე“, რომლის პირველი განყოფილება გეოგრაფიული ხასიათისა იყო, მეორე ეთნოგრაფიულ-ისტორიული. პირველ განყოფილებაში მიმოხილული იყო შემდეგი ძირითადი საკითხები: 1. ქვეყნის სახელწოდებები, 2. საზღვრები, 3. ჰაერის თვისებები და მდგომარეობა, 4. წყლები, 5. მიწის ბუნებრივი მდგომარეობა, 6. მიწისქვეშა საბადოები (de mineralis), 7. მოსახლეობა, 8. საცხოვრებლები.

ამ წინადადების განხორციელებას ვ. ტატიშჩევი პრაქტიკულადაც შეუდგაროგორც „რუსეთის ისტორიის“, ისე, განსაკუთრებით, გეოგრაფიული ლექსიკონის შედგენისას.

მასვე განზრახული ჰქონდა დაეწერა ნაშრომი: «Введение к историческому и географическому описанию Великороссийской империи», რომელიც 14 თავისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი (რუსეთის სახელმწიფოს სახელწოდებანი, საზღვრები, წყლები, მთები და დედამიწის შინაგანი აგებულება, მცენარეები და მიწის ნაყოფი (ხეხილი), ცხოველები, მოსახლეობა, სამეურნეო და სხვა დანესებულებანი).

როგორც ვხედავთ, დაახლოებით ერთნაირია ვახუშტი ბაგრატიონის და ვ. ტატიშჩევის „გეოგრაფიული აღწერის ქარგაცა და საკითხების წრეც.

„აღწერის“ მეთოდები და ტექნიკური ხერხები როგორც ქართველ, ისე რუს მეცნიერს ალებული ჰქონდათ ერთი საერთო წყაროდან: ზოგადევროპული აღწერილობითი გეოგრაფიის ლიტერატურიდან. სამაგიეროდ ორსავე შემთხვევაში **ორიგინალური** იყო თვითონ „აღწერის“ **მასალები და შინაარსი.**

ამას გარდა, ის, რაც შეძლო ვახუშტი ბაგრატიონმა, ვერ შეძლო (უკეთ ვერ მოასწრო-მოსახერხა და მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა) ვ. ტატიშჩევმა.

პროფ. გ. გვებტმანი ვახუშტი ბაგრატიონის და ვ. ტატიშჩევის მეცნიერული მუშაობის შედეგების ერთმანეთთან შედარებისა და გათვალისწინების სა-

ფუძველზე აღნიშნავდა: „ტატიშჩევა ვერ შესძლო შეექმნა მეცნიერულ-სისტემატური შრომა რუსეთის ისტორიასა და გეოგრაფიაში“. დაუმთავრებელი დარჩა მისი „გეოგრაფიული ლექსიკონიც“, რომელიც სამ ტომად გამოიცა პეტერბურგში 1793 წელს.

ამდენადვე საესებით გამორიცხულია საქართველოს გეოგრაფიული აღწერის კომპოზიციის და მასალის რეალიზაციის დამოკიდებულება რუსულ გეოგრაფიულ გამოკვლევებზე.

მეცნიერულად არის დასაფუძვლებული ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული სამუშაოებიც.

ვახუშტი განუწყვეტლივ აუმჯობესებდა თავის რუკებს და სულ უფრო და უფრო უახლოვებდა მათ ევროპაში გავრცელებულ ლანდკარტებს.

ქართველი მეცნიერი იცნობდა ყოზეფ დე-ლილის კარტოგრაფიულ ნაშრომებს, ლუი ფელიეს გამოკვლევებს.

მაგრამ მას თავისი ატლასისათვის სულ სხვა მერიდიანი აქვს არჩეული, ვიდრე ფრანგ ასტრონომსა და გეოდეზისტს ყოზეფ დე-ლილს.

არა მარტო XV საუკუნეში მოღვაწე ულუბეგი, არამედ პტოლომეს მიმდევარი კარტოგრაფებიც XVI-XVII საუკუნეებში, სანყისად იღებდნენ აზორის კუნძულების მერიდიანს. 1541 წელს მერკატორმა ამ კუნძულებიდან აირჩია კორვო, ფრანგმა ასტრონომებმა კი 1634 წელს კანარის კუნძულებიდან აირჩიეს კუნძული ფერო. ასევე სანყის მერიდიანად კუნძული ფერო აირჩია ყოზეფ დე-ლილმა. მაგრამ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში XIX საუკუნის დამდეგამდე მიღებული იყო კორვოს მერიდიანი. ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონმა აირჩია ის, რაც 40-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში იყო დამკვიდრებული და გავრცელებული.

აღნიშნული გარემოება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი გეოგრაფოსი და კარტოგრაფი კარგად იცნობდა ევროპული წარმოშობის არაერთ კარტოგრაფიულ ნამუშევარს.

მაგრამ ვახუშტი ბაგრატიონი არა მარტო სარგებლობდა დასავლეთ ევროპის გეოგრაფიული მწერლობის და კარტოგრაფიის მიღწევებით, არამედ თვითონ მისი კარტოგრაფიული სამუშაოებიც ფართოდ იყო ცნობილი.

ვახუშტის ატლასების მკვლევართ აღნიშნული აქვთ, თუ როგორ ინტენსიურად სარგებლობდნენ მისი რუკებით რუსეთშიც და დასავლეთ ევროპაშიც.

კარტოგრაფი ს. ცხაკაია ამის გამო აღნიშნავს: „თითქმის 100 წლის მანძილზე (დაახლ. 1740-830 წლებში) მხოლოდ ვახუშტის რუკების საფუძველზე ადგენდნენ კავკასიის რუკებს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაშიც, ამისთვის ხმარებაში იყო ვახუშტის მეორე ატლასის რუკები“.

დიდხანს ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც მეცნიერ-კარტოგრაფი, რუსეთში და დასავლეთ ევროპაში უფრო მეტად იყო ცნობილი, ვიდრე საკუთრივ საქართველოში.

ჟოზეფ დე-ლილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთის გენერალური ატლასის შედგენას, რუკების საწყისად აირჩია კუნძულ ლაგოს მერიდიანი. ეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ვახუშტი ბაგრატიონს, რადგან რუსეთის ახალი ატლასის შედგენა იმ დროს ყველას საერთო ყურადღებას იპყრობდა და მით უმეტეს უნდა მიეპყრო ორიგინალური ატლასების ქართველი ავტორის ყურადღება.

მიუხედავად ამისა, ვახუშტიმ თავისი ატლასისათვის აირჩია კუნძულ ფეროს მერიდიანი, როგორც ჩანს იმის გამო, რომ ეს ყველაზე მეტად იყო ხმარებული დასავლეთ ევროპაში.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტის ატლასთა რუკებზე მოცემული არაა რიცხვითი მასშტაბი. ეს ადვილად ასახსნელია, რადგან რიცხვითი მასშტაბები რუკებზე გამოჩნდა მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევს.

ვახუშტის პირველი ატლასის რუკებზე ქედები აღნიშნულია გორაკების პერსპექტიული მწკრივებით ისევე, როგორც ეს საერთოდ მიღებული და ფართოდ გავრცელებული იყო XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.

სიგრძის ზომის ერთეულებად ვახუშტი ასახელებს რუსულ ვერსს, გერმანულ მილს და აღმოსავლურ ევსს, ფარსანგს, ალაჯს. მაგრამ თავის მეორე ატლასის რუკებში აღარ ითვალისწინებს აღმოსავლური კარტოგრაფიის ნიმუშებს.

ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდებოდა წინამორბედი ქართველი კარტოგრაფებისაგან, რომელნიც სარგებლობდნენ ულულ-ბეგის ასტრონომიული ტრაქტატით.

როგორც ცნობილია, საწყის მერიდიანად ულულ-ბეგს აღებული ჰქონდა კანარის კუნძულების კუნძული ფერო. იგივე კუნძული მთავარ მერიდიანად მიღებული იყო ქართველი კარტოგრაფების მიერ. მაგრამ ვახუშტიმ თავისი

გაუმჯობესებული რუკებისათვის აირჩია ის მერიდიანი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად გამოყენებული იყო დასავლეთ ევროპის კარტოგრაფიაში XIX საუკუნის დამდეგამდე.

მისი კარტოგრაფიული ნამუშევრების პირველი შემფასებელი ევროპელი მეცნიერები იყვნენ.

ეს შემთხვევით როდი იყო. მისთვის ეს ნამუშევრები ადრე გახდა ცნობილი და ფართე გავრცელება პოვა სამეცნიერო წრეებში.

„ისტორია“ და „გეოგრაფიული აღწერა“ კი მხოლოდ XIX საუკუნის 40-იან წლებში გახდა ხელმისაწვდომი ევროპელი ორიენტალისტებისა და გეოგრაფოსებისათვის.

აკად. მარი ფელისიტე ბროსე განცვიფრებული დარჩა XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფოსის ერუდიციით, მისი მეცნიერული მეთოდებით, მასალების სიუხვით, დაკვირვების არაჩვეულებრივი ნიჭითა და უნარით.

მაღალ შეფასებას ანიჭებდნენ მის ნაშრომ-ნამოღვაწარს რუსი მეცნიერები არტემიევი და სტებნიცი.

ჩინებულ ისტორიკოსად სთვლიდნენ მას გულდენშტედტი და როზენკამპფი.

ამგვარი ინტერესი, რა თქმა უნა, არ შეიძლებოდა გამოენვია ფეოდალური ხანის „ქრონიკას“ ან „მატიანეს“.

ყურადღებას ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ იმით იპყრობდა და იმით იპყრობს, რომ მისი შინაარსი, განსაკუთრებით „შესავალი“, „გეოგრაფიული აღწერა“ და, ნაწილობრივ აგრეთვე, თვითონ „ისტორიის“ მეორე ნაწილი მეცნიერულად იყო დასაფუძვლებული, ახალ სამეცნიერო მეთოდებზე დამყარებული.

მასში პოულობდნენ და პოულობენ არა ფაქტებსა და მოვლენების უბრალო რეგისტრაციას ან მატიანისებურ თხრობას, არამედ კრიტიკულ ანალიზსაც, ისტორიული პროცესის განზოგადებასაც და პრაგმატიკული თხრობა-მსჯელობის ელემენტებსაც.

ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიაც“ და „გეოგრაფიული აღწერაც“ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული ისტორიოგრაფიის და გეოგრაფიული მწერლობის დონეზე იდგა. ქართველი ისტორიკოსიც თავის კვლევა-ძიებისას იმავე მეთოდებით და ტექნიკური ხერხებით სარგებლობდა, როგორსაც მისი თანამედროვე ევროპელი ისტორიკოსები და გეოგრაფოსები იყენებდნენ.

დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც ყველაფერი ეს ჯერ ისევ ახალი ხილი იყო.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიური, დიპლომატიკური, პალეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ძიებანი ახლად იყო შემოღებულ-გავრცელებული.

ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა ისტორიის დამხმარე დანარჩენი დისციპლინები.

ჟან მაბილონის „დიპლომატიკა“ მხოლოდ 1681 წელს გამოქვეყნდა, პალეოგრაფიის დამფუძნებელი მონფოკონი კი 1741 წელს გარდაიცვალა.

ეს ისტორიკოსნი ვახტანგ VI-ის თანამედროვენი იყვნენ.

ვახტანგი საფუძვლიანად იცნობდა ქართულ, ბერძნულ-ბიზანტიურ და სპარსულ-აღმოსავლურ კულტურას, მაგრამ, ამავე დროს, იგი წარმატებით ეუფლებოდა „ფრანგული“ კულტურის მიღწევებს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია „ფრანგული“ და „ლათინთა სწავლის“ საქართველოში გავრცელების ვითარებაც და პირობებიც.

ამიტომ მოულოდნელი არაა ვახუშტის მიერ გამოყენებული ახალი სამეცნიერო მეთოდები და ტექნიკური ხერხები.

მაგრამ იგი როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, მხოლოდ ამ მხრივ იყო დაკავშირებული ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებთან.

აღმავალი ბურჟუაზიის იდეებით და შეხედულებებით მას არ უსარგებლია და არც შეეძლო ესარგებლა.

მისი ისტორიული აზროვნება ადგილობრივი, ქართულ ფეოდალურ ნიადაგზე იყო დაფუძნებული.

მაგრამ მისთვის უცხო არ იყო არც საზოგადოებრივი განვითარების შეგნება, არც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ცვალებადობა დროთა განმავლობაში.

ამას ცხადჰყოფს მისი „ისტორიის“ ბრწყინვალე „შესავალიც“ და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაც.

ამიტომაც ვახუშტი ბაგრატიონი მეცნიერი, მკვლევარი ისტორიკოსი და არა მემკვიდრე.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა მან შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება, წყაროებისადმი წინანდელ სრულ და განუსაზღვრელ ნდობის მაგიერ, იგი გაბედულად მათ კრიტიკულ განხილვას შეუდგა, მათი სხავასხვაგვარი ნაკლულევანება გა-

მოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა... ..თუ ამასთანავე გავიხსენებთ ვახუშტის სწორუპოვარს საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას და მის შესანიშნავს საქართველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას, მაშინ მისი სიდიადე უცილობელი იქნება ჩვენთვის და XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება“.

ვახუშტის ცხოვრების დასასრული

ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეორე პერიოდი რუსეთთანაა დაკავშირებული.

მოსკოვში გაატარა მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

აქ მოაბა თავი საქართველოდან წაღებულ მასალებს, შენიშვნებსა და ჩანაწერებს.

მოსკოვში ვახუშტის ინტენსიურ მუშაობას ცხადჰყოფს თვითონ მისი მრავალრიცხოვანი ჩანაწერები, ხელნაწერთა ფურცლებზე გაკეთებული მინაწერები და თარიღები.

ამის მიხედვით ადვილად ხერხდება იმის დადგენა, თუ როდის ეწეოდა იგი მთარგმნელობით მოღვაწეობას და როდის წერდა თავის ორიგინალურ ნაწარმოებებს.

საკმაოდ ცნობილია მისი მოსკოველ ქართველ კოლეგებთან ერთად მუშაობაც, რედაქტორული მოღვაწეობაც და მისივე თანამშრომლობით რუსულ-ქართული ლექსიკონის გამართვის ამბავიც.

დასასრულ, ცნობილი ფაქტია მისი აქტიური მონაწილეობა მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში 1755 წელს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილი არაა მისი ცოლ-შვილთან ერთად მოსკოვში ხანგრძლივი ცხოვრების სრული სურათი.

ამ მხრივ და ამ თვალსაზრისით ჯერ ისევ აღსადგენია ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფია.

ვიცით მხოლოდ, რომ მან თავისი ცხოვრება უმთავრესად მოსკოვში გაატარა და იქვე გარდაიცვალა.

მოსკოვში იგი ჩავიდა ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად.

ეს მოხდა 1725 წელს.

იმ დროს მოსკოვში ცხოვრობდნენ მხოლოდ არჩილ მეფის ასული დარეჯანი და ის ქართველები, რომელნიც კახეთისა და იმერეთის მეფედ ნამყოფ არჩილს გაჰყვენენ თან.

XVIII საუკუნის დამდეგს მოსკოვში ქართველთა პატარა კოლონია არსებობდა, იქვე პეტრე I-ის აქტიური დახმარებით დაარსდა სტამბაც.

ჩვენამდე მოაღწია ამ სტამბაში 1705 წელს დაბეჭდილმა „ფსალმუნმა“.

ქართველები თავდაპირველად თავს იყრიდნენ ნიკოლსკის ქუჩაზე მდებარე ბერძნულ მონასტერში და აქ აწყობდნენ ლიტერატურულ შეხვედრებს.

მალე მათი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრად იქცა სოფელი ვსესვიატსკოე.

არჩილს მოსკოვში დიდის პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობოდნენ. მას მფარველობდა თვითონ იმპერატორი პეტრე I, მეგობრობდა მის ვაჟს ალექსანდრეს.

არჩილმა მოსკოვის ახლოს მიიღო მამულები და სოფლები, რომლის ერთადერთი პატრონი (მშობლებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ) მისი ასული დარეჯანი გახდა. დარეჯანს მის მამულში დიდი ამალით ეწვია პეტრე I, რათა იქ ზეიმით აღენიშნა შვედებზე გამარჯვება, მიელოცნა ეს თავის მასპინძლისათვის და მასთან ერთად გაეხსენებინა შვედთა წინააღმდეგ თავგამეტებით მებრძოლი და მათს ტყვეობაში დაავადმყოფებული ალექსანდრე ბატონიშვილი, რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი.

არჩილი ხელმძღვანელობდა მოსკოველი ქართველების კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას.

გოლოვინის თხოვნით მან დაწერა საქართველოს მოკლე ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა, შეადგინა რუკა.

მისმა ვაჟმა ალექსანდრემ რუსულიდან ქართულად თარგმნა სიმეონ პოლოცკის თხზულება, ხოლო მისი სწავლული თანამშრომელი, ბაგრატ სოლოლაშვილი, ქართული სასულიერო წიგნების რედაქტირებასთან ერთად ფრაგმენტულად თარგმნიდა ბერძნულ „ხრონოგრაფებს“.

ამრიგად, ვახტანგ მეფის მოსკოვს ჩასვლამდე არჩილმა მოუმზადა ნიადაგი მნიგნობრული მოღვაწეობის რუსეთში გაგრძელებას, რუსი და ქართველი კულტურული წრეების დაახლოებას. მისივე თაოსნობით განმტკიცდა ადრე დაწყებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. გაღრმავდა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა.

XVIII საუკუნის განმავლობაში მოსკოვი რუსეთის იმპერიის მეორე დედაქალაქად რჩებოდა, კვლავინდებურად არსებობას განაგრძობდნენ მთავრობის დაწესებულებანი, აქ, კრემლში, ხდებოდა რუს ხელმწიფეთა ხელდასხმა.

XVII საუკუნის ბოიარული მოსკოვი სწრაფად იცვლიდა ელფერს, ცხოვრება ევროპულ ყაიდაზე ეწყობოდა, შემოდოდა ევროპული ჩაცმა-დახურვა, სქოლასტიკური სკოლების მაგიერ არსდებოდა ახალი ტიპის სასწავლებლები, ზედიზედ ჩნდებოდა კულტურული დანესებულებანი, ვითარდებოდა მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება.

არჩილს და ვახტანგს სულ სხვა მოსკოვი დახვდა, ვიდრე თეიმურაზ I-ს. ქართველ მეფეთაგან პირველად თეიმურაზ I-ს მოუხდა მოსკოვში ყოფნა. ეს 80 წლის წინათ მოხდა.

მასაც რუსეთის ხელმწიფე დიდი ზემოთ დახვდა. მოსკოვმა პირი დაიბანა. მთელი ქალაქი მოირთო და მოიკაზმა. ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით გულმოდგინედ დაასუფთავეს ქუჩები, მოედნები, დუქნები, ბაზრები, რათა ივერიის მეფეს მოკრიალებულ და სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულ მოსკოვში გაეგლო.

არჩილამდე და ვახტანგამდე ქართველები მოსკოვში დიდხანს არ ჩერდებოდნენ.

თეიმურაზ I-ს და მის შვილიშვილს, ერეკლეს, უკან დაბრუნებაც შეეძლოთ და ორიენტაციის არჩევანიც.

ამას მოკლებული იყვნენ არჩილიც და ვახტანგიც.

ისინი იძულებული იყვნენ რუსეთში ხანგრძლივ ცხოვრებაზე ეზრუნათ და ეფიქრათ.

ასევე მოიქცნენ მათი მხლებელნიც.

ბინა მოსკოვში პირველად არჩილმა და მისმა ოჯახმა დაიდო.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მოსკოვში გაჩნდა ქართული მკვიდრ-ბინადრული მოსახლეობა.

ქართველების ქუჩებთან ერთად გაჩნდა ქართველების სასაფლაოებიც.

ქართველი უფლისწულების საძვალედ დონის მონასტერი გამოცხადდა.

მოსკოვში გარდაცვლილი ქართველები იმარხებოდნენ მოსკოვის წმ. ნიკოლოზის ბერძნულ ეკლესიაში, დონის მონასტერში, ვსესვიატსკოეში.

ვსესვიატსკოეში პოვა სამუდამო განსასვენებელი სულხან-საბა ორბელიანმა:

დონის მონასტერში დაიმარხნენ არჩილ მეფე, მისი მეუღლე ქეთევანი, მისი ვაჟები: დავითი, მამუკა, ალექსანდრე, ასული დარეჯანი...

ქეთევან დედოფლის ქმარ-შვილს საქართველოში დასაბრუნებელი გზა მისმა ახლო ნათესავმა ბატონიშვილმა ერეკლემ მოუჭრა, რომელმაც ხანგრძლივი

ლოდინის შემდეგ მოსკოვი დატოვა. ისფაჰანს შაჰს ეახლა, თავი დაუკრა, გამაჰმადიანდა, სახელად ნაზარალი-ხანი დაირქვა და სამეფოდ ქართლი მიიღო.

ერეკლე-ნაზარალი-ხანის შვილმა და შვილიშვილმა (თეიმურაზ II და ერეკლე II) რენეგატი მამისა და პაპისაგან განსხვავებით, ქართლი და კახეთი ქრისტიანობით დაისაკუთრეს და გამარჯვებაც იმით მოიპოვეს, რომ საძულველ „ყიზილბაშობას“ თავდადებული ბრძოლით ბოლო მოუღეს.

ასე გამოეცალათ ხელიდან ქართლის ბაგრატიონებს გვირგვინიც და ტახტიც.

ბრძოლაზე ხელს არც ისინი იღებდნენ, მაგრამ მოვლენების ჩარხი მათ სანინალმდეგოდ დატრიალდა.

მრავალრიცხოვანი ქართული ემიგრაციის ფინალი საბოლოოდ XVIII საუკუნის 40-იან წლებში გაირკვა.

მანამდე კი მისმა მეთაურმა მოსკოვს შეაფარა თავი.

ვახტანგ VI-მ თავდაპირველად ბინა დარეჯანის სასახლეში დაიდო.

მეფეც და მისი ამაღაც მალე იძულებული გახდა საცხოვრებლად მოსკოვში დაბინავებულიყო, რადგან რუსთა დახმარებისა და საქართველოში დაბრუნების ყოველგვარი იმედი მოესპოთ.

ქართლში „ოსმალობა“ მძვინვარებდა და იქ არც მეფეს და არც მის მხლებლებს არ მიესვლებოდათ.

ვახტანგ VI რიაზანის არქიელის ბინაში გადავიდა საცხოვრებლად, მისი მსახურნი კი კოლმენის მონასტერში დააბინავეს.

ასე გაგრძელდა 1729 წლამდე.

ამ დროიდან მოსკოველი ქართველები მკვიდრი ბინის გაჩენის თაღარიგს შეუდგნენ.

1729 წლის დეკემბერში რუსების მთავრობამ ვახტანგ მეფეს პრესნაზე უბოძა რიაზანის ყოფილი მიტროპოლიტის სტეფანეს სახლი თავისი მიწის ნაკვეთით.

ნაწყალობევი იყო აგრეთვე სოფელი ვსესვიატსკოე („ვსესენკა“), რომელიც უფრო გვიან მოსკოვის ფარგლებში შემოვიდა.

1729 წელს მოსკოვში, პრესნაზე გამოჩნდა ქართველების უბანი, ქართველების პირველი ქუჩა.

მათვე დაურიგდათ საბაღე-საბოსტნე ადგილები და საძოვრები.

რიაზანის მიტროპოლიტის სასახლე ზამთარში გამოუსადეგარი იყო. ამავე დროს ის საკმარისი არ აღმოჩნდა, რათა იქ ვახტანგ VI-ის ყველა მხლებელი და მსახური დაბინავებულიყო.

ამიტომ 1731 წელს ვახტანგს არბატში, ამაღლების მონასტერთან, დამატებით უბოძეს ვასილ ლუკას ძე დოლოგორუკოვის ქვითნაშენი სასახლე.

ასე თანდათან ვახტანგ მეფის ამაღლის წევრები მოსკოვის მკვიდრ მცხოვრებლებად იქცნენ.

პეტერბურგში საცხოვრებლად დასახლდა მხოლოდ სიმონ ბატონიშვილი. აქვე ერთხანს ცხოვრობდა და სწავლობდა გიორგი ბატონიშვილიც (ვახტანგ VI-ის ძე).

ქართული კოლონია ფაქტობრივად მოსკოვში არსებობდა.

მოსკოვში ქართველები უფრო დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, ვიდრე პეტერბურგში.

მაგრამ როგორც შენახული საბუთებიდან ჩანს, მათ საკმარისად არ ჰქონდათ არც სახლები, არც მიწის ნაკვეთები, არც ბალ-ბოსტნები.

ამ ნიადაგზე მრავალწლოვანი მიწერ-მონერა გაიმართა ქართველებსა და რუსეთის სენატს შორის.

სენატმა ზოგი თხოვნა დააკმაყოფილა, ზოგიც უყურადღებოდ დატოვა.

1735 წლის 1 მაისს პრესნაზე, მიტროპოლიტ სტეფანეს სასახლის მახლობლად, ქართველებს დამატებით მიეცათ 134 1/7 დესეტინა მიწა. მაგრამ არც ეს მიცემული მიწები აღმოჩნდა საკმარისი ვახტანგის ამაღლისათვის.

ხელახლა დაინერა თხოვნა სენატის მისამართით.

ამ თხოვნის ავტორი იყო ვახუშტი ბაგრატიონი.

1736 წლის 21 დეკემბერს იგი სენატს სთხოვს პრესნაზე მიწების მომატებას.

სენატმა ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

სენატის წინაშე ამგვარივე თხოვნა განმეორებით აღძრა ვახტანგ მეფის მეუღლემ რუსუდან დედოფალმა.

ამ თხოვნის პასუხად სენატს პრესნაზე ბოძებული მიწების შესამონმებლად და გასაზომად გაუგზავნია გეოდეზისტი. მაგრამ საბუთებიდან არ ჩანს, დააკმაყოფილა თუ არა ქართველთა ეს თხოვნა სენატმა.

ყოველ შემთხვევაში, ამის შემდეგაც კიდევ არაერთი თხოვნა ანუ „ჩალა-პიტნა“ დაინერა.

რუსეთის მთავრობის მიერ ვახტანგ მეფისა და მისი ამალის წევრებისათვის გაჩენილი ყოველწლიური ჯამაგირი და სარჩო საკმარისი არ იყო.

ქართველ ემიგრანტებს უჭირდათ მოსკოვში ცხოვრება.

უჭირდა ვახუშტის ოჯახსაც.

თავის არაერთ თხოვნაში იგი უჩივის სახსრების სიმცირეს, გაჭირვებას, ვალების ზრდას, თხოულობს ყოველწლიური ჯამაგირის მომატებას ანდა სოფლების ბოძებას ყმა-გლეხებითურთ.

თავდაპირველად რუსეთის მთავრობამ ვახტანგ VI-ს ყოველწლიურ ჯამაგირად და სარჩოდ უწყალობა 24000 მანეთი, 4000 ჩეტვერტი პური, 200 საფენი შემა და 200 ცხენის ფურაჟი.

ყველაფერი ეს, ჩანს, ვახტანგ მეფემ გაუნანილა უფლისწულების და თავადების ოჯახებს.

ასე, მაგალითად, ვახუშტის მიეცა: 2090 მანეთი, 289 ჩეტვერტინა პური, 15 ცხენის ფურაჟი. მაგრამ თავის ერთ-ერთ თხოვნაში იგი აღნიშნავს, რომ მას უჭირდა ამით როგორც ოჯახის, ისე ამალის შენახვა და იქვე დასძენს, რომ მას დამატებით სახსრებს აძლევდა ვახტანგ მეფე.

საქართველოში დაცოლშვილებული ვახუშტის ოჯახი მოსკოვში კიდევ უფრო გაიზარდა, აქ შეეძინა მას რამდენიმე ვაჟი და ასული.

ცნობილია ვახუშტის შვილების სახელები: **ივანე, ალექსანდრა, დარია, ნიკოლოზი, დავითი, დომენტი და ანა.**

ზოგი მათგანი მალე გარდაიცვალა, ზოგი დიდხანს ცხოვრობდა მოსკოვში, ივანე კი, რომელმაც გენერლის ჩინს მიაღწია, ჯერ ისევ ცოცხალი იყო XVIII საუკუნის 80-იან წლებში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გულდენშტედტი ვახუშტისა და მისი შვილების გამო წერდა: „ვახუშტი, მეფე ვახტანგის მესამე ვაჟი. ის გარდაიცვალა მოსკოვში და დასტოვა ორი ვაჟი: ნიკოლაი და ივანე. პირველი ცხოვრობს როგორც კერძო პირი მოსკოვში, მეორე ამჟამად მსახურობს გენერალ-მაიორად რუსეთის არმიაში“.

ჩანს, XVIII საუკუნის 80-იან წლებისათვის ვახუშტის მეუღლეც და შვილებიც, გარდა ნიკოლოზისა და ივანესი, გარდაცვლილნი იყვნენ.

ვახუშტი დიდ ყურადღებას აქცევდა შვილების შესაფერისად აღზრდას, ზრუნავდა, რათა მათ კარგი განათლება მიეღოთ მოსკოვის სხვადასხვა

სასწავლებლებში. მაგრამ ეს მძიმე ტვირთად აწებოდა მის ისედაც გაჭირვებულ ოჯახს.

ერთი თავისი თხოვნის დაკმაყოფილების საბუთად ვახუშტი სენატის საყურადღებოდ აღნიშნავს, რომ მისი შვილები სასწავლებლებში სწავლობენ, იქ უფლებიან სხვადასხვა მეცნიერებას, რის გამოც მას და მის ოჯახს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდა, ვალებში ჩაცვივდა და მძიმე მდგომარეობაში მოექცა.

ასევე გაჭირვებული იყვნენ სხვა ქართველ ემიგრანტთა ოჯახები. ზოგიერთი მათგანი იძულებული იყო მოსკოვი დაეტოვებინა და საცხოვრებლად სხვაგან გადასახლებულიყო. ასე მოიქცა მაგალითად ციციშვილთა ერთ-ერთი ოჯახი (იასე და მატრონა ციციშვილები).

ქმარ-შვილისა და ახლო ნათესავების გაჭირვებას ყველაზე მეტად მანდილოსნები განიცდიდნენ. მათ გაიზიარეს მშობლების, ქმრების და ძმების ყველა ის ხვედრი, რაც მათ თბილისიდან დაწყებული მოსკოვ-პეტერბურგამდე გადახდათ. გზა მეტად გრძელი, საშიშარი და მომქანცველი იყო. მგზავრები მხოლოდ მცირე ყაბარდოს ტერიტორიაზე, დაბა სულჩუკთან, დაშოშმინდნენ, სადაც პირველად შეეგება მათ რუსი სარდლობის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ლიცკინი. დაბა კულჩუკში 1724 წლის 17 აგვისტოს ჩასული ქართველი ემიგრანტები წმ. ჯვრის ციხეზე, მდ. სულაკზე, გავლით ასტრახანს მხოლოდ იმავე წლის 9 ნოემბერს მივიდნენ. მაგრამ ასტრახანიდან ვახტანგ VI პეტერბურგს მცირე ამალით გაემგზავრა. დარჩენილები კი, ხელმწიფის ბრძანების მოსვლამდე, უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებული და დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ. ვახტანგ VI-ს თავიანთ წერილებში ისინი თავადთათვის შეუფერებელ მდგომარეობას ატყობინებდნენ და რუსთ ხელმწიფის წყალობისა და დახმარების დაჩქარებას სთხოვდნენ. როგორც შემონახული საბუთებიდან ირკვევა, მათ სხვადასხვა დროს და ცალკ-ცალკე ჯგუფებად განუგრძიათ გზა. ამ მომქანცველი მგზავრობის ერთი პირველი მსხვერპლთაგანი სულხან-საბა ორბელიანი იყო. გამოვლილი გაჭირვება მაინც ყველაზე მეტად ქალებსა და ჩვილ ბავშვებს დაეტყოთ. პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის, დონის მონასტრისა და „სესეცკას“ ქართული ეკლესიის ეპიტაფიები მოგვითხრობენ ნაადრევად დაღუპული ახალგაზრდა ქართველი ქალების სევდიან თავგადასავალზე. მაგრამ ქართველი ემიგრანტების დედები, ცოლები, დები და ასულები გაჭირვების დროსაც არაჩვეულებრივ სულიერ სიმტკიცეს ამჟღავნებდნენ.

ასეთად გვევლინება ვახუშტის მეუღლე მარიამ ბაგრატიონი, რომელიც თვით „თხოვნა-ვედრების“ დროს რუსეთის ხელისუფლებისაგან ამაყად მოითხოვდა ხელი აღეპყროთ მოსკოვს გადმოხვეწილი „უცხო ხალხისათვის“. ქართველების მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ენერგიულად იღვწოდა ვახტანგ VI-ის მეუღლე რუსუდან დედოფალი; გაუტეხელი ნებისყოფის ადამიანად წარმოგვიდგება სვიმონ ბატონიშვილის ქვრივი ანა ბაგრატიონი, პაატა ამილახვრის ასული. სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში მას ზედიზედ გამოეცალა ხელიდან ქმარ-შვილი. მიუხედავად ამისა, იგი არასდროს არ მისცემია უსასობას და ამის შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა ქართლში ვახტანგ მეფის ჩამომავლობის უფლების აღდგენის საქმეში.

ანა ბაგრატიონს რუსეთში შეეძინა შვილები დიმიტრი და სტეფანე. პირველი 1726 წელს დაიბადა, მეორე 1729 წელს. სტეფანე განათლების მისაღებად ჰოლანდიაში გაიგზავნა. რუსეთის ელჩთან დაბინავებული სწავლობდა „სამინისტრო საქმეებს“. მაგრამ მალე ავად გახდა და ჰააგაში გარდაიცვალა. მის გარდაცვალებამდე ხელმწიფის ნებართვით ჰოლანდიაში ჩასულა დედამისი, ავადმყოფი ვაჟის სანახავად და მოსავლელად. მას თან წაუყვანია უფროსი ვაჟი დიმიტრიც. ყველაფერი ეს აღწერილია 1744 წელს ჰააგიდან რუსეთის კანცლერის მისამართით გაგზავნილ ანა ბაგრატიონის წერილში. უმცროსი შვილის სტეფანეს სიკვდილის რვა თვის თავზე გარდაიცვალა უფროსი შვილი დიმიტრიც. ანა ბაგრატიონმა ისინი ერთად გადმოასვენა ჰოლანდიიდან პეტერბურგს და „ერთ დღესა და ერთსადაიმავე საათს“ აღექსანდრე ნეველის ლავრაში მიწას მიაბარა. მაგრამ ვერც ამან გასტეხა ამილახვრის ასული და 1740 წელს გარდაცვლილი (თუ ომში დაღუპული) სიმონ ბატონიშვილის ქვრივი. 1753 წლის ერთი საბუთის მიხედვით იგი გვევლინება იმ ინტრიგების მონაწილედ, რომელიც ერეკლე II წინააღმდეგ იყო მიმართული. მან ერეკლე მეფის დესპანი ათანასე მყაშვილი მოაყვანინა „თავისთან და მრავლის ლაპარაკით“ ურჩევდა, გადასდგომოდა კახელ ბაგრატიონებს და თეიმურაზ-ერეკლეს საზიანოდ ემოქმედა.

ჩვენ არ ვიცით, მონაწილეობდა თუ არა ვახუშტის მეუღლე მარიამი ქართლისა და კახეთის ბაგრატიონების შეპირისპირებასთან დაკავშირებულ ამბებში, მაგრამ საბუთებიდან ცხადად ირკვევა მისი მონაწილეობა მოსკოვის ქართული მოსახლეობის ცხოვრების მოწესრიგებაში. ამავე დროს, ჩანს, იგი ყოველნაირად ცდილობდა სიღარიბით წელგატეხილი ოჯახის ფეხზე დაყენებას და

ქმარ-შვილს მზრუნველობას არ აკლებდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმარიცა და ცოლიც ისევ სესხს მიმართავდა, ვალს იღებდა, რათა შვილები სასწავლებლებში აღეზარდათ და ოჯახიც შეენახათ.

ვახუშტი გაჭირვებას არაფრად აგდებდა, ოღონდ მის შვილებს შესაფერისი სწავლა-აღზრდა მიელოთ.

არსებობს მისი უფროსი ვაჟის ივანეს განსწავლულობის დამადასტურებელი ცნობა: ანტონ კათალიკოსი, განათლებულ ქართველთა მოკლე და ზოგადი დახასიათებისას, წერდა: „მეფის ძე ვახუშტი ნათესავი ჩემი და ძე მისი იოანე, რომელ აღიზარდა ფრიად სწავლულებას შინა წერილთა ლათინთასა“.

ევროპული განათლება მოსკოვში მიიღეს ვახუშტის ძმისწულებმაც.

მოსკოვის უნივერსიტეტისა და მისი გიმნაზიის პირველი ქართველი მოსწავლენი იყვნენ ბაქარის შვილები: ლევანი და დავითი.

ერთ ქართულ ხელნაწერში დაცული ცნობის მიხედვით ბაქარის ძე ლევან გრუზინსკიმ მიიქცია უნივერსიტეტის რექტორ მელისონის ყურადღება და იგი სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად დასაჯილდოებლად წარადგინეს.

1757 წელს რექტორის წინადადებით ლევან გრუზინსკი გააგზავნეს პეტერბურგს, დედოფალ ელისაბედთან წარსადგენად.

ცოდნის წადილს შვილებს და ძმისწულებს ვახუშტიც უღვივებდა.

შესაძლებელია, „ზოგადი გეოგრაფია“, რომელიც აკადემიის გიმნაზიის მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი, მან ქართულად იმიტომაც თარგმნა, რათა მისი შვილები და სხვა ქართველი მონაწევები უკეთ გასცნობოდნენ გეოგრაფიას.

ამას გარდა, მას პირადადაც უნდა მიელო მონაწილეობა შვილების აღზრდაში.

მუდამ მშრომელ ვახუშტის, რომელსაც სძაგდა „უქმობა“ და „მცონარეობა“, შვილები პატარაობიდანვე უნდა მიეჩვია შრომა-გარჯისათვის, რადგან მისივე განმარტებით „უქმობა წინააღმდეგომ არს წმიდისა პავლესა“.

ნაყოფიც ამის შეაფერისი იყო.

ვახტანგ VI შვილიშვილებმა მოსკოვში თავი გამოიჩინეს როგორც სწავლით, ისე სამხედრო სარბიელზე მოღვაწეობით.

ვახუშტის ვაჟმა გენერლის ჩინს მიაღწია, ხოლო ბაქარის ძე ლევანი იყო საპატიო წევრი მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა.

მაგრამ შვილების სწავლა-აღზრდა ვახუშტის ძვირად უჯდებოდა.

ყოველწლიური „წყალობით“ გათვალისწინებული თანხა ან კლებულობდა, ანდა საერთოდ უქმდებოდა.

ვალი კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ვახუშტი თხოულობდა ახალი სახსრების წყალობას, რათა გაესტუმრებინა ვალები და ამით ოჯახის გაჭირვებული მდგომარეობა როგორმე შეემსუბუქებინა.

სენატის 1741 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა, მისი თხოვნა არც ახლა დააკმაყოფილეს.

ვახუშტის ეს თხოვნა დანერილი უნდა იყოს 1739 წლის ახლო ხანში.

30-იანი წლების დასასრულს მოსკოვის ქართული ემიგრაცია მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1735 წელს რუსეთის მთავრობამ შეუწყვიტა ყოველწლიური ჯამაგირის მიცემა როგორც ვახტანგ მეფის ამაღლის წევრებს, ისე თვით ვახუშტის.

1735 წლისათვის მახლობელ აღმოსავლეთში სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა.

ნადირ ავშარმა, რომელიც მალე ირანის შაჰი გახდა, შეძლო ირანის ოდინდელი ძლიერების აღდგენა და ავღანთა ბატონობის დროს დარბეულ-დაშლილი ქვეყნის გაერთიანება.

კვლავ ფეხზე დამდგარი ირანი მკვეთრად დაუპირისპირდა თავის ძველ მეტოქე ოსმალეთს.

ნადირ-შაჰი თბილისსაც მოადგა და აღმოსავლეთ საქართველოში ისევ აღადგინა ირანის პოლიტიკური ბატონობის გავლენა.

ქართლში „ოსმალობა“ არანაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ“ შეცვალა. დაიწყო მრავალწლოვანი „ყიზილბაშობა“ ანუ „მალიათობა“.

ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობა ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებდა, ერიდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის და ამიერკავკასიის საქმეებში აქტიურად ჩარევას. ამავდროს მან შეასუსტა ყურადღება ვახტანგ მეფის ემიგრაციის მიმართ.

რუსეთის მთავრობა მოსკოველ ქართველებს უკვე თავის ქვეშევრდომებად თვლიდა.

მან ისინი არჩევანის წინაშე დააყენა: მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა ან სამშობლოში უკან დაბრუნებულიყვნენ.

უმრავლესობა, როგორც ჩანს, რუსეთში დარჩა საცხოვრებლად.

მათ შორის აღმოჩნდა ვახუშტი ბაგრატიონიც.

1738 წელს ვახტანგის ამალიდან ქართველ ჰუსართა ასეული ჩამოყალიბდა. ამალის ერთმა ნაწილმა მოსკოვი დატოვა, უკრაინაში მიიღო მამულები და იქ დასახლდა, ნაწილი კი პრესნაზე განაგრძობდა ცხოვრებას.

დიდხანს ცხოვრობდნენ აქ ბაქარ, გიორგი და ვახუშტი ბატონიშვილები თავ-თავიანთი ცოლ-შვილით.

ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ, მწიგნობრობდნენ... .. და კვლავინდებურად დაობდნენ მამულებისა და ყმა-გლეხების გამო.

პრესნის აღწერის სიებიდან კარგად ჩანს, თუ ვის რამდენი მამული ჰქონდა, რამდენი ყმა-გლეხი ანდა მსახური ჰყავდა.

ჩანს, ყველაფერი ეს საკმარისი არ იყო.

ყველა მაინც ხელმოკლეობას და გაჭირვებას უჩიოდა.

განსაკუთრებით გაუარესდა მათი მდგომარეობა ყოველწლიური ჯამაგირის შეწყვეტის შემდეგ.

ასე გაგრძელდა 1739 წლამდე.

მხოლოდ ანა იოანეს ასულის ბრძანებით განუახლეს ყოველწლიური ჯამაგირის მიცემა მოსკოვის პრესნის ქართველებს, უფლისწულთა და თავადთა ოჯახებს.

ვახუშტის ყოველწლიურად დაენიშნა 1500 მანეთი.

ეს თანხა გაცილებით მცირე იყო ადრინდელ თანხაზე.

ამ თანხით მეტისმეტად ძნელი იყო შვილების სასწავლებლებში აღზრდაც, ოჯახის შენახვაც და მსახურთა გაძლოლაც.

ამან დაანერინა ვახუშტის ახალი არზა სენატის მისამართით.

ჩვენამდე მოაღწია მისმა მიწერ-მოწერამ გრაფ სალტიკოვთან, დედოფალ ელისაბედისათვის მირთმეულმა აჯა-მოხსენებამ და თხოვნა-ვედრებამ.

ვახუშტი ყველგან ხელმოკლეობას, ვალებსა და გაჭირვებას უჩივის.

გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველ უფლისწულს პასუხს დიდხანს უგვიანებდნენ, ყოველ ახალ თხოვნაზე უარს ეუბნებოდნენ.

კვლავ იწერებოდა ახალი „ჩალაპიტნა“, რომელსაც კვლავინდებურად ხელს ურთავდა „მეფის შვილი ვახუშტი“.

მოსკოვის პრესნის „ქართველთა სლობოდის“ აღწერაში აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის მიწის ნაკვეთები და ბოსტანი, რომელიც სულ ზუთიოდე დესეტინას მოიცავდა. იქვე დასახელებულია მისი მსახური ეგორ ალექსეევი.

ვახუშტი წელზე ფეხს იდგამდა და ისე ინახავდა ოჯახს.

მაგრამ ამავე დროს თავაუღებლივ მუშაობდა.

კითხულობდა, წერდა, იწერდა, ასწორებდა, ამაღაშინებდა, რედაქტორობდა. განცვიფრებას იწვევს მის მიერ 1735-1755 წლებში შესრულებული სრულიად სხვადასხვა რიგისა და ხასიათის სამუშაოები, შრომის არაჩვეულებრივი ნაყოფიერება.

ხელმოკლეობა და გაჭირვება ისევ აჩრდილივით სდევდა თან...

1749 წლის ნოემბერში მან ისევ წარადგინა თხოვნა სენატში.

ვახუშტი თხოულობს გრაფ მიხეილ გოლოვკინის ცოლის ეკატერინე ივანეს ასულის სოფლების მიცემას, რათა შეძლოს ვალების გასტუმრება.

მაგრამ ეს თხოვნაც დაუკმაყოფილებელი დარჩა.

უცხოეთში უცხოთა მწარე პურის ჭამას სხვა უსიამოვნებანიც ერთოდა ზედ.

1748 წელს ბაქარ ბატონიშვილმა მოსკოვის პოლიცემისტერს სთხოვა თავიანთ გამგებლობაში მიეღოთ პრესნაში მცხოვრები ქართველები.

პოლიცემისტერის განკარგულებით აღწერეს პრესნის ქართველები, ხოლო არქიტექტორმა გადაიღო დასახლების გეგმა. მანვე 1748 წლის 8 აგვისტოს წარადგინა მოსახლეობის სია მამულების ჩვენებით.

ამის შემდეგ მოსკოვის პოლიცემისტერმა პრესნის ქართულ მოსახლეობას დაავალა საპოლიციო სამსახურის განხორციელება, ყარაულების გამოყვანა.

პოლიციის ეს დადგენილება იმავე 25 აგვისტოს გააპროტესტა გიორგი ბატონიშვილმა. იგი პოლიციას ატყობინებდა, რომ პრესნაზე ქართველების 19 წლის ცხოვრების განმავლობაში მათზე გავრცელებული არ იყო არავითარი პოლიციური თანამდებობის აღსრულება და მოითხოვა პრესნის ქართველების ამ მოვალეობისაგან განთავისუფლება.

მოსკოვის პოლიციამ საქმე შეაჩერა და შეუდგა მის შესწავლა-გამორკვევას.

ამ ღონისძიების წინააღმდეგ რომ ვახუშტიმაც აღიმალა ხმა, ეს კარგად ჩანს მისი მეუღლის 1757 წელს წარდგენილი თხოვნის შინაარსიდან.

თუ ვახტანგ მეფის ამაღლის ჩვეულებრივი წევრები თანდათან სხვადასხვა თანამდებობებს იკავებდნენ და ამით ირჩენდნენ თავს, უფლისწულებს და მათ ოჯახებს გაჩენილი ჰქონდათ ყოველწლიური შემოსავალი.

თავადთა და აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო კარიერას შეუდგა, ქართველ ჰუსართა პოლკში ჩაირიცხა და რუსეთის არაერთ ომში მიიღო მონაწილეობა.

აზნაურთა და მსახურთა ხვედრი უპირატესად სამოქალაქო თანამდებობანი იყო.

სულ სხვადასხვა ბედისანი და ხელობისანი აღმოჩნდნენ იმათი ჩამომავლები, ვინც ვახტანგ VI-ს რუსეთში თან გაჰყვნენ თუ გაიყოლეს.

ზოგი უნივერსიტეტში მოღვაწეობდა (მოსკოვის უნივერსიტეტის თვალყურისმგებელი – კურატორი სვიმონ ეგნატაშვილი, რომელიც დიპლომატის მოვალეობასაც ასრულებდა და მნიგნობრობდა კიდევ, ქართულიდან რუსულად თარგმნიდა ისტორიულ-ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნიმუშებს), ზოგი რუსული თეატრის სცენაზე აღმოჩნდა და მსახიობობით გაითქვა სახელი (ზანდუკელ-სანდუნოვი, რომელიც არანაკლებ ცნობილი იყო მოსკოვში აშენებული სანდუნოვების აბანოებით), ზოგიც ანტიკვარობდა და არქეოლოგობდა (სანკტ-პეტერბურგელი სულუქაძე, რომელიც რუსეთის ისტორიის სიძველეებს გულმოდგინედ აგროვებდა, საკუთარი პატარა მუზეუმი ჰქონდა, გატაცებული იყო საფრენოსნო მანქანებით და, ამის წყალობით, სახელიც კი დაიმკვიდრა რუსული ავიაციის ისტორიაში).

მეტისმეტად ახირებული და სიძველეებით მოვაჭრე სულუქაძე ყიზარევის იუმორისტული მოთხრობის გმირად იქცა, მაგრამ დერჟავინმა მისი არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით რუსეთის ძველი ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა.

კიდევ ვინ მოთვლის, ვინ რა გზას დაადგა, ან რა ბედი და თავგადასავალი ჰქონდა.

ვახტანგ VI-ის მხლებლები რუსეთისა და უკრაინის ქალაქების მცხოვრებლებად იქცნენ.

ისინი ან რუსულ არისტოკრატიას დაუკავშირდნენ ანდა რუსულ „რაზნოჩინულ“ ინტელიგენციას.

მაგრამ არავის, მცირე გამონაკლისის გარდა, დავიწყებისათვის არ მიუცია არც ქართული ენა, არც ქართული წიგნი, არც შორეული სამშობლოს სიყვარული.

პირიქით, მათი დაუცხრომელი და ნაყოფიერი ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობა სამშობლო ქვეყანასთან, მის მწერლობასთან და კულტურასთან დამაკავშირებელ გზად და ხიდად იქცა.

ცხოვრებით კი ისე ცხოვრობდნენ, როგორც მოსკოვის თუ სანკტ-პეტერბურგის ყველა მკვიდრი ცხოვრობდა.

ამ ქალაქებს ისინი ისეთნაირად შეესისხლხორცნენ, რომ ზოგიერთი მათგანის მიერ აღწერილი XVIII საუკუნის პეტერბურგი ახლაც ამ ქალაქის ისტორიის ერთ-ერთ პირველწყაროდაც ითვლება და მხატვრულ-მემუარული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშადაც.

რუსეთის ქვეშევრდომებად ქცეული ქართველი ემიგრანტები მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ყაზანში, ნოვგოროდში, მირგოროდში, ყიზლარში, მოზდოკში და ასტრახანში ეწეოდნენ ყოველდღიური ცხოვრების ჯაფას.

თავისუფალ დროს ლიტერატურულ საქმიანობას უთმობდნენ, ახალ-ახალი თარგმანებით ამდიდრებდნენ მშობლიურ მწერლობას, მოსკოვის ქართულ სტამბაში ახლად რედაქტირებულ წიგნებს ბეჭდავდნენ და ინტენსიურად განაგრძობდნენ ძველი თხზულებების გადანერას, მათ გამრავლებას.

XVIII საუკუნის მანძილზე მოსკოველმა ქართველებმა ქართულ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნეს.

თარგმნიდნენ საყურადღებო უცხოურ თხზულებებს, წერდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს.

ყველაზე ნაყოფიერი მაინც ვახუშტი ბაგრატიონი აღმოჩნდა.

ისიც მოსკოვში, პრესნაზე ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილთან ერთად.

მისი სახლი ბაქარ ბატონიშვილის სახლთან ახლოს იყო, იქვე ცხოვრობდნენ სხვა ქართველი უფლისწულები და თავადები.

ბაქარ, გიორგი და ვახუშტი ბატონიშვილები მოსკოვშიც ერთმანეთს მხარს უბამდნენ, ერთად იყვნენ შრომაშიც, ჭირშიც და ლხინშიც.

მოსკოვში ცხოვრების განმავლობაში მათ ლხინიც გამოსცადეს და ჭირიც. დონის მონასტერში ხან ნათლობისა და ქორწილის ზარი რეკდა, ხან გლოვისა.

იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ საქართველოდან წაყვანილი ან მოსკოვში დაბადებული ქალ-ვაჟნი.

თხოვდებოდნენ, ცოლებს ირთავდნენ, ოჯახებს ეკიდებოდნენ და მრავლდებოდნენ.

ხნიერნი და მოხუცებულნი წუთისოფელს ესალმებოდნენ.

მაგრამ ზოგჯერ მწიფესთან ერთად მკვახეც ცვიოდა.

1735 წელს ვახუშტიმ დამარხა თავისი ვაჟი დომენტი.

1737 წელს ასტარახანში გარდაიცვალა ვახტანგ მეფე.

ამ ქალაქებს ისინი ისეთნაირად შეესისხლხორცნენ, რომ ზოგიერთი მათგანის მიერ აღწერილი XVIII საუკუნის პეტერბურგი ახლაც ამ ქალაქის ისტორიის ერთ-ერთ პირველწყაროდაც ითვლება და მხატვრულ-მემუარული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშადაც.

რუსეთის ქვეშევრდომებად ქცეული ქართველი ემიგრანტები მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ყაზანში, ნოვგოროდში, მირგოროდში, ყიზლარში, მოზდოკში და ასტარახანში ეწეოდნენ ყოველდღიური ცხოვრების ჯაფას.

თავისუფალ დროს ლიტერატურულ საქმიანობას უთმობდნენ, ახალ-ახალი თარგმანებით ამდიდრებდნენ მშობლიურ მწერლობას, მოსკოვის ქართულ სტამბაში ახლად რედაქტირებულ წიგნებს ბეჭდავდნენ და ინტენსიურად განაგრძობდნენ ძველი თხზულებების გადანერას, მათ გამრავლებას.

XVIII საუკუნის მანძილზე მოსკოველმა ქართველებმა ქართულ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნეს.

თარგმნიდნენ საყურადღებო უცხოურ თხზულებებს, წერდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს.

ყველაზე ნაყოფიერი მაინც ვახუშტი ბაგრატიონი აღმოჩნდა.

ისიც მოსკოვში, პრესნაზე ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილთან ერთად.

მისი სახლი ბაქარ ბატონიშვილის სახლთან ახლოს იყო, იქვე ცხოვრობდნენ სხვა ქართველი უფლისწულები და თავადები.

ბაქარ, გიორგი და ვახუშტი ბატონიშვილები მოსკოვშიც ერთმანეთს მხარს უბამდნენ, ერთად იყვნენ შრომაშიც, ჭირშიც და ლხინშიც.

მოსკოვში ცხოვრების განმავლობაში მათ ლხინიც გამოსცადეს და ჭირიც. დონის მონასტერში ხან ნათლობისა და ქორწილის ზარი რეკდა, ხან გლოვისა.

იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ საქართველოდან წაყვანილი ან მოსკოვში დაბადებული ქალ-ვაჟნი.

თხოვდებოდნენ, ცოლებს ირთავდნენ, ოჯახებს ეკიდებოდნენ და მრავლდებოდნენ.

ხნიერნი და მოხუცებულნი წუთისოფელს ესალმებოდნენ.

მაგრამ ზოგჯერ მნიფესთან ერთად მკვახეც ცვიოდა.

1735 წელს ვახუშტიმ დამარხა თავისი ვაჟი დომენტი.

1737 წელს ასტარახანში გარდაიცვალა ვახტანგ მეფე.

ნელ-ნელა მას სხვებიც მიჰყვნენ. გარდაიცვალა ბაქარ ბატონიშვილი, შემდეგ სხვა ახლო ნათესავი, მეგობარი, თანამოკალმე...

ჭირს ღზინი მოსდევდა, ღზინს ჭირი.

1745 წელს, „საქართველოს ცხოვრების“ დასრულების წელს, დაიბადა ვახუშტის ასული ანა.

პატარა ანამ მშობლების ოჯახში სიხარული და სიხალისე შეიტანა, დიდ-პატარას დარდი და სიღარიბე დაავიწყებინა.

ვახუშტი გამხნევდა, კიდეც უფრო ინტენსიურად შეუდგა მუშაობას.

მაგრამ გაჭირვება და ხელმოკლეობა თავს არ ანებებდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად არზას არზაზე წერდა, თხოვნას თხოვნაზე.

თვალი მუდამ პეტერბურგისკენ და სენატისაკენ ეჭირა.

იქიდან მოელოდა ხსნას და შველას. მაინც მხნედ იყო და სხვებსაც ამხნევებდა.

მოსკოველ ქართველებს შორის ვახუშტის მტერ-მოყვარენიც მრავლად ჰყავდა და მათგან მოძულებული ზოგჯერ სასონარკვეთილებასაც ეძლეოდა, მაგრამ მაინც ხასიათის სიმტკიცეს ამჟღავნებდა, თავაუღებელი შრომა ავინყებინებდა გულისტკივილს „თვისთავან მრავალტანჯულ“ და „მოძულებულ“ მეცნიერს.

უთანხმოება და წინააღმდეგობა მოსკოვის ქართულ კოლონიაშიც იყო ფესვგადგმული. ამას ზედ ერთოდა დინასტიური ინტერესების შეღახვით გამონვეული უკმაყოფილება, სინანული, იმედგაცრუება...

ვახტანგ მეფის მემკვიდრენი ვერ ურიგდებოდნენ ქართლში კახეთის ბაგრატიონების გაბატონებას. გავლენიანი ქართლელი თავადების დახმარებით ცდილობდნენ ქართლის სამეფო ტახტის უკან დაბრუნებას.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ამგვარ ცდებთან იყო დაკავშირებული მარკოზაშვილის დარბაზის შეთქმულებაც, პაატა ბატონიშვილის დასჯაც და ცხვირმოჭრილი ალექსანდრე ამილახვრის პამფლეტიც „გეორგიანული ისტორია“.

კახელ ბაგრატიონებს მომხრენი მოსკოვის ქართულ კოლონიაშიც ჰყავდა. ეს მრავალგვარ უსიამოვნებას იწვევდა, აღვივებდა შულს, მტრობას.

ამას ზედ სხვა უსიამოვნებანიც ერთოდა.

ვახუშტის სძაგდა და ვერ იტანდა სულმოკლეთ, ზარმაცებს, მცონარეებს. მათს შესახებ იგი აღშფოთებით წერდა: „უგბილონი, რომელნი არა ჰყვარობენ გულმოდგინებასა და გულისხმიერებას, არამედ მცონარებასა“.

1750 წლის 17 აპრილს, დღის პირველ საათზე, პრესნაზე, ბაქარის სასახლეში გაჩნდა ხანძარი, ცეცხლი ერთბაშად აბრიალდა და სწრაფად მოედო მახლობელ სახლებს, ყველაფერი გადაბუგა და გადაწვა. ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ ვასილ ნეოკესარიელის სახელობის ეკლესიის ორივე მხრიდან მიწდვრამდე ყველაფერი დაიწვა.

XVIII საუკუნეში მოსკოვი განთქმული იყო თავისი ხანძრებით.

მრავალნაირი ღონისძიების მიუხედავად, XVIII საუკუნეში დაჟინებით რომ ხორციელდებოდა, ხანძრის სტიქიონი დაუმორჩილებელი იყო.

ქალაქში, სადაც ქვითნაშენ სახლებს ხითნაშენი სახლები სჭარბობდა, ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა და ქალაქის დიდ ნაწილს ედებოდა.

ზოგჯერ ხანძარი ქალაქს ანახევრებდა და გადამწვარი უდაბნოს ვრცელ ზოლს ტოვებდა. ხანძრის მსხვერპლნი ხდებოდნენ არისტოკრატებიც (თვით ხელმწიფის შვილები და ნათესავები), დიდმოხელე ბოხოლეები, დიდვაჭრები, ვაჭარ-ხელოსნები და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა.

XVIII საუკუნის დამდეგს არჩილ II-ის სახლს სამჯერ გაუჩნდა ხანძარი. ცეცხლმა შთანთქა მისი ხელნაწერები და წიგნები. ასე დაიღუპა ქართველი მწიგნობარი მეფის და მისი თანამშრომლების ნაშრომ-ნაჭირნახულები.

მარტო 1748 წლის მაისში მოსკოვში ექვსჯერ გაჩნდა ხანძარი და ქალაქის რამდენიმე რაიონი გაანადგურა. დაიწვა 1227 სახლი. დაიღუპა 96 კაცი.

ნაცარ-ტუტზე დარჩნენ ბაქარის ქვრივ-ობლებიც.

ვახუშტის ახალი სადარდებელი, ახალი საზრუნავი გაუჩნდა.

საკუთარ ცოლ-შვილსაც უვლიდა და გაჭირვებულ ნათესავებსაც ეხმარებოდა. საზრუნავი არ თავდებოდა. საფიქრელიც ბევრი ჰქონდა.

უკვე დაღლილი და ჯანგატეხილი უჯდა თავის ხელნაწერებს, ავსებდა ახალ-ახალ ფურცლებს, ზოგს ასწორებდა, ზოგს შლიდა, აშალაშინებდა, ხვენდა, აწესრიგებდა „საქართველოს ცხოვრების“ სამეცნიერო აპარატს.

1751-1752 წლის განმავლობაში იგი, ჩანს, ჯერ ისევ ინტენსიურად მუშაობდა, გატაცებით, მონდომებით, დაუზარებლად.

თავისი საისტორიო-გეოგრაფიული ნაშრომის გენეალოგიურ ტაბულებს და ქრონოლოგიურ ცხრილებს ახალ მასალებს უმატებდა, ახალ შენიშვნებს ურთავდა.

კვლავინდებურად ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალ წიგნებს, გაფაციცებით კითხულობდა მათ, ამონაწერებს აკეთებდა, ჩქარობდა დაწყებული თარგმანების დასრულებას და მათი წინასიტყვაობების დაწერას.

ვახუშტის წესად ჰქონდა ორიგინალური თუ თარგმნილი ნაშრომისათვის წინასიტყვაობის წამძღვარება, სადაც ყოველთვის ზუსტად იყო აღნიშნულ-ფიქსირებული თხზულების მნიშვნელობაც და მიზანიც.

ახალი ცნობებისა და პოლიტიკური ინფორმაციის საფუძველზე ვახუშტი ბაგრატიონს ახალი მასალები შეჰქონდა გენეალოგიურ ტაბულებში და ქრონოლოგიურ ცხრილებში.

ირანის უკანასკნელ ხელმწიფეებად მის მიერ დასახელებული არიან „ნადირ ავმარ“ და „ადილ“.

1752 წელს მან დაამთავრა ევროპისა და აღმოსავლეთის მეფე-ხელმწიფეთა გენეალოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულების შედგენა უძველესი დროიდან დაწყებული 1752 წლამდე.

1752 წელსვეა შესრულებული „ზოგადი გეოგრაფიის“ ქართული თარგმანი.

1752-1755 წლებში ვახუშტი მუშაობდა საქართველოს ისტორიის ქორონიკონებისა და კინკლოსების შედგენაზე.

„საქართველოს ქრონიკა“ – „1201 წლიდან 1755 წლამდე აღწერილი ვახუშტის მიერ“ – დასრულდა 1755 წელს.

ქრონიკაში 1755 წლის ქვეშ შეტანილია შემდეგი ცნობა: „1755 – უმგ შეუთქვეს კახთ ანტონ კათალიკოზს ფრანგობა მტერობით და განაძეს, კვალად რომის ბერნი კაპუჩინნი ქართლიდამ“.

თავისი ახალი ნაშრომის დასრულება-დამთავრება ავტორს შემდეგნაირად აქვს აღნიშნული მისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში: „აღსრულდა ჩვენ – მიერ დიდებად ღუთისა მამისა და ძისა და სულისა წმინდისასა უკუნისამდე ამინ... თუმცა აღსრულებად არს დასრულებამდე“.

ავტორის ეს შენიშვნა, როგორც ჩანს, ისე უნდა გავიგოთ, რომ მან დასრულებულად მიიჩნია ყველა ქორონიკონი 1201 წლიდან მოყოლებული 1755 წელს მომხდარი მოვლენების ჩათვლით.

ქორონიკონები მას ამის შემდეგაც უნდა გაეგრძელებინა, როგორც წესად ჰქონდა მიღებული, მაგრამ ამგვარი მუშაობის არავითარი კვალი არ ჩანს.

საერთოდ, 1755 წლის მომდევნო წლებთან დაკავშირებული არაა არც ვახუშტის ახალი რაიმე ნაშრომი, არც მისთვის ჩვეულებრივი მინაწერები და შენიშვნები ხელნაწერთა ფურცლებზე.

მისი უკანასკნელი და, ამასთან, დათარიღებული ნაშრომია „საქართველოს ქრონიკა“.

1755 წელს იგი მონაწილეობას იღებს მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში, რამაც მისგან ალბათ ბევრი დროც მოითხოვა და დროებით ლიტერატურულ მუშაობაზე ხელის აღებაც.

მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ 1755 წლის შემდეგ ვახუშტი არ ქმნის ახალ ნაშრომს, არაფერს არ თარგმნის და რედაქტორობას არ უწევს სხვათა ნამუშავეს.

უკვე ხანდაზმული მეცნიერი ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო წყვეტს თავის მრავალწლოვან ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ქრონოლოგიურად 1735-1755 წლებს მოიცავს.

რა იყო ამის მიზეზი?

დაღლილობა თუ ავადმყოფობა.

იქნებ სიკვდილიც.

როდის გარდაიცვალა ვახუშტი, დიდხანს ცნობილი არ იყო მკვლევართათვის.

დასახელებული იყო 1770 წელი, 1772 წელი, 1778 წელი და თვით 1784 წელი.

1948 წელს ქრისტიანე შარაშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ვახუშტის სიცოცხლე უნდა შეწყვეტილიყო იმ წელზე, რომელზეც წყდება მისი მუშაობა ისტორია-გეოგრაფიის ტექსტზე“. ამით მან ეჭვს ქვეშ დააყენა ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული და მიღებული თარიღი – 1770 წელი.

მაგრამ ქრისტიანე შარაშიძეს არ აღუნიშნავს, თუ როდის შეწყვიტა ვახუშტიმ მუშაობა საქართველოს ისტორია-გეოგრაფიის ტექსტზე.

საფიქრებელია, რომ მას მხედველობაში ჰქონდა გენეალოგიურ-ქრონოლოგიურ ტაბულებზე და ქრონიკულ-კინკლოსებზე მუშაობა, რაც საქართველოს ისტორია-გეოგრაფიის შემადგენელ ნაწილებს ნარმოადგენს და რაც, როგორც ცნობილია, ვახუშტიმ 1755 წელს დაასრულა.

ამგვარი ვარაუდის მიხედვით ვახუშტი უნდა გარდაცვლილიყო 1755 წლის ახლო ხანში.

ამ საკითხს ახალი მასალების საფუძველზე ახალი შუქი მოჰფინა ოთარ გვილაგამ.

მან მიაგნო სენატის 1765 წლის 1 თებერვლით დათარიღებულ მოხსენებით ბარათს, სადაც ნათქვამია, რომ სენატის 1756 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ბატონიშვილ ვახუშტის ქვრივს მარიამს და მეფის ასულებს ანას და მარიამს, მისი ოჯახის წევრებთან ერთად, დაენიშნათ პენსია შესაბამისად 15000, 300 და 250 მანეთის ოდენობით.

ამ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ვახუშტი გარდაცვლილა 1756 წლის აპრილამდე.

ამან ოთარ გვილაგას საფუძველი მისცა დაესკვნა: ვახუშტი ბაგრატიონი გარდაცვლილა 1755 წლის ბოლოს, ან 1756 წლის დასაწყისში (აპრილამდე).

მანვე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1755 წლის შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონის ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობის არავითარი კვალი არ ჩანს.

მაგრამ მეორე დოკუმენტური წყაროს მიხედვით ვახუშტი ცოცხალი ჩანს 1757 წლის მაისშიც.

ეს დოკუმენტი მოსკოვის არქივში აღმოაჩინა და მისი ქართული თარგმანი (ფრაგმენტები) გამოაქვეყნა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ.

ესაა თხოვნა, რომელიც ვახუშტის მეუღლემ მარიამმა ხელმწიფის კაბინეტის მინისტრს ბარონ ივანე ანტონის ძე ჩერკასკის გაუგზავნა.

დოკუმენტი დათარიღებულია 1757 წლის 5 მაისით.

მარიამი ბარონ ჩერკასკის სწერდა მოსკოვის პოლიციის ძალადობის შესახებ პრესნას „ქართველთა სლობოდაში“.

დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, რომ პოლიცია ძალით უსახლებდა თავის მოხელეებს ქართველ მოსახლეობას და აიძულებდა მათ შეესრულებინათ ყოველგვარი პოლიციური თანამდებობანი.

მოსკოვის პოლიციის საამისო ღონისძიებანი ჯერ კიდევ 1749 წელს გააპროტესტეს გიორგი და ვახუშტი ბატონიშვილებმა.

როგორც ჩანს, პოლიცია 1757 წლის გაზაფხულზე კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს, მოინდომა მისი გადანყევება და ქართველებზე საპოლიციო მოვალეობათა დაკისრება, რამაც „ქართველთა სლობოდაში“ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მარიამი დაწვრილებით აღწერს პოლიციის ძალადობას.

ამასთან ერთად ვახუშტის მეუღლე აღწერდა თავისი ოჯახის მძიმე მდგომარეობას, რაც ქმრის უეცარი ავადმყოფობით იყო გამოწვეული.

მარიამი ბარონ ჩერკასკის სწერდა: „განსაკუთრებით უეცარი დარდი დაგვატყდა თავს, რის გამო შვილებთან ერთად დიდ მღელვარებაში ვიმყოფებით. ქმარი ჩემი, ბატონიშვილი, ავად გახდა მოულოდნელი სენით, რაც გრძელდება დიდმარხვის პირველი კვირიაკიდან დღემდე და მდებარედ ნევს იგი უხმოდ“.

ამ გარემოების აღნიშვნასთან ერთად ვახუშტის მეუღლე თხოულობს ახლად შეწერილი მძიმე პოლიციური დავალებისაგან განთავისუფლებას და თავის თხოვნას ურთავს „ამისთვის გთხოვთ, რათა თქვენი მეცადინეობით, ჩვენ, როგორც უცხო ხალხნი, მოსკოვის პოლიციამ ზემოთ გამცხადებელ დავალებათაგან გაგვათავისუფლოს“.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1757 წლის მარტიდან ვახუშტი დამბლადაცემული იყო და „უხმოდ“ იწვა, მძიმედ იყო ავად.

ამ დოკუმენტის აღმომჩენი გიორგი ლეონიძე ფიქრობდა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მოულოდნელი სენი იყო ჰიპერტონია, რომელიც განსაკუთრებით მარტის თვეში იჩენს ხოლმე თავს.

მისივე აზრით, ვახუშტის სნეულება უნდა დაეჭვარებინა მოსკოვის პოლიციის ძალადობას, რომელიც ადრეც ანუხებდა ვახუშტის ოჯახს და სხვა ქართველ მოსახლეობას,

ამას უნდა გამოეწვია ვახუშტის „მოულოდნელი სენი“.

ამის გამო გიორგი ლეონიძე წერდა: „დაძაბული შრომით დაჯაბნილი, სიღარიბით გატეხილი, თანამემამულეთა დევნით, ინტრიგებით „მრავალტანჯული“, იგი ვერ გაუძლებდა იმ ახალ უსიამოვნებას, რომელიც მას ახლა პოლიციამ დაატეხა.“

ვფიქრობთ, უმთავრესად პოლიციასაც უნდა ედებოდეს ბრალი ვახუშტის დადამბლავებაში, რადგან სწორედ 13 მარტს, ე. ი. ვახუშტის დაავადყოფების დღეებში (დიდმარხვის პირველი კვირა) არის შედგენილი „უქაზი“ „ქართველთა სლოზოდისა“ და კერძოდ, ვახუშტის საბინაო შევინროების შესახებ, ალბათ ამ სასტიკ მოთხოვნას მოთმინებიდან უნდა გამოეყვანა ისედაც დაქანცული, ნერვებანენილი დიდი მეცნიერი და ჩაეყენებინა სასიკვდილო მდგომარეობაში“.

სსენებული დოკუმენტის მიხედვით გიორგი ლეონიძეს მიაჩნდა, „რომ ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ 1757 წელს უნდა გარდაცვლილიყო, კიდევ

იმიტომაც, რომ არავითარი კვალი ვახუშტის მეცნიერული მუშაობისა 1756 წლიდან არა ჩანს და არც არავითარი საბუთი, ფაქტი მისი ცხოვრებისა ამ წლის შემდეგ“.

ასეთ მსჯელობას დაუყოვნებლივ მოსდევს დასკვნა, რომელიც კატეგორიული მაინც არაა: „ზემოაღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახუშტი გარდაცვლილი უნდა იყოს 1757 წელს. ალბათ იგი იმავე წელს გადაიტანა დამბლამ. ვახუშტი უნდა გარდაცვლილიყო სამოც წელს გადაცილებული, არც თუ ისე ღრმა მოხუცებულებაში“.

გიორგი ლეონიძის ამ დასკვნას ემონმება ოთარ გვილაგას მიერ აღმოჩენილი საბუთი, სადაც ვახუშტის მეუღლე მარიამი 1756 წლის გაზაფხულზე ქვრივად არის გამოცხადებული.

მაგრამ განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ოთარ გვილაგას ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების წლად (დოკუმენტური ცნობის მიხედვით) 1755 წლის ბოლო, ან 1756 წლის დასწყისი აქვს დასახელებული, ხოლო გიორგი ლეონიძეს (ასევე დოკუმენტური ცნობის მიხედვით) 1757 წელი.

განსხვავების მიუხედავად, ორსავე შემთხვევაში დამაჯერებლად არის მოხსნილი ვახუშტის გარდაცვალების ყველა გვიანდელი თარიღი.

მაინც რით შეიძლება ავხსნათ ის, რომ რუსულ დოკუმენტებში, რომელთაგან ერთი ოფიციალურია (სენატშია შედგენილი და რეგისტრირებული), ხოლო მეორე – კერძო, ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების განსხვავებული თარიღებია და სხვაობა კი მხოლოდ ერთი წელია?

ოფიციალური დოკუმენტი შედგენილია 1765 წლის 1 თებერვალს ვახუშტის გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ და, ადვილად შესაძლებელია, საბუთის შედგენისას უნებლიე შეცდომა მოსვლოდათ და რვა წლის წინანდელი ვითარების აღნიშვნისას 1757 წლის მაგიერ 1756 წელი დაეწერათ.

არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ, მიუხედავად ერთ წელში განსხვავებისა, ორსავე დოკუმენტში ვახუშტის ავადმყოფობის და გარდაცვალების დროდ დასახელებულია გაზაფხული.

მარიამ გრუზინსკაიას თხოვნა დაწერილია 1757 წლის 5 მაისს, ამასთან მისი სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ მას და მის ოჯახს ქმრისა და მამის გამობრუნება-გამომრთელების აღარავითარი იმედი აღარ ჰქონდა.

ამიტომ ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების 1757 წლის მაისის თვით დათარიღება.

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა მოსკოვში დაასრულა თავისი ცხოვრება და იქვე, დონის მონასტერში პოვა სამუდამო განსასვენებელი.

დაიმარხა იგი დონის მონასტრის შესავალ კარებთან, ხოლო მისი საფლავის ქვას გაუკეთდა ქართული და რუსული წარწერები.

150 წლის მანძილზე ბერებისა და მლოცველების სიარულმა ეს წარწერები თანდათან წაშალა.

XIX საუკუნის დამლევს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა დონის მონასტერში ყურადღება მიაქცია იატაკში დატანებულ საფლავის ქვას გადასული წარწერით, სადაც ჯერ ისევ ირჩეოდა რაღაც სიტყვის მარცვალი „შტი“.

1912 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები შეუდგნენ ვახუშტის საფლავის ძებნას და თითქოს კიდეც მიაგნეს.

1912 წელს გაზეთ „თემის“ კორესპონდენტი მოსკოვიდან იუწყებოდა: ვახუშტი დონის მონასტრის „შესავალ კარებთან დაუსაფლავებიათ. ზედ ფხვიერი რუსული ქვა დაუდვიათ შესაფერისი წარწერით, მაგრამ ბერების ზედ სიარულს წარწერა წაუშლია და შარშან, რამდენიმე კაცს საფლავის პოვნისათვის ბევრი შრომა დაგვჭირდა, დღეს კიდეც ირჩევა თითო-ორო-ლა დარჩენილი ასოს წყალობით ძვირფასი სახელი, მაგრამ გაივლის მცირე ხანი და მომავალი თაობა ამოდ დაუნყებს ძებნას ძვირფას საფლავს“. ამას კორესპონდენტი გულისტკივილით დასძენდა: „გული გიკვდებათ, როცა ხედავთ უცხო მონასტრის ნოტიო სარდაფში ობლად გაცივებულ სამარეს“.

იმავე 1912 წელს „სახალხო გაზეთის“ მოსკოველი კორესპონდენტი წერდა: ვახუშტი დონის მონასტრის „ქვედა სართულის შესავალშივეა დამარხული კედლის პირად. მის გვერდით უფრო ახლოს არის კიდეც ერთი საფლავი, რომლის ნაწერიც მთლად წაშლილია. ვფიქრობთ, რომ ეს ვახუშტის მეუღლის საფლავი უნდა იყოს. თვით ვახუშტის საფლავის ქვა ძალიან გაცვეთილია და მხოლოდ რუსული წარწერა ეტყობა, ისიც ნახევრად ამრიგად: «Шти... Вахтанг...». ასე უყურადღებოდაა მიტოვებული საქართველოს დიდებული შვილის, სწავლა-განათლების მოყვარის, საუკეთესო გეოგრაფის საფლავი“.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დააყენეს ვახუშტი ბაგრატიონის ნეშტის საქართველოში გადასვენების საკითხიც.

ამგვარ აზრს გამოთქვამდა გაზეთ „თემის“ მოსკოველი კორესპონდენტიც.

კორესპონდენტი ქართველ საზოგადოებას ასეთნაირად მიმართავდა და მოუწოდებდა: „დროა და მოვალენი ვართ, ვახუშტის საფლავს მოვუაროთ, მით უმეტეს, რომ დიდ არაფერს მოითხოვს ჩვენგან... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოსკოვის ქართველთა საზოგადოება იკისრებდა ამ საქმეს. მაგრამ რაღაც გრძნობა მოვალეობის და პატივისცემისა წმინდა საფლავის წინაშე გვეუბნება, რომ ეს მცირე ნივთი უნდა გაიგზავნოს იმ სამშობლოდამ, რომლის საკეთილდღეოდ სცემდა ვახუშტის გული და მუშაობდა მისი მადლიანი კალამი“.

მაგრამ ეს სიტყვები დარჩა ხმათა მლაღადებლად უდაბნოსა შინა.

1929 წელს ღონის მონასტერში გიორგი ლეონიძემ უკანასკნელად ნახა ვახუშტი ბაგრატიონის საფლავის ქვა.

მანვე გადმოწერა მისი გადასულ-წარხოცილი წარწერის დარჩენილი ასოების მარცვლები.

1934 წელს ვახუშტის საფლავის ქვა დაიკარგა.

ასე თანდათან თვალს მიეფარა ყველაფერი, რაც კი ვახუშტი ბაგრატიონის პირად ცხოვრებასთან და თავგადასავალთან იყო დაკავშირებული.

პახუშტის მაცნიარული მამაკვიდრაოზა

უცნაური თავგადასავალი ჰქონდა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრებას“.

მოსკოვში, პრესნაზე 1745 წელს დაწერილი ეს საისტორიო ნაშრომი საქართველოში ცნობილი გახდა მხოლოდ XVIII საუკუნის 80-იან წლებში.

მას, როგორც სანატრელი, ე. ი. გარდაცვლილი ბიძის ნაწარმოებს, ასახელებს ერეკლე II თავის ნათესავი ქალისათვის გაგზავნილ ერთ წერილში.

იქვე აღნიშნულია ვახუშტის თხზულების ხელნაწერის რუსეთიდან საქართველოში მოღწევის ფაქტი.

საერთოდ, მოსკოვის ქართული კოლონიის კულტურულ მოღვაწეთა თხზულებანი იშვიათად აღწევდა საქართველომდე.

დიდი დაგვიანებით გაეცნენ საქართველოში ვახუშტის ნაშრომსაც.

ამ ბრწყინვალე ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს არავითარი გავლენა არ მოუხდენია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაზე.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ცნობილ ისტორიკოსად ითვლებოდა ომან ხერხეულიძე, რომელმაც გააგრძელა არა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დაწყებული მუშაობა, არამედ განაახლა და აღადგინა ძველი, ტრადიციული ქართული ისტორიოგრაფიის თხრობის მანერა და საისტორიო თხზულების შედგენის წესები.

მას, როგორც ისტორიკოსს, მეტი რამ საერთო ჰქონდა სეხნია ჩხეიძესთან და პაპუნა ორბელიანთან, ვიდრე ვახუშტი ბაგრატიონთან.

ქართველების ყურადღება მიიქცია მხოლოდ „საქართველოს ცხოვრების“ სტილმა, მისმა თავისებურმა სინტაქსმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ავტორის რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გავლენა.

X-XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის თავანკარა, სადა და ნათელ სტილზე განაფულ მკითხველთათვის (ფარსადან გორგიჯანიძე თბილისელი და გორელი მოქალაქეების სასაუბრო ენას იყენებდა, ხოლო პაპუნა ორბელიანი და მისი მსგავსი ისტორიკოსები თხრობის არაჩვეულებრივი სისა-

დავით გამოირჩეოდნენ) მოსკოვში ნაცხოვრებ-ნამოღვანარი ქართველი მეცნიერის ნაშრომი ძნელად საკითხავი წიგნი აღმოჩნდა, ბევრი რამ კი, საერთოდ, მათთვის გაუგებარი და არც თუ ისე ადვილად დასაძლევ-ასათვისებელი იყო.

ვახუშტის შემოქმედებას უკეთესად იცნობდნენ მოსკოველი და პეტერბურგელი ქართველები.

აქ XIX საუკუნის დამდეგს ვახუშტის მეცნიერული მუშაობა ფაქტობრივად გააგრძელეს (ყოველ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის ფართო წრის საკითხების დასმა-დამუშავების თვალსაზრისით), ე. წ. ბატონიშვილების ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა, რომელთაგან ერთმა (იოანე ბატონიშვილმა) პირველი ქართული ენციკლოპედია („კალმასობა“) შეადგინა, ხოლო მეორე (თეიმურაზ ბატონიშვილი) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი გახდა.

რუსეთში დიდხანს ასსოვდათ ვახუშტი ბაგრატიონის დამსახურება ქართული კულტურისა და საისტორიო მწერლობის წინაშე, მისი ფასდაუდებელი ღვაწლი.

პეტერბურგში 1777 წელს გადაწერილ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს ტექსტისავე ხელით შემდეგი შინაარსის მინაწერი აქვს გაკეთებული: „ეს ქართლის ცხოვრება პირველვე მეფე ვახტანგს თვით ეკეთებინა ქართლს მყოფობასა და მერმე რუსეთს ძველ გუჯრებთა და ცხოვრებათა, მოხუცებულ მახსოვარ მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან დიდის გამოკვლევით და გამოძიებით გულს მოდგინედ ეკეთებინა, რომ საქართველოს ცხოვრება ნოეს შვილის იეფეთის ქართლოსიდამ აქამომდე რა როგორ ყოფილა ან მეფენი ვინ მსხდარან და ან რა ჟამები და დრონი ყოფილან, ბატონიშვილის ვახუშტის თანხლებით ეკეთებინა და აღარ დასცალეობდა თანამდებობისაგან სიკუდილისა. მერმე მეფე რომ ასტრახანს გარდაცვალებულ იყო, ბატონიშვილი ვახუშტის ის შეესრულებინა და არს აქ მეფის ირაკლისამდე“.

ვახუშტის თანამშრომლობა ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით მიმდინარე ისტორიული ხასიათის მუშაობაში მთლად უსაფუძვლო არაა, მაგრამ ამ ცნობაში მთავარ ყურადღებას იქცევს ის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მიჩნეულია XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად, ვახტანგ VI-ის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად.

1774 წელს პეტერბურგში გადაწერილ ვახუშტის „საქართველოს ისტორიას“ დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: „მაღალაშვილის ნიკოლაოს მდივნის დედაზე გარდავსწერე. წელსა ჩლოდ 1774 თთვესა იანვარსა, სანკტპეტერბურსს“...

ამავე ცნობიდან ირკვევა, რომ რუსეთში ინტენსიურად მიმდინარეობდა „საქართველოს ცხოვრების“ გადანერა-გადანუსხვა.

მოსკოვსა და პეტერბურგში კარგად იცნობდნენ, უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ ვახუშტის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია მისი გამომზეურება.

XIX საუკუნის 40-იან წლებამდე უცხოელი მეცნიერები იცნობდნენ და ინტენსიურად იყენებდნენ კიდევ მხოლოდ ვახუშტის კარტოგრაფიულ ნამუშავეს, მის შესანიშნავ რუკებს.

მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ კი თითქმის შემთხვევით გახდა ცნობილი.

1838 წელს ვახუშტის თხზულების ხელნაწერი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას შესწირა იმერეთის ყოფილი დედოფლის ანას შვილმა.

დედოფალი ანა, რომელიც 1838 წელს გარდაიცვალა, მნიგნობრობით იყო გატაცებული და მის წიგნებს შორის დიდხანს ინახებოდა „საქართველოს სამეფოს აღწერაც“.

მნიგნობარი მანდილოსანი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ვახუშტის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

მისი დავალებით მისმა მახლობელმა ქალმა მათა ჩიქვანაიამ გადაიღო ვახუშტის ყველა რუკის ასლი. ეს ასლები ისე ნიჭიერად არის შესრულებული, რომ ზოგიერთი მკვლევარი მათა ჩიქვანაიას უწოდებს პირველ ქართველ კარტოგრაფ ქალს.

მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში მოთავსებულ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა მარი ბროსემ.

მისმა შინაარსმა აღტაცებაში მოიყვანა და მოაჯადოვა სახელგანთქმული ფრანგი ორიენტალისტი, რომელიც დაუცხრომლად მოღვაწეობდა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის სარბიელზე და ევროპის მეცნიერულ საზოგადოებრიობას ფრანგული თარგმანებით გააცნო ქართული და სომხური საისტორიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ბროსე დაუყოვნებლივ შეუდგა „საქართველოს ცხოვრების“ გეოგრაფიული ნაწილის ქართული ტექსტისა და მისი ფრანგული თარგმანის გამოცემაზე მუშაობას.

1842 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა „ლეოღრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადე-

მიკის ბროსეტის-გან". ეს იყო „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირველი სტამბური გამოცემა.

საქართველოს გეოგრაფიული აღწერის გამოქვეყნებამ მისი შინაარსი ხელმისაწვდომი გახადა უცხოეთის ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის.

მიუხედავად მნიშვნელოვანი (ზოგჯერ კი არსებითი ხასიათის) ნაკლებუვანებისა, მარი ბროსეს ეს თარგმანი, ამ თვალსაზრისით, დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას და მას ახლაც იყენებენ დასავლეთ ევროპის ორიენტალისტი-ისტორიკოსები.

ფაქტობრივად ბროსეთი იწყება „საქართველოს ცხოვრების“ გეოგრაფიული და ისტორიული ნაწილების ცალ-ცალკე გამოქვეყნება.

ცალ-ცალკე იბეჭდებოდა საკუთრივ ისტორიაც, უკეთ მისი შემადგენელი ნაწილები.

1854 წელს სანკტ-პეტერბურგში დ. ჩუბინიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში დაიბეჭდა ვახუშტის „ისტორიის“ ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა „განყოფილების“, ე. ი. პოლიტიკური დაშლილობის დროინდელი საქართველოს ისტორიას.

საქართველოს ძველი ისტორია, რომელიც ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენს, დ. ბაქრაძემ თბილისში გამოაქვეყნა 1885 წელს, მის მიერვე „განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით“.

ეს იყო ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის გარკვეული ნაწილის პირველი სტამბური გამოცემა საქართველოში.

1904 წელს თბილისში დაიბეჭდა „გეოგრაფიული აღწერის“ რუსული თარგმანი, შესრულებული მ. ჯანაშვილის მიერ. მას დართული აქვს მთარგმნელის და გამომცემლის სტატია: „ვახუშტი და მისი შრომა“.

ვახუშტის „ისტორიის“ მეორე ნაწილი, როგორც „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილი, 1913 წელს დაბეჭდა ზ. ჭიჭინაძემ.

პირველი ნაწილი კი „ხელმეორედ დაიბეჭდა ნიკო მარის მიერ“ პეტროგრადში 1923 წელს.

1941 წელს ნ. ბერძენიშვილის და თ. ლომოურის რედაქციით გამოქვეყნდა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“.

ასეთია ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრების“ ანუ „საქართველოს ისტორიის“ ცალკეული ნაწილების სხვადასხვა დროის გამოცემანი.

„საქართველოს ცხოვრება“ არასოდეს არ დაბეჭდილა იმ სახით, რა სახითაც ავტორმა შეადგინა და მისი წერა 1745 წელს დაასრულა.

ვახუშტის „გეოგრაფიული აღწერით“ და რუკებით XIX საუკუნეში არაერთი მეცნიერი იყო დაინტერესებული.

1842 წელს ბროსემ მეცნიერულ საზოგადოებას გააცნო ვახუშტის რუკები და ისინი მისი ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილის ფრანგულ თარგმანს დაურთო.

1851 წელს რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებაში ვახუშტის რუკების შესახებ მოხსენება გააკეთა დ. არტიემიევმა.

1877 წელს პეტერბურგში ორიენტალისტთა III კონგრესის შრომებში გამოქვეყნდა რუსი გეოდეზისტის ი. სტებნიცკის სტატია ამავე რუკებზე.

საინტერესოა, რომ პირველი ცნობები ვახუშტის რუკების შესახებ ქართულად დაიბეჭდა მხოლოდ 1880 წელს გაზეთ „დროშაში“ და იმავე გაზეთის 1885 წლის ნომრებში.

1900 წელს გაზეთ „კავკაზში“ ალექსანდრე ხახანაშვილმა გამოაქვეყნა ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიის ახალი მასალები.

1904 წელს „გეოგრაფიული აღწერის“ რუსული თარგმანისათვის წამძღვარებულ სტატიაში მოსე ჯანაშვილმა სცადა ვახუშტის მოღვაწეობისა და შრომის დახასიათება ახლადმოპოვებული მასალების შუქზე.

ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ისტორიკოსი და გეოგრაფოსი, ყოველმხრივ შეაფასა ივანე ჯავახიშვილმა თავისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ პირველ გამოცემაში.

მაგრამ მეცნიერებმა ძალიან დიდხანს ცოტა რამ იცოდნენ XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ვახუშტის პირველი ბიოგრაფის მარი ბროსესთვის უცნობი იყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქარგა.

დადგენილი არ იყო არც მისი დაბადების და არც მისი გარდაცვალების თარიღები.

ვახუშტის დაბადების თარიღად ნაჩვენები იყო 1676 წელიც და 1691 წელიც.

პირველი მეტისმეტად უცნაური იყო (ვახუშტი ორი წლით უმცროსი გამოდიოდა საკუთარ მამაზე), მეორე სავსებით დამაჯერებელი და მისაღები.

ნაკლული ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებით აიხსნება ისიც, რომ ვახუშტის გარდაცვალების წლებად სულ სხვადასხვა თარიღები იყო დასახელებული. სხვადასხვა თარიღებს ასახელებდნენ როგორც XVIII და XIX საუკუნეების, ისე XX საუკუნის მკვლევარნი.

მაგალითად, 1772 (გულდენშტედტი), 1750 (როზენკამპფი), 1770 (ბროსე), 1772 (პლატონ იოსელიანი), 1770 (დიმიტრი ბაქრაძე), 1776 (გ. ზარდალიშვილი), 1772 ან 1778 (ლ. მარუაშვილი), 1784 (გ. ლეონიძე).

დროთა განმავლობაში ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნებისა და ცხოვრების გარშემო გაჩნდა ლეგენდარული ხასიათის ცნობებიც.

ასე, მაგალითად, არავითარი საფუძველი არა აქვს მტკიცებას, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იმყოფებოდა რომში და იქ ვატიკანის ბიბლიოთეკაში მუშაობდა.

ასევე სინამდვილეს არ შეეფერება ზოგიერთი მკვლევარის აზრი მისი სპარსეთში ყოფნის შესახებ, სადაც მან თითქოს ზედმინწევით შეისწავლა სპარსული და სომხური ენები.

მსგავსი მოსაზრებანი და მტკიცებანი ჩნდებოდა იმ დროს, როცა ეპიზოდურად ცოცხლდებოდა და იღვიძებდა ინტერესი ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნებისა და მოღვაწეობისადმი.

ამ დროს ყურადღება ექცეოდა მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნივთიერეალიებსაც, რომელნიც ჯერ ისევ შენახულნი იყვნენ.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მათი დაცვა-გადარჩენა.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები უყურებდნენ მის ბიუსტს, მაგრამ არავინ დაინტერესებულა იმით, თუ როდის, ვის მიერ იყო გაკეთებული ეს ბიუსტი.

კიდევ მეტი: მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ბიუსტი უგზოუკვლოდ დაიკარგა 1914 წლის ახლო ხანში.

ასევე თვალს მიეფარა და დაიკარგა მემორიალური დაფა, რომელზედაც ოქროს ასოებით მოსკოვის უნივერსიტეტის სხვა დამაარსებლების სახელებთან ერთად ამოქრწილი იყო ქართველი მეცნიერის სახელიც.

განადგურდა ვახუშტის საფლავის ქვაც, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა მისი სახელის აღმნიშვნელი ასოების მხოლოდ რამდენიმე მარცვალი.

საქართველოს ცენტრალურ-ისტორიულ არქივში ერთმა მკვლევარმა 20-იანი წლების დასასრულს იპოვა ძველი საბუთი, რომელზეც მოთავსებული იყო ვახუშტი ბაგრატიონის ხელრთვა და დაბეჭდილი იყო მისივე ბეჭდით.

ბეჭედზე გამოსახული იყო თვითონ ბეჭდის მფლობელის პორტრეტი. მკვლევარი იმ დროს გატაცებული იყო საქართველოს ისტორიის სულ სხვა საკითხებით და ამ მნიშვნელოვან აღმოჩენას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია.

მხოლოდ 1945 წელს, როცა საქართველოში დღესასწაულობდნენ „საქართველოს ცხოვრების“ დანერის 200 წლისთავს, მან გაიხსენა ძველი საბუთი, მაგრამ მის კვალს ვეღარ მიაგნო.

ასე დაიკარგა ვახუშტი ბაგრატიონის პორტრეტის აღდგენის ერთ-ერთი შესაძლებლობა.

თუმცა არსებობს ვახუშტის ფანქრით ნახატი პორტრეტი, რომელიც საბინინის ქალაქებში იპოვეს და პირველად მოსე ჯანაშვილმა გამოსცა.

პორტრეტი მეტისმეტად სტილიზებულია და სპარსულ-აღმოსავლურ ყაიდაზე შესრულებული.

თმახუჭუჭა ვახუშტი ფერხმორთხმული ზის (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ყიზილბაშურად“, რაც მას აგრერიგად არ მოსწონდა და ინუნებდა), მარჯვენა კალმისანი ხელი განზე აქვს განვდილი, ხოლო მუხლზე წიგნი გადაშლილი.

ეს პორტრეტი ნაყალბევად ითვლება და საეჭვოდ არის მიჩნეული.

თუმცა, ეჭვის მიუხედავად, გიორგი ლეონიძეს, მაგალითად, შესაძლებლად მიაჩნდა ამ სურათის იმ ორიგინალიდან მომდინარეობა, რომელიც ვახტანგ VI-ის სურათთან ერთად, არსებული ცნობების მიხედვით, დედნიდან იყო გადმოღებული. გიორგი ლეონიძე საჭიროდ თვლიდა იმის გათვალისწინებასაც, რომ სურათის აღმომჩენნი ვახტანგის ამ სურათს მისი ცნობილი სურათების პირად აცხადებდნენ.

აკად. ნ. ბერძენიშვილი კი ვახუშტის სურათის გამო კატეგორიულად წერდა: „არაფრიდან ჩანს, რომ ის ნამდვილად ვახუშტის სურათია“.

ვახუშტის პორტრეტის ძებნას ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში შეუდგნენ.

1884 წელს მის სურათს მოსკოვსა და პატარბურგში ეძებდნენ ქართველი მეცნიერები დიმიტრი ბაქრაძე და ილია ოქრომჭედლიშვილი, მაგრამ ვერსად ვერ მიაკვლიეს. „მე ვგონებ, რომ ამ სურათის ძებნას, სამწუხაროდ, თავი უნდა დაეანებოთ“, – სინანულით იუწყებოდა მოსკოვიდან ილია ოქრომჭედლიშვილი.

ნაკლული ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებით აიხსნება ისიც, რომ ვახუშტის გარდაცვალების წლებად სულ სხვადასხვა თარიღები იყო დასახელებული. სხვადასხვა თარიღებს ასახელებდნენ როგორც XVIII და XIX საუკუნეების, ისე XX საუკუნის მკვლევარნი.

მაგალითად, 1772 (გულდენშტედტი), 1750 (როზენკამპფი), 1770 (ბროსე), 1772 (პლატონ იოსელიანი), 1770 (დიმიტრი ბაქრაძე), 1776 (გ. ზარდალიშვილი), 1772 ან 1778 (ლ. მარუაშვილი), 1784 (გ. ლეონიძე).

დროთა განმავლობაში ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნებისა და ცხოვრების გარშემო გაჩნდა ლეგენდარული ხასიათის ცნობებიც.

ასე, მაგალითად, არავითარი საფუძველი არა აქვს მტკიცებას, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იმყოფებოდა რომში და იქ ვატიკანის ბიბლიოთეკაში მუშაობდა.

ასევე სინამდვილეს არ შეეფერება ზოგიერთი მკვლევარის აზრი მისი სპარსეთში ყოფნის შესახებ, სადაც მან თითქოს ზედმინვნით შეისწავლა სპარსული და სომხური ენები.

მსგავსი მოსაზრებანი და მტკიცებანი ჩნდებოდა იმ დროს, როცა ეპიზოდურად ცოცხლდებოდა და იღვიძებდა ინტერესი ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნებისა და მოღვაწეობისადმი.

ამ დროს ყურადღება ექცეოდა მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნივთიერეალიებსაც, რომელნიც ჯერ ისევ შენახულნი იყვნენ.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მათი დაცვა-გადარჩენა.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები უყურებდნენ მის ბიუსტს, მაგრამ არავინ დაინტერესებულა იმით, თუ როდის, ვის მიერ იყო გაკეთებული ეს ბიუსტი.

კიდევ მეტი: მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ბიუსტი უგზოუკვლოდ დაიკარგა 1914 წლის ახლო ხანში.

ასევე თვალს მიეფარა და დაიკარგა მემორიალური დაფა, რომელზედაც ოქროს ასოებით მოსკოვის უნივერსიტეტის სხვა დამაარსებლების სახელებთან ერთად ამოძერწილი იყო ქართველი მეცნიერის სახელიც.

განადგურდა ვახუშტის საფლავის ქვაც, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა მისი სახელის აღმნიშვნელი ასოების მხოლოდ რამდენიმე მარცვალი.

საქართველოს ცენტრალურ-ისტორიულ არქივში ერთმა მკვლევარმა 20-იანი წლების დასასრულს იპოვა ძველი საბუთი, რომელზეც მოთავსებული იყო ვახუშტი ბაგრატიონის ხელრთვა და დაბეჭდილი იყო მისივე ბეჭდით.

ბეჭედზე გამოსახული იყო თვითონ ბეჭდის მფლობელის პორტრეტი. მკვლევარი იმ დროს გატაცებული იყო საქართველოს ისტორიის სულ სხვა საკითხებით და ამ მნიშვნელოვან აღმოჩენას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია.

მხოლოდ 1945 წელს, როცა საქართველოში დღესასწაულობდნენ „საქართველოს ცხოვრების“ დაწერის 200 წლისთავს, მან გაიხსენა ძველი საბუთი, მაგრამ მის კვალს ვეღარ მიაგნო.

ასე დაიკარგა ვახუშტი ბაგრატიონის პორტრეტის აღდგენის ერთ-ერთი შესაძლებლობა.

თუმცა არსებობს ვახუშტის ფანქრით ნახატი პორტრეტი, რომელიც საბინინის ქალაქებში იპოვეს და პირველად მოსე ჯანაშვილმა გამოსცა.

პორტრეტი მეტისმეტად სტილიზებულია და სპარსულ-აღმოსავლურ ყაიდაზე შესრულებული.

თმახუჭუჭა ვახუშტი ფერხმორთხმული ზის (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ყიზილბაშურად“, რაც მას აგრერიგად არ მოსწონდა და იწუნებდა), მარჯვენა კალმიანი ხელი განზე აქვს განვდილი, ხოლო მუხლზე წიგნი გადაშლილი.

ეს პორტრეტი ნაყალბევად ითვლება და საეჭვოდ არის მიჩნეული.

თუმცა, ეჭვის მიუხედავად, გიორგი ლეონიძეს, მაგალითად, შესაძლებლად მიაჩნდა ამ სურათის იმ ორიგინალიდან მომდინარეობა, რომელიც ვახტანგ VI-ის სურათთან ერთად, არსებული ცნობების მიხედვით, დედნიდან იყო გადმოღებული. გიორგი ლეონიძე საჭიროდ თვლიდა იმის გათვალისწინებასაც, რომ სურათის აღმომჩენნი ვახტანგის ამ სურათს მისი ცნობილი სურათების პირად აცხადებდნენ.

აკად. ნ. ბერძენიშვილი კი ვახუშტის სურათის გამო კატეგორიულად წერდა: „არაფრიდან ჩანს, რომ ის ნამდვილად ვახუშტის სურათიაო“.

ვახუშტის პორტრეტის ძებნას ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში შეუდგნენ.

1884 წელს მის სურათს მოსკოვსა და პეტარბურგში ეძებდნენ ქართველი მეცნიერები დიმიტრი ბაქრაძე და ილია ოქრომჭედლიშვილი, მაგრამ ვერსად ვერ მიაკვლიეს. „მე ვგონებ, რომ ამ სურათის ძებნას, სამუხებაროდ, თავი უნდა დაეანებოთ“, – სინანულით იუწყებოდა მოსკოვიდან ილია ოქრომჭედლიშვილი.

ინტერესი ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნების, ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მხოლოდ დროგამოშვებით იჩენდა ხოლმე თავს და ჩქარა ისევ და-
ვინწყებას ეძლეოდა.

ეს ჰქონდა მხედველობაში გიორგი ლეონიძეს, როცა გულისტკივილით წერ-
და: „და ასეთი მოჭირნახულე ამგდარის აჩრდილი დღეს ობლობის მწუხარე-
ბით გვიშვებს და მოგვაგონებს ჩვენს უმადურობას და გულმავინწყობას“.

ვახუშტი ბაგრატიონის ლიტერატურული და მეცნიერული მემკვიდრეობის
აკადემიური გამოცემა დღესაც არ არსებობს.

ახლაც არ დგას საკითხი მისი „საქართველოს ცხოვრების“ იმ სახით
დაბეჭდვისა, რა სახითაც ის დაინერა.

გამოსარკვევია და დასადგენი ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიისა და
მეცნიერული შემოქმედების არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ საკითხი.

უკანასკნელ ხანებში ზედიზედ აღმოჩნდა ვახუშტის ბიოგრაფიის ახალი,
მანამდე უცნობი მასალები. არსებობს იმის სრული საფუძველი, რომ ასეთი
მასალები მომავალშიც აღმოჩნდება.

მაგრამ ისიც, რაც ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია, არაა ჯერჯერობით
მთლიანად და ჯეროვნად შესწავლილი.

ვახუშტის ცხოვრებისა და შემოქმედების მასალებს შეიძლება მივაგნოთ
მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა ტექსტებში, ხელნაწერთა (ჩვენამდე ისინი
ავტოგრაფების სახით არიან მოღწეულნი) ანდერძებსა და მინაწერებში.

ამ მხრივ თანაბრად გასათვალისწინებელია ორიგინალური და ნათარგმნი
ნაშრომებიც.

ბიოგრაფიული ხასიათის მასალებთან ერთად ამ ნაშრომებში შეიძლება
მოვიძიოთ საყურადღებო ცნობები ვახუშტის მეცნიერული მუშაობის სრულიად
სხვადასხვა მხარის აღსადგენად და გასაშუქებლად.

მას, როგორც ზემოთ მივუთითეთ, წესად ჰქონდა ხელნაწერებზე მინაწე-
რების გაკეთება, შესრულებული სამუშაოს დათარიღება (წელი, თვე, რიცხვი,
დღე) და თვითონ ნაშრომის მიზნის, მნიშვნელობის და დანიშნულების აღ-
ნიშვნა.

ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ყურადღებას არ იქცევდეს მისი თარგ-
მანები.

ვახუშტი ბაგრატიონის მთარგმნელობითი მოღვაწეობა შესწავლილია ქრის-
ტინე შარაშიძის გამოუქვეყნებელ ნაშრომში: „ვახუშტი და მისი თარგმანები“.

სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ არ იცნობს ყველა თარგმანს, ამ თარგმანთა მნიშვნელობასა და ადგილს ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის გრძელ რიგში.

ამას გარდა, თარგმანთათვის წარმძღვარებული ორიგინალური წინასიტყვაობანი („რასათვის არს შრომა ესე“ ან „მოსაგონარი მწერლისა“) და მათი შინაარსი ჯერჯერობით თითქმის ხელუხლებელია, გაუთვალისწინებელი და შეუსწავლელი.

წინასიტყვაობანი კი მრავალნაირ საგულისხმო მასალას შეიცავს. მათ ცალკეულ შენიშვნებსა და მოკლე ექსკურსებში, როგორც თავის ადგილზე ვთქვით, ვპოულობთ მეტად საყურადღებო ბიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული ხასიათის ცნობებს.

ვახუშტისეული წინასიტყვაობანი საშუალებას გვაძლევს შევავსოთ მისი ნაკლები ბიოგრაფია მნიშვნელოვანი ეპიზოდებით ან მომენტებით, აღვნიშნოთ და ვუჩვენოთ მისი ყოველდღიური მუშაობის წესები და თავისებურებანი, ლიტერატურულ-მეცნიერული ინტერესები და განსჯა-შეფასებანი.

ასევე არანაკლებ საყურადღებოა ვახუშტის ლექსიკოლოგიურ-ტერმინოლოგიური შტუდიები.

საქმე ისაა, რომ თითოეული სიტყვისა და ტერმინის განმარტებაში მკაფიოდაა ასახული შესაფერისი ცნებები და შეხედულებანი, მეცნიერების სხვადასხვა დარგთა დასავლურ-ევროპული სახელწოდებანი, გარკვეული წარმოდგენა ახალ სამეცნიერო მეთოდებზე და თვით ცალკეულ ტერმინთა მნიშვნელობანი, მაგალითად, ფილოსოფიური აზრისა და შეხედულებათა თვალსაზრისით.

გიორგი პლენხანოვმა ამგვარი მასალების მიხედვით აღნიშნა და შეაფასა XVIII ს. რუს მოაზროვნეთა ზოგადი განათლება და აზროვნების სიახლეც ძველ, ბერძნულ-სლავურ სქოლასტიკურ წარმოდგენებთან შედარებით.

ამგვარივე მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ისტორიკოსის ლექსიკურ და ტერმინოლოგიურ მასალას.

მან პირველად შემოიტანა ქართულ სინამდვილეში სრულიად ახალი ცნებანი და სამეცნიერო ტერმინები, რაც, მართალია, მარტივად და მოკრძალებულად (ისევე როგორც რუსეთში), მაგრამ მაინც მრავალსაუკუნოვან და თავისთავად ქართულ კულტურას ბერძნულ-ბიზანტიურ და სპარსულ-აღმოსავლურ გავლენათა არტახებისაგან ათავისუფლებდა.

XVIII საუკუნის საქართველოში ევროპული კულტურისა და მეცნიერების გამოვლინებათა მოცულობის დადგენა მეტწილად ვახუშტის აღნიშნული მასალებით სარგებლობაზეა დამოკიდებული.

მის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი უცდის თავის მკვლევარს.

მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, მის ორიგინალურ ნაწერებს ექცევა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სათანადოდ გასათვალისწინებელია ნათარგმნი ნაშრომებიც, განსაკუთრებით კი ასეთ შრომათა ვახუშტისეული, ორიგინალური ნაწილები.

ასე, მაგალითად, „ზოგადი გეოგრაფიის“ ქართულ თარგმანში არაერთგანაა დამონმებული მთარგმნელის დანართები, რომელთა შინაარსი ტექსტის ორიგინალისგან დამოუკიდებლად არის შედგენილი, შევსებული ანდა შესწორებული.

ვახუშტი ტექსტისაგან დამოუკიდებლად აგვინერს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, სპარსეთის და ოსმალეთის გეოგრაფიულ პირობებს, მათს ნიშანდობლივ თავისებურებებს და საზღვრებს. აღნიშნულია მათი არა მარტო ქართულ-აღმოსავლური, არამედ ბერძნულ-ლათინურ-ევროპული სახელწოდებანიც.

სამწუხაროდ, ჯერ არავის მიუქცვია ყურადღება, თუ როგორ ან რა მოცულობით აღწერს ამას ვახუშტი, ან რომელი წყაროებიდან კრებდა საამისო მასალებს.

ამ საკითხთა დადგენა-გამორკვევის მნიშვნელობა თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რადგან „ზოგადი გეოგრაფიის“ ორიგინალურ ნაწილებში ვახუშტი ბაგრატიონი გვევლინება კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის გეოგრაფიული პირობების ერთ-ერთ პირველ მკვლევარად.

რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ დასახელებული ქვეყნების გეოგრაფიული აღწერისათვის გამოყენებულია ახალი სამეცნიერო მეთოდები და ის ტექნიკური ხერხები, რომლებიც იმდროინდელი დასავლეთ ევროპული და რუსული აღწერითი გეოგრაფიისათვის იყო დამახასიათებელი.

გადმოღებულ-გადმოქართულებულია აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 27 რუკა.

ამით დიდად გაფართოვდა და, რაც მთავარია, თვალსაჩინო გახდა ქართველთა გეოგრაფიული ჰორიზონტი, რადგან მანამდე კონტინენტებისა და ქვეყნების გეოგრაფიული პირობები მხოლოდ წერილობით იყო აღნიშნულ-დასახელებული სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონში“.

ვახუშტი, ჩანს, კარგად იცნობდა მახლობელი აღმოსავლეთის როგორც გეოგრაფიას, ისე ისტორიას.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც დასადგენია და გამოსარკვევი მისი აღმოსავლური წყაროები (კერძოდ, სპარსული საისტორიო წყაროებით სარგებლობის შესაძლებლობა), მისი დამოკიდებულება ამ წყაროების ცნობებთან, რაც, სხვათა შორის, ორგანულად და უშუალოდ იყო დაკავშირებული XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღდგენის განზრახვასთან.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ვახუშტი პირველად არ ურთავდა საქართველოს ისტორიის თხრობაში აღმოსავლეთის ისტორიის ფაქტებსა და მოვლენებს, ეს თავისთავად გამომდინარეობდა საქართველოს აღმოსავლეთთან ურთიერთდამოკიდებულებიდან, მაგრამ იგი პირველად იძლეოდა საქართველოს ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის შუქზე.

კიდევ მეტი: ვახუშტი გულდასმით სწავლობდა XVI-XVII სს. მიმდინარე ირან-ოსმალეთის ომების მსვლელობას და ხანგრძლივობას, ყურადღებას აქცევდა ომებისა და დადებული ზავის თარიღებს, რათა მათი შემწეობით აღედგინა XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია, ეჩვენებინა ის ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი თარიღები, რომელთა გამო საკუთრივ ქართული წყაროები დუმდნენ.

ახლაც, ჩვენი დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში, მიღებულია თავის დროზე ვახუშტის მიერ აღდგენილ-დადგენილი თარიღები, თუმცა მკვლევართ მხედველობიდან არ გამორჩენიათ არც ის, რომ XVIII საუკუნეების ისტორიკოსს დათარიღებისას შეცდომებიც მოსდიოდა (საინტერესოა აღინიშნოს: 2 ან 3 წლით), რაც უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ ამოსავლად ირან-ოსმალეთის ესა თუ ის ომი ჰქონდა და ამის მიხედვით ანგარიშობდა და იძლეოდა შესაძლებელ თარიღს.

XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ჯერ კიდევ არაერთი თარიღია გამოსარკვევი და დასადგენი (საინტერესო ფაქტია: სულ რამდენიმე წლის წინათ დადგინდა, მაგალითად, გიორგი სააკაძის მეთაურობით მომხდარი მარტყოფის აჯანყების და მარაბდის ბრძოლის ნამდვილი თარიღები) ამ მხრივ თავისთავად გასაგები უნდა იყოს ვახუშტის მიერ XVIII საუკუნეში ჩატარებულ კვლევა-ძიებათა გათვალისწინების მნიშვნელობა.

ძველი ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ „არაბობის“, „თურქობის“, „ულუსობის“, „ყიზილბაშობის“ და „ოსმალობის“ შინაარსობრივ მნიშვნელობას, მაგრამ მხოლოდ ვახუშტიმ შეაჩერა ამგვარ მოვლენებზე საგანგებოდ ყურადღება.

მშრალი და უსაგნო თხრობის მოწინააღმდეგე ისტორიკოსი თავის მოვალეობად თვლიდა შეესწავლა სპარსეთის და ოსმალეთის პოლიტიკური ორგანიზაცია, რათა ეჩვენებინა „ყიზილბაშობის“ ან „ოსმალობის“ სხვადასხვა გამოვლინებანი ქართულ სინამდვილეში.

ამის მიხედვითაა აღწერილ-დახასიათებული „ყიზილბაშთაგან“ და „ურუმთაგან“ ანუ „ოსმალთაგან“ შემორეულნი „ნესნი რაიმე მათნი“.

ამ მხრივ მის ცოდნას გვიდასტურებს სპარსეთის მმართველობის წესრიგის გამო დასახელებული ბეგლარბეგი, ხანი, სულთანი და სპარსეთის სხვა მოხელენი (სათანადო განმარტებითურთ), ასევე ოსმალური სანჯაყების და ოსმალ მოხელე-ხელისუფლების ჩამოთვლა (ფაშა, ვეზირი, ბეგი, ალაიბეგი, ალა...).

ამგვარი მიმოხილვა ისტორიკოსს იმისთვისაც სჭირდებოდა, რათა ეჩვენებინა, თუ, მაგალითად, გაოსმალებულ სამცხე-საათაბაგოში ვინ დაიჭირათავადის, მთავრის და აზნაურის ადგილი.

„ისტორიის“ ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო ამ უამებთა შინა არღარა იყო სახელნი თავადთა, მთავართა და აზნაურთა, არამედ უწოდდენ ფაშად, ბეგად, ალაიბეგად, სანჯახად და ალად, რამეთუ ახალციხეს და ოლთის იყო ათაბაგი ფაშად წოდებული, კოლას სჯდა ფაშა, შაეშეთს, აჭარას ბეგნი და ალანი. გარნა მორჩილებასა და ლაშქრობასა ქვეშე ახალციხის ფაშისასა“.

ამას მოსდევს დასკვნა: „არღარა იწოდებიან გვართა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად, და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, განა დავიდუმეთ“. მოტანილი ფაქტები სავსებით ცხადად და ნათლად მეტყველებდნენ ქართული სამთავროს „გაოსმალებას“, რის გამოც ისტორიკოსს ეს სავსებით საკმარისად ჩაუთვლია და საამისო თხრობა შეუმოკლებია („განა დავიდუმეთ“).

შესაძლებელია, ამ უკანასკნელ ფრაზას პატრიოტულ-რომანტიკული ელფერიც გადაჰკრავდეს, რადგან „გაოსმალების“ სხვა ფაქტები „ქართველობის“ გაქრობა-გადაშენებასთან იყო დაკავშირებული.

ვახუშტის ისიც შეუმჩნევია, რომ ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები სამცხე-საათაბაგოში საეკლესიო-სამონასტრო მამულების ოსმალთა მიერ მიტაცება-მითვისებად დაასუსტა და გააქრო: „ვინაიდან მიუხვნეს ოსმალთა

სრულიად მამულ-შენიშნულბანი და არღარავინ იყო მეტრფე მონაზონებისა... არამედ ოხრება ეკლესია-მონასტერთა და შენება ჯამთა" - ე. ი. ქრისტიანთა ეკლესია-მონასტრები ოხრდებოდა, მათ მაგიერ კი მაჰმადიანთა მეჩეთები და ჯამეები შენდებოდა, რის გამოც ყველგან სამთავროში მაჰმადიანობა იკიდებდა ფეხს და ვრცელდებოდა.

ქართული ფეოდალური მინისმფლობელობის კავშირი ქრისტიანულ იდეოლოგიასთან, ასევე აღმოსავლური ფეოდალური მინისმფლობელობის დამოკიდებულება მაჰმადიანობის გავრცელებაზე ვახუშტის შესანიშნავად აქვს დაყენებული, გაშუქებული და დასაბუთებული. თუმცა იგი, რა თქმა უნდა, არსად მიმართავს ჩვენთვის ცნობილ ზოგად ფეოდალურ ტერმინოლოგიას.

ამავე დროს, სავსებით მართებულად შენიშნულია ის საყურადღებო ფაქტიც, რომ გამაჰმადიანებით, უწინარეს ყოვლისა, ფეოდალები მაჰმადიანდებოდნენ, გლეხობა კი დიდხანს (XIX საუკუნემდე) მამა-პაპურ სარწმუნოებას ინარჩუნებდა: „ხოლო ან მთავარი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანნი“. ეს მოვლენა იმით შეიძლება ავსხნათ, რომ აზნაური სამცხე-საათაბაგოში მიწას გაჰყვა (მაჰმადიანობით მამულები შეინარჩუნა). ვახუშტისაც სწორედ ესა აქვს მხედველობაში. გლეხობა კი, რომელიც ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიდა (გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალების და ოსმალ მოხელეების მხრივ) ქრისტიანობის დაცვითა და შენარჩუნებით იყო დაინტერესებული.

მაგრამ ახალციხის საფაშომ მაინც მთელი რიგი ოსმალურისაგან განსხვავებული თავისებურებანი შეინარჩუნა. ვახუშტი ამასაც აღნიშნავს, როცა ამბობს: „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი (აქაც გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები არიან მხედველობაში) ნადიმთა და კრებულთა შინა უამბობენ ან თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობართა შინა იტყვიან ქართულსავე“.

საყურადღებო მონიშნა: თუ ქართველობის ზედაფენის (უკეთ მისი მნიშვნელოვანი უმრავლესობის) ოფიციალურ ენად უკვე თურქული იყო გამხდარი, ხალხი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად ენასაც უფრთხილდებოდა და ინარჩუნებდა.

აღნიშნულია ბრძოლის ის საშუალებებიც, რასაც აქაური ქართველები ოსმალთა მოძალების წინააღმდეგ იყენებდნენ, აგრეთვე მოსახლეობის მოძრაობა და აყრა-გადასახლება: „ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდნენ ხატ-

თა, ჯუართა და ნანილთა წმიდათა და სხუათა წარაქუნდათ პირველსაებრ იმერეთს და ქართლს და ივლტოდნენ წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა“.

ვახუშტის ამგვარი შენიშვნები და დასკვნები ღრმა ანალიზისა და საფუძვლიანი დაკვირვებების შედეგია.

ამავე დროს, არც „ისტორიაში“ და არც „გეოგრაფიულ აღწერაში“ მას „გაოსმალეული“ სამცხე და აჭარა განზე არ დაუტოვებია და როგორც ისტორიულ-ეთნიკური, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთიცა და მეორეც ერთიანი საქართველოს ფარგლებში აქვს წარმოდგენილი და აღწერილი.

მის თვალსაწიერშია ყოფილი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს მთელი ტერიტორია, მისი მოსახლეობით, ქალაქებით, დაბებით, სოფლებით, სამეურნეო, ეთნოგრაფიული და გეობოტანიკური თავისებურებებით.

თვით „ისტორიის“ ტექსტში კი ახალციხის საფაშოს და მისი ფაშების (გამაჰმადიანებული ათაბაგების) თავგადასავალიც არის გადმოცემული და, ამრიგად, სამცხის ისტორია XVII-XVIII საუკუნეებშიც გაგრძელებული.

განსხვავების ნიშნად მხოლოდ საქართველოს ამ კუთხის „გაოსმალეების“ ფაქტია აღებული და ნაგულისხმევი.

ვახუშტი წერდა იმ დროს, როცა ოდესღაც ერთიანი სამთავრო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში ჩილდირის (ახალციხის), არზრუმის და ტრაპიზონის ვილაეთების მიხედვით იყო დანაწილებული.

საქართველოში რომ ამ კუთხეზე ხელს არ იღებდნენ და მისი განთავისუფლება-შემოერთებისათვის იღვწოდნენ, ეს კარგად ჩანს რუსეთ-საქართველოს 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულების პირობებიდან.

ამ პირობების რეალიზაციას ნიშნავდა რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგები XIX საუკუნეში (ახალციხის, ბათუმ-ქობულეთის შემოერთება...).

„გურჯისტანის ვილაეთად“ ქცეული ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიული პირობების აღწერით XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ერთგვარ ხარკს უხდიდა თავის დროის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრს.

ვახუშტი სპარსულ და ოსმალურ გადასახადებსაც და საგადასახადო სისტემასაც იმავე თვალსაზრისით სწავლობდა და ითვალისწინებდა, რა მიზნითაც სპარსული თუ ოსმალური მმართველობის თავისებურებანი ჰქონდა შესწავლილ-გათვალისწინებული.

ეს მოსახლეობის მძიმე და აუტანელი მდგომარეობის საჩვენებლად და დასასაბუთებლად იყო საჭირო.

ამ მიზნითაა დასახელებულ-დახასიათებული სპარსული თუ ოსმალური სა-
თათრო გამოსაღებები და ბეგარა-გადასახადები.

ამასთან მოტანილია ციფრობრივი მონაცემებიც.

ასე, მაგალითად, ვახუშტის სიტყვით, საფარ-ფაშას დროიდან სამცხეს ოსმალებმა „შეჰკვეთეს ხარკი ქრისტიანეთა სულზედ დრაჰკანი და ყოველ-
სა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდისთავი, ცხვარზე 2 შაური, ზროხაზედ
აბაზი, ცხენსა და კამბეჩზედ ექვსი შაური. ხოლო საფაშოთ ხარკი დრაჰკნის
მესამედი, რომელ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთა“.

ასეთივე ციფრობრივი მონაცემები დასახელებულია სპარსულ-ყიზილბაშური
ხარკისა და გადასახადების ჩამოთვლის დროს.

ამავე დროს, უალრესად საინტერესოა, სათათრო საურის ოდენობისა და
მისი საშუალებით ტყვე ქალ-ვაჟების „მოყიდვის“ გამო საუბრისას აღნიშნული
გლესთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

ყველაფერი ეს ცხადყოფს არა მარტო სპარსეთის თუ ოსმალეთის პო-
ლიტიკური ბატონობის მთელ სიძიმეს, არამედ მის უარყოფით ეკონომიკურ
შედეგებსაც.

ვახუშტი არ კმაყოფილდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს
ურთიერთობის სხვადასხვა მოვლენების უბრალო რეგისტრაციით, იგი, ამასთან
ერთად, იძლეოდა ამ ურთიერთობის პოლიტიკური ფორმების აღწერა-დახა-
სიათებასაც (ზოგან შედარებით მსუბუქი – „შერეულნი წესნი“, ზოგან კი
მძიმე – „ყიზილბაშობა“ ან „ოსმალობა“).

ამიტომაც, რომ საამისო ცნობებს, შენიშვნებსა და დასკვნებს ახლაც
საქართველო-აღმოსავლეთის ურთიერთობით დაინტერესებული ვერც ერთი
მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს.

მსგავსი ცნობები გვხვდება მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის (XII
ს.), ჟამთააღმწერლის (XIV ს.) და პაპუნა ორბელიანის (XVIII ს.) ნაწარმოებებში
– თურქ-სელჩუკური, მონღოლური და ყიზილბაშური სოციალურ-ეკონომიკური
ორგანიზაციის, გადასახადების და საგადასახადო სისტემის აღწერისას.

ამ მხრივ ვახუშტი ბაგრატიონი ერთადერთი გამონაკლისი არაა ქართულ
საისტორიო მწერლობაში, მაგრამ მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს,
რომ მან ერთი მხრივ, გამოიყენა შედარებითი მეთოდი, ხოლო მეორე მხრივ,

გაქართულებული თუ აღმოსავლური წარმოშობის ინსტიტუტებთან ერთად („შეძინებული“, „შერეულნი წესნი“) უცხოური ბატონობისა და ამის შესაბამისი ინსტიტუტების პირდაპირი გამოვლინებანი უჩვენა დროსა და განვითარებაში.

ამ თვალსაზრისით იგი გვევლინება აღმოსავლური ინსტიტუტების პირველ მკვლევარად საქართველოში.

მასვე საკმაოდ დაწვრილებით აღწერილი აქვს „ელის“ (ქვემო ქართლში დასახლებული მომთაბარული ტომების) ყოფა-ცხოვრება, მეურნეობა და თვით სოციალური ორგანიზაცია. ამან არ შეიძლება არ მიიქციოს ორიენტალისტ-ისტორიკოსების ყურადღება, რადგან შუა საუკუნეების თითქმის მთელ მანძილზე წინა აზიის ქვეყნებში განუწყვეტლივ ჰქონდა ადგილი „ელების“ მოძრაობასა და განსახლებას.

„ელის“ თანაცხოვრებამ ინტენსიური მეურნეობის მატარებელ მკვიდრბინადრულ მოსახლეობასთან ერთად განაპირობა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაქვეითება ნაგვიანვე შუა საუკუნეებში.

XI საუკუნიდან (თურქ-სელჩუკების შემოსევების დროიდან) ქართველი ხალხი მომთაბარული ტომებისა და ხალხების მოძალებისაგან იცავდა თავის ინტენსიურ მეურნეობას, სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, იდეოლოგიას.

ქართველმა ხალხმა, მძიმე და სისხლისმღვრელ ომებში, შეძლო „ელის“ ლოკალიზაცია, მისი ქართველი მეფის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება. საამისოდ გამოყენებული იყო ფიზიკური საშუალებებიც (გამუდმებული ბრძოლები, „ბახტრიონის“ მსგავსი აჯანყება...) და ადმინისტრაციულ-იურიდიული ღონისძიებებიც (სპეციალური „ელის დებულებით“ მათი ცხოვრების მონესრიგება).

ვახუშტის „ელი“ აღწერილი აქვს იმ მომენტში, როცა ქართული ფეოდალური ურთიერთობის გარემოცვის წყალობით „ელის ხალხი“ ნახევრად ბინადრული ცხოვრების წესზე გადადიოდა, მიწათმოქმედებას ხელს ჰკიდებდა და მეურნეობის ახალ დარგებს იჩენდა (არხების გაყვანა, ბრინჯის მოვლა-მოყვანა, მებარეშუმეობა, ხელოსნობა...).

აღნიშნული გარემოებაც არ შეიძლება არ იქცეს ორიენტალისტი ისტორიკოსების ყურადღებისა და შესწავლის საგნად.

ვახუშტის მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტების მოკლე, მაგრამ შინაარ-

სიან მიმოხილვას, განსაკუთრებით კი „აწინდელი“ (XVII-XVIII საუკუნეების) სახელმწიფო წყობილების დახასიათებას.

აქ მან, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, უჩვენა სახელმწიფო წყობილების ნიშანდობლივი თავისებურებანი მიუხედავად იმისა, რომ, მისივე მონაწილეობით, სახელმწიფო დანესებულებათა და მოხელე-ხელისუფალთა სახელები სპარსულ-ალმოსავლურ ყაიდაზე იყო შეცვლილი.

მისი ცხოველი ყურადღების საგანს შეადგენდა ქართული ფეოდალიზმის და ფეოდალური ინსტიტუტების საკითხებიც.

უხვ ფაქტობრივად მასალასთან ერთად საყურადღებო დასკვნები და განზოგადებანი მოიპოვება მის XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. ამ შემთხვევაში ვახუშტი ხშირად გვევლინება როგორც აღწერილი მოვლენების „თვითმხილველი“ და „თანადამხედური“. ამიტომაც მისი „ისტორიის“ ამ მონაკვეთს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიასთან“ ერთად.

მანვე დაწერა ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ისტორიის პირველი სტრიქონები. შეისწავლა ფრესკული მხატვრობა, ხელნაწერი წიგნის ილუსტრაციები; აღწერა გლეხის საცხოვრებელი, მოქალაქეთა სახლები, მეფე-ფეოდალების ციხე-დარბაზები, სასახლეები, ნასასახლაეები, ქარვასლები; აღნიშნა მათი ხუროთმოძღვრული თავისებურებანი და გარეგანი ნიშან-თვისებები (შელესილი გაჯით, ქვა-ტალახით, ქვითკირიანი, დარბაზოვანი, გუმბათიანი, უგუმბათო...).

დაინტერესდა ეპიგრაფიკული ძეგლებით - ქვათა, ხატთა და ჯვართა წარწერებით.

დაგვიტოვა უხვი მასალა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის.

როგორც გეოგრაფოსი და ეთნოგრაფოსი, შეეხო ქართველი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის არაერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო მხარეს.

ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობა ამოუწურავია.

მაგრამ ძალიან დიდხანს მას არც გამრძელებელი ჰყავდა, არც დამფასებელი.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული ნარკვევი მისი ნაშრომ-ნამოღვაწარის მეცნიერული შეფასების პირველი სერიოზული ცდა იყო.

მხოლოდ ჩვენს დროს იწყება ფაქტობრივად ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველმხრივი და ინტენსიური შესწავლა.

ქართველმა ხალხმა დაიწყებას არ მისცა თავისი სახელოვანი შვილის, სწორუპოვარი მეცნიერის და სასიქადულო მამულიშვილის სახელი.

1945 წელს ზემით აღინიშნა „საქართველოს ცხოვრების“ შექმნის 200 წლისთავი.

ვახუშტი ბაგრატიონისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სკოლებში.

გამოქვეყნდა XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრებულები.

ერთ-ერთ ქუჩას აკაკი წერეთლის პროსპექტის გადაკვეთაზე ეწოდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელი.

მისი სახელი შეერქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვესტიბიულში, ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დაიდგა ვახუშტი ბაგრატიონის ბიუსტი.

ხელმარცხნივ აღმართულია თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ბიუსტი, ხოლო ხელმარჯვნივ ვახუშტი ბაგრატიონისა.

აქ, უნივერსიტეტის ვესტიბიულში, ერთი მეორის გვერდით დგას იმ ქართველი მეცნიერების ქანდაკებანი, რომელთაც ახალი გეზი და მიმართულება მისცეს არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ საზოგადოდ ქართულ მეცნიერებას.

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრების“ ისტორიული ნაწილი დღემდე ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ ღირებულებას და მნიშვნელობას.

ორასი წლის შემდეგაც არ დაძველებულა ის, არ მოსდებია დაიწყების ობი და არ ქცეულა უბრალო ისტორიოგრაფიული ინტერესისა და ყურადღების საგნად.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „...ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულისა ან ნაწილობრივ ანმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს, ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქნება. ...იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არასდროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“.

ასეთივე წყაროა „საქართველოს ცხოვრების“ გეოგრაფიული ნაწილიც.


„გეოგრაფიულმა აღწერამაც“ დღემდე შეინარჩუნა არა მარტო თეორიულ-მეცნიერული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც და მნიშვნელობაც.

მისი მრავალმხრივი და შინაარსიანი ცნობების წარმატებით გამოყენება შეიძლება მეურნეობის დარგების აღსადგენად, გადაშენებული მევენახეობის ასაღორძინებლად და გაკაფულ-გამიშვლებულ ადგილებზე ტყეების გასაშენებლად იქ, სადაც წინათ ვაზი ყვავილობდა და ტყე შრიალებდა.

იგივე უნდა ითქვას საქართველოს სხვადასხვა კუთხის მებაღეობა-მე-ბოსტნეობაზე, მეხილეობის და წყლის რესურსების თაობაზეც.


ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიულ აღწერაში“ საგულისხმო ცნობებს პოულობენ: გეოგრაფოსები, ეკონომისტები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები, ჰიდროლოგები, სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის სპეციალისტები.

მაგრამ ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ ანუ „საქართველოს ისტორია“ მაინც იყო, არის და მუდამ იქნება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების წარმატებით შესწავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო. საამისო პირობები იქმნება მხოლოდ ახლა, როცა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას გაცილებით უფრო მყარი მეცნიერული საფუძვლები მოეპოვება, ვიდრე ეს ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს იყო.






ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს რუკა
(H-2079)




ვახუშტი ბატონიშვილის მსოფლიო ატლასი (4-717)



ვახტანგ VI-ის პორტრეტი. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა (1712 წ.).

სარჩევი

| | |
|---|-----|
| რედაქტორისაგან..... | 5 |
| შესავალი..... | 7 |
| ვახუშტის ცხოვრების ფურცლები..... | 10 |
| ვახუშტის წინამორბედი..... | 35 |
| მოღვაწეობა რუსეთში..... | 57 |
| საქართველოს ცხოვრება..... | 83 |
| ა. „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“..... | 89 |
| ბ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“..... | 96 |
| გ. „ისტორია“ ანუ „მოქმედების აღწერა“..... | 103 |
| დ. „ნიგნის სახელნი“ და ქრონოლოგია-გენეალოგიის ტაბულები..... | 113 |
| ე. რუკები..... | 117 |
| ვახუშტი როგორც მაცნეიერი..... | 121 |
| ა. ვახუშტის ისტორიული აზროვნება..... | 121 |
| ბ. ვახუშტი და XVIII საუკუნის მეცნიერება..... | 133 |
| ვახუშტის ცხოვრების დასასრული..... | 153 |
| ვახუშტის მაცნეირული მემკვიდრეობა..... | 176 |



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS